ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
საერთაშორისო ბიზნესის კათედრა

იაშა (იაკობ) მესხია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოება

(ლექციების კონსპექტი)

თბილისი

2012

შინაარსი

1. საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების არსი -4
2. გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება -6
3. საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ინსტიტუციონალური ელემენტები -10
4. მსოფლიო ეკონომიკური სისტემის სტაბილურობა -14
5. საერთაშორისო ეკონომიკური კონფლიქტები -17
6. თანამედროვე გლობალური საფრთხეები -20
7. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები და გამოწვევები -23
8. ეკონომიკური და სოციალური მუქარები -32
9. ინფორმაციული მუქარები -35
10. კონკურენციული დაზვერვის ცნება -38
11. კონკურენტული დაზვერვის ამოცანები 40
12. კონკურენტული დაზვერვის ინფორმაციული უზრუნველყოფა -42
13. კონკურენტული დაზვერვის როლის ზრდა- 44
14. თაღლითობა როგორც ბიზნესის მუქარა- 47
15. თაღლითური ოპერაციების სტრუქტურა -50
16. ბიზნესში თაღლითობის ძირითადი სახეები და მეთოდები -52
17. მარტივი და ორგანიზებული თაღლითობა -55
18. თაღლითობის გამოვლენა და თავიდან აცილება -58
19. საწარმოო-კომერციული საიდუმლოების არსი -63
20. სამრეწველო შპიონაჟი და ბენჩმარკინგი -65
21. რეიდერობის არსი, სახეები და მეთოდები -69
22. რეიდერობისაგან თავდაცვის ხერხები -73
23. რეკეტი, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ელემენტი -77
24. კორუფცია და მისი გამოვლების ფორმები -83
25. მექრთამეობა და მისი ფორმები -86
26. კორუფციის მაღალრისკიანი სფეროები -88
27. ელიტარული კორუფციის ფორმები -92

28. კორუფციის აღქმის ინდექსის არსი და გაანგარიშების მეთოდოლოგია -96
29. კორუფციის დონე საქართველოში -99
30. გლობალური კორუფციის არსი -102
31. კორუფცია ტრანსნაციონალურ კომპანიებში -106
32. კორუფუცია საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუციებში -110
33. კორუფციის გეოგრაფია -115
34. კორუფციის გავლენა საერთაშორისო ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე -117
35. ბრძოლა გლობალურ კორუფციასთან -119
36. ბიზნესი როგორც დაცვის ობიექტი -124
37. სახელმწიფოს როლი ბიზნესის უსაფრთხოების დაცვაში -127
38. ბიზნესის სამართლებრივი დაცვა -132
39. ბიზნესის დაცვის რეგულირების ეკონომიკური მეთოდები -135
40. ბიზნესის უსაფრთხოების დაცვის სამსახური -138

ლიტერატურა -142

დანართი 1: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია -144

ლექტორთან საკონტაქტო ელ-ფოსტა –**iashameskhia@gmail.com**
ტელეფონი: 577-40-51-51;
მისამართი: მაღლივი კორპუსი. მესამე სართული, ოთახი 309, ან მე-6 სართული, ოთახი 606

ავტორის უფლებები დაცულია კანონით. ნაშრომის გამოყენება ავტორის ნებართ-ვის გარეშე ისჯება კანონით

1. საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების არსი

საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ საერთაშორისო სისტემაში არ არსებობს ერთიანი სახელისუფლებო ოფიციალური ორგანო. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სისტემას, განსხვავებით ნაციონალურიდან, რომელიც ხასიათდება მმართველობის იერარქიული სტრუქტურით, გააჩნია ანარქისტული სტრუქტურა. რამდენადაც სახელმწიფოები მოკლებული არიან შესაძლებლობას საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები გადაწყვიტონ მსოფლიო ხელისუფლების მეშვეობით, ცდილობენ იქონიონ ძალისმიერი უპირატესობა რეალურ, პოტენციურ მოწინააღმდეგესთან შედარებით. ამასთან, მუდმივად ირღვევა ძალთა თანაფარდობა (ძალთა ბალანსი) სახელმწიფოებს შორის. მოლაპარიკებების შედეგად ხდება ამ ძალების დაბალანსება და აღდგენა. თუმცა დროთა ვითარებაში სახელმწიფოები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობენ საკუთარი უსაფრთხოების განმტკიცებას, რაც იწვევს ძალთა თანაფარდობის რღვევას. სწორედ ძალთა ბალანსის რღვევა და აღდგენა ქვეყნებს შორის თავიანთი ინტერესებისათვის ბრძოლაში უზრუნველყოფს როგორც მთლიანად საერთაშორისო სისტემის, ასევე მისი ელემენტების (სახელმწიფოების) უსაფრთხოებასტაბილურობას. მეორე მხრივ, საერთაშორისო სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება დასახელდეს ერთი რომელიმე სახელმწიფოს ჰეგემონია და ლიდერობა, რომელიც დე-ფაქტო თავის თავზე იღებს „მსოფლიო ხელისუფლების“ ზოგიერთ ფუნქციას. თუმცა ერთი სახელმწიფოს ჰეგემონია არაა მუდმივი, რადგან მის ადგილზე სხვა სახელმწიფოს მხრიდან ჩანაცვლება იწვევს ძალთა ბალანსის რღვევას, რასაც ხშირად თან ახლავს სხვადასხვა სახის კონფლიქტები, თვით სამხედრო დაპირისპირების და ომების სახით.

რაში მდგომარეობს საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების არსი?. **საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც მიიღწე-**

ვა სახელმწიფოების სტაბილური ეკონომიკური განვითარება და იქმნება პირობები მათ შორის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობისათვის ისე, რომ გამოირიცხება ეკონომიკური ძალების არასამართლიანი გამოყენება. საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემა მოწოდებულია დაიცვას თითოეული სახელმწიფო შემდეგი სამი საფრთხისაგან:

- მსოფლიო ეკონომიკური განვითარების პირობების სტიქიური გაუარესებისაგან;
- სახელმწიფოებს შორის შეუთანხმებელი ეკონომიკური გადაწყვეტილებების არასასურველი შედეგებისაგან.
- გაცნობიერებული ეკონომიკური აგრესიისაგან სხვა სახელმწოფოთა მხრიდან.

აქედან გამომდინარეობს საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების სამი ძირითადი ამოცანა:

პირველი ამოცანა მდგომარეობს მსოფლიო ეკონომიკის სტაბილურობის მხარდაჭერაში, ყველა სახელმწიფოების წარმოების, მეცნიერების და კეთილდღეობის ზრდაში, გლობალურ ბაზარზე სტიქიური რყევების შეზღუდვაში, მათი გლობალურ ეკონომიკიურ კრიზისში გადაზრდის დაუშვებულობაში, კრიზისის შედეგების აღმოფხვრაში. ამ ამოცანის რეალიზაცია რთულდება იმით, რომ გლობალურ ბაზარზე ერთმანეთს ერწმის ორი მოვლენა – საბაზრო მექანიზმის არამდგრადობა და თავისი ბუნებით საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა, რომელიც ეფუძნება ნაციონალურ (სახელმწიფო) სუვერენიტეტს. გამომდინარე აქედან, თუ ცალკეული ქვეყნის საზღვრებში საბაზრო მექანიზმის შეფერხებები (ბაზრის ჩავარდნები) კომპენსირდება სახელმწიფოს მიერ, ასეთი შესაძლებლობა მთელი პლანეტის მასშტაბით არ არსებობს. რამდენადაც თითოეული სახელმწიფოს იურისდიქციის სფერო შემოსაზღვრულია მისი ტერიტორიის ფარგლებში, სახელმწიფოებს არა აქვთ საშუალება მიზანმიმართულად მოახდინონ გავლენა გლობალურ ეკონომიკურ პროცესებზე. უფრო მეტიც, სახელმწიფოთა ინდივიდუალური მოქმედებები იწვევს მათ შორის წინააღმდეგობებს, ხოლო გლობალური პროცესები იჭრებიან ნაციონალური ეკონომიკის საზღვრებში. ყოველივე ეს არაეფექტიანს ხდის სახელმწიფოთა ძალისხმევას მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში.

მეორე ამოცანა გამომდინარეობს პირველი ამოცანიდან და მისი არსი მდგომარეობს ეკონომიკური პოლიტიკის ერთობლივ შემუშავებაში, ამა თუ იმ ფორმით ნაციონალური პოლიტიკების ურთიერთშეთანხმებებში იმ მიზნით, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გლობალური კრიზისული მოვლენების გავლენა თითოეულ სახელმწიფოზე და მთლიანად საერთაშორისო სისტემაზე.

მესამე ამოცანა საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გულისხმობს საერთაშორისო ეკონომიკური კონფლიქტების თავიდან აცილებას, ნაციონალური ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით სხვადასხვა სავაჭრო-პოლიტიკური მექანიზმებისა და წესების შემუშავება-დამკვიდრებას. ეს ამოცანა ისევე, როგორც პირველი ორი, შეუძლებელია გადაიჭრას დამოუკიდებლად ცალკეული სახელმწიფოების მიერ. ამისათვის საჭიროა საერთაშორისო თანამეგობრობის გაერთიანებული ძალისხმევა.

ეკონომიკური უსაფრთოების გლობალური სისტემის განვითარება მიმდინარეობს მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების (გლობალიზაციის) განშტოების პარალელურად.

2. გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება

გლობალიზაციის გაღრმავებას თან სდევს წინააღმდეგობების გამწვავება ფირმების ტრანსნაციონალიზაციასა და ცალკეული სახელმწიფოების იურისდიქციის სფეროს შეზღუდულობას შორის. საქმე იმაშია, რომ ცალკეულ სახელმწიფოს არ შეუძლია თავისი ძალა გამოიყენოს სახელმწიფო საზღვრებს გარეთ. ასევე სახელმწიფოთა რეგულირების სფეროს მიღმა რჩებიან არანაციონალური ბაზრები, რომლებიც აღმოცენდებიან გლობალური პროცესების გაღრმავების შედეგად და რომლებიც ფუნქციონირებენ ერთი რომელიმე ქვეყნის ფარგლებში. საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების გაღრმავება იწვევს იმას, რომ ქვეყნების მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებები, ხშირად ერთმანეთში იწვევენ წინააღმდეგობებს, რაც არა თუ ამცირებს მათ ეფექტიანობას, არამედ მსოფლიო ბაზრის დესტაბილიზაციის ფაქტორი შეიძლება გახდეს.

ასეთი პროცესები დღის წესრიგში აყენებს საბაზრო (სპონტანური) გლობალიზაციის პოლიტიკური (ინტელექტუალური) გლობალიზაციით შევსების ამოცანას. მიუხედავად ქვეყნებს შორის არსებული საბაზრო კონკურენციისა, სულ უფრო იზრდება სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკების შეთანხმებულად წარმართვის მოთხოვნილება. ასეთი მიდგომა შედის თითოეული სახელმწიფოს ინტერესებში, რადგან მსოფლიო მეურნეობის მდგრადი განვითარების გარეშე თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ავტონომიიურ რეჟიმში ეფექტიანი ეკონომიკის ფორმირება და განვითარება. მოკლედ რომ ვთქვათ, გლობალური პროცესები ქვეყნებს სულ უფრო დამოკიდებულს ხდის ერთმანეთთან და ერთ რომელიმე ქვეყანაში ეკონომიკის დესტაბილი-

ზაციამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკური რეცესია და კრიზისული სიტუაციის შექმნა.

სახელმწიფოების წინაშე დგება ამოცანა შექმნან სახელმწიფოთაშორისი და ზენაციონალური ორგანოები, რომლებზედაც მოხდება სუვერენიტეტის რაღაც ნაწილის დელეგირება. მხოლოდ სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის გადაცემით საერთაშორისო ინსტიტუტებისადმი, ქვეყანას შეუძლია თავისი ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვა სახელმწიფოების მიერ მიღებული არახელსაყრელი გადაწყვეტილებების ზეგავლენისაგან. იქმნება სიტუაცია, როდესაც სუვერენიტეტის ერთობლივად განხორციელება აუცილებელი ხდება.

ზენაციონალური ინსტიტუციების შექმნის შემთხვევაში სახელმწიფოთა სუვერენიტეტი არ ქრება (არ ილახება), რადგან თითოეული მონაწილე-ქვეყანა ინარჩუნებს უფლებას გამოვიდეს ამ საერთაშორისო გაერთიანებიდან ან დაემორჩილოს მის გადაწყვეტილებას. გლობალიზაციის განვითარების კვალდაკვალ ფართოვდება გლობალური პრობლემების რიცხვი, რომლებიც მოითხოვენ ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან, ეს ეხება არა მხოლოდ საგარეო, არამედ შიდა ეკონომიკურ პოლიტიკას. იზრდება აუცილებლობა უფრო მჭიდრო ურთიერთობისა ზენაციონალურ დონეზე ისეთ სფეროებში როგორიცაა სამრეწველო, სავაჭრო, ფინანსური პოლიტიკის სფერო, ენერგეტიკული და მინერალური რესურსებით მომარაგება, სამეცნიერო კვლევები და ტექნოლოგიები, ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობაზე კონტროლი, მსოფლიო ოკეანეების ექსპლოატაცია და ა.შ. ქვეყნებს უწევთ მოლაპარაკებების წარმოება რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენების პრინციპებზე და წესებზე, მათ შეთანხმებულ გამოყენებაზე. ამასთანავე, იცვლება პოლიტიკური შეთანხმების ფორმები. ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ეკონომიკური განვითარების ერთ სტადიაზე, შეიძლება დამამუხრუჭებელი ფაქტორი გახდეს შემდგომ ეტაპზე. ინსტიტუციონალური ორგანიზაციის ჩამორჩენამ გარემოს ცვლილებებთან შედარებით შეიძლება გამოიწვიოს კრიზისი ან ეკონომიკური სტაგნაცია. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება საერთაშორისო ურთიერთობათა ორგანიზაციულ ფორმაზე გადასვლის აუცილებლობა.

არსებობს დიდი აზრთა სხვაობა იმის შესახებ, როგორი ხარისხის უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმების ადექვატურობა თანამედროვე გლობალიზაციის მდგომარეობასთან. პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალი ხარისხის მომხრეები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ მსოფლიო მთავრობის (ხელისუფლების) იდეას, მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) და მისი ორგანიზაციების უფლებამო-

სილებათა გაზრდას, აგრეთვე ახალი ინსტიტუტების შექმნას, ისეთების, როგორიცაა მსოფლიო ხაზინა. უფრო მეტიც, მათი აზრით, საჭიროა გაეროს ბიუჯეტის ფორმირება გადასახადების მეშვეობით - დაკრედიტებიდან საბიუჯეტო დაფინანსებაზე გადასვლა. ეს გულისხმობს გაეროს სახსრებით განვითარების პროექტების დაფინანსებას.

მსოფლიო ხელისუფლების შექმნის პირობებში საერთაშორისო სისტემა ანარქიულიდან გარდაიქმნება იერარქიულში, რაც კარდინალურად შეცვლის საკითხს საერთაშორისო და ნაციონალური ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ. ფაქტობრივად სისტემა საერთაშორისოდან, რომელიც შედგება ნაციონალური სახელმწიფო-წევრებისაგან, გარდაიქმნება გლობალურში, სადაც წარმოდგენილი იქნება მოქალაქეები ქვეშემდგომების სახით. მაგრამ ამ უკანასკნელთა უსაფრთხოება ასეთი ვარიანტის პირობებში არ გაუმჯობესდება. საქმე იმაშია, რომ მსოფლიო იერარქიული სტრუქტურის ფარგლებში ინდივიდს არ ეძლევა საშუალება მოიძიოს პოლიტიკური თავშესაფარი და ამით მას წაერთმევა მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოქალაქეობრივი და კონსტიტუციური უფლება.

მსოფლიო მთავრობის შექმნის ვარიანტი განეკუთვნება უკიდურესობას, მაგრამ მასზე უარის თქმის შემთხვევაში დღის წესრიგში დგება ქვეყნების მხრიდან მათი სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის დათმობა კოლექტიური სუვერენიტეტის შექმნის სასარგებლოდ. ეს შეიძლება იყოს ზენაციონალური ან ეროვნებათშორისი რეგიონული გაერთიანება.

რეგიონულ დონეზე ეკონომიკური უსაფრთხოების კოლექტიური სისტემა ასევე არაა დაზღვეული ორმხრივი მუქარისაგან. ჯერ ერთი, მის წინაშე დგება ამოცანა შეამციროს მსოფლიო მეურნეობის მხრიდან სტიქიური ხასიათის ნეგატიური ზემოქმედების მუქარა. მეორე მხრივ, მან უნდა დაიცვას სუსტები ძლიერი ქვეყნების არაკეთილსინდისიერი ზეწოლისაგან. თუმცა უნდა ითქვას, რომ რეგიონალიზაცია, რომელიც ვითარდება გლობალიზაციის განვითარების პარალელურად, გარკვეულწილად დამბალანსებლის როლში გამოდის. გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციების როლის შესუსტებისას, როგორც წესი, ძლიერდება რეგიონული გაერთიანებების როლი უსაფრთხოების კუთხით. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ძლიერდება რეგიონული ინტეგრაციული პროცესები, ძლიერდება რეგიონული ეკონომიკური ბლოკები, რაც ეკონომიკურ წინააღმდეგობებს უფრო მასშტაბურს ხდის და ქმნის ღია კონფლიქტების წარმოშობის საფრთხეებს. საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი პირობაა – ბალანსის დამყარება და შენარჩუნება გლობალიზაციასა და რეგიონალიზაციას შორის.

საერათაშორისო ორგანიზაციების შექმნა წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის გლობალიზაციისა და ნაციონალური იურისდიქციის შეზღუდულობას შორის წინააღმდეგობის დაბალანსების ერთ-ერთ საშუალებას. მაგრამ, როგორც ცნობილია, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმოქმნით ეკონომიკური ბრძოლა არ წყდება, არამედ იგი ახალი ფორმებით ვლინდება. ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში არსებობს პრობლემები ძალთა თანაფარდობაში, მიმდინარეობს ბრძოლა გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ხელსაყრელია ერთი სახელმწიფოსათვის ან სახელმწიფოთა ჯგუფისათვის და არახელსაყრელია სხვა მონაწილეებისათვის. თავად საერთაშორისო ორგანიზაციები ხდებიან ინსტრუმენტები გამომდინარე კონკრეტული სიტუაციიდან ხელი შეუწყონ როგორც სუსტი ქვეყნების, ასევე ძლიერი ქვეყნების (მონაწილეების) პოზიციების გაძლიერებას. ძლიერები ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ საერთაშორისო ბიუროკრატიის პროცედურები და აპარატი თავიანთი მიზნების მისაღწევად.

გასაგებია, რომ ასეთი ინსტრუმენტარის გამოყენებააში ლიდერობენ აშშ და დასავლეთის სხვა ქვეყნები. მართალია, როგ შემთხვევაში სახეზეა აშშ-ს სწრაფვა დააკნინოს ამა თუ იმ ორგანიზაციის როლი, რაც საფრთხეს უქმნის სტაბილურობას მსოფლიოში. ამასთან, სწორედ აშშ-ს, მისი ეკონომიკური სიძლიერისა და გავლენის გათვალისწინებით, შეუძლია დაიკავოს წამყვანი როლი მსოფლიო სამეურნეო სისტემის სტაბილიზაციის უზრუნველყოფის საქმეში.

ამრიგად, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები თამაშობენ ორმაგ როლს. ერთი მხრივ, ისინი ხელს უწყობენ კონფლიქტების დარეგულირებას კომპრომისული გადაწყვეტილებების ძიების გზით, ხოლო მეორე მხრივ – ისინი წამყვანი ქვეყნების მიერ გამოიყენებიან ზეწოლისათვის სუსტ პარტნიორებზე, რაც ხდება მიზეზი ახალი საერთაშორისო ეკონომიკური კონფლიქტების წარმოშობისა.

საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების ინტიტუციონალურ სისტემას გააჩნია შემდეგი ფორმები:

- გლობალური (გაერო, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი);
- რეგიონალური (ინტეგრაციული დაჯგუფებები);
- ბლოკური (მრეწველურად განვითარებული ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებული არიან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში);
- ეკონომიკურად ლიდერი 8 ქვეყნის ჯგუფი;
- ეკონომიკურად ლიდერი 20 ქვეყნის ჯგუფი;

- დარგობრივი (ცალკეულ საქონელზე სავაჭრო შეთანხმებები);
- ფუნქციონალური, რომლებიც არეგლამენტირებენ ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობას, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კავშირებს და მოქალაქეთა მიგრაციას, სავალუტო-საფინანსო ურთიერთობებს, ეკონომიკური ინფორმაციის გაცვლას და ა.შ.

3. საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ინსტიტუციონალური ელემენტები

საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის საერთაშორისო ორგანოებს განეკუთვნებიან:

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო). შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1945 წელს. თავდაპირველად აერთიანებდა 51 წევრ ქვეყანას. 2010 წლის 31 იანვრის მდგომარეობით გაეროს წევრია 192 ქვეყანა. იგი ფუნქციონირებს საწევრო შენატანების ბაზაზე. მის ბიუჯეტში ლიდერობენ აშშ – 600 მლნ დოლარამდე (22 %), იაპონია – 460 მლნ (17 %), გერმანია – 240 მლნ (9 %) და ა.შ. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ნიუიორკში (აშშ).

გაეროს, როგორც წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციის მიზანია მსოფლიო მშვიდობის და უსაფრთხოების მიღწევა, სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარება, სამართლებრივი და ორგანიზაციული ბაზის განმტკიცება მსოფლიო ეკონომიკის უფრო ეფექტიანი და სამართლიანი ფუნქციონირებისათვის. გაეროს სხვადასხვა ფორუმებზე ხდება სხვადასხვა კრიზისული სიტუაციების დაძლევის ფორმებისა და მეთოდების შემუშავება. განიხილება მსოფლიო ეკონომიკისა და მისი ცალკეული სექტორების მდგომარეობის საკითხები, საერთაშორისო ფინანსებისა და ვაჭრობის განვითარების პრობლემები, მსოფლიო სავალო პრობლემების გადაწყვეტის ხერხები, აგრეთვე სიღარიბის დაძლევისა და პლანეტის ღატაკი ქვეყნების ეკონომიკური დახმარების საკითხები.

გაერო ახორციელებს სხვა საერთაშორისო ნორგანიზაციების (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ა.შ.) საქმიანობის კოორდინაციას.

- **საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ).** შეიქმნა 1945 წელს 29 ქვეყნის შეთანხმების საფუძველზე. ამჟამად მასში გაერთიანებულია 187 სახელმწიფო. მის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ

კეინზიმ. შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. ვაშინგტონში (აშშ). მის სტრუქტურებში მუშაობს 2500-ზე მეტი ადამიანი მსოფლიოს 140-მდე ქვეყნიდან.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძირითადი მიზნებია: სავალუტო-საფინანსო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა; საერთაშორისო ვაჭრობის დაბალანსება და გაფართოება, დასაქმების მაღალი დონისა და წევრ-ქვეყნების რეალური შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; ვალუტების სტაბილურობის უზრუნველყოფა, კონკურენტული უპირატესობის მიღწევის მიზნით ვალუტების გაუფასურების არდაშვება, დახმარების აღმოჩენა ქვეყნებს შორის მრავალმხრივ ანგარიშსწორებაში, წევრი-ქვეყნებისათვის დროებით უცხოური ვალუტის მიწოდება საგადამხდელო ბალანსში წონასწორობის შესანარჩუნებლად და სხვ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძირითად ფუნქციებში შედის: ფულად პოლიტიკაში საერთაშორისო თანამშრომლობის გაწევა, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება, დაკრედიტება, ფულის გაცვლითი კურსის სტაბილიზაცია, დებიტორი ქვეყნების კონსულტირება, საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკის სტანდარტების შემუშავება, ინფორმაციის მოგროვება და საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკის პუბლიკაცია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბიუჯეტი ფორმირდება საწესდებო შენატანებით თითოეული წევრი სახელმწიფოსაგან. მინიჭებული კვოტების შესაბამისად ნაწილდება ხმები წევრ-ქვეყნებს შორის. ყველაზე დიდი ხმის უფლებით სარგებლობს აშშ (17,8), გერმანია (6%), იაპონია (6,1%), დიდიბრიტანეთი (4,9%), საფრანგეთი (4,9%), საუდის არაბეთი (3,2%), იტალია (4,2%), რუსეთი (2,7%) და ა.შ..

- **ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია**. შეიქმნა 1995 წელს. მისი მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და წევრი-ქვეყნების სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობების რეგულირება. იგი არის 1947 დაარსებული ტარიფებზე და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების მემკვიდრე. 2010 წლისათვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებული იყო 150 ქვეყანა. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. ჟენევაში (შვეიცარია).

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი პრინციპებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი: თანაბარი უფლებები – ორგანიზაციის ყველა წევრი სარგებლობს თანაბარი უფლებით, რაც ნიშნავს, რომ ერთი ქვეყნისათვის მინიჭებული პრეფერენციები ავტომატურად ვრცელდება ყველა წევრ-ქვეყანაზე; ნაცვალგების პრინციპი – რაც ნიშნავს ორმხრივი სავაჭრო შეზღუდვების შერბილება უნდა იყოს ურთიერთ ნაცვალგებითი, ურთიერთ დახმარებაზე დაფუძნებული; გამჭვირვალობის პრინციპი – რაც გულისხმობს

ორგანიზაციის წევრების მიერ მათი სავაჭრო წესების პუბლიკაციას და ისეთი ორგანოს არსებობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მიაწოდოს ინფორმაცია ორგანიზაციის სხვა წევრებს.

- **პარიზის კლუბი.** იგი არის ინდუსტრიულად განვითარებული კრედიტორი ქვეყნის არაოფიციალური სამთავრობათაშორისი ორგანიზაცია. შეიქმნა 1956 წელს საფრანგეთის ინიციატივით, როდესაც არგენტინა დათანხმდა მის კრედიტორებს შეხვედროდა ქ. პარიზში. ძირითადი ამოცანა რომელსაც ახორციელებს პარიზის კლუბი მდგომარეობს განვითარებადი ქვეყნების დავალიანებების რესტრუქტურიზაციაში.

დღეისათვის პარიზის კლუბში გაერთიანებულია 19 ქვეყანა: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, დიდიბრიტანეთი, გერმანია, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, კანადა, ნიდერლანდები, ნორვეგია, რუსეთი, აშშ, ფინეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, შვეცია და იაპონია.

პარიზის კლუბის დაარსებიდან 2009 წლამდე მიღწეულ იქნა 408 შეთანხმება 86 მოვალე ქვეყანასთან და დარეგულირებულ იქნა საგარეო სახელმწიფო ვალი 513 მლრდ აშშ დოლარის მოცულობით. მიუხედავად იმისა, რომ პარიზის კლუბს არ გააჩნია ფორმალიზებული სტატუსი, მისი საქმიანობა ეფუძნება გარკვეულ წესებსა და პრინციპებს. მისი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არეგულირებს სახელმწიფო ვალებს მსესხებელ და გამსესხებელ ქვეყნებს შორის. პარიზის კლუბის წევრობა გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას კრედიტორებს შორის დავალიანებებისა და მათი დაფარვის მიმდინარეობის შესახებ.

- **ლონდონის კლუბი.** იგი არის ბანკ-კრედიტორების არაფორმალური ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია ამ კლუბის წევრების მიმართ უცხოელი მსესხებლების დავალიანებათა დარეგულირებისათვის. ლონდონის კლუბის პირველი სხდომა შედგა 1976 წელს ზაირის დავალიანებათა საკითხის განსახილველად. ოფიციალურად ლონდონის კლუბს უწოდებენ „კომერციული ბანკების საკონსულტაციო კომიტეტს“. იგი წარმოადგენს ფორუმს, სადაც ხდება ვალების რესტრუქტურიზაცია, რომელიც გაცემულია კომერციულ ბანკებზე (წევრი-კრედიტორი სახელმწიფოების გარანტის გარეშე). მას არა აქვს წესდება, ხოლო წევრების შემადგენლობა იცვლება საჭიროების მიხედვით.

ლონდონის კლუბის საქმიანობა წააგავს პარიზის კლუბის საქმიანობას. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პარიზის კლუბი აერთიანებს კრედიტორ-ქვეყნებს ცენტრალური ბანკების და ფინანსთა სამინისტროების სახით, მაშინ როდესაც, ლონდონის კლუ-

ბი აერთიანებს არასახელმწიფო, კომერციულ ბანკებს. ლონდონის კლუბში მონაწილეობს სხვადასხვა ქვეყნების დაახლოებით 1000 ბანკი.

• **დიდი რვიანი (G8).** საერთაშორისო კლუბი, აერთიანებს დიდბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, კანადის, რუსეთის, აშშ-ს, საფრანგეთის და იაპონიის სახელმწიფოებს. ამ ქვეყნების ლიდერების არაოფიციალურ ფორუმს (ევროპული კომისიის მონაწილეობით) დიდ რვიანს უწოდებენ. მის ფარგლებში ხორციელდება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე მიდგომების ფორმირება და შეთანხმება.

დიდი რვიანი არ წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, იგი არაა შექმნილი საერთაშორისო მოლაპარაკებების საფუძველზე და მას არა აქვს წესდება და არ გააჩნია სამდივნო. დიდი რვიანის გადაწყვეტილებას არა აქვს სავალდებულო ხასიათი. როგორც წესი, მის შეხვედრებზე საუბარია განზრახულობათა ფიქსაციაზე, რომელსაც მხარს უჭერენ და რეკომენდაციას აძლევენ როგორც ერთმანეთს, ასევე სხვადასხვა ქვეყნებს საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებზე.

რამდენადაც **G8** არ გააჩნია წესდება, შესაბამისად, ამ ინსტიტუტის წევრობის სტატუსის მიღება შეუძლებელია. სამიტები, როგორც წესი, იმართება წელიწადში ერთხელ მაინც, რიგრიგობით წევრი-ქვეყნის რომელიმე ქალაქში.

• **დიდი ოცეული (G20).** იგი არის 20 ქვეყნის ცენტრალური ბანკის მეთაურებისა და ფინანსთა მინისტრების საერთაშორისო თათბირის ფორმატი. მასში წარმოდგენილია 19 ქვეყნის მსხვილი ეკონომიკა და ევროკავშირი. შეხვედრებში მონაწილეობენ აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები.

დიდი ოცეულის შემადგენლობაში შედიან შემდეგი ქვეყნები: ავსტრალია, არგენტინა, ბრაზილია, დიდიბრიტანეთი, გერმანია, ევროკავშირი, ინდოეთი, ინდონეზია, იტალია, კანადა, ჩინეთი, მექსიკა, რუსეთი, საუდის არაბეთი, აშშ, თურქეთი, საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, კორეის რესპუბლიკა, იაპონია. მთლიანობაში **G20** წარმოდგენილია მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 90% და მსოფლიო ვაჭრობის 80% და მსოფლიო მოსახლეობის ორი მესამედით.

G20 არის ფორუმი, სადაც ხდება კონსულტირება საერთაშორისო ფინანსების და სხვა ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე. 2008 წლამდე ჯგუფი არ ატარებდა სამიტებს უმაღლეს დონეზე, მისი ძირითადი ფორმა იყო ყოველწლიური შეხვედრები ფინანსთა მინისტრების და ცენტრალური ბანკების მეთაურების დონეზე.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში მომხდარი გლობალური კრიზის დაძლევის პრობლემებზე შედგა სამიტები უმაღლეს დონეზე: ვაშინგტონში (2008 წლის 14-15 ნოემ-

ბერი); ლონდონში (2009 წლის 2 აპრილი); პიტსბურგში (აშშ, 2009 წლის 24-25 სექტემბერი); ტორონტოში (2010 წლის 26-27 სექტემბერი); სეულში (2010 წლის 11-12 ნოემბერი). დიდი რვიანის სამიტებზე განიხილება გლობალური კრიზისის დაძლევასთან დაკავშირებული სტრატეგიული საკითხები და მიიღება შესაბამისი კონკრეტული გადაწყვეტილებები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მსოფლიოში არსებობს რამდენიმე ათეული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც დასაქმებულნი არიან საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ცალკეულ სფეროებში. მაგრამ გლობალიზაციის პირობებში იზრდება პლანეტის სხვადასხვა რეგიონებში და კონკრეტულ ბაზრებზე წარმოქმნილი პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტის მოთხოვნილება. მსოფლიო მეურნეობის ინსტიტუციონალური სტრუქტურების ზედმეტად დანაწევრება ქმნის ბარიერებს საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

ბოლოდროინდელი მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ფონზე აქტიურად განიხილება იდეა დამოუკიდებელი ან გაეროს ფარგლებში ეკონომიკური უსაფრთხოების კომიტეტის შექმნის შესახებ. ასეთი ორგანიზაცია მოახდენდა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინაციას საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში საქმიანობის მიმართულებით. თუმცა ამ იდეის რეალიზაცია შორეული პერსპექტივაა, მით უმეტეს, რომ პლანეტარული ლიდერი – აშშ – ამ იდეის მიმართ ინტერესს არ იჩენს.

პოსტკრიზისულ პერიოდში წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები განვითარების რთულ პერიოდს განიცდიან. მათ ბრალად დებენ უმოქმედობას, არაეფექტიან საქმიანობას. რის გამოც მათ ვერ უზრუნველყვეს მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მდგრადობა. ყოველივე ამის შედეგად დღის წესრიგში დადგა მსხვილი საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების გარდაქმნა-რეორგანიზაციის საკითხი. ეს პირველ რიგში ეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდს და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას.

4. მსოფლიო ეკონომიკური სისტემის სტაბილურობა

გლობალიზაციის პირობებში ძლიერდება მსოფლიო მეურნეობის დესტაბილიზაციის საფრთხე. ეს დაკავშირებულია ძირითადად ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობასთან და გლობალური ბაზრების წარმოქმნასთან, რომლებიც არ კონტროლდება ნაციონალური ხელისუფლების მიერ. ამის გამო ქვეყნები ღებულობენ ზომებს საერთა-

შორისო სავაჭრო და ფინანსურ სისტემებზე ერთობლივი კონტროლის განხორციელების მიმართულებით როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ დონეზე.

გლობალურ დონეზე საერთაშორისო სავაჭრო სისტემის სტიმულირებას უზრუნველყოფს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია **(ვმო)**, რომლის სამართლებრივი მექანიზმები ვრცელდება საქონლის, მომსახურების და ინტელექტუალური საკუთრების საგნებით საერთაშორისო გაცვლაზე. ამ ორგანიზაციის საქმიანობა უზრუნველყოფს მსოფლიო ბაზარზე სამართლიან კონკურენციას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს საერთაშორისო დონეზე საქონლისა და მომსახურების გაცვლისათვის.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციისათვის ხელშეწყობა და საგარეოეკონომიკურ ურთიერთობებში ბარიერების მოსპობა. მის ფარგლებში ხდება ხელშეკრულებების დადება საბაჟო ტარიფების განაკვეთების შემცირებაზე, არასატარიფო ბარიერების თანდათანობით გაუქმებაზე, საბაჟო პროცედურების რეგლამენტირებაზე, სუბსიდიების გამოყენებაზე, სავაჭრო პოლიტიკის დაცვის ღონისძიებებზე და ა.შ. **ვმო** აკონტროლებს შეთანხმებების შესრულებას და ზედამხედველობას უწევს ცალკეული ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკას, ორგანიზაციას უკეთებს ახალ მრავალმხრივ მოლაპარაკებებს, უზრუნველყოფს ორგანიზაციის წევრებს შორის სავაჭრო დავების გადაჭრას.

სავაჭრო დავების გადაჭრა გახდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა, თუმცა ამ კუთხით გარკვეული უკმაყოფილებები მაინც გამოითქმის. მართლაც და ვმო-ს წესებში დავების გადაჭრის კუთხით ჯერ კიდევ არის დასარეგულირებელი მთელი რიგი საკითხები. საქმე იმაშია, რომ მოქმედი წესი საშუალებას აძლევს ქვეყნებს დიდი ხნის მანძილზე დაარღვიონ დადგენილი ნორმები, რადგან საქმის განხილვას ანდომებენ დიდ დროს და ბოლოს სიმბოლურ დამსჯელ ღონისძიებებს ატარებენ.

საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციაში ლიდერობენ მრეწველურად განვითარებული ქვეყნები. სავაჭრო პოლიტიკაში საერთაშორისო ნორმების დადგენისას ისინი ძირითადად გამოდიან თავიანთი ინტერესებიდან. თუ მათთვის არაა ხელსაყრელი, ისინი ეწინააღმდეგებიან ბაზრის ლიბერალიზაციას. ასეთია მაგალითად შრომატევადი პროდუქცია. თუ მათთვის ხელსაყრელია გადამამუშავებელი დარგის ნაწარმის (საქონლის) შეღწევა მესამე ქვეყნის ბაზარზე – ისინი აღწევენ ამ მხრივ არსებული ბარიერების აღმოფხვრას. მოკლედ რომ ვთქვათ, დასავლეთის ქვეყნებს გააჩნიათ შესაძლებლობა შეცვალონ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნორმები მათთვის ხელსაყრელი მიმართულე-

ბით. ამას აღწევენ იმით, რომ მათ უკავიათ მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში დომინირებული ადგილი.

დღევანდელ პირობებში მსოფლიო მეურნეობის ყველაზე დიდი საფრთხე იმალება საერთაშორისო საფინანსო სისტემაში. ეს უკანასკნელი ახდენს სერიოზულ გავლენას ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტემპებზე. საერთაშორისო ფინანსური სისტემის მეშვეობით ძლიერდება ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება, მცირდება მათ მიერ დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა. ღრმავდება წინააღმდეგობა საერთაშორისო ფინანსური სისტემის სტიქიურ თვითრეგულირებასა და სახელმწიფოთა მცდელობას შორის შეინარჩუნონ კონტროლი საგადასახადო ბალანსის მდგომარეობაზე და ვალუტების კურსის მოძრაობაზე. ნაწილობრივ ამ წინააღმდეგობათა დაძლევა ხდება ფინანსურ ურთიერთობათა ერთობლივი რეგულირების მცდელობით, რომელსაც ახორციელებენ გლობალურ და რეგიონალურ დონეებზე.

უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა დაანახა მთელს კაცობრიობას, რომ დღევანდელი სახით არსებული საერთაშორისო ფინანსური სისტემა ვერ უზრუნველყოფს სტაბილურობას და არ იცავს მსოფლიო ეკონომიკას დამანგრეველი ფინანსური კრიზისებისაგან. წარმოიშვა იდეა მსოფლიო ფინანსური სისტემის არქიტექტურის რადიკალურად შეცვლის შესახებ, რათა მიღწეულ იქნას ფინანსური ბაზრების სტაბილურობა და თავიდან იქნას აცილებული კრიზისები. ერთ-ერთი იდეის თანახმად მიზანშეწონილად მიიჩნევა გაეროს უშიშროების საბჭოსთან ანტიკრიზისული ფინანსური კომიტეტის შექმნა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის მისი აღმასრულებელი ორგანოს სტატუსის მინიჭება. ერთ-ერთი იდეით, მიზანშეწონილადაა მიჩნეული კაპიტალის ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე გადასახადის შემოღება (ტობინის გადასდახადი). არის აგრეთვე მოსაზრება მსოფლიო სარეზერვო ვალუტის დივერსიფიკაციის შესახებ. უფრო მეტიც, საუბარია ოქროს სტანდარტის დაბრუნების თაობაზე.

ახალი ფინანსური არქიტექტურის მეშვეობით უნდა მოხდეს მოსალოდნელი კრიზისების დაპროგნოზება, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება საბანკო სისტემისა და ფინანსური ბაზრების რეგულირების გზით. საერთაშორისო ფინანსების გაჯანსაღების მიზნით უნდა გაიზარდოს საბანკო და ფინანსური მომსახურების ბაზრებზე ზედამხედველობა, ოპერაციების გამჭვირვალობა, საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების დახვეწა, ნაციონალური საბანკო და საფინანსო სისტემების განმტკიცება. გათვალისწინებულია სპეციალური ფორუმის შექმნა რომელიც გაუწევს კოორდინაციას საერთაშორისო და ნაციონალურ ფინანსურ ორგანოებზე საზედამხედველო საქმიანობას.

განიხილება რიგი ღონისძიებები ბანკებზე კონტროლის გაძლიერების შესახებ, განსაკუთრებით საკუთარი კაპიტალის მოცულობის გაზრდის კუთხით.

რიგი ღონისძიებებისა ეხება იმ ქვეყნებისადმი დახმარებას, რომლებიც განიცდიან ფინანსურ უკმარისობას. გათვალისწინებულია ფორუმის შექმნა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოვალე-ქვეყნები და კერძო კრედიტორები. განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაწესდეს იმ საფრთხეების გაუვნებელყოფაზე, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნიდან კაპიტალის გადინებასთან.

დაყენებულია ამოცანა კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებზე კონტროლის შესახებ, რომლებიც გლობალიზაციის პირობებში გახდნენ უმართავი და საშიში ნაციონალური მეურნეობისათვის.

ცხადია, რომ საერთაშორისო ფინანსების რეფორმირება უთუოდ შეეხება მის ინსტიტუციონალურ საფუძველს – საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომელიც მრავალი კრიტიკოსის აზრით ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს საერთაშორისო ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფაში. კრიტიკოსების აზრით **სსფ**–მა ვერ დააპროგნოზა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ვერ შეიმუშავა კრიზისის დაძლევის ღონისძიებები. კრიტიკოსების აზრით, ფონდს დიდი წვლილი მიუძღვის დავალიანებათა კრიზისის წარმოქმნაში, რომელმაც მასიური ხასიათი მიიღო განვითარებად ქვეყნებში. რამდენადაც უკანასკნელ პერიოდში არგადახდებმა მასიური ხასიათი მიიღო, შეიქმნა სიტუაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის მრეწველურად განვითარებული ქვეყნების ფინანსურ სტაბილურობას. ამავე დროს, კრედიტორების დიდი ნაწილი ფაქტობრივად შეურიგდა იმ გარემოებას, რომ ღარიბი ქვეყნები ვერ დააბრუნებენ მათ ვალს. ამიტომაც, არც თუ იშვიათად ადგილი აქვს მათი ვალების ჩამოწერას ან შეღავათიანი პირობებით რესტრუქტურიზაციას. ასეთი მიდგომა გარკვეულწილად აჯანსაღებს მსოფლიო ფინანსური სისტემის მდგომარეობას.

5. საერთაშორისო ეკონომიკური კონფლიქტები

გლობალიზაციის პოზიტიური გავლენა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაზე მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ იგი მთლიანობაში ხელს უწყობს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას და ხალხის ცხოვრების დონის ზრდას, ეროვნულ მეურნეობათა ურთიოერთდამოკიდებულების გაღრმავებას. ამის შედეგად იზრდება ქვეყნების დაინტერესება მსოფლიო მეურნეობის მდგრადობის შენარჩუნებაში. ეკონომი-

კური ძალების გამოყენება და საერთაშორისო ეკონომიკური კონფლიქტების ჩახშობა ძალიან ძვირი ჯდება, რის გამოც უფრო ხელსაყრელია კონფლიქტების თავიდან აცილება და ვაჭრობის განვითარება.

ამავე დროს საერთაშორისო ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე დადებით ზეგავლენას ადგილი აქვს არა მუდმივად და არა ყველგან. იგი საკმაოდ წინააღმდეგობრივია. საქმე იმაშია, რომ ეკონომიკურ დაპირისპირებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნებისმიერ ქვეყნებს შორის, თვით სამხედრო ბლოკისა და ეკონომიკური დაჯგუფების ქვეყნებს შორისაც კი. ქვეყნის გლობალიზაცია შეუძლებელია გასაღების ბაზრებისა და წარმოების ფაქტორებისათვის ბრძოლის გარეშე. ამ უკანასკნელთაგან ყველაზე წინა პლანზე გამოდის ისეთი ახალი წარმოების ფაქტორი, როგორიცაა ცოდნა, რომლის საბოლოო შედეგია ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია. საერთაშორისო ბაზარზე გამარჯვებული ხდება ის ქვეყანა, რომელსაც აქვს ყველაზე მაღალმწარმოებლური ტექნიკა და ტექნოლოგია და ამ კუთხით გააჩნია მონოპოლიური მდგომარეობა.

მატერიალური რესურსების მნიშვნელობა ეკონომიკაში შედარებით კლებულობს, მაგრამ მისთვის ბრძოლა კვლავ მიმდინარეობს და უფრო მწვავე ხდება. რესურსებზე ბრძოლა დღესაც ხდება არა მხოლოდ მათ გამოყენებაზე უფლების მისაღებად, არამედ იმისათვის, რომ ასეთი უფლება წაერთვას მეტოქეებს, იმ მიზნით, რომ შეიზღუდოს მათი ბიზნესის განვითარება. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ენერგიის წყაროებს. ჩინეთის, ინდოეთის, რუსეთის, ბრაზილიის და სხვა განვითარებადი ქვეყნების ბრძოლა რესურსებისათვის მომავალში კიდევ უფრო გამწვავდება.

საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი პირობაა – ენერგომომარაგების საიმედობა, რადგან სულ უფრო მწვავდება პოლიტიკური ვითარება ენერგომატარებელების მქონე რეგიონებში. პირველ რიგში ეს ეხება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, სადაც ხელისუფლება ჯერ კიდევ არაა დემოკრატიული ან კიდევ მყიფეა. აშშ ცდილობს ამ პრობლემის გადაწყვეტას სამხედრო ძალებით, თუმცა ამით დარტყმის ქვეშ აყენებს მთელი საერთაშორისო სისტემის სტაბილურობას.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური კონფლიქტების მიზეზი შეიძლება იყოს თავისი ხასიათით გლობალური და დემოგრაფიული პრობლემები. დავების ძირითადი თემაა რომელი ქვეყანა უფრაა დამნაშავე ამა თუ იმ პრობლემის წარმოქმნაში და როგორ განაწილდეს პრობლემის გადაჭრის სიმძიმე.

დღევადელ ეტაპზე საერთაშორისო კონფლიქტების ერთ-ერთი სახეა გლობალიზაციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს (ანტიგლობალისტებს) შორის წარმოშობილი

კონფლიქტი. თავისი შინაარსით ეს არის კონფლიქტი ქვეყნებისა, რომლებიც მოგებული რჩებიან გლობალიზაციის შედეგად. დისკუსია ძირითადად მიმდინარეობს ორი მიმართულებით:

1. გლობალიზაცია ფართო შესაძლებლობას ქმნის ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური ჩამორჩერნილობის დაძლევისათვის. მისი მეშვეობით განსხვავება განვითარებულ და განვითარებად ქვენებს შორის მცირდება.

2. გლობალიზაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, უპირველეს ყოვლისა, განვითარებულ ქვეყნებში, რის გამოც სხვა ქვეყნების ჩამორჩენის ხარისხი კიდევ უფრო იზრდება, განსაკუთრებით ზარალდება განვითარებადი ქვეყნები. მთლიანობაში ორ სამყაროს შორის განსხვავება ნარჩუნდება ანდა ღრმავდება კიდევაც. იზრდება სამყაროს პოლარიზაციის საფრთხე მუდმივ ღარიბებად და მუდმივ მდიდრებად.

გლობალიზაციის მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ იგი ხელსაყრელია მხოლოდ ლიდერი ქვეყნებისათვის, რომლებიც თავიანთ შესაძლებლობებს აფართოებენ სხვა სახელმწიფოთა ხარჯზე, რომლის უფლებები და ინტერესები ამის შედეგად მნიშვნელოვნად ილახება. გლობალიზაციის ოპოზიცია არსებობს აგრეთვე განვითარებულ ქვეყნებშიც. კერძოდ, მათ რიცხვში არიან ისინი, რომლებსაც ეშინიათ, რომ დაკარგავენ სამუშაო ადგილს უცხოეთიდან საქონლისა და სამუშაო ძალის შემოდინების ან სხვა ქვეყნებში წარმოების გადატანის შედეგად.

თანაბარუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობა არის საერთაშორისო უსაფრთხოების პირობა. ეკონომიკური უსაფრთხოების კოლექტიურ სისტემას შეუძლია იყოს ქმედითი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უპასუხებს არა მხოლოდ ძლიერი ქვეყნების, არამედ სუსტი მონაწილეების ინტერესებსაც.

ორივე სამყარო ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. გლობალიზაციისაგან იზოლაცია ჩიხურ მდგომარეობამდე მიიყვანს ნებისმიერ ქვეყანას. გლობალიზაციას თანამედროვე ეტაპზე არ გააჩნია ალტერნატივა. სხვა საქმეა, რომ გლობალიზაცია შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა ტემპებით და მიიღოს სხვადასხვა ფორმა. იგი შეიძლება დაჩქარდეს ან შენელდეს, გაღრმავდეს ან შეიკვეცოს და შეიცვალოს ადრინდელი მიმართულება. ამასთან, ინტერესთა შეჯახება ქვეყნებს შორის იყო, არის და იქნება მომავალშიც. ასეთი კონფლიქტები გარდაუვალია და გამართლებულიცაა, რადგან თითოეული პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ნაციონალური ინტერესები, რომელიც ყველა ქვეყანას განსხვავებული აქვს. მაგრამ ამ კონფლიქტებმა არ უნდა

დააზარალონ ზოდგადად გლობალიზაციის პროცესი, არამედ იგი უნდა გადაწყდეს პარტნიორულ დონეზე საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევით.

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემამ პრაქტიკაში უნდა გამორიცხოს დისკრიმინაციის ყველა ფორმა, აგრეთვე გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ არასანქცირებული ზეწოლის ეკონომიკური ზომების გამოყენება (ბლოკადა, ემბარგო და სხვა). მიუხედავად ამისა, მსოფლიოში მაინც არის ძლიერი ქვეყნების მხრიდან თვითშემოქმედების წესით სხვა ქვეყნების მიმართ ეკონომიკური სანქციების გამოყენების შემთხვევები.

6. თანამედროვე გლობალური საფრთხეები

უკანასკნელ წლებში სიტუაცია პლანეტაზე მკვეთრად შეიცვალა. აღმოცენდა ახალ-ახალი საფრთხეები, რომლებმაც მიიღო გლობალური სახე. ამასთან, საფრთხეების წინაშე იმყოფება არა მხოლოდ საზოგადოება, არამედ გარემო, ბუნება, თვით სიცოცხლე დედამიწაზე. დადგა ახალი ფაზა ცივილიზაციის განვითარებაში, სადაც ადამიანების ძირითადი მიზანი ხდება არა იმდენად მზარდი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ არანაკლები როლი განეკუთვნება სიცოცხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კაცობრიობა წარმოადგენს რთული ერთიანი სისტემის, „ბუნება-ადამიანი-საზოგადოება“ ორგანულ შემადგენელ ნაწილს. ამ სისტემის მდგომარეობა და განვითარება დამოკიდებულია ადამიანთა გარდამქმნელ საქმიანობაზე. ამასთან, ბუნებრივი რესურსები, რომლებსაც იღებენ ადამიანები და გარდაქმნიან მათ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად პლანეტაზე შეზღუდულია. ამასთან მუდმივად ბუნების გარდაქმნა და მისგან რესურსების „ამოღება“ საფრთხის შემცველია. ამ კუთხით სერიოზული მეცნიერული აღმოჩენა ეკუთვნის ინგლისერ მეცნიერს თ. მალთუსს (XIX საუკუნე), რომელმაც დაადგინა, რომ დედამიწაზე მოსახლეობის გეომეტრიული პროგრესიით ზრდა ხდება სურსათის (კვების პროდუქტების) არითმეტიკული პროგრესიით ზრდის პირობებში. მალთუსის ეს აზრი არც ერთ დროში პრაქტიკაში არ გამოიყენებოდა, იგი მხოლოდ კრიტიკის ობიექტი იყო.

კაცობრიობა შევიდა მესამე ათასწლეულში, მან გამოიარა რთული და წინააღმდეობებით აღსავსე გზა: სიცივე და შიმშილი, ავდარი და ავადმყოფობა, ომები, ბუნებრივი კატაკლიზმები. ყოველივე ესენი ადამიანებს უქმნიდნენ საფრთხეს, აიძულებდნენ მათ

შველა ეთხოვათ ღმერთისა და ბუნებისათვის. მაგრამ თანდათანობით კაცობრიობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათ თავი თვითონ უნდა დაიცვან ყოველგვარი საფრთხისაგან.

ცივილიზაციის განვითარების პროცესში ადამიანებმა შეძლეს პასუხის გაცემა მთელ რიგ საფრთხეებზე. ასე მაგალითად, მიწისძვრებს დაუპირისპირეს ადამიანების განსახლება და მშენებლობაში საინჟინრო გადაწყვეტილებები; წყალდიდობებს – მდინარეთა დინების რეგულირება და ჯებირების მშენებლობა; ეპიდემიებს – ვაქცინაცია და სანიტარული წესების დაცვა; გვალვას - მელიორაცია; მცენარეთა და ცხოველთა სნეულებებს – მიწათმოქმედების და მეცხოველეობის კულტურა; საზოგადოებრივ ქაოსს – სახელმწიფო წესრიგი; ტირანიას – ფასეულობათა ლიბერალიზაცია და დემოკრატია.

თუმცა დღეს, ახალი ათასწლეული გარიჟრაჟზე არ შეიძლება იმის თქმა, რომ მთლიანად მოისპო ძველი ტრადიციული გამოწვევები და საფრთხეები. უფრო მეტიც, წარმოიშვა ახალი საფრთხეები, გამწვავდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები. ამჟამად მუქარები მოდის იმ ტექნოლოგიებიდან, რომელიც კაცობრიობამ შექმნა თავისი კეთილდღეობისათვის. ამ ახალმა მუქარებმა გაზარდეს ავარიების, კატასტროფების და სტიქიური უბედურებების რისკი იმდენად, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა უახლოეს პერსპექტივაში გახდა ყველაზე პრიორიტეტული.

დღეისათვის კაცობრიობის წინაშე მდგარი გლობალური პრობლემების კლასიფიკაცია რთულია იმ მიზეზით, რომ ისინი ერთმანეთს კვეთავენ, თუმცა პირობითად მათი დაყოფა შეიძლება შემდეგნაირად:

- ბუნებრივი ხასიათის – ბუნებრივი კატასტროფები და ბუნებრივ მოვლენათა ცვლილება;
- ეკოლოგიური – გარემო პირობების კრიზისის პრობლემები დაკავშირებული ანტროპოგენური ზემოქმედებასთან, კერძოდ კი, სამყაროს გაბინძურებასთან, კლიმატის ცვლილებასთან, ატმოსფეროს ოზონის ფენის გაღარიბებასთან, ტყეების გაჩანაგებასთან, გაუდაბნოებასთან, ცალკეული ბიოლოგიური სახეობების გაქრობასთან და ა.შ.;
- ტექნოგენური კატასტროფები (ტექნოგენური უსაფრთხოება) – დაკავშირებული მიწისძვრებთან, რომელიც ამ ბოლო პერიოდში იმდენად ძლიერია (ჩილე, იაპონია) რომ კალენდარული წლის შემცირებასაც იწვევს დედამიწის ბრუნვის ღერძის გადახრის კოეფიციენტის ზრდის გამო;
- სოციალური პრობლემები – დემოგრაფიული ძვრები, ეთნოსებს შორის დაპირისპირების პრობლემები, რელიგიური შეუმწყნარებლობა; განათლებისა და ჯანდაცვის პრობლემები, ორგანიზებული დანაშაული და ა.შ.;

- სოციალურ-ბიოლოგიური – ახალ დაავადებათა წარმოშობის პრობლემები, გენეტიკური პრობლემები, ნარკომანია;
- სოციალურ-პოლიტიკური – მშვიდობისა და ომის პრობლემები, განიარაღება, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, ინფორმაციული უსაფრთხოება, ტერორიზმი;
- ეკონომიკური – მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის პრობლემა, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები, გაუნახლებადი რესურსების ამოწურვა, ენერგეტიკული პრობლემები, სიღარიბე, დასაქმება, სურსათის უკმარისობა;
- სოციალურ-ზნეობრივი – მოსახლეობის კულტურის საერთო დონის დაცემა; ძალადობის კულტისა და პორნოგრაფიის გავრცელება; კულტურისა და ხელოვნების უმაღლესი ნიმუშებისადმი ინტერესის დაკარგვა, ჰარმონიის უქონლობა თაობებს შორის ურთიერთობაში და მრავალი სხვა.

გლობალური პრობლემების დამახასიათებელი ნიშანია მათი რაოდენობის ზრდა, შინაარსის გაღრმავება ან ახლების, ადრე უცნობი მუქარების წარმოშობა. შედარებით ახალ პრობლემებს შორის უნდა აღინიშნოს კლიმატის გლობალური ცვლილება (გლობალური დათბობა), სპიდის ეპიდემია, ახალი დაავადებების (ღორის გრიპი, ქათმის გრიპი) წარმოშობა და გავრცელება. მოსალოდნელია, რომ კაცობრიობას ახალი საფრთხეები შეუქმნას მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში და მაღალ ტექნოლოგიებში მიმდინარე რევოლუციურმა განვითარებამ, კერძოდ, გენურმა ინჟინერიამ, ნანო-ტექნოლოგებმა, ელექტრონიკამ, ხელოვნურმა ინტელექტმა, ინტერნეტმა და ა.შ. არ არის გამორიცხული, რომ ნანო-ტექნოლოგიები გამოყენებულ იქნას მცირეზომიანი იარაღის შესაქმნელად, რომელმაც შეიძლება მთლიანად შეცვალოს ომების წარმოების წესები. ნანოტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის კომბინაციით შეიძლება შეიქმნას საწარმოო რობოტები და ხელოვნური ჯარისკაცები. პირველი გამოიწვევს არნახულ უმუშევრობას, მეორე კი ძირეულად შეცვლის ომის წარმოების ხასიათს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XXI საუკუნეში გაიზრდება ტექნოლოგიური პროცესების მართვაში შეცდომების ფასი და დანადგარებში ტექნიკურ შეფერხებათა საფრთხე. ასეთ შემთხვევებს ამჟამადაც მივყავართ ტექნოგენურ ავარიამდე, მაგრამ მომავალში სავარაუდოა, რომ ასეთი ავარიების შედეგი იქნება კიდევ უფრო მძიმე. მათ შორის უნდა აღინიშნოს საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოფრქვევა კოსმოსური აპარატების დაცემის დროს. კომპიუტერულ ქსელებში დიდძალი ინფორმაციის დაკარგვა, კონტროლის დაკარგვა თვითორგანიზებად და თვითკვლავწარმოებად რობოტებზე და ა.შ.

ახალი არასასურველი განვითარება შეიძლება მიიღოს XXI საუკუნეში ჰაკერობამ. ახალი კომპიუტერული ვირუსების შექმნამ შეიძლება გამოიწვიოს საიდუმლო ინფორმაციის ამოღება კომპიუტერული ქსელებიდან, ფულის მოხსნა საბანკო ანგარიშებიდან, უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ მთლიანად მოშალონ ქვეყნის ფინანსური სისტემა. ჰაკერებს შეუძლიათ მოახდინონ პარალიზება საჰაერო ტრანსპორტის, მოშალონ ენერგო და წყალმომარაგების სისტემები.

მოსალოდნელია, რომ პერსპექტივაში შეიძლება მოიშალოს ზღვარი ცოცხალ არსებებსა და მანქანებს შორის. კერძოდ, არსებობს მოლოდინი იმისა, რომ შეიქმნება ნეიროიმპლატანტები – მოწყობილობები, რომლებიც შეუერთდება ადამიანის ტვინს. ასეთები შეიძლება იყოს დამატებითი მახსოვრობის აპარატი, სასწავლო პროგრამები, დაკვირვების საშუალებები უხილავ სივრცეში და ა.შ. მათი საშუალებით თითქმის განუსაზღვრელად შეიძლება ადამიანური შესაძლებლობების გაზრდა სამყაროს შეცნობაში და ცოდნის მიღება მასზე. შემდგომ შეიძლება შეიქმნას ფიზიოლოგიური პროცესების რეგულირების ტექნოლოგია, რომლითაც შესაძლებელი გახდება ფსიქოლოგიისა და ინტელექტის მართვა. ყოველივე ეს უდიდეს სიკეთესთან ერთად კაცობრიობას ახალ საფრთხეებს მოუტანს. „ზეჭკვიანი მანქანების“ შექმნამ შეიძლება კაცობრიობას უდიდესი ზიანი მიაყენოს.

კაცობრიობას დიდ საფრთხეებს უქმნის დედამიწაზე მიმდინარე ანომალიური მოვლენები, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- ეკოლოგიური კოლაფსი;
- რეკორდული ტექტონიკური აქტივობა;
- მაგნიტური პოლუსის გადაადგილება;
- ვულკანური აქტივობა;
- ექსტრემალური ამინდის პირობები;
- ოკეანური დინებების შესუსტება;
- გალაქტიკური ანომალიები;
- მზის აქტივობა.

როგორც ჩანს, კაცობრიობას მოუწევს დიდი ძალისხმევის, ენერგიის, დროის და ხარჯების გაწევა, რათა მოამზადოს პრევენციული ღონისძიებების სისტემა ბუნებრივი ანომალიების მიერ გამოწვეული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

7. მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისები და გამოწვევები

ეკონომიკურ მეცნიერებაში საკმაოდ კარგად და სიღრმისეულადაა გამოკვლეული ეკონომიკური ციკლების ბუნება და, აქედან გამომდინარე, კრიზისების ანატომია, თუმცა ჯერჯერობით დაუდგენელია კრიზისების დროითი სიხშირე, რადგან მათი ხდომილების ინტერვალში რაიმე მკაფიო კანონზომიერება არ იკვეთება. ერთი რამ ფაქტია, მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებას თან სდევს გლობალური კრიზისები და მისი თავიდან აცილების ქმედითი პრევენციული ღონისძიებათა სისტემა ჯერჯერობით არაა დამუშავებული. ბოლო საუკუნეებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების ქრონოლოგია მოკლედ ასე გამოიყურება:

1857 წელი – პირველი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მოიცვა აშშ, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა ქვეყნები.

1871 წელი – მეორე მსოფლიო კრიზისი, უფრო ფინანსური კრიზისი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ლათინურ ამერიკაში და გავრცელდა აშშ-ში და ევროპაში.

1920-1922 წლები – დეფლაციური და რეცესიული კრიზისი დანიაში, იტალიაში, ფინეთში, ჰოლანდიაში, აშშ-ში, დიდბრიტანეთში, თუმცა იგი მთელს მსოფლიოში არ გავრცელებულა.

1929-1933 წლები – დიდი მსოფლიო დეპრესია. დაიწყო ნიუ-იორკის აქციების ბირჟაზე და მოედო ევროპას და სხვა კონტინენტებს. ამ დროს გაუქმდა ოქროს სტანდარტი, მსოფლიოს 32 ქვეყანაში სამუშაო ადგილი დაკარგა 30 მილიონმა კაცმა, მარტო ამერიკაში 14 მილიონმა.

1957-1959 წლები – ყველა განვითარებულ ქვეყანას მოედო ეკონომიკური კრიზისი, უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 10 მილიონი კაცით.

1973 წელი – კრიზისი დაიწყო აშშ-ში, გავრცელდა ევროპაში, იაპონიაში და ა.შ. ბარელი ნავთობის ფასი გაიზარდა– 4-დან 12 დოლარამდე.

გარდა ამისა, კრიზისების ისტორიაში ცნობილია მრავალი რეგიონული და სექტორული კრიზისები, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს ცალკეულ ქვეყნებს, ქვეყანათა ჯგუფებს, დარგებს და სფეროებს.

ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე ღრმა გლობალურ კრიზისს საფუძველი ჩაეყარა აშშ-ში 2008 წელს, რომელიც უპირველეს ყოვლისა სწრაფად მოედო განვითარებულ ქვეყნებს, შემდგომ მსხვილ განვითარებად ქვეყნებს და ნელ-ნელა უკვე აღწევს პატარა ქვეყნებში. მოსალოდნელი კრიზისი ვერ დააპროგნოზეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა – საერთაშორისი სავალუტო ფონდმა, მსოფლიო ბანკმა და სხვებმა. მეც-

ნიერებმა კი პირველად მსოფლიო მოსალოდნელ კრიზისზე სიგნალი მისცეს კაცობრიობას ჯერ კიდევ 2005 წელს დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე, თუმცა იგი ყურად არ იღეს მსოფლიო ლიდერი ქვეყნების მეთაურებმა.

დღეს კაცობრიობა ფაქტის წინაშე დადგა. მეცნიერთა პროგნოზები ახდა. 2007 წლიდან ნელ-ნელა დაიწყო მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტემპების დაცემა და იყო მოლოდინი იმისა, რომ კრიზისი რომელიმე განვითარებულ ქვეყანაში უეცრად იჩენდა თავს. ძირითადი ყურადღება აშშ-სკენ იყო მიმართული, რადგან თითქმის ყველა ეკონომიკური კრიზისების სამშობლო ეს ქვეყანა იყო. აშშ-ზე ხომ მთელი მსოფლიო მშპ-ს 20 პროცენტზე მეტი მიდის. ისტორია კვლავ გამეორდა. 2008 წლის დასაწყისში ამერიკაში თავი იჩინა იპოთეკურმა კრიზისმა, რის შედეგადაც კრახი განიცადეს სუპერბანკებმა ე მან როტჰერს-მა და ეწწილლ უნცჰ-მა. რომლის პრეცენდენტს არ ჰქონია ადგილი დიდი დეპრესიის შემდეგ 80 წლის განმავლობაში. ევროპის აშშ-ში აღმოცენებულმა იპოთეკურმა და შემდგომ საბანკო სექტორში გადაზრდილმა კრიზისმა ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც გადმოინაცვლა. მოკლე დროში დაიხურა ათობით უმსხვილესი ბანკი, უმუშევარი დარჩა 200 ათასზე მეტი „თეთრსაყელოიანი“ საბანკო მოხელე, ბანკებმა დაკარგეს ლიკვიდობა.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გაღრმავებამ თავისი ნეგატიური მხარეები მკაფიოდ გამოავლინა. კრიზისმა გადაინაცვლა თითქმის ყველა კონტინენტზე. შეირყა საბანკო სექტორები აზიის უდიდეს ქვეყნებში – ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, აგრეთვე მსხვილ ქვეყნებში – ბრაზილიაში, რუსეთში, კანადაში და ა.შ. კრიზისის მასშტაბურობამ და გავრცელების სისწრაფემ მთავრობების დაბნეულობა გამოიწვია. თავიდანვე თითოეული სახელმწიფო ცდილობდა დამოუკიდებლად შებრძოლებოდა კრიზისულ პროცესებს, მაგრამ, შემდგომ თითქმის ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ავტონომიურ რეჟიმში კრიზისის დაძლევა შეუძლებელი იყო. ყველაზე მეტად აშშ-ს ხელისუფლება დაიბნა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთგვაროვანი ბრძოლების გადაწყვეტის მეთოდებს და ფორმებს იგი წამდაუწუმ ცვლიდა, რის გამოც ბიზნესმა დაკარგა მთავრობისადმი რწმენა. აშშ-ს ფინანსთა მინისტრიეს (პოლსონის) გეგმამ 700 მილიარდი დოლარის ბიუჯეტიდან გამოყოფის შესახებ დააგვიანა და სასურველი შედეგი არ გამოიღო. საბანკო სექტორისადმი ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები სხვა ქვეყნებმაც შეიმუშავეს: ევროკავშირმა 1,5 ტრილიონი ევრო გამოყო, ჩინეთმა – 600 მილიარდი დოლარი, ინდოეთმა – 300 მილიარდი, იაპონიამ – 200 მილიარდი, რუსეთმა – 1,5 ტრილიონი რუბლი და ა.შ., მაგრამ კრიზისის შერბილება მაინც ვერ მოხერხდა.

საქმე იმაშია, რომ საბანკო კრიზისს თან სდევდა არნახული კრიზისი საფონდო ბირჟებზე. მსოფლიოს თითქმის ყველა მსხვილ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნაში დაიწყო საფონდო კრახი, რომელიც დღესაც გრძელდება და მისი ქცევის პროგნოზირება ფაქტობრივად შეუძლებელია. საფონდო ვაჭრობა ტურბულენტური და ქაოსური გახდა, რამაც აჟიოტაჟი და შიში დათესა ბაზრის მოთამაშეებს შორის. კატასტროფულად დაეცა აშშ-ს მსხვილი კომპანიების აქციების „დოუ-ჯონსის“ საშუალო მაჩვენებელი, იაპონიის საფონდო ინდექსი „ I I“, მოსკოვის საერთაშორისო სავალუტო ბირჟის MMB-ს ინდექსი, რუსეთის სავაჭრო სისტემის თჩ-ის ინდექსი და ა.შ.

მსოფლიო ეკონომიკის თითქმის ნახევარი უკვე შევიდა რეცესიის სტადიაში. ოფიციალურად რეცესია დაფიქსირდა აშშ-ს, ევროზონის და იაპონიის ეკონომიკებში, რაც ნიშნავს, რომ მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა შეწყდა და ადგილი აქვს შემცირებას. მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

	მშპ-ის დინამიკა		მრეწველობის დინამიკა		უმუშევრობის დონე	
	2007	2008	2007	2008	2007	2008
აშშ	2.0	1,1	1,7	-1,8	4,6	5,8
ევროკავშირი-27	2,9	0,9	3,3	-1,4	7,1	7,0
დიდი ბრიტანეთი	3,0	0,7	0,4	-2,9	5,3	5,7
იაპონია	2,6	1,0	6,2	0,1	8,4	7,3
გერმანია	2,4	-0,7	2,9	-3,1	3,9	4,0
ბრაზილია	5,7	3,8	5,8	2,8	9,3	7,9
რუსეთი	8,1	5,6	6,3	2,3	6,1	6,4
ინდოეთი	9,2	7,4	9,9	4,2	-	-
ჩინეთი	13,0	9,0	15,9	11,5	4,1	4,2
საფრანგეთი	2,1	0,7	1,4	-2,6	8,3	7,8

მდგომარეობა გართულდა ტოკიოს, ლონდონის მოსკოვის, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟებზე – იაფდება ცნობილი კორპორაციების აქციები, იმის გამო, რომ ძალას იკრებს რეცესია. აშშ-ში იკლო ვაჭრობამ, შემცირდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მოცულობა. მსხვილმა ბანკებმა გასული წელი ზარალით დაასრულს, გაკოტრდა ასობით ბანკი და სადაზღვევო კომპანია, გაიზარდა ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი. ამერიკის ხელისუფლება ეძებს კრიზისის დაძლევის ახალ გზებს, თუმცა ჯერჯერობით შედეგები არადამაკმაყოფილებელია. მსოფლიო გიგანტმა „ჯენერალ მოტორსმა“ მთელი რიგი

მარკის მანქანების წარმოება შეამცირა ან შეწყვიტა. „კოკა-კოლა“ წარმოების მოცულობა 30%-ით შემცირდა და ა.შ. უმუშევრობის დონემ აშშ-ში 6,7%, შეადგინა, ყოველთვიურად 200 ათასი სამუშაო ადგილი უქმდება. აშშ-ს ახლად არჩეულმა პრეზიდენტი ბარაქ ობამა აპირებს საგადასახადო ტვირთის შემცირებას და 2,5 მლნ სამუშაო ადგილის შექმნას. მისი ინიციატივით კრიზისის დასაძლევად დამატებით გამოიყო 786 მლრდ დოლარი, თუმცა არსებითი ხასიათის პოზიტივი ჯერჯერობით არ ჩანს.

კრიზისის წარმოშობის ადგილი, რომ აშშ-ია, ამაზე პირველმა რუსეთმა განაცხადა და ამ საკითხზე დისკუსია არც დაწყებულა, რამდენადაც ყველა ქვეყანა მას ეთანხმებოდა. მაგრამ, ჯერჯერობით სადისკუსიოა კრიზისის გამომწვევი ფაქტორები და პირობები. ამერიკელები თვლიან, რომ მთავარი მიზეზი მსოფლიო კრიზისის წარმოშობისა არის აშშ-ს მიერ გატარებული მეტისმეტი ექსპენსიური ფულადი პოლიტიკა, აგრეთვე მსოფლიო ეკონომიკაში ჩამოყალიბებული დისბალანსი, კერძოდ კი ჩინეთის საგარეო ვაჭრობაში მეტისმეტად მაღალი პროფიციტი და აშშ-ს მეტისმეტად მაღალი სავაჭრო დეფიციტი. ასევე ამერიკელებს მიაჩნდათ, რომ მსოფლიო კრიზისის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე აშშ-ს იპოთეკური დაკრედიტების გაუმჭვირვალობა და სუსტი ზელდამხედველობა. მიზეზებს შორის სახელდება კომპანიების რედდუ მაც და ანნუ აყ-ს (სადაც შეიქმნა კრიზისი) მეტისმეტად მცირე კაპიტალი.ამავე დროს არსებობს სხვა ვერსიებიც, რომელთა შორის საყურადღებოა შემდეგი:

1. **ფინანსური აფერები.** მსოფლიო საბანკო სისტემის ტურბულენტობის გამომწვევი მიზეზია მაქინაციები, აფიორა და სხვა კანონდარღვევები

ამერიკის ახალი პრეზიდენტის მიერ დანიშნულმა აშშ-ის ისტორიაში პირველმა შავკანიანმა გენერალურმა პროკურორმა, იგივე იუსტიციის მინისტრმა ერიკ ჰოლდერმა დაიწყო გამოძიება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც თავიანთი ფინანსური აფიორებით მსოფლიოში კატასტროფიული ვითარება შექმნეს. მისი აზრით, პასუხი უნდა აგონ უოლ-სტრიტის იმ ფინანსისტებმა, რომელთა სპეკულაციამ და აფიორულმა ქმედებამ ეკონომიკურ ქაოსში გაახვია მთელი სამყარო. ამერიკის მთელი საზოგადოება აღშფოთებულია იმასთან დაკავშირებით, რომ სახრლმწიფო ხაზინიდან ხელისუფლების მიერ ბანკების გადასარჩენად გაცემული ფულიდან ტოპ-მენეჯერები მილიონობით ხელფასებს და ბინუსებს იღებენ (18 მილიარდი დოლარი). ამასთან დაკავშირებით ბარაკ ობამამ აღნიშნა: „ეს დიდი უპასუხისმგებლობა და სირცხვილია“. 400-მდე კაცი დაპატიმრებულია.

2. **ვატიკანის ვარიანტი -** კარდინალ ტარჩინიო ბერტონის აზრით, რომელიც ვატიკანის სახელმწიფო მდივანი და №2 კაცია, კრიზისის გამომწვევი მიზეზია სწრაფვა სწრაფი გამდიდრებისა და მოკლევადიანი მოგების მიღებისაკენ, რაც ქრისტიანულ მორალს ეწინააღმდეგება.

3. **ერაყში ომი.** ერაყი ნავთობის მარაგით მეორე ქვეყაა მსოფლიოში (120 მლრდ ბარელი). მისი ნავთობი იაფია – 1 ბარელი 1 ამერიკული დოლარი. (რუსეთში 10 ამერიკული დოლარი – საუბარია თვითღირებულებაზე). ომამდე ამერიკა ერაყიდან შუამავლების მეშვეობით იღებდა ნახევარ მილიონ ტონა ნავთობს დღეში. ახლა პირდაპირი გზით მიაქვს 1 მილიონი იაფი ნავთობი დღეში. შუამავლების მეშვეობით კიდევ ამდენი, ანუ დღეში მოპოვებული 2,7 მილიონი ბარელი ნავთობიდან ამერიკას მიეწოდება თითქმის 90 %. სანამ ამერიკა თავის ნავთობსაცავებს ავსებდა ფასი ყოველდღე მატულობდა, ხოლო როგორც კი შეავსო – ფასები დაეცა.

ერაყი „ოპეკს“ არ ემორჩილება, ზრდის მოპოვებას, ითვისებს ახალ-ახალ საბადოებს და აპირებს ყოველდღიურ მოპოვებას 4,5 მილიონ ბარელამდე, რაც ნავთობს კიდევ უფრო გააიაფებს. ამით რუსეთი და ვენესუელა იძირება. ეს რა თქმა უნდა, პროგნოზული მოსაზრებაა.

4. **აშშ დოლარის ჭარბწარმოება**. ცნობილია, რომ 1971 წელს დოლარის ოქროსთან მიბმა მოიხსნა. აქედან დაწყებული ადგილი აქვს დოლარის განუსაზღვრელი რაოდენობით მოჭრას. ყველამ როდი იცის, რომ აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა იგივე ამერიკის ეროვნული ბანკი (1907 წ.) კერძო კომერციული ორგანიზაციაა, რომელიც ეკუთვნის 20 კერძო ბანკს. ფულის მოჭრა მათი მთავარი ბიზნესია. 1971 წლიდან 2008 წლამდე დოლარის მასა მსოფლიოში გაიზარდა 10-ჯერ და მეტად, ანუ გაცილებით მეტად, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტი.

აშშ 1971 წლიდან ცხოვრობს უფრო მეტად არა საკუთარი, არამედ დანარჩენი მსოფლიოს ხარჯზე. აშშ აწარმოებს მსოფლიო მშპ-ის 20 % (სადავოა), მაგრამ მოიხმარს მსოფლიო მშპ-ის 40 %-ს. ვინ იხდის ამ 20-25 %-იან სხვაობას? ის ქვეყნები, რომლებიც „ჩაშენდნენ“ დოლარში, მაგრამ მათ არანაირი ბერკეტები არ გააჩნიათ დოლარის ემისიის გასაკონტროლებლად. მოკლედ რომ ვთქვათ, ჭარბად წარმოებული ფულით ამერიკა ყიდულობს სხვა ქვეყნების ეკონომიკას. ამერიკაში ყველა კარგად ცხოვრობს (კარგი მანქანა, კარგი ბინა და ა.შ.), მაგრამ ყველა ცხოვრობს გრძელვადიანი კრედიტებით. აქ კი ჩნდება ემისიის აუცილებლობა, ემისიისა, რომელიც ეკონომიკურად არაა უზრუნველყოფილი. ეს კი კრიზისის წარმომქმნელი ფაქტორია.

5. **დავოსის ანუ იგივე რუსული ვერსია.** ფინანსური რეგულირების დაბალი ხარისხი, დისბალანსი მოთხოვნასა და საკრედიტო რესურსებს შორის, კეთილდღეობის არათანაბრად განაწილება, როგორც ქვეყნებს შიგნით, ასევე მსოფლიო რეგიონებს შორის.

6. **სუროგატული ფულის შეჭრა საფინანსო სისტემაში.** ყველაზე ნეგატიური როლი შეასრულეს დერივატებმა, რომლებიც თავისი შინაარსით არის ვირტუალური, წარმოებული ფული. ექსპერტები დერივატივის მსოფლიო ბაზარს აფასებენ 600 ტრილიონ დოლარად, რაც 10-ჯერ მეტია მსოფლიოს მშპ-ს ჯამურ წლიურ მოცულობასთან. დერივატივებმა (ოფციონი, სვოპი, ფორვარდი, გარანტი და ა.შ.), რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამერკულ იპოთეკურ ობლიგაციებთან გამოიწვიეს ფინანსური კრიზისი. აშშ-ს ბანკებმა მოქალაქეებზე გასცეს იპოთეკური კრედიტები და მათ შესაბამისად „გამოუშვეს“ წარმოებული, ვირტუალური ქაღალდი, რომელიც იყიდებოდა, გადაიყიდებოდა, მაგრამ მსესხებლებმა მათი რეალური ღირებულება დროზე ვერ დაფარეს, რის შედეგადაც დაიწყო ჯაჭვური რეაქცია. დერივატივის ღირებულება იცვლება საპროცენტო განაკვეთის, საქონელზე ან ფასიან ქაღალდზე ფასის, გაცვლითი კურსის, საკრედიტო რეიტინგის და ა.შ. ცვლილების შესაბამისად. მისი მიზანია ფასთაშორისი სხვაობიდან მოგების მიღება, მაგრამ ეს ოპერაცია არ შედგა, პირიქით მან კრიზისს ჩაუყარა საფუძველი.

დღეისათვის მსოფლიოში მიმდინარე კრიზისის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი ზოგადი დასკვნები და განზოგადებები:

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობებმა აღიარეს, რომ კრიზისის დაძლევა ავტონომიურ რეჟიმში შეუძლებელია, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება მის წინააღმდეგ ერთობლივი, გაერთიანებული ძალებით ბრძოლის შესახებ. ამასთანავე, აღიარეს, რომ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე კრიზისის დაძლევა შეუძლებელია. ამ კუთხით დიდი როლი შეასრულა ვაშინგტონში და ლონდონში 20 ქვეყნების ლიდერების შეხვედრამ. დღეისათვის ანტიკრიზისული ღონისძიებებისათვის მსოფლიოში დახარჯულია 10 ტრილიონამდე დოლარი. ამ მხრივ ლიდერობენ დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია, რუსეთი, ჩინეთი. ლონდონის სამიტის გადაწყვეტილებით დამატებით დაიხარჯება 5 ტრილიონი დოლარი.

დღის წესრიგში დადგა მრავალპოლარული სამყაროს შექმნის პრინციპული იდეა, რომელიც რუსეთმა წამოჭრა და რომელსაც გაეროს გენერალური მდივანი დაეთანხმა. ასეთი მიდგომით შესაძლებლად მიიჩნევენ პარიტეტის მიღწევას საერთაშორისო ურთიერთობებში და სტაბილურობას მთელ პლანეტაზე;

დაიწყო დისკუსია მსოფლიოს ახალ ეკონომიკურ მოდელზე. აშშ-ს დაზვერვის ეროვნული საბჭოს მიერ მომზადებული მოხსენების „გლობალური ტენდენციები: ცვალებადი სამყარო“ თანახმად პერსპექტივაში მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის მკარნახებელი და მთავარი მოთამაშეები იქნებიან ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი“. გარდა ამისა გაგრძელდება კაპიტალის გადადინება დასავლეთიდან აღმოსავლეთში, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა და მოსახლეობის ნახევარმილიარდიანი ზრდა მიგვიყვანს რესურსების უკმარისობამდე, რაც ზრდის საერთოშორისო კონფლიქტების წარმოშობის ალბათობას. აშშ-ს დაზვერვის ეროვნული სამსახური საჯაროდ აცხადებს, რომ არც თუ შორეულ პერსპექტივაში ჩინეთი გახდება მსოფლიო ეკონომიკის და სამხედრო ძლიერების ლიდერი და აშშ დაკარგავს თავის დომინირებად პოზიციას მსოფლიო არენაზე.

მსოფლიოს ზოგიერთმა ქვეყანამ ვერ გაუძლო კრიზისის ზეწოლას და დეფოლტის წინაშე დადგა. ამ მხრივ ყველაზე მწვავე მდგომარეობაში აღმოჩდნენ ისლანდია, პაკისტანი, არგენტინა, უნგრეთი, ბალტიის ქვეყნები, უკრაინა, ეკვადორი;

დღის წესრიგში დადგა მსოფლიოს ახალი ფინანსური არქიტექტურის მშენებლობის ამოცანა, აგრეთვე საკრედიტო-სავალუტო სისტემის რეფორმირება და ბრეტონ-ვუდსის სისტემის ტრანსფორმაციის აუცილებლობა;

კრიზისმა გამოავლინა, რომ მეცნიერული კვლევის შედეგების გამოყენება მთავრობების მიერ არ ხდება სათანადო დონეზე, ხოლო ბიზნესი აქცენტირებულია რა მხოლოდ მოგებაზე, მეცნიერულ დასკვნებს და წინადადებებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ამის მკაფიო მაგალითია ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორის ნურიელ რუბინის მიერ 2006 წელს შესრულებული პროგნოზული გამოკვლევა, რომელიც ასკვნიდა კრიზისის დაწყებას აშშ-ში, აგრეთვე დავოსის ყოველწლიურ ეკონომიკურ ფორუმებზე გაცხადებული პროგნოზები კრიზისის მოახლოების შესახებ, რომლებიც უყურადღებოდ დარჩა.

კრიზისმა დაანახა მსოფლიოს, რომ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები (Fitch Standard & Poor's, Moody's) ვერ უზრუნველყოფენ საიმედო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. გამოვლინდა მათი საეჭვო და მიკერძოებული ინტერესები, რაც იქიდან ჩანს, რომ ამერიკულ კომპანიებს და მათ შორის ისეთებს, რომლებმაც კრიზისს ჩაუყარეს საფუძველი (მაგალითად ეჰმან ბროტ ჰერს) და გაკოტრდნენ სააგენტოები მაღალ რეიტინგს ანიჭებდნენ.

კრიზისმა დღის წესრიგში დააყენა ცალკეული რეგიონების ეკონომიკური დაახლოებისა და კარტელური გაერთიანებების გაფართოების ამოცანა. მაგალითად, ერთიან ეკონომიკურ და ენერგეტიკული ბაზრის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო შანხაის ორგანიზაციამ, რომელშიც შედის რუსეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი, რუსეთი გამოდის წინადადებით გაზის სფეროში შექმნას მსხვილი კარტელური გაერთიანება გერმანიისა და იტალიის მხარდაჭერით. „ოპეკი“ მოუწოდებს ნავთობის ქვეყნებს მათ კარტელში გაერთიანებისკენ, რათა დარეგულირდეს „შავი ოქროს“ ფასი. დღეისათვის „ოპეკის“ ქვეყნები და რუსეთი ჯამობრივად აკონტროლებენ მსოფლიო ნავთობის მარაგის 80 პროცენტს. „ოპეკი“, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს ნავთობის მომპოვებელ ძირითად ქვეყნებს (ალჟირი, ანგოლა, ვენესუელა, ინდონეზია, ირანი, ერაყი, კატარი, ქუვეითი, ლივია, ნიგერია, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, საუდის არაბეთი, ეკვადორი) თავის რიგებში ცდილობს გააერთიანოს რუსეთი, მექსიკა და ნორვეგია. მათი ამოცანაა ნავთობის მოპოვების შემცირებით უზრუნველყონ ნავთობპროდუქტებზე ფასების ოპტიმიზაცია.

კრიზისმა დღის წესრიგში დააყენა აშშ ვალუტის – დოლარის მსოფლიო ვალუტად გამოყენების პრობლემა. ჩამოყალიბებული ისტორიული რეალობიდან გამომდინარე მსოფლიო გახდა აშშ-ს ვალუტის ტყვე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ვალუტის ფუნქციას ასრულებდა აშშ დოლარი, რომელიც მიბმული იყო ოქროს სტანდარტთან, ხოლო მისი 1970 წლებში გაუქმების შემდეგ აშშ-ს ხელისუფლებამ დაიწყო საკუთარი შეხედულებით დოლარის ემისია და მიმოქცევაში გაშვება. უკანასკნელ წლებში აშშ-ს მიერ წარმოებულმა ომაა ერაყში ტრილიონობით გაიზარდა ქვეყნის ხარჯები, რის გამოც ქვეყნის ბიუჯეტში წარმოიშვა უზარმაზარი დეფიციტი. ამასთან ამერიკის ხელისუფლებამ ყურადღებით მიღმა დატოვა სხვადასხვა სახის სუროგატული „საპნის ბუშტების“ ტირაჟირებაზე ზედამხედველობა, რამაც ლიკვიდურობის გლობალური კრიზისი. ამან კი წარმოშვა როგორც ამერიკის ხელისუფლებისადმი, ასევე ვალუტისადმი ნდობის კრიზისი. მსოფლიოს ცალკეული ქვეყნები და რეგიონული გაერთიანებები დღის წესრიგში აყენებენ დოლარის სხვა ვალუტებით ჩანაცვლების საკითხს.

მსოფლიოს ბევრი ქვეყანა შიშობს, რომ შესაძლებელია ფინანსური კრიზისი და რეცესია გადაიზარდოს პოლიტიკურ კრიზისში. ამის დიდი ალბათობა არსებობს იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალია, განსაკუთრებით კი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში, რომლის ეკონომიკა ძირითა-

დად სანედლეულო რესურსების ექსპორტზეა ორიენტირებული, ხოლო ამ უკანასკ-ნელთა ფასი მსოფლიო ბაზარზე დაცემის ცენდენციით ხასიათდება.

8. ეკონომიკური და სოციალური მუქარები

რეალურ ბიზნესს ყოველთვის თან სდევს სხვადასხვა სახის მუქარები და საფრთხეები. კონკურენტული ბრძოლა, რომელიც ბიზნესის ფუნქციონირებისა და განვი-თარების უმთავრესი საშუალებაა, რეალურად ნიშნავს „კონკურენტის მოსპობას ნების-მიერ ფასად". კონკურენცია – ეს მწარე ბრძოლაა. იგი კონკურენტების წინაშე აყენებს ისეთ მკაცრ პირობებს, რომ ისინი იძულებულნი არიან იმოქმედონ პრინციპით „გამარჯ-ვებულს არ ასამართლებენ".

ბიზნესის სფეროში მუქარებს წარმოადგენენ ეკონომიკური, სოციალური, სამარ-თლებრივი, ორგანიზაციული, ინფორმაციული, ეკოლოგიური, ტექნიკური და კრიმინალუ-რი ხასიათის საშიშროებანი, რემლებიც ამცირებენ ბიზნეს-საქმიანობას და საიმედობას, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, იწვევენ მათი საქმიანობის შეწყვეტას.

ბიზნესის უსაფრთხოების მუქარები ვლინდება შემდეგ ძირითად სფეროებში: ეკონომიკის სფეროში უსაფრთხოების მუქარებს და დანაშაულობებს, რომლებსაც პრაქ-ტიკულად შეიძლება ჰქონდეს ადგილი, განეკუთვნება: დატაცებები, რომელიც ხორციელ-დება მითვისების გზით, გადახარჯვები, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გა-მოყენება; ქურდობა; მექრთამეობა; ძალაუფლების ანგარებითი გამოყენება; კონტრაბანდა; სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა და ა.შ.

ბიზნესზე მოქმედი ეკონომიკური მუქარები მათი ზემოქმედების მიმართულების ორიენტაციის კუთხით იყოფიან გარე და შიგა მუქარებად.

გარე მუქარებს განეკუთვნება:

- უცხოური სპეცსამსახურების და ორგანიზაციების ჯაშუშური საქმიანობა, რო-მელიც გულისხმობს: ტექნიკისა და ტექნოლოგიების ახალი ნიმუშების, ფუნდამენტალუ-რი და გამოყენებითი სამეცნიერო ნამუშევრების და სხვა მასალების მოპოვებას; ეკონო-მიკური ხასიათის კონფიდენციალური ცნობების მოპოვებას, რომელთა უცხო პირებზე გადაცემამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ქვეყნის სამხედრო-თავდაცვით პოტენციალს; უც-ხოური ორგანიზაციების, ფირმების საქმიანობა, რომელიც მიმართულია ადგილობრივი საწარმოების საქმიანობის შესუსტებისაკენ, მათი პრივატიზაციის ან კაპიტალის ნაწილის შესყიდვით ამ საწარმოთა კონვერსია; სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამეცნიერო-

ტექნიკური დამუშავებების, „ტვინების“, სტრატეგიული სანედლეულო საქონლის ქვეყნიდან გატანისადმი ხელის შეწყობა; მცდელობა იმისა, რომ ქვეყანა იყოს დამოკიდებული იმპორტზე; ქვეყნის ეკონომიკაში საერთაშორისო დამნაშავეთა ფორმირებებისა და მათი კაპიტალის შეღწევა, სხვადასხვა სახის ავანტურისტების და თაღლითების შემოჭრა.

შიგა მუქარებს განეკუთვნება:

- კორუფციის მასშტაბების ზრდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, მათში დამნაშავეთა ჯგუფის შეღწევა, რომლებსაც შეუძლიათ ნეგატიური გავლენა მოახდინონ პრივატიზაციის სფეროზე, საფინანსო-საბანკო საქმიანობაზე, საგარეოეკონომიკურ კავშირებზე და ა.შ.: ეკონომიკურ დანაშაულობათა ზრდა, მათ შორის, კონტრაბანდის, კაპიტალის, ვალუტის, სტრატეგიული ნედლეულის უკანონო ექსპორტის; დანაშაულობები საფინანსო სფეროში, ყალბი მონეტებით თაღლითობა, ფასიანი ქაღალდებით უკანონო ოპერაციების განხორციელება; ეკონომიკაში ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, კრიმინალური კაპიტალის შეჭრა ლეგალური ბიზნესის განსაკუთრებით შემოსავლიან სფეროებში.

გარდა ზემოჩამოთვლილი მაკროეკონომიკური მუქარებისა, არსებობს აგრეთვე ბიზნესის მუქარების მიკროეკონომიკური სახეები. ცალკეული ბიზნესის მიმართ შეიძლება დასახელდეს შემდეგი სახის გარე მუქარები:

- არაკეთილსინდისიერი კონკურენცია;
- დანაშაულებრივი ქმედებები: კრიმინალური ძალადობა, კომერციული საიდუმლოების გავრცელება;
- ცალკეული პირების და ორგანიზაციების ადმინისტრაციული აპარატის, მათ შორის, საგადასახადო სამსახურის უკანონო მოქმედება;
- ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის დადგენილი ნორმების დარღვევა;
- სამრეწველო შპიონაჟი.

შიგა მუქარები შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- საწარმოს პერსონალის წინასწარ განზრახული ქმედება დაბალი პროფესიონალიზმის და არაკეთილსინდისიერების გამო;
- მუშაკთა არაწინასწარ განზრახული ქმედებები და შეცდომები;
- ინფორმაციის დამუშავების სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის მწყობრიდან გამოსვლა და ა.შ.

ბიზნესის მუქარების ობიექტებად გამოდიან:

1. ადამიანები (პერსონალი, კომპანიები და ა.შ.);
2. მატერიალური ფასეულობები;
3. ფინანსური რესურსები;
4. ინფორმაციული რესურსები, მათ შორის, პატენტები, დაუმთავრებელი საპროექტო-საკონსტრუქტორო დამუშავებები, „ნოუ-ჰაუ“, პროგრამული პროდუქტები, სტატისტიკური და ბუღალტრეული ინფორმაციის მასივები და სხვა.

პერსონალის მიმართ მუქარები ვლინდება მორალურ და ფიზიკურ ზიანში, რომელთა შორის შეიძლება დასახელდეს: მკვლელობა, პერსონალის ან მისი ოჯახის წევრების გატაცება და მუქარა, ფსიქოლოგიური ტერორი, მუქარა, დაშინება, შანტაჟი, გამოძალვა და ა.შ.

მატერიალური ფასეულობის მუქარები ვლინდება შემდეგში: პროდუქციის ქურდობა, შენობების, ნაგებობების, ბინის, აგარაკის, ავტოფარეხის და სხვა უძრავი ქონების დაზიანება, კავშირგაბმულობის და კომუნალური მომსახურების სისტემების მწყობრიდან გამოყვანა, სატრანსპორტო საშუალებების ქურდობა, დატაცება და განადგურება.

ბიზნესის სოციალური მუქარები უმეტესწილად გამოწვეულია ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობით, რაც იწვევს უმუშევრობას, სიღარიბეს, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ დანაწევრებას, მოსახლეობის ცხოვრების დონეში მნიშვნელოვან განსხვავებულობას და ა.შ. ბიზნესის ფუნქციონირების არასტაბილურობა იწვევს ბევრი მათგანის გაკოტრებას, რაც თავის მხრივ, ზრდის უმუშევრობის დონეს. განსაკუთრებით რთული ხდება დამოუკიდებელი ბიზნესის შექმნა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის: უნარშეზღუდულებისათვის, მრავალშვილიანი დედებისათვის, ლტოლვილებისათვის, იძულებით გადაადგილებულთათვის და ა.შ. ბიზნესში ჩართულობის მხრივ სირთულეები, რომელიც ექმნებათ მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, საზოგადოებაში ქმნის დამატებით სოციალურ დაძაბულობას, უბიძგებს მის ერთ ნაწილს ბიზნესისადმი კრიმინალური დამოკიდებულებისაკენ.

სოციალური მუქარები ასევე შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას ზოგიერთი ნიშნების მიხედვით:

- მეწარმეთა სოციალური ინტერესების საწინააღმდეგო მიმართულებით;
- მასშტაბის მიხედვით (ადგილობრივი, ლოკალური, შიგასაფირმო, საწარმოო);
- მიზეზების მიხედვით (საკუთრების, შემოსავლების, სასიცოცხლო დოვლათის, ძალაუფლების და ა.შ. არასამართლიანი განაწილება).

9. ინფორმაციული მუქარები

დღევანდელ ეტაპზე ინფორმაცია გამოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საწარმოო ფაქტორად. ინფორმაცია გამოდის როგორც საკუთრება, მას გააჩნია სამომხმარებლო და ღირებულებითი შინაასრსი. ბიზნესში მოქმედებს აფორიზმი: „ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ფლობს სამყაროს“.

ინფორმაციასთან მიმართებაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი მუქარები:

- კონფიდენციალური ინფორმაციის გაცნობა სხვადასხვა არაკლეთილსინდისიერი ხერხებით (ფარულად ნახვა, კოპირება და ა.შ.);
- ინფორმაციის მოდიფიკაცია ბოროტი განზრახვით;
- ინფორმაციის მოსპობა (ვანდალიზმი, ბოროტება).

ამ მუქარების განხორციელება შეიძლება რეალიზებულ იქნას:

- კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროებიდან არაოფიციალური დაშვების გზით;
- კომერციულ საიდუმლოებასთან დაკავშირებული საწარმოს პერსონალის მოსყიდვის გზით;
- ინფორმაციის მოტაცების გზით, რომელიც გადაიცემა კავშირგაბმულობის სხვადასვა ტექნიკური საშუალებებით;
- სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენელთა შორის მოლაპარიკებების პროცესის გზით.

ზემოხსენეული მუქარების თავიდან აცილება ან მათი გავლენის მინიმუმამდე დაყვანა წარმოადგენს ბიზნესის უსაფრთხოების დაცვის მთავარ ამოცანას. ბიზნესის უსაფრთხოება არის ნებისმიერი სახის ბიზნეს-საქმიანობის შემადგენელი ნაწილი და გულისხმობს პერსონალის, მატერიალური, ფინანსური რესურსების და ინფორმაციული მასივების დაცვის უზრუნველყოფას სხვადასხვა სახის მუქარებისაგან.

სამართლებრივი, ეკონომიკური და საწარმოო ურთიერთობანი, მატერიალური, ინტელექტუალური და ინფორმაციული რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის სტაბილურ ფუნქციონირებას, შესაბამისად, მაქსიმალური მოგების მიღებას და კოლექტივის სოციალური ინტერესების რეალიზაციას წარმოადგენს უსაფრთხოების ძირითად არსს. როგორც უცხოური გამიკვლევები გვიჩვენებენ ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები დასავლეთის ფირმებში შეადგენს მოგების 30-

დან 90-მდე პროცენტს. ამ მიმართულებით დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე, უსაფრთხოების პრობლემები წარმატებით შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ამ საქმიანობაში კომპლექსური, სისტემური მიდგომით.

უსაფრთხოების დაცვის ორგანიზაცია მოიცავს მიზნის, ამოცანების დასახვას, მათი სამართლებრივი საფუძვლების შემუშავებას, მოსალოდნელი მუქარების შეფასებას და სათანადო ფინანსური რესურსების მობილიზაციას.

უსაფრთხოების ობიექტებს განეკუთვნება: პერსონალი, მატერიალური და ფინანსური ფასეულობები, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, სხვა კონფიდენციალური საიდიმლოებები.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ბიზნეს-საქმიანობაზე მოქმედი სხვადასხვა საგანგებო და ექსტრემალური პირობების და ფაქტორების აღკვეთა, კერძოდ კი, პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულებების, ქონების ქურდობისა და განადგურების, კომერციული საიდუმლოებების გამჟღავნების, ინფორმაციული მასივების შენახვის, ხანძრების და ა.შ. წინააღმდეგ ბრძოლა.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებია: პერსონალის კანონიერი უფლებებისა და თვით ბიზნეს-სტრუქტურის დაცვა; კომერციული მატერიალურ-ფინანსური რესურსების შენახვა და ეფექტიანი გამოყენება და შედეგად ამისა, მოგების გაზრდა.

ბიზნესის უსაფრთხოების დაცვისას უნდა მოხდეს შემდეგი პრინციპების რეალიზაცია:

- კომპლექსური მიდგომა პერსონალის, საწარმოო, კომერციულ-საფინანსო და ინფორმაციული რესურსების და ა.შ. დაცვაში;
- დროულობა – მდგომარეობის ანალიზისა და პროგნოზირების საფუძველზე საფრთხეების აღმკვეთი ხასიათის ღონისძიებების გატარება;
- აქტივობა - უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მოქმედებების დაჟინებითი განხორციელება კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარე ძალებისა და საშუალებების მანევრირების მეშვეობით;
- უწყვეტობა - უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესი არ უნდა შეწყდეს იმ მოტივით, რომ საფრთხე არ არსებობს;
- კანონიერება - უსაფრთხოების დაცვის ზომები უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად დაშვებული მეთოდების ფარგლებში;

- დასაბუთებულობა და ეკონომიკური მიზანშეწონილობა – ბიზნესის დაცვაზე გაწეული დანახარჯებისა და მოსალოდნელი ზარალის ურთიერთშეზომვა, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების საფუძველზე;
- სპეციალიზაცია – საჭიროა სპეციალური ქვედანაყოფებისა და მომზადებული სპეციალისტების გამოყენება, რომლებსაც გააჩნიათ ამ სფეროში თეორიული და პრაქტიკული მომზადება;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფით დაინტერესებული ყველა სტრუქტურების ურთიერთმოქმედება (თანამდებობის პირების, თანამშრომლების, ქვედანაყოფების) როგორც ბიზნეს-სტრუქტურის შიგნით, ასევე მის გარეთ, საჭიროების შემთხვევაში – სამართალდამცავ ორგანოებთან კოორდინაცია;

ობიექტები, რომლებიც განსაკუთრებულად საჭიროებენ უსაფრთხოების დაცვას, არის შემდეგი:

- ბიზნეს-საქმიანობაში უშუალოდ ჩართული პერსონალი, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც განეკუთვნებიან ე.წ. „ბიზნეს-რისკის ზონას“;

- მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და ფინანსური რესურსები;

- ინფორმაციული რესურსები, რომლებიც შეიცავენ კომერციულ საიდუმლოებას (პროგრამული უზრუნველყოფა, პერსონალური მონაცემები და სხვა ინფორმაცია, ანტივირუსული დაცვა და ა.შ.);

- კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებები (რადიოტელეფონები, ფაქსები, მავთულიანი კავშირები), კოპირება-გამრავლების და სხვა სახის ტექნიკა;

- მატერიალური და ფინანსური საშუიალებების დაცვის ტექნიკური სისტემები.

პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომლებიც იმყოფებიან ე.წ. „რისკის ზონაში“, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებების რეალიზაციის გზით, მათ შორის, პირადი დაცვის ღონისძიებებით.

მატერიალური და ფინანსური რესურსების შენახვის უზრუნველყოფის რეჟიმი ეფუძნება მათი შენახვისა და დამუშავების ზონებში შესვლაზე მკაცრ კონტროლს, შესვლის უფლების მქონე პირთა შემცირებას, უცნობების პერსონალიზაციას, განსაკუთრებით უცხო პირების შესვლის შეზღუდვას. ასევე საჭიროა ფასეულობებთან მომუშავე პერსონალის საიმედო შესწავლა, ფასიანი ქაღალდების შენახვის საიმედობის უზრუნველყოფა, ფასეულობათა დაცვის მიზნით კრიმინალისტიკური ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველა ღონისძიება უნდა იქნას რეალიზებული უსაფრთხოების დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში, რომელიც დაეფუძნება შემდეგ დოკუმენტებს: „დებულება უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, „კომერციული საიდუმლოებების შემცველი ცნობების ნუსხა“, „ინსტრუქცია კომერციული საიდუმლოების შენახვის უზრუნველყოფის შესახებ“, „ინსტრუქცია ობიექტში საშვთა რეჟიმის შესახებ“ და ა.შ.

10. კონკურენტული დაზვერვის ცნება

საერთაშორისო ბიზნესში, ისევე როგორც ნაციონალურ ბიზნესში მიმდინარე კონკურენტულ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურენტების განზრახულობათა დაზვერვას, ბიზნესის ძირითადი ტენდენციების შესწავლას, მოსალოდნელი რისკების ანალიზს და ა.შ. ჯერჯეობით კონკურენტული დაზვერვის ცნება (ცომპეტიტვე ინტელლიგენცე) არაა მყარად დამკვიდრებული ლიტერატურაში. მის სინონომად ხშირად იყენებენ ტერმინებს - „საქმიანი დ აზვერვა“, „ბიზნეს-დაზვერვა“, ეკონომიკური დაზვერვა“ და ა.შ.

ზოგადად კლასიკური გაგებით დაზვერვა ნიშნავს, ერთი მხრივ, სუბიექტის (ადამიანის, ორგანიზებული ჯგუფის ან სახელმწიფოს) საქმიანობას იმ ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომელიც შეეხება მისი ინტერესების და არსებობის პოტენციალურ საფრთხეებს, ე.ი. მოქმედ ან(და) ალბათურ მოწინააღმდეგეზე, ხოლო მეორე მხრივ, იგი ნიშნავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, ძალებს და საშუალებებს დაზვერვის საქმიანობის განსახორციელებლად.

ბიზნეს-საქმიანობის დაზვერაში სუბიექტის სახით ძირითადად გამოდის არასახელმწიფოებრივი ორგანიზაცია (კერძო ფირმა, კომერციული ბანკი, აქციონერული საზოგადოება და ა.შ.). ამასთან, საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ კონკურენტული დაზვერვა და შპიონაჟი. საქმე იმაშია, რომ ბიზნეს-დაზვერვა ხორციელდება მოქმედი კანონების ფარგლებში, ხოლო შპიონაჟის დროს საჭირო ინფორმაციის მოპოვება ხდება კანონის გვერდის ავლით. გამომდინარე აქედან, კონკურენტული დაზვერვის კატეგორია (ცნება) შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: **კონკურენტული დაზვერვა არის არასახელმწიფო ორგანიზაციის საქმიანობა, რომლის მიზანია მოიპოვოს მისი იმტერესებისა და არსებობისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაცია სამართლებრივი ნორმების დაცვით.**

კონკურენტული დაზვერვა წარმოადგენს ბაზრის გამოკვლევის მძლავრ ინსტრუმენტს და იგი თანამედროვე პირობებში ფართოდ გამოიყენება როგორც სამამულო, ისე

საერთაშორისო ბიზნეს-საქმიანობაში. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინტერნეტი, მონაცემთა ბაზა, ინფორმაციის ძიების სისტემები) და ინფორმაციულ რესურსებთან დაშვების შედარებითი სიიაფე ანალიტიკოსებს აძლევს საშუალებას მოამზადონ ხარისხიანი მასალები, რომლებიც გამოადგებათ კომპანიების ხელმძღვანელობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კონკურენტული დაზვერვა მუშაობს მხოლოდ ღია ინფორმაციასთან. თავისი შინაარსით კონკურენტული დაზვერვა იყენებს იგივე ტექნოლოგიებს, რასაც იყენებენ სპეცსამსახურები ღია ინფორმაციის დამუშავებისას. ამიტომაც მსხვილი კომპანიები და ტრანსნაციონალური სტრუქტურები უმეტესწილად კონკურენტული დაზვერვის სამსახურებში იყენებენ ყოფილი სპეცსამსახურების მუშაკების გამოცდილებას და ასაქმებენ მათ თავიანთ ორგანიზაციებში.

კონკურენტული დაზვერვის მიზნები და ამოცანები ძალიან ახლოსაა კლასიკური დაზვერვის მიზნებთან და ამოცანებთან, რომელთა ანალიტიკური მასალები გამოიყენება სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისა დროს, თუმცა გადასაჭრელი ამოცანების მასშტაბები სრულიად განსხვავებულია. კონკურენტული დაზვერვის ძირითად სფეროს წარმოადგენს ბაზარი. კონკურენტული დაზვერვის მთავარი ამოცანაა კონკურენტების შესახებ ღია უნფორმაციაზე სისტემატური თვალყურის დევნა, მიღებული ინფორმაციის ანალიზი და მათ საფუძველზე მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება. კონკურენტული დაზვერვის აუცილებლობა დროის მოთხოვნაა და მწვავე კონკურენციულ ბრძოლაში ბიზნესის გადარჩენის ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საშუალებაა. ასეთი აზრის არიან მსხვილი კორპორაციის ხელმძღვანელები. კონკურენტული დაზვერვა იძლევა საშუალებას დაპროგნოზირდეს ბაზრებზე მიმდინარე ცვლილებები, განჭვრეტილ იქნას კონკურენტების მოქმედებები, გამოვლინდეს ახალი პოტენციური კონკურენტები, ატარდეს ახალი „ფეთქებადი“ ტექნოლოგიებისა და პოლიტიკური რისკების წარმნოშობის მონიტორინგი.

კონკურენტული დაზვერვის დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ტაქტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, ასევე კორპორაციის განვითარების სტრუქტურული მიმართულებების შესამუშავებლად. კონკურენტული დაზვერვაში ფართოდ გამოიყენება სტრატეგიული დაგეგმვის ფორმები და მეთოდები, რაც იძლევა ბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ წარმოდგენის შექმნას, და იმ პოზიციების დაზუსტების საშუალებას, რომლეზედაც კორპორაციას შეუძლია განაცხადოს პრეტენზია. კონკურენტული დაზვერვა განსაკუთრებით ღრმად სწავლობს მარკეტინგულ

სფეროს, რათა გამოავლინოს სამომხმარებლო მოთხოვნილების დინამიკა ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტში. ამ სამსახურის მუშაკები, უპირველეს ყოვლისა, აგროვებენ ინფორმაციას არა მხოლოდ კოკურენტულ კონკურენტებზე, არამედ მთლიანად საბაზრო გარემოზე, ახდენენ მათ ანალიზს და ადგენენ ბაზარზე მეტოქეთა ქცევის მოდელებს. კონკურენტული დაზვერვა აკვირდება ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებს, სიახლეების გამოჩენას და, შესაბამისად, აფრთხილებს საკუთარ ბიზნეს-მენეჯმენტს მოსალოდნელ საფრთხეებზე.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ კონკურენტული დაზვერვის მუშაკები იყენებენ არაკორექტულ მეთოდებს ინფორმაციის შეგროვებიოს პროცესში, რაც კანონით არაა აკრძალული, მაგრამ გარკვეულ არასასიამოვნო შეგრძნებებს იწვევს. მაგ., კონკურენტების სანაგვე ყუთებში ქექვა, რათა მოიპოვონ კორპორაციის ხელმძღვანელებისათვის საინტერესო ინფორმაცია, მათ შორის, არა მხოლოდ მეტოქეთა მიერ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე, არამედ კონკურენტ-საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკების პიროვნულ მახასიათებლებზე. ასეთი მიდგომა პრაქტიკულად გამართლებულია, რადგან შემთხვევითი ინფორმაცია შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კონკურენტულ ბრძოლაში.

11. კონკურენტული დაზვერვის ამოცანები

როგორც ცნობილია, საბაზრო ურთიერთობის პირობებში დაშვებულია ბიზნეს-სტრუქტურების ფორმირება საკუთრების სხვადასხვა ფორმებით. ეს გარემოება კიდევ უფრო ამწვავებს მათ შორის ბრძოლას გასაღების ბაზრების, კადრების, ტექნოლოგიების, ინვესტიციების და სხვა საწარმოო პირობებისა და ფაქტორებისათვის. არაა გამორიცხული, რომ კონკურენტულმა ბრძოლამ მიიღოს უხეში და მიუღებელი ფორმები. ამ ბრძოლაში სამეწარმეო საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა კიდევ უფრო აქტუალური და პრიორეტეტული ხდება.

საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები მდგომარეობს შემდეგში:

- გლობალიზაციის გაღრმავების შედეგად საერთაშორისო ბიზნეს-ურთიერთობები გახდა უფრო მრავალმხრივი, ხშირი და დინამიური, რაც ზრდის რისკის ხარისხს;

- ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული საერთაშორისო ბიზნესის დაცვის ერთიანი გლობალური სისტემა, რის გამოც ვერ ხერხდება ბიზნესის სრულფასოვანი დაცვის ორგანიზაცია;
- საერთაშორისო ბიზნეს-ურთიერთობებში ჩაერთნენ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ბიზნეს-სტრუქტურები, რომლებიც სათანადო დონეზე ვერ ფლობენ საერთაშორისო ბაზრის თამაშის წესებს, რის გამოც იზრდება რისკის ხარისხი.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მთავარი ამოცანა ხდება ბიზნესის განვითარებაზე ნეგატიურად მოქმედი მუქარების გამოვლენა და ნეიტრალიზაცია. სწორედ ასეთი მუქარების გამოვლენისათვის გამოიყენება კონკურენტული დაზვერვა. შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს ეკონომიკური ძლიერება ბევრად არის დამოკიდებული კარგ კონკურენტულ დაზვერვაზე და შიდა კონტრდაზვერვაზე, რომლის შედეგები საწარმოს ადმინისტრაციას აძლევს საშუალებას მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები.

კონკურენტული დაზვერვის ძირითად ამოცანებში შედის:

- მარკეტინგული გამოკვლევები;
- პოტენციალური კლიენტების შეფასება;
- ბაზრის ქცევის პროგნოზირება;
- კონკურენტების შესწავლა;
- კადრების შერჩევა;
- არსებული ინფორმაციული რესურსების სისტემატიზაცია და ახლის მოძიება.

საბაზრო კონკურენციის პირობებში ინფორმაცია მნიშვნელოვან სიმდიდრეს შეადგენს. კონკურენტული ბრძოლა ძალიან ემსგავსება სამხედრო მოქმედებებს იმით, რომ ორივეგან დროულად მიღებულ საიმედო ინფორმაციას წამყვანი როლი განეკუთვნება.

კონკურენტული დაზვერვის სამსახურის მიერ მომზადებული ინფორმაციის საფუძველზე საწარმოს ხელმძღვანელობა ღებულობს გადაწყვეტილებას. საბაზრო პირობებში გადაწყვეტილების ფასი ძალიან მაღალია. თუ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სწორად, მაშინ საწარმოს (ფირმას) შეუძლია მიიღოს მაღალი მოგება. სწორედ დიდი მოგების მიღება წარმოადგენს ყველა კომერციული სტრუქტურის მუშაობის მთავარ პრინციპს. თუ არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მაშინ ფირმა შეიძლება გაკოტრდეს და საერთოდ შეწყვიტოს არსებობა. ასეთია დროული და საიმედო ინფორმაციის ფასი.

კონკურენტული დაზვერვა მოიცავს მოსამზადებელ ციკლს, რომლის შედეგადაც „ნედლი ინფორმაცია“ უნდა გარდაიქმნას „ანალიზურ მასალად“. დაზვერვის ციკლის ტე

ქნოლოგიური სტადიები შედგება ოთხი ძირითადი ეტაპისაგან და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ამოცანის დაყენება (დასმა). მთავარ ამოცანას წარმოადგენს შესასრულებელი სამუშაო ოპერაციის დაგეგმვა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პირველადი წყაროებიოს გამოვლენას.
- ინფორმაციის შეგროვება. ამ ეტაპზე ხდება „ნედლი“ ინფორმაციის შეგროვება, რომლის საფუძველზე ხდება ანალიზური მასალის მომზადება.
- ინფორმაციის ანალიზი. დაზვერვის ყველაზე რთული ეტაპია. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ანალიზი ეფუძნება ლოგიკურ დასკვნებს და აბსოლუტურად საიმედო მონაცემებს, ანალიტიკოსს ხშირად უწევს სიტუაციის შემოქმედებითად განჭვრეტა და დასაბუთებული მოსაზრებების წარდგენა კომპანიის ამა თუ იმ მოქმედებების შედეგების შესახებ.

ანალიზური სამუშაოს შესრულების დროს საჭიროა განვასხვავოთ ტერმინი „ნედლი“ ინფორმაცია და ანალიზური ინფორმაცია. **„ნედლი“ ინფორმაცია** მოიცავს სტატისტიკურ მასალებს, ცალკეულ მონაცემებს, კონკრეტულ ფაქტებს. ერთი შეხედვით, ახალი ინფორმაცია შეიცავს გარკვეულ ფაქტებს, მაგრამ გაურკვეველია რამდენად სწორი და ამომწურავია ისინი.

ანალიზური ინფორმაცია – არის გაფილტრული ინფორმაცია, ანუ იგი არის ანალიტიკოსის მიერ გარდაქმნილი „ნედლი“ ინფორმაცია, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების მიღებას.

- ანალიზური მასალის ხელმძღვანელობასთან წარდგენა. ამ ეტაპზე, შემუშავებული ანალიზური დოკუმენტები გადაეცემა იმ პირებს, ვისთვისაც ისინი არიან განკუთვნილი.

12. კონკურენტული დაზვერვის ინფორმაციული უზრუნველყოფა

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურენტული დაზვერვის ძირითადი მიზანი და წყაროა ინფორმაცია მეტოქე ბიზნეს-სუბიექტებისა და საერთოდ ბაზრის ქცევის შესახებ. ამერიკელი ანალიტიკოსების შეფასებით დაზვერვის მიზნებისათვის არანაკლებ 80-90% ინფორმაციისა მოიპოვება ღია წყაროებიდან. ასეთი გახსნილი ინფორმაციული წყაროე-

ბის როლის ამაღლება კონკურენტული დაზვერვის სისტემაში დაკავშირებულია მთელი რიგი ფაქტორების წარმოშობასთან, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- პოსტსაბჭოურ და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მკვეთრად გაიზარდა ღია ინფორმაციის წყაროების რაოდენობა. წინა კომუნისტურ რეჟიმთან შედარებით გამოიცემა ახალი გაზეთი, ჟურნალი, ფუნქციონირებს კერძო ტელე და რადიოსადგურები;
- სწრაფად იზრდება ღია ინფორმაციის წყაროების მოცულობა როგორც ცალკეული ნაციონალური სახელმწიფოების, ასევე საერთაშორისო დონეზე. ასეთი ინფორმაციული წყაროებია საერთაშორისო კონგრესების, სიმპოზიუმების, კონფერენციის მასალები, სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშები, სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრების საკუთარი მასალები, კომერციული ფირმების გამოკვლევები და ა.შ.
- ფართო გავრცელება ჰპოვა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, კერძოდ ინტერნეტმა, მონაცემთა კომერციულმა ბაზემა, ინფორმაციის ძიების სისტემებმა.

კონკურენტულ დაზვერვაში ფართოდ გამოიყენება ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც აქტიურად ვითარდებიან ნაციონალურ და გლობალურ ქსელებში და, უპირველეს ყოვლისა, ინტერნეტის ქსელში. დღევანდელ პირობებში რამდენიმე წუთში ხდება შესაძლებელი ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება კონკურენტების ახალი სახის პროდუქციაზე. საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზისათვის არსებობენ სპეციალური საინფორმაციო-საძიებო პროგრამები, რომლებიც იძლევიან ორიენტირების საშუალებას ინფორმაციის უზარმაზარ მორევში. გარკვეული აზრით ჭჭჭ(ჭოლდ-ჭიდე-ჭებ – მსოფლიო ობობა) არის აქცია მსოფლიო მასშტაბის თავისებურ „თვითგამოცემად“, რომელშიც გადახლართულია ინფორმაცია მომზადებული როგორც პრეოფესიონალების, ასევე სხვადასხვა არასტრუქტურირებული სუბიექტების მიერ, რაც ამცირებს მათ სამედობას და ხარისხს. გარდა ამისა, მოზღვავებული არაკლასიფიცირებული ინფორმაცია, რომლის დიდი ნაწილი განთავსებულია შესაბამისი საძიებო საშუალების გარეშე, მნიშვნელოვნად აფერხებს საჭირო ცნობების მიღებას.

მაგრამ მთლიანობაში ინტერნეტის ქსელის შესაძლებლობები კონკურენტული დაზვერვის ინტერესების კუთხით შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვნად. ამავე დროს ინტერნეტის ღია ინფორმაციის პარალელურად ხელმისაწვდომი ხდება სხვა სახის ინფორმაციული რესურსი – მონაცემთა პროფესიონალური ბაზა. დღეისათვის მსოფლიოში არსებობს საკმაოდ მრავალი რაოდენობის ასეთი მონაცემთა ბაზა, რომლებიც შეიცავენ ცნობებს მომზადებულს მწარმოებელი პროფესიონალების მიერ და რომელთა მომსახურება მიეწოდება კომპიუტერული ქსელის მომხმარებლებს - კონკურენტული დაზვერვის

მომხმარებლებს. სამწუხაროდ, გლობალური ქსელის ინფორმაციული რესურსების ეს ასპექტი ჯერჯერობით ნაკლებად გამოიყენება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოში (უფრო მეტი ორიენტაცია აგებულია ჩვეულებრივ ინტერნეტზე). კონკურენტულ დაზვერვაში ასევე შედარებით ნაკლებად გამოიყენება მონაცემთა ისეთი პროფესიონალური ბაზა, როგორიცაა ეხის- ეხის, რომელსაც გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი და რომლის რეალიზაცია არაა დაკავშირებული დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. აღნიშნული სრულტექსტიანი უმსხვილესი ონლაინური ინფორმაციული სისტემა მთლიანობაში შეიცავს მილიარდობით დოკუმენტს 30-წლიანი არქივით ბიზნესის სფეროში, ხოლო 200 წლიანი არქივით იურიდიულ ინფორმაციას. ყოველწლიურად ამ ბაზას ემატება გიგანტური ინფდორმაცია.

13. კონკურენტული დაზვერვის როლის ზრდა

გასული საუკუნის 80-იანიწლებიდან კომპიუტერული ქსელებისა და სპეციალიზებულ მონაცემთა ბაზის წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად (მას შემდეგ რაც ინფორმაცია გახდა საქონელი) აშშ-ში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაიზარდა ინტერესი კონკურენტულ დაზვერვაზე. აშშ-ში შექმნილი კონკურენტული დაზვერვის პროფესიონალურ საზოგადოებაში (Society of Competitive Intelligence Professionals – SCIP) გაერთიანებულია მრავალათასიანი მომხმარებელი და ამ ორგანიზაციის ფილიალები არსებობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (WWW.SCIP.ORG).

აშშ-ში უკანასკნელ წლებში საკმაოდ მძლავრად მოიკიდა ფეხი კონკურენტულმა დააზვერვამ. იგი უპირატესად ხორციელდება კერძო ფირმებისა და კორპორაციების მიერ. მიმდინარეობს ამ მიმართულების ავტონომიური ფირმების ფორმირება, რომლებიც დამკვეთთან დადებული ხელშეკრულებების თანახმად მის სასარგებლოდ ეწევიან კონკურენტულ დაზვერვას და შესაბამისი დასკვნით ანალიტიკურ მასალას ამზადებენ მომხმარებლისათვის. იაპონიაში შექმნილია და კარგად ფუნქციონირებენ კონკურენტული დაზვერვის ორგანიზაციული სისტემები როგორც კორპორაციულ, ასევე სახელმწიფო დონეზე. დღეისათვის ფუნქციონირებს კონკურენტული დაზვერვის განშტოებული სისტემა, რომელშიც შედის მსხვილი „სავაჭრო სახლების“ სამსახურები და სახელმწიფო ორგანიზაციები. მაგ., იაპონიის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია. ამ უკანასკნელს კონკურენტული დაზვერვის წარმომადგენლები ჰყავს მთელს მსოფლიოში, რომლებიც აგროვებენ ბიზნესთან და კონკურენციასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ მასალებს. მაგალითად,

კორპორაცია „მიციბუსში“ ყოველდღიურად მრავალათასიანი მომსახურე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ოფისებში აგროვებს და ამუშავებს უზარმაზარ საქმიან ინფორმაციულ ცნობებს, კონკურენტული კუთხით. საინტერესოა ის, რომ იაპონიაში ინფორმაციული მასივები ფორმირდება იაპონურ ენაზე, ხოლო მისი არცოდნა ევროპელებისა და ამერიკელების მიერ, ხელსაყრელ კონკურენტულ გარემოს უქმნის იაპონელებს.

ევროპაში კონკურენტული დაზვერვის ორგანიზაციის მიმართ თავისებური მიდგომაა. მაგ., გერმანიაში და შვედეთში ბიზნესში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბანკები სახელმწიფოს მონაწილეობით, რომლებიც ძალიან ყურადღებით ეკიდებიან თავიანთი ინფორმაციების დაცვას. ეს ბანკები სიძლიერეს და გავლენას ტრადიციულად იყენებენ საქმიანი ინფორმაციის მოსაპოვებლად უცხოურ კომპანიებზე და გადასცემენ მათ თავიანთ ბიზნეს-პარტნიორებს. საფრანგეთში კონკურენტული დაზვერვის ორგანიზაციაში და კერძო ფირმებთან თანამშრომლობაში აქტიურ როლს თამაშობენ სახელმწიფო სპეცსამსახურები, კერძოდ ფრანგული საგარეო დაზვერვა. ფრანგების აზრით, სამხედრო და პოლიტიკურ სფეროში დაზვერვის წარმოება აშშ-ის საწინააღმდეგოდ დაუშვებელია, რადგან ისინი მოკავშირეები არიან, ხოლო ეკონომიკისა და ტექნოლოგიების სფეროში კონკურენტებად რჩებიან, რის გამოც ამ სფეროში კონკურენტული დაზვერვა სახელმწიფო დონეზეა აყვანილი.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში იწყება კონკურენტული დაზვერვის ორგანიზაციული სამსახურების ჩამოყალიბება. მაგალითად, რუსეთში ბანკებსა და მსხვილ კომპანიებთან იქმნება სამსახურები, რომელთა ფუნქციებში შედის კონკურენტული დაზვერვის განხორციელება. რაც უფრო გაღრმავდება ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები, მით უფრო გაიზრდება მოთხოვნილება კონკურენტულ დაზვერვაზე. მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარება და ბიზნესის სფეროში საკანონმდებლო ლიბერალიზაცია არანაკლებ როლს თამაშობს კონკურენტული დაზვერვისადმი მოთხოვნების ზრდაში. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კონკურენტული დაზვერვის მნიშვნელოვანი პირობაა კონკურენტული ბრძოლის ეთიკური ნორმებისა და პრინციპების დაცვა ანუ ამ საქმიანობის ნაციონალური და საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში განხორციელება.

თანამედროვე ეტაპზე კონკურენტული დაზვერვის როლის გაზრდა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: საქმიანი ბიზნეს-ურთიერთობების ტემპების სწრაფი ზრდა; ინფორმაციული გადატვირთვა, მზარდი გლობალური კონკურენცია, კონკურენტების აგრესიულობის ზრდა, პოლიტიკურ ცვლილებებში ძალოვანი ჩარევა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში მთელს მსოფლიოში იზრდება კონსულტინგური ფირმების რაოდენობა, რომლებიც სპეციალიზდებიან კონკურენციულ დაზვერვაში. ანალოგიური ქვედანაყოფები იქმნებიან ასევე მსხვილ და საშუალო კომპანიებში. მათზე მოთხოვნილება საკმაოდ მაღალია, რამდენადაც მათი მუშაობა ფირმის ხელმძღვანელობას აძლევს კონკურენტულ გარემოში სწორი ორიენტაციისა და გადაწყვეტილების საშუალებას. რამდენადაც კონკურენტული დაზვერვა არაა ფუნქცია, არამედ პროცესია, მან უნდა მოიცვას ბიზნესის გაძღოლის ყველა ასპექტები და არა მხოლოდ მისი რომელიმე უბანი, განყოფილება ან ქვედანაყოფი.

მაგალითად, ამერიკული წამყვანი კონსალტინგური ფირმა კონკურენტული დაზვერვის სფეროში – უნდ & ჩომნანყ დასპეციალებულია ბაზრის კონიუნქტურის შეფასებასა და რისკის ანალიზზე. ამ ფირმის სპეციალისტები თავიანთ საქმიანობაში ძირითადად ყურადღებას აქცევენ ღია წყაროებიდან, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან მიღებული ინფორმაციის მოძიებას და ანალიზს. ისინი ფართოდ იყენებენ მონაცემთა სპეციალიზებული ბაზების მონაცემებს, ინტერნეტ ქსელს, ოფიციალურ ინფორმაციას სახელმწიფო და მუნივციპალური ანგარიშებიდან და სხვას.

კონსალტინგური ფირმებისა და საკუთარი კონკურენტული დაზვერვის სამსახურების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ფირმის მენეჯმენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მარკეტინგის სტრატეგიის შეცვლის, დამატებითი მოწყობილობების შეძენის ანდა საწარმოს დახურვის შესახებ, რომელიც შესაძლო მოკლე დროში ზარალიანი აღმოჩნდეს.

ევროპასა და აშშ-ის მთელ რიგ კომპანიებში კონკურენტებისა და ბაზრების შესახებ ბიზნეს-ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი ტარდება რეგულარულად. მაგ., კომპანია IBM-s გააჩნია კომერციული ანალიზის საკუთარი განყოფილება და არსებობს კონკურენტული დაზვერვის მენეჯერის თანამდებობა. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ იმ კომპანიებს, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კონკურენტულ დაზვერვას, შეიძლება შეექმნათ სერიოზული პრობლემები. მაგალითად, გასული საუკუნის 70-იან წლებში ამერიკულმა ავტომობილმშენებლობის კომპანიებმა - „დიდმა სამეულმა“ (General motors, Chrysler, Ford Motors Co) ვერ უზრუნველყვეს საბაზრო ცვლილებებვის დროული და სწორი შეფასება. მათ არ მიაქციეს სათანადო ყურადღება დემოგრაფიულ ცვლილებებს და საწვავის გაძვირებას, რამაც შეცვალა ამერიკული საავტომობილო ბაზრის მოთხოვნილება, რაც გამოიხატებოდა მცირეზომიანი და საწვავის მცირე ხარჯიან მანქანებზე მოთხოვნილების ზრდაში. ვიდრე ეს კომპანიები ბაზრის ქცევაში გაერკვეოდნენ და არ ჩქარობდ-

ნენ ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, იაპონურმა ავტომშენებლობის კომპანიებმა შეისწავლეს რა ამერიკელი კონკურენტების გეგმები, დააარსეს მცირეგაბარიტიანი ავტომობილების წარმოება და, შესაბამისად, აითვისეს ბაზრის ახალი სეგმენტი.

14. თაღლითობა როგორც ბიზნესის მუქარა

თაღლითობა არის დანაშაული, რომლის შედგადაც მისი მსხვერპლი ნებაყოფლობით გადასცემს თაღლითს თავისი მატერიალური ფასეულობების ნაწილს. ასეთი ქმედების საფუძველს შეადგენს ერთი პირის (ან პირთა ჯგუფის) მიერ მეორე პირის (ან პირთა ჯგუფის) მოტყუება გარიგებათა საგანზე თაღლითობის მსხვერპლთა არასაკმარისი კომპეტენციის შედეგად. თაღლითი იყენებს რა ადამიანთა უმეცრებას, შეყავს ისინი გაურკვევლობაში მის მიერ შეთავაზებული ოპერაციიდან შესაძლო ამონაგების მიღებასთან დაკავშირებით.

თაღლითური ჩანაფიქრის გახსნა გართულებულია იმით, რომ თაღლითური ოპერაციების უმეტესი ნაწილი თავისი ფორმით (როდესაც საინტერესო და სასურველი გარიგების შემოთავაზება ხდება) პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ბიზნეს-გარიგებებიდან. თაღლითობის თანამედროვე ტექნოლოგიები არსებითად წინ უსწრებენ არსებულ ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას. მოტყუების და ნდობის ბოროტად გამოყენებას დღევანდელ ბიზნესში თაღლითები თვლიან მეწარმეობრივ საქმიანობად, ანუ თაღლითობა, მათი აზრით, ისეთივე ბიზნესია, როგორც მაგალითად, საბანკო საქმიანობა.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესი წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობას, რომელიც მიმართულია მოგების მიღებისაკენ ბიზნეს-სუბიექტის რისკის ხარჯზე. ამავე დროს, ბიზნეს-საქმიანობა ეფუძნება ინოვაციურ, კრეატიულ მიდგომებს, რომლის საშუალებითაც მან უნდა მიაღწიოს წარმატებებს კონკურენტულ გარემოში. თუ ამ გაგებით მივუდგებით თაღლითობის კატეგორიის შინაარსის გახსნას, შეიძლება იგი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: თაღლითობა ეს არის ბიზნესის სახე, რომელშიც ბიზნესმენის პიროვნული მახასიათებლები მიმართულია მოტყუებისა და ტყუილის თვითგამართლებისაკენ. ამრიგად, გამოდის, რომ ბიზნეს-საქმიანობა ხდება თაღლითური, როდესაც მეწარმის პიროვნული ცოდნა მდგომარეობს ცოდნაში იმის თაობაზე, თუ როგორ განხორციელდეს ტყუილი.

მეწარმის პიროვნული ცოდნა ფორმირდება სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეგროვებისა და მათი ანალიზისა და შეფასების შედეგად. მეწარმე, ღებულობს რა კონფიდენციალურ პიროვნულ ცოდნას საკუთრებაში, ამ ინფორმაციულ კაპიტალს გარდაქმნის ფულად-სასაქონლო კაპიტალად.

თაღლითობის შენიღბვის შემთხვევაში მეწარმეობრივი ფუნქციები ხორციელდება ბაზრის შემდეგ სეგმენტებში:

- *ეკონომიკური რესურსების მოძიება.* პროფესიონალური თაღლითობისათვის ყველაზე მიმზიდველ ეკონომიკურ რესურსს წარმოადგენს სხვისი საკუთრება ნებისმიერი ფორმით. ეს, როგორც წესი, არის თაღლითური მიდგომა სხვა თაღლითების მიმართ, რომლებმაც არაკანონიერი გზით დაისაკუთრეს ქონება;
- *ახალი ეკონომიკური რესურსების გამოგონება.* მოცემულ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, იყენებენ იმ სიახლეებს, რომელთა განხორციელება განზრახულია კანონდარღვევით და თაღლითობის ელემენტით ანდა კიდევ – რომლებსაც ჯერ კიდევ არ გააჩნიათ მყარი სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- *რესურსების დაგროვება და კონცენტრაცია.* ეს ხდება იმ მიზნით, რომ იგი შემდგომში ჩაერთოს თაღლითურ საქმიანობაში. პრაქტიკულად ხორციელება თავისი ცრუ (ყალბი) ფირმის მიერთებით სხვა ფირმასთან, რის შედეგადაც ხდება შემოერთებული ფირმის მოგების მითვისება;
- *ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურის ფორმირება.* ასეთი კონიუნქტურის ფორმირება ხდება არსებული რესურსების ოპტიმალური კომბინაციის მეშვეობით. ეს გამოიხატება საბაზრო კონიუნქტურის დაქვემდებარებაში კორუმპირებულთა ვიწრო წრისათვის, რომლებიც ერთმანეთს შორის დებენ დახურულ(შეთქმულებით) შეთანხმებებს გავლენის სფეროების და ბაზრების დანაწილების შესახებ.
- *ინფორმაციის ოპერატიული მოძიება.* მოიძიება ინფორმაცია ბაზრის იმ სექტორების შესარჩევად, სადაც შედარებით მაღლია თაღლითური მოქმედებების წარმატება.

დასავლეთის ქვეყნებში, განსხვავებით პოსტსაბჭოური ქვეყნებისაგან, თაღლითობის ღია სტატისტიკა არსებობს. მაგალითად, აშშ-ში თაღლითობის შესახებ სტატისტიკას აგროვებს 30-მდე ფედერალური სამსახური. თუმცა ამერიკელები თვლიან, რომ მაინც არ ხდება თაღლითობის ყველა მოვლენის საჯაროდ გამჟღავნება და ბევრი მათგანი შიდასაფირმო დახურულ ინფორმაციას წარმოადგენს. აშშ-ს ფედერალური დაზვერვის ბიუროს მონაცემებით თაღლითობის შედეგად მიღებული ზარალი ყოველწლიურად მერყეობს 60-დან 200 მლრდ დოლარამდე. სესხებსა და დეპოზიტებზე აშშ-ს სამთავრობო

კომისია თვლის, რომ მთავრობის მიერ აღრიცხული მთელი სესხებისა და დეპოზიტების 60 პროცენტი შეიცავს თაღლითობის ელემენტებს. აშშ-ს მენეჯმენტის ინსტიტუტის გამოკვლევებით დადგენილია, რომ მენეჯერების 87 პროცენტი მზადაა ჩაიდინონ თაღლითობა იმ მიზნით, რომ თავიანთი ფირმის იმიჯი გააუმჯობესონ, მენეჯერთა 33 პროცენტი ეჭვობს თავიანთ უშუალო ხელმძღვანელობის თაღლითობაზე, ხოლო 55 პროცენტი მენეჯერებისა არ ენდობიან თავიანთი ფირმის მმართველ ხელმძღვანელ რგოლს. უფრო რთული მდგომარეობაა საბანკო სექტორში. კვლევების თანახმად, აშშ-ს საბანკო სფეროში ზარალის 95% უშუალოდ ბანკებში დასაქმებული პერსონალის მონაწილეობითაა მიყენებული, ხოლო 5 პროცენტი მოდის კლიენტებზე.

წარმატებულ თაღლითად ან ისეთ თაღლითად, რომელსაც უნდა უფრთხილდებოდეს კეთილსინდისიერი ბიზნესი, შეიძლება იყოს ადამიანი, რომელსაც გააჩნია ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური და ეთიკური ნიშნების გარკვეული ერთობლიობა. ზოგადი ფორმით, ასეთი თვისებებები მოიცავს 6 ელემენტს:

- შრომის გარეშე სწრაფად გამდიდრების სურვილი;
- ბუნებისაგან ბოძებული მიმზიდველობა, რომლის შედეგად თაღლითები სწრაფად იმსახურებენ ადამიანების ნდობას;
- მძლავრი კომბინატორული ინტელექტი, რომელიც აძლევს საშუალებას ააგონ ადამიანთა ქცევის მოდელი და მოახდინონ შესაბამისი პროგნოზირება;
- ემპათია, ანუ უნარი შეიგრძნონ, გაიაზრონ ის რასაც გრძნობენ და ფიქრობენ თაღლითების მომავალი მსხვერპლი ადამიანები;
- უპირატესობის მაღალ განვითარებული გრძნობა, რომელიც აძლევს მათ საშუალებას იმოქმედოს დამაჯერებლად იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ინტელექტუალურად უფრო დაბლა დგანან თაღლითთან შედარებით;
- ორიენტირი კანონის ისეთნაირად დარღვევაზე, რომელიც ითვალისწინებს მისგან პასუხისმგებლობის და დასჯის თავიდან აცილების შესაძლებლობას.

თაღლითობის ობიექტი მსოფლიოში შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, მაგრამ ყველაზე მეტი ალბათობა გააჩნიათ იმათ ვისაც:

- ისევე, როგორც თაღლითს, სწრაფად და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე უნდა გამდიდრება. ამ პუნქტში მრავალი მსხვერპლი თავად თაღლითებს უთანაბრდება;
- აქვს მიდრეკილება გახდეს მსხვერპლი, ახასიათებს ფსიქიკური თავისებურება, რაც გამოიხატება სხვა ადამიანებისადმი მინდობაში, მორჩილებასა და ამყოლობაში;

- არ გააჩნია სათანადო ცოდნა იმ სფეროში, რაშიც საქმიანობს თაღლითები;
- მაღალი დონით ენდობა სხვა ადამიანებს და, შესაბამისად, არ გააჩნია კრიტიკული და ეჭვიანი დამოკიდებულება თაღლითის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე;
- არა აქვს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული საკუთარი აზრი, პოზიცია, შეხედულება სხვა ადამიანებზე და გარემო პირობებზე. შეიძლება ითქვას, მსხვერპლი ხდება ის, ვისაც არ გააჩნია პროგნოზირების უნარი.

15. თაღლითური ოპერაციების სტრუქტურა

თაღლითური ოპერაციების სტრუქტურა საკმაოდ მრავალრიცხოვანია. თითქმის არ არსებობს ადამიანური საქმიანობის ისეთი სფერო, სადაც არ შეუძლიათ შეღწევა დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებს და, მათ შორის, „თეთრსაყელოიან“ თაღლითებს.

საერთაშორისო ან ნაციონალური მსხვილმასშტაბიანი საქმიანობა ხორციელდება სპექტაკლების ფორმით, რომელშიც ხშირად თაღლითების მთელი გუნდი მონაწილეობს. თანამედროვე ეტაპზე თაღლითური ოპერაციების სტრუქტურა შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს:

- **ინვესტიციური**. იგი ძირითადად შეეხება ინვესტიციურ ვენჩერული პროცესების ორგანიზაციულ-დანერგვით საქმიანობას, რომელიც ხორციელდება საკუთარი ან ნასესხები სახსრებით. ინვესტიციური თაღლითობა არსებობს ორი სახის. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ თაღლითობა ხორციელდება ინვესტორის მიმართ მისგან ფულის გამოტყუების მიზნით. მეორე - თაღლითი თვითონ გამოდის ინვესტორის როლში „ნოუ-ჰაუს“ მიღების ან ინვესტიციური პროექტის მონაწილის კაპიტალურ მდგომარეობაში ჩაყენებისა და მისი უპირატესობების მინიმიზაციის მიზნით.
- **ინვესტორული**. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება ინვესტიციური პროდუქტის მესაკუთრის ქცევას, რომელსაც თავისი საქციელი ბაზარზე გააქვს დამოუკიდებლად, ან კიდევ თავის „ნოუ-ჰაუს“ კონტრაქტით გადასცემს სხვა აგენტს.

ასეთი ტიპის სამეწარმეო საქმიანობაში თაღლითური ვარიანტი ვლინდება ასევე ორი სახით:

- თაღლითობა ხორციელდება „ნოუ-ჰაუს“ მყიდველის როლში ამოფარებით იმ მიზნით, რომ შესწავლილ იქნას საქონელი ანდა დასაკუთრებული ინოვაციური პროდუქტი;

- თაღლითური ქმედება ხორციელდება რაღაც ინოვაციური პროდუქტის მესაკუთრის როლში ამოფარებით, რათა მოტყუებულ იქნას მყიდველი ან პარტნიორი.

დამტკიცება იმისა, რომ თაღლითი სინამდვილეში არ არის ინოვაციური პროდუქტის მესაკუთრე, ჩვეულებრივ შეუძლებელია, რამდენადაც თაღლითობა შენიღბულია კომერციული საიდუმლოების ქვეშ.

- **ორგანიზაციული.** იგი ახასიათებს საბაზრო სუბიექტების მოქმედებას, რომლებიც ქმნიან ინოვაციურ ეფექტს სხვისი ადამიანური რესურსების ინტეგრირებისა და კომბინირების ბაზაზე.

მოცემული ტიპის სამეწარმეო ქცევის თაღლითური ვარიანტი, როგორც აუცილებელი ელემენტი, მონაწილეობს ყველა თაღლითურ ოპერაციებში.

ასეთი პრაქტიკა ყველაზე მეტად გავრცელებულია საერთაშორისო და ნაციონალურ, სხვადასხვა სახის კავშირებში და საზოგადოებებში, რომელთა მიზანია ბიზნესისადმი მხარდაჭერა და უსაფრთხოების დაცვა. თაღლითობა გამოიხატება იმაში, რომ ასეთი ორგანიზაციის შექმნის საინიციატივო ჯგუფი იყოფა ორ ნაწილად. ერთი ჯგუფი ცდილობს კონფიდენციალურ ცოდნას ორგანიზაციის ორმაგი მიზნის შესახებ, ხოლო მეორე ჯგუფი ფლობა ინფორმაციას მხოლოდ ოფიციალური მიზნის შესახებ.

- **საშუამავლო.** მისი მიზანია ბაზრის სხვადასხვა სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილება ამ ინვესტორთა ინტეგრაციის მეშვეობით.

თაღლითებს მეწარმეობრივი ქცევის ამ მოდელში შეუძლიათ გამოვიდნენ როგორც შუამავლის როლში, ასევე მათი ინტერესების ბაზრის სხვა მონაწილეებთან ინტეგრირების მსურველის როლში.

- **კომერციული.** იგი მდგომარეობს საქონლის, მომსახურების და ინფორმაციის გაცვლის (ყიდვა-გაყიდვის) ახალი არასტანდარტული არხების შექმნაში.

გაცვლისა და ყიდვა-გაყიდვის ახალი არასტანდარტული არხები ყოველთვის იზიდავს თაღლითების ყურადღებას იმ მიზნით, რომ ასეთი კავშირების ადრეულ ეტაპზე არ არსებობს არაკეთილსინდისიერი ბიზნესისაგან დაცვის მექანიზმები და, შესაბამისად, ჩნდება დამატებითი თაღლითური ინოვაციური შესაძლებლობები.

- **კონიუნქტურულ-სათამაშო**. მდგომარეობს საფასო ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის კომბინაციაში სხვა აგენტებთან შედარებითი უპირატესობის მიღების მიზნით.

მოცემული ქცევის თაღლითური ვარიანტი გულისხმობს გაყალბებასა და პროვოკაციას. პროვოკაცია აიგება თაღლითის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის და მის საფუძველზე პროვოკაციული გარიგებების და ორგანიზაციის ცოდნაზე, რომლის შედეგადაც პროვოცირებული კარგავს საკუთრებას ან სხვა უპირატესობებს. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც სხვისი კონფიდენციალური ინფორმაცია თავად ატარებს თაღლითურ ან ჩრდილოვან ხასიათს.

- **კონსალტინგური**. მდგომარეობს ნაკლებად კომპეტენტური ბიზნესისათვის პროფესიონალურ მხარდაჭერაში მათი ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა საკითხებზე. პროფესიონალური კონსალტინგის სპეციფიკა მდგომარეობს დამკვეთიდან კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებაში, რაც, თავის მხრივ, შეიცავს თაღლითობისათვის ფართო შესაძლებლობებს. ამ მიზნით, როგორც თანამგზავრი, ბიზნესი იქმნება მრავალი საკონსულტაციო ხასიათის თაღლითური ფორმები.

თაღლითობას ბიზნესში თან ახლავს პაექრობა, კონკურენცია, რაც ხშირად კონფლიქტურად ვითარდება და მიზნად ისახავს მეტოქის ჩაძირვას, განადგურებას. ამ მიმართებით სამეწარმეო თაღლითობა ახლოსაა ქურდულ ქცევასთან.

მოტყუებითი ქმედებები ფინანსურ და სხვა საქმიან ბაზარზე, როგორც წესი, ხორციელდება შემდეგი ოპერაციების დროს:

- ფასიანი ქაღალდების ყიდვა ან გაყიდვა;
- კრედიტების მიღება და გაცემა;
- სათამასუქო კრედიტების გაცემა ან თამასუქის ინკასირება;
- საკრედიტო ბარათებით ანგარიშსწორების ჩატარება;
- კრედიტების და გარიგებების დაზღვევა და ა.შ.
-

16. ბიზნესში თაღლითობის ძირითადი სახეები და მეთოდები

საერთაშორისო და ნაციონალურ ბიზნესში გავრცელებული თაღლითობის ძირითადი ხერხები და მეთოდები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- **შრომის ანაზღაურების გადაუხდელობა ან დაგვიანება.** „სამუშაო ძალას“, როგორც საქონელს გააჩნია თავისებურება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ საქონლის მფლობელს ყოველთვის აკრედიტებს მყიდველი. მსოფლიო პრაქტიკაში თითქმის არ ხდება „სამუშაო ძალის“ ყიდვისას წინასწარი ანაზღაურება. ამით სარგებლობენ თაღლითები და შეთქმულების შედეგად აგვიანებენ ხელფასების გაცემას შესრულებული სამუშაოდან დადგენილი დროის შემდეგ და გადაუხდელ თანხას იყენებენ ბიზნესში. ასეთი მიდგომა სუფთა თაღლითური ხასიათისაა, თუმცა მოტყუების ფაქტის დამტკიცება ძალიან რთულია.

- **კრედიტების გამოყოფა სრული გაკოტრების მიზნით.** ეს თაღლითობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტიანი მეთოდია კრიმინალურ კონკურენტულ ბრძოლაში. იგი ხორციელდება რამდენიმე ეტაპად:

- შეირჩევა ბიზნესმენი, რომელიც ფლობს მნიშვნელოვან კაპიტალს ანდა აკონტროლებს მსხვილ ბრუნვას;

- ხდება მომგებიანი გარიგების შეთავაზება და შემუშავდება მისი განხორციელების ტექნოლოგია. ამასთან, დგება ამ ტექნოლოგიის განხორციელების ორი ვარიანტი: პირველი ტექნოლოგიას გულისხმობს ერთობლივ საქმიანობას; მეორე – იმისათვის, რომ ბიზნესმენმა ვერ შეძლოს ოპერაციის განხორციელება, ვადაში ვერ შეძლოს კრედიტის დაბრუნება და დაეკისროს საჯარიმო სანქციები;

- მოიძებნება მეწარმე, რომელიც დაარწმუნებს კონკურენტს მიიღოს მონაწილეობა შემოთავაზებულ გარიგებაში. ადამიანი, რომელიც კონფლიქტში შედის კონკურენტთან, შეიძლება ჩართული იყოს თაღლითობაში, ან კიდევ საერთოდ არ იცოდეს, რომ გარიგების მიზანია მეწარმის გაკოტრება;

- ხელი მოეწერება ერთობლივ საქმიანობაზე საჭირო დოკუმენტებს, რომლის თანახმად ბიზნესმენი თავის თავზე იღებს გარიგების გარკვეული ნაწილის შესრულებას დადგენილ დროში და განსაზღვრული ფინანსებით. მთავარი პირობა – გარიგების აუცილებელი შესრულება თავის თავზე უნდა აიღოს ბიზნესმენმა;

- იწყება ღონისძიებების განხორციელება მეორე (ფარული) ტექნოლოგიით:

- გათამაშდება ფსიქოლოგიური სპექტაკლი ბიზნესმენის (მსხვერპლის) ბრალეულობის შესახებ, რომელიც შედგება სამი აქტისაგან: 1) როდესაც ვალდებულების შესრულების ვადა დგება, მაგრამ გარიგების მიმდინარე შედეგები ეჭვის ქვეშაა; 2) მსხვერპლის (ბიზნესმენი) საბოლოო „შეხურება“, მისი ბრალეულობის ზღვრამდე მიყვანა და „მრიცხველის ჩართვა“; 3) ზარალის სიდიდისა და მისი ანაზღაურების ფორმის გან-

საზღვრა. მინიმუმი რაზედაც ორიენტირებულია თავდამსხმელი (თაღლითი) – კონკურენტის მიერ შემოტანილი მთელი წილის დაუფლება, მაქსიმუმი – კონკურენტისათვის მთელი ქონების წართმევა;

- ოპერაციის დასრულება. ქონების დაუფლება, მის სამართალმემკვიდრედ გადაფორმება.

- **კრედიტის გაცემა დროებით ან სამუდამო დაკაბალების მიზნით.** ამ შემთხვევაში თაღლითები გასცემენ სესხს იმ მიზნით, რომ ვალის გადაუხდელობის სანაცვლოდ მეტოქეები ჩაითრიონ თაღლითურ საქმიანობაში.

სერიოზულ კრიმინალურ დაჯგუფებებს მუდამ ჰყავთ მუდმივი მოვალეები, რომლებიც ეწევიან კომერციულ ჭუჭყიან კომერციულ თაღლითობას. მათი ვალის მოცულობა იმდენად დიდია, რომ ისინი მათ ვერასოდეს დაფარავენ.

- **ნდობაზე დაფუძნებული ერთობლივი საქმიანობა.** ხშირად, როდესაც ნულიდან იწყება ბიზნესი და საჭიროა მისი დარეგისტრირება, ხდება ერთმანეთის მიმართ ნდობით დაკავშირებული ფიზიკური პირების გაერთიანება. ეს არის ერთობლივი მეწარმეობა, სადაც მკაფიოდ არაა განსაზღვრული თითოეულის პასუხისმგებლობის ნორმები, რაც ფართო არეალს ქმნის ცნობიერი ანდა არაცნობიერი თაღლითობისათვის.

- **საკრედიტო ბარათის გაყალბება.** საკრედიტო ბარათები ფართოდ გამოიყენება ნაციონალურ და საერთაშორისო ბიზნესში. თაღლითები ხშირად მიმართავენ პლასტიკური ბარათების გაყალბებას, რითაც აზარალებენ ამ ბარათების ფაქტობრივ მფლობელებს. ამ პროცესის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ბარათის მფლობელები ცდილობენ ფართოდ გაახმაურონ თაღლითური საქმიანობა, ხოლო ემიტენტებს არ სურთ თაღლითური ქმედებების აფიშირება, რათა არ დაკარგონ თავიანთი კლიენტები;

- **გამყიდველთა საიდუმლო შეთქმულება.** შეთქმულების არსი მდგომარეობს კარტელის ორგანიზაციაში, როდესაც ფირმები ერთმანეთს შორის ათანხმებენ წარმოების მოცულობას, იყოფენ ბაზარს კვოტების გამოყოფით და ადგენენ ყველასათვის ერთიან ფასს. ასეთი თაღლითური კარტელური გარიგება ირღვევა, მაშინ როდესაც მისი ერთი მონაწილე თაღლითი ფირმა არ დაემორჩილება დადგენილ წესს. მაშინ ანალოგიური გარიგება ხდება სხვა მეწარმესთან. კარტელური თაღლითობა გავრცელებულია იმ ქვეყანაში, სადაც სუსტია ანტიმონოპოლიური სამსახური ან იგი საერთოდ არ არსებობს.

17. მარტივი და ორგანიზებული თაღლითობა

თაღლითობის ყველა სახესხვაობა შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად: მარტივი თაღლითობა და სამეწარმეო (ორგანიზაციული) თაღლითობა.

მარტივად ითვლება თაღლითობა როცა იგი ერთი ადამიანის მიერ განხორციელებული მოტყუებითი საქმიანობაა. ასეთი თაღლითობის დროს მოტყუების პროცესის ორგანიზაციას ახდენს ერთი ადამიანი, ანუ ასეთ შემთხვევაში არაა ორგანიზებული დანაშაულის ელემენტი. როგორც წესი, მარტივ თაღლითობას ეწევიან დაქირავებული მუშაკები ანდა ცალკეული კერძო მეწარმეები.

დაქირავებული მუშაკებისა და კერძო მეწარმეების მხრიდან თაღლითური საქმიანობის ტიპურ სახეებს განეკუთვნებიან:

- სალაროდან ნაღდი ფულის მოპარვა;
- ჩეკების მოპარვა;
- ნაღდი ფულის არადანიშნულებისამებრ გამოყენება;
- საკასო წიგნის ფალსიფიკაცია;
- საპენსიო ფონდებში შემოსულობების არადანიშნულებისამებრ გამოყენება;
- პირადი ანგარიშების ანაზღაურება ფირმის ეკებით;
- ფალსიფიცირებული ანგარიშ-ფაქტურების წარმოდგენა;
- სატრანსპორტო ზედდებულის გაყალბება;
- ხარჯთაღრიცხვის „გაბერვა“;
- შეთქმულება კლიენტებთან ანდა მიმწოდებლებთან;
- მომსახურებაზე ჯილდოს ანუ იგივე ქრთამის მიღება;
- ფასების ხელოვნური „გაბერვა“;
- ცრუ მიმწოდებლების გამოყენება;
- ზედმეტის გადახდა;
- ფირმის ქონების, თანამშრომლების, მოწყობილობების ან მასალების პირადი მიზნებისათვის გამოყენება;
- შეკვეთის მიცემა ქრთამის სანაცვლოდ;
- საკრედიტო ბარათების მანიპულირება;
- თაღლითობა დამზღვევებთან;
- არადეკლარირებული შემოსავლების მიღება;

- საგადასახადო დეკლარაციების ფალსიფიცირება;
- საბუღალტრო წიგნებში ჩანაწერების ფალსიფიკაცია (ანგარიშების გაუმჯობესების ანდა დანაკლისის დაფარვის მიზნით);
- სამივლინებო ანგარიშების ფალსიფიკაცია;
- გასავლების გადამეტებული მოცულობის ჩვენება;
- გაცემული თანხის დაუბრუნებლობა;
- ფირმის ქონების არასანქცირებული გაყიდვა;
- კომპიუტერული თაღლითობა და ა.შ.

კონკრეტულ ეკონომიკურ სტრუქტურაში თაღლითობის განხორციელების შესაძლებლობებს განაპირობებს:

- თაღლითობის გამოვლენისა და მისგან თავდაცვის ღონისძიებათა არასაკმარისობა;
- შესრულებული სამუშაოების რაოდენობისა და ხარისხის შეფასების სირთულე;
- საშემსრულებლო და საწარმოო დისციპლინის დაბალი დონე;
- საჭირო ინფორმაციასთან დაშვების სირთულე;
- ხელმძღვანელობის მხრიდან ვითარებისადმი ზერელე დამოკიდებულება;
- რევიზიისა და აუდიტორული შემოწმებების უქონლობა ან დაბალი ხარისხი.

იმისათვის, რომ განხორციელდეს თაღლითობა, საჭიროა იმ ბიზნესის შესახებ ცოდნა, რომლის სფეროში ხდება თაღლითობა. საჭიროა ამ ბიზნესის ტექნოლოგიის და დოკუმენტბრუნვის ცოდნა, იმის პროგნოზირების შესაძლობლობა, რა უნდა მოჰყვეს ამა თუ იმ ქმედებას, ასევე იმის შესაძლებლობა, რომ შეიმუშავო თვით თაღლითობის ტექნოლოგიის სრული სქემა და რეალიზაციის ხერხები. სხვა სიტყვებით, თაღლითობა გულისხმობს დამნაშავის მიერ პირველადი დოკუმენტაციის ქონას არანაკლებ იმაზე, რაც გააჩნია მოტყუების ობიექტს – მეწარმეს.

რაც შეეხება თვითგამართლებას მარტივ თაღლითობაში იგი ჩვეულებრივ ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

- ჩემმა ფირმამ მე მომცა ვალი;
- მე დროებით ვიღებ ფირმიდან სესხს და შემდეგ დავაბრუნებ;
- ამისგან არავინ არ დაზარალდება;
- მე ვიმსახურებ მეტს, ვიდრე მაქვს;
- მე ვმუშაობ იმაზე მეტს, რაც მევალება;

- ხელისუფლება ფლანგავს ფულს, მე კი ვიხდი გადასახადს და ა.შ.

პროფესიონალურ თაღლითობაში დამუშავებულია სხვა მიდგომა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თაღლითობა ეს იგივე სახის ბიზნესია, როგორც სხვა ნებისმიერი ბიზნესი. გარდა ამისა, პროფესიონალურ თაღლითობაში წარმატებული თაღლითობა მიიჩნევა პროფესიონალიზმის და სიამაყის ნიშნად.

მარტივ ანუ ელემენტარულ თაღლითობაში თაღლითობის ყველა ფაქტორი არსებობს თვით დამნაშავის საკუთრებაში. ამიტომაც თაღლითობის პროდუქტი, ე.ი. შრომის პროდუქტი, წარმოადგენს მის საკუთრებას. შრომის საშუალებები და საგნები, რომელსაც აქ იყენებს თაღლითი, პრიმიტიული და საკმაოდ შეზღუდულია.

მარტივ თაღლითობაში არ არსებობს თაღლითისადმი გარეშე ზეწოლა. თაღლითობას იგი ეწევა საკუთარი ნებით და სურვილით. მაგრამ იმისათვის, რომ მარტივი თაღლითი ჩაერთოს ორგანიზებულ თაღლითობაში, საჭიროა მასზე გარეგანი ზეწოლა, მისი პიროვნული შინაგანი ცოდნის გადამისამართება ორგანიზებულ თაღლითობაში. თუ მარტივ თაღლითზე განხორციელდა ფინანსური და ფიზიკური ზეწოლა, იგი იძულებული ხდება თავი დაანებოს „ერთპიროვნულ“ თაღლითურ საქმიანობას და ჩაერთოს ორგანიზებულ თაღლითობაში, შეასრულოს ამ ჯგუფურ დანაშაულებრივ საქმიანობაში გარკვეული ცალკეული ფუნქცია და მიიღოს შესაბამისი გასამრჯელო. ამასთან, იგი არაა თაღლითობის საბოლოო პროდუქტის მესაკუთრე.

თანამედროვე ეტაპზე ორგანიზებული თაღლითობა დიდ ადგილს იკავებს როგორც ნაციონალურ ასევე საერთაშორისო ბიზნესში. განსაკუთრებით ვითარდება სტრატეგიული თაღლითობა, ანუ როგორც მას უწოდებენ საკანონმდებლო თაღლითობა. იგი არის თაღლითობის ყველაზე მაღალკვალიფიციური საქმე, რომელსაც ახორციელებენ მაღალი კლასის სპეციალისტები დაკავშირებულნი კანონშემოქმედებით საქმიანობასთან. აქ თაღლითობა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანების მოცემული ჯგუფი ატყუებს მათ დამქირავებლებს (ამომრჩეველ მოქალაქეებს), ახორციელებს ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება იმას, რისთვისაც მოწოდებულნი არიან დამქირავებელთა მხრიდან.

ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც საქმიანობენ თავიანთ საკანონმდებლო პრაქტიკაში თაღლითობის ამ სახით, წარმოადგენენ თავიანთი თაღლითური შრომის შედეგების მესაკუთრეს. სწორედ ამითაა მეტწილად განპირობებული საკანონმდებლო ორგანოში ლობიზმის ინსტიტუტის გაძლიერება. ამ ტიპის თაღლითობა ხორციელდება თაღლით-ინტელექტუალების მიერ. ისინი შეიმუშავებენ თაღლითობის პერსპექტიულ ტექნოლოგიებს საკანონმდებლო დონეზე. მათ შემდეგ მოდის ინტელექტუალ-პრაქტიკოსების ჯგუ-

ფი, რომლებიც ეძებენ გზებს მოქმედ კანონმდებლობაში, რომელთა გამოყენება შესაძ-ლებელია თაღლითობის რეალურ პრაქტიკაში. მესამე ადგილზე მოდის მეწარმეები, რომლებიც ინტერესს იჩენენ თაღლითური ინოვაციების მიმართ და ცდილობენ მათ სხვებზე ადრე პრაქტიკულ გამოყენებას, რადგან იციან, რომ ამ ახალი თაღლითური ტექნოლოგიების სიცოცხლის ხანგრძლივობა მოკლეა. ყველაზე მეტ მოგებას იღებს ის თაღლითური დაჯგუფება, რომელიც ყველაზე ადრე აითვისებს ამ ახალ ტექნოლოგიას და დროულად დაანებებს მას თავს. ყველაზე კარგად ამას ახერხებენ როგორც საკა-ნონმდებლო, ისე აღმასრულებელი განშტოებების მაღალი სახელისუფლებო თანამდებო-ბის პირები.

18. თაღლითობის გამოვლენა და თავიდან აცილება

არსებობს ორი უბანი, რომლებიც საჭიროებენ თაღლითებისაგან დაცვას:

- ორგანიზაციები (საწარმოები, ფირმები, კორპორაციები, კომპანიები და ა.შ.);
- ცალკეული მეწარმეები (ბიზნესმენები).

განვითარებული ქვეყნების ორგანიზაციებში შიგა თაღლითობის (თანამშრომელთა მხრიდან) თავიდან ასაცილებლად გამოიყენება დაცვის პროგრამული სისტემები. მის ძი-რითად ელემენტს შეადგენს სამსახურებრივი ოერსონალის ფილტრირება და სამუშაოს ისეთი ორგანიზება, რომელიც გამჭვირვალეს ხდის კანონიდან ნებისმიერ გადახრას.

თაღლითობისაგან ადამიანების წარმატებული დაცვა პირდაპირაა დამოკიდებული მის ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებსა და განწყობასთან. მაგრამ, იქნება ეს ადამიანი თუ ორგანიზაცია, შესაძლებლობა არ გახდნენ თაღლითური მოქმედებების მსხვერპლი ძირითადად დამოკიდებულია მომუშავეთა უნარზე გამოავლინონ პარტნიორთა და თანა-მოსამსახურეთა თაღლითური ქმედებები. ამის გარეშე თაღლითობისაგან თავდაცვაზე საუბარი უაზრობაა. ეს არის საკვანძო საკითხი თაღლითობის თავიდან აცილებისა ორ-განიზაციებში და ადამიანთა პირად საქმიანობაში.

თაღლითობის გამოვლენა იწყება მისი ნიშნების შეცნობით. ყოველგვარი თაღლი-თობა გულისხმობს თაღლითის მიერ ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელიც რაღაც კვალს მაინც ტოვებს. სწორედ ეს კვალი წარმოადგენს თაღლითობის ნიშანს.

თაღლითობის სახეები მეტისმეტად მრავალფეროვანია, თუმცა მათი დაჯგუფება მაინც შეიძლება შემდეგნაირად:

- დაქირავებულ თანამშრომელთა თაღლითობა თავისი ფირმის მიმართ;

- თაღლითობა ინვესტირების პროცესში;
- თაღლითობა ფინანსური ანგარიშგების სფეროში;
- თაღლითობა საბანკო სფეროში;
- თაღლითობა სადაზღვევო საქმეში;
- თაღლითობა პარტნიორებთან მიმართებაში;
- თაღლითობა პრივატიზაციის სფეროში;
- თაღლითობა კონკურენციის სფეროში;
- თაღლითობა რეკლამის სფეროში;
- თაღლითობა საბანკო პლასტიკური ბარათების გამოყენებით;
- თაღლითობა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.

კომერციული სტრუქტურებისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს თაღლითობა მისი თანამშრომლების მხრიდან. ასეთი სახის თაღლითობა ძალიან რთულია, რადგან თავიანთ ქმედებებს თაღლითები საგულდაგულოდ მალავენ. ამავე დროს, თაღლითობის გამოვლენილი ნიშნები არ წარმოადგენენ დანაშაულის მტკიცებულობას, არამედ მხოლოდ მისი სიმპტომებია. ამიტომაც ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო იმის დასარწმუნებლად, რომ ეს სიმპტომები ნამდვილად ადასტურებენ ჩადენილ დანაშაულს.

საწარმოს პერსონალის მხრიდან თაღლითობის ნიშნები შეიძლება გაერთიანდეს შემდეგ ტიპურ ჯგუფებში:

- არასტანდარტული (დამახინჯებული) მონაცემები საწარმოს ბუღალტრულ დოკუმენტებში;
- ანალიტიკური ანომალიები, არასტანდარტული გადახრები ფასებში, მოცულობაში, ასორტიმენტის სტრუქტურაში და ა.შ. მაგალითად, კომპანიის თანამშრომელი გაურიგდა სასაწყობო მომსახურებაზე ფასის მნიშვნელოვანი გადამეტებით. სხვაობას რეალურ და ნამატ ფასს შორის დამნაშავეები იყოფენ ერთმანეთს შორის;
- თანამშრომლის ცხოვრების წესი, რომელიც სცილდება ჩვეულებრივ ფარგლებს. ყოველთვის, როდესაც ადამიანი ხარჯავს დიდ ფულს, ეს იწვევს ეჭვს. აშშ-ში მოქალაქის მიერ ფულის ხარჯვას აკვირდება საგადასახადო პოლიცია და თუ ადამიანის ხარჯები აღემატება მის შემოსავლებს, ითვლება, რომ ის ქურდობს და უმალავს თავის შემოსავლებს საგადასახადო სამსაურს;
- თანამშრომლის უცნაური ქცევა. არსებობს მრავალი ნიშანი იმისა, რომელიც მოწმობს, რომ ადამიანი რაღაცას უმალავს მის გარემოცვას. ეს არის სურვილის არქონა

ისაუბროს მის წარსულ საქმიანობაზე, თავიანთ ხელმძღვანელებთან და კოლეგებთან ურთიერთობაზე; გარემოცვისათვის მისი ნათესავების, მეგობრების და საქმიან ადამიანებთან ურთიერთობის დამალვა; სატელეფონო საუბრის შეწყვეტა, როდესაც მისი კოლეგები შემოდიან კაბინეტში და ა.შ.;

- სიგნალების და საჩივრების მიღება. სიგნალები და საჩივრები იმის შესახებ, რომ თანამშრომელი არ აბრუნებს ვალებს, ხშირად სესხულობს ფულს თანამშრომლებისაგან, ეწევა გართობითი ცხოვრების წესს და ბევრ ფულს ხარჯავს გართობაზე, აზარტულ თამაშებზე და ა.შ.

საერთაშორისო ბიზნესის პრაქტიკაში ძალიან მაღალია ფირმებს შორის ურთიერთობაში თაღლითობის ალბათობა კრედიტების გაცემის, ხელშეკრულების დადების, კონტრაქტების ხელმოწერის და ა.შ. დროს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოტყუებისაგან თავის დაზღვევის მიზნით ხელშეკრულების დადების დროს ამა თუ იმ ფორმით საწიროა მომავალ პარტნიორზე შემდეგი ინფორმაციის მოპოვება:

- დარეგისტრირებულია თუ არა ფირმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- აქვს თუ არა მას იურიდიული მისამართი და რეალურად სადაა განთავსებული ოფისი. აქვს თუ არა ბეჭედი და ბლანკი კოორდინატების მითითებით.

ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ საჭიროა მისი გადამოწმება. ამასთან საჭიროა ფირმაში მისვლა და მისი პირობების შეფასება. გარდა ამისა, საჭიროა იმ ორგანიზაციაშიც მისვლაც, სადაც დარეგისტრირებულია ფირმა და სათანადო ინფორმაციის მიღება. თუ რამე ეჭვი წარმოიშვა პარტნიორობის პრეტენდენტი ფირმის შესახებ, საჭიროა გაირკვეს მასთან დაკავშირებული საკითხები. ამისათვის საჭიროა შესაბამისი კითხვების დასმა. არაკეთილსინდისიერი პარტნიორი თავს აარიდებს კითხვებზე პასუხის გაცემას ანდა გასცემს დეკლარირებულ, არაკომპეტენტურ, ნაჩქარევ პასუხებს. შეიძლება გამოავლინოს გაბრაზება, რომ მას ენდობიან და სწრაფად დაამთავროს მოლაპარიკება.

პარტნიორი ფირმისაგან მიღებული მთელი ინფორმაცია საჭიროებს შემოწმებას, საქონლის, საწყობის, ქონების დათვალიერებას, იმის გამოკვლევას არის თუ არა პარტნიორი ქონების მესაკუთრე ან ქონება კრედიტში ან გირაოში ხომ არაა ჩადებული. განსაკუთრებით დამაეჭვებელია საქონლის რეალური ადგილმდებარეობა. თუ გამყიდველს ჯერ კიდევ არა აქვს შეძენილი საქონელი და ელოდება თქვენს ფულს, რათა შემდგომ

შეიძინოს იგი და მოგყიდოს თქვენ, მაშინ ასეთი გარიგება თაღლითობის ელემენტის შემცველია.

თაღლითობის პირდაპირი ნიშნები, როდესაც საკითხი ეხება კრედიტის მიღებას შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

- ხელშეკრულების გაფორმება გაყალბებული დოკუმენტებით, როდესაც შექმნილია ფიქტიური ფირმა, ანდა დარეგისტრირებულია ცრუ პირზე;
- ფირმაზე კონტროლს ახორციელებს რომელიმე კრიმინალური სტრუქტურა;
- ფირმას არ გააჩნია ფული და მატერიალური ფასეულობა, მეურვე, რომელიც შეიძლება იყოს კრედიტის დაბრუნების გარანტი;
- გირაოში ჩადებულია ქონება და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენაა საჭირო უცხოელ პარტნიორებთან ხელშეკრულების დადებისას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. პრაქტიკამ განსაზღვრა სიტუაცია, როდესაც განსაკუთრებული სიფხიზლეა საჭირო:

- თუ უცხოური ფირმის წარმომადგენლები ცდილობენ თავიანთი გრანდიოზული პროექტებით პასუხისმგებელი პირების დაინტერესებას;

- თუ მომავალი პარტნიორები მიუთითებენ თავიანთ წინადადებებზე მსხვილი ბანკების მხარდაჭერას და არ ასახელებენ მათ;

- თუ გთავაზობენ ინვესტორების არარეალურ, ხშირად ასტრონომიულ ციფრს;

- თუ პროექტის ფინანსური მხარე ბურუსოვანია;

- თუ უცხოელი ცდილობს გარიგების კონფიდენციალობას სხვადასხვა პირების მითითებით;

- თუ მას არ შეუძლია მკაფიო პასუხი გასცეს სპეციალისტების კითხვებზე;

- თუ პარტნიორი ცდილობს გირაოს მიღებას თითქოსდა არსებული საბანკო გარანტიისათვის მიწის, უძრავი ქონების ან განსაზღვრული სადაზღვევო თანხის სახით;

- თუ ფირმას არა აქვს რეკვიზიტები, ე.ი. ზუსტი იურიდიული მისამართი, ანგარიშის ნომერი ბანკში ანდა ისინი გაუქმებულია;

- თუ ფირმა ახალი შექმნილია და ჯერჯერობით კონკრეტული საქმე არ გაუკეთებია;

- თუ იგი დარეგისტრირებულია ოფშორულ ზონაში;

- თუ კომერციული საიდუმლოების საბაბით კომპანიის წარმომადგენლები არ წარმოადგენენ ანგარიშს თავიანთ საქმიანობაზე და ფინანსურ ბალანსს.

მსოფლიოში დაგროვილია გარკვეული გამოცდილება თაღლითობის გამოვლენის მიმართულებით. მისი გამოვლენის შედარებით შედეგიანი მეთოდებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- პროგნოზულ-დიაგნოსტიკური სისტემა „ტიპოლოგია“, რომლის საშუალებითაც ხდება ადამიანთა ტიპების გამოვლენა, მათი კლასიფიკაცია ფსიქოლოგიური მახასიათებლების, ფსიქიკური ნიშნებით, თვისებებით, კომპლექსების და ა.შ. მიხედვით. ამ მეთოდით შესაძლებელი ხდება თაღლითობისაკენ ადამიანის მიდრეკილების შეფასება-პროგნოზირება;
- გრაფომეტრიკული მეთოდიკა „ხელმოწერა-ხელწერა-პიროვნება“, რომელიც იძლევა საშუალებას ხელწერის ან ხელმოწერის თაავისებურებათა ანალიზის შედეგად გაკეთდეს საკმაოდ ობიექტური დასკვნა ადამიანის შესაძლებლობებზე, მიდრეკილებებზე და ამ შესაძლებლობების მის საქმიანობაში სრულყოფის შესახებ;
- ადამიანის თაღლითობისაკენ მიდრეკილების გამოსავლენად გამოიყენებენ აგრეთვე სოციალური გამოკითხვის მეთოდებს. კერძოდ, მეთოდიკა „ბარკი“ იძლევა საშუალებას დიალოგურ რეჟიმში მაღალი სიზუსტით გამოვლინდეს ადამიანთა მიდრეკილებები, მათ შორის, ბიზნესის წაყვანა ცივილიზებული თუ კანონის საწინააღმდეგო ქმედებებით;
- თაღლითობის გამოვლენაში განსაკუთრებული ეფექტიანობით ხასიათდება სისტემა „რეზონანსი“, რომლის საშუალებითაც თაღლითობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება ადამიანის ვიბრაციული ხმის მახასიათებლების ანალიზის მიხედვით.

ბიზნესში მონაწილე კეთილსინდისიერი ადამიანებისა და საწარმოების თაღლითობისაგან დაცვის მიზნით ბევრ ქვეყანაში არსებობს „სასწრაფო დახმარების“ ტიპის სპეციალიზებული საკონსულტაციო კომპანიები (სააგენტოები, ბიუროები), რომლებსაც თავიანთ შემადგენლობაში ყავთ მუშაკები, რომლებიც დასპეციალებული არიან თაღლითური ორიენტაციის ადამიანების გამოვლენაში.

ევროკავშირში შექმნილია სპეციალური ორგანო – თაღლითობასთან მებრძოლი ევროპული ბიურო, შემუშავებულია სამართლებრივი ბაზა, რომელიც არეგულირებსა ეკონომიკური თაღლითობის გამოვლენის საკითხებს ევროკავშირის სხვადასხვა ფონდებსა და ბიუჯეტში.

19. საწარმოო-კომერციული საიდუმლოების არსი

საწარმოო-კომერციული საიდუმლოების კატეგორიის მრავალი სახესხვაობა არსებობს. ყველაზე ხშირად იყენებენ კატეგორიებს: „სავაჭრო საიდუმლოება“, „ნოუ-ჰაუ“, „კომერციული საიდულმოება“, „ეკონომიკური საიდუმლოება“, „კონფიდენციალური ინფორმაცია“, „პროფესიული ინფორმაცია“, „საბანკო საიდუმლოება“ და ა.შ.

საწარმოო-კომერციული ინფორმაცია წარმოადგენს ინტელექტუალურ საკუთრებას. საერთაშორისო მასშტაბით საწარმოო-კომერციული ინფორმაციის დაცვის საკითხი რეგულირდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალური საბჭოს „ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ასპექტების“ ინსტრუქციით (თღI შ). საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში იხმარება უფრო ფართო საგნობრივი შინაარსის მქონე ტერმინი „უნდისცლოსედ ინფორმატიონ“, რაც ქართულად ითარგმნება როგორც „გაუმჟღავნებელი ინფორმაცია“ ან კიდევ „გაუხმაურებელი ინფორმაცია“. საერთაშორისო სამართლის თანახმად, დახურული ინფორმაციის, რომლის დაცვაც საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილე ქვეყნების ვალდებულებაა, არის საიდუმლო ინფორმაცია. ასეთი ინფორმაცია მთლიანად ან მისი გარკვეული კომპონენტები არ არის საყოველთაოდ ცნობილი ან ადვილად ხელმისაწვდომი იმ პირთათვის, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ამ სახის ინფორმაციასთან. იმისათვის, რომ ინფორმაცია იყოს დაცვადი, მას უნდა ჰქონდეს კომერციული ღირებულება და, შესაბამისად, პირმა ან ორგანიზაციამ უნდა აჩვენოს, რომ ზომებს ღებულობდა ინფორმაციის საიდუმლოების დაცვისათვის.

აღსანიშნავია, რომ დახურული ინფორმაცია წარმოადგენს ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებების საგანს. საერთაშორისო სამართლის თანახმად, იმისათვის, რომ ინფორმაცია წარმოადენდეს დაცვის ობიექტს, მას კანონიერად უნდა ფლობდეს ფიზიკური ან იურიდიული პირი. ინფორმაციას საიდუმლოების გამო უნდა გააჩნდეს კომერციული ღირებულება და უნდა იყოს მოცემული პირის (ან ორგანიზაციის) მიერ საიდულოდ შენახვისათვის გატარებული ზომების ობიექტი. სწორედ ეს არის კომერციული საიდუმლოების მატარებელი ინფორმაცია. მართალია საერთაშორისო ორგანიზაციებში ტერმინი „კომერციული საიდუმლოება“ არ იხმარება, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნების სა-

მართლებრივ აქტებში და სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურაში იგი ფართოდ გამოიყენება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების თანახმად კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს ინფორმაცია, რომელსაც რეალური ან პოტენციური ეკონომიკური ღირებულება აქვს იმ მოტივით, რომ არ არის საზოგადოდ ცნობილი და არ შეიძლება კანონიერი გზით ხელმისაწვდომი გახდეს სხვა პირებისათვის, რომლებმაც შეიძლება ეკონომიკური გამორჩენა მიიღონ ამ ინფორმაციის გამოყენებით ან გახმაურებით. ყველაზე მოკლედ და ლაკონიურად კომერციული საიდუმლოება (ტრადე სეცრეტ) შეიძლება ეწოდოს საიდუმლოდ შენახული ეკონომიკური სარგებლის მომტან ნებისმიერ ინფორმაციას.

ამგვარად არის გაგებული კომერციული საიდუმლოების არსი საერთო სამართლის ქვეყნებში. მაგალითად, აშშ კომერციული საიდუმლოების ერთიანი აქტის მიხედვით კომერციული საიდუმლოება შეიძლება შედგებოდეს ნებისმიერი ფორმულისაგან, სქემისაგან, მოწყობილობისაგან ან ინფორმაციული კომპილაციისაგან, რომელიც გამოიყენება ბიზნესში და აძლევს მეწარმეს შესაძლებლობას მოიპოვოს უპირატესობა კონკურენტების მიმართ, რომლებსაც არა აქვთ უფლება გამოიყენონ ეს საიდუმლოება. ამგვარი კომერციული საიდუმლოება შეიძლება წარმოდგენილი იყოს სამრეწველო ტექნოლოგიით, კრეატიული მიგნებებით, ნივთიერების ქიმიური ფორმულით, მანქანა-დანადგარების კვანძით, მომხმარებელთა სიით და ა.შ. კომერციული საიდუმლოება, რომელიც დაცვის ობიექტია, გამოირჩევა სხვა ინფორმაციისაგან იმით, რომ მისი დანიშნულებაა ხანგრძლივი ბიზნეს-გამოყენება. კომერციულ საიდუმლოებას შეადგენს ინფორმაცია, როდესაც ის გამოირჩევა რეალური ან პოტენციური კომერციული ღირებულებით იმის გამო, რომ არ არის ცნობილი მესამე პირებისათვის და კანონმდებლობით დადგენილი წესით მიხედვით არ არის თავისუფლად ხელმისაწვდომი.

თუ გავაერთიანებთ კომერციული საიდუმლოების ცნების ზემოთმოყვანილ მოსაზრებებს შეიძლება დავასკვნათ, რომ დაცვადია და კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს ნებისმიერი ხანგრძლივი გამოყენებისათვის საჭირო ინფორმაცია, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნეს-სუბიექტს მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა იმის ხარჯზე, რომ კონკურენტებისათვის ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის. ამავე დროს სპეციალურ დაცვას ექვემდებარება მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომლის საიდუმლოდ შენახვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბიზნესმენი (მეწარმე), რასაც ფაქტობრივად გატარებული ღონისძიებებით ამტკიცებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ეყრდნობა რა საერთაშორისო პრინციპებს, საწარმოო-კომერციული საიდუმლოს დაცვას წარმოადგენს შემდეგნაირად: **„მეწარმეს, რომელიც ფლობს საწარმოო-კომერციულ საიდუმლოებას (ნოუ-ჰაუს), რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ ან კომერციულ ინფორმაციას, რაც დასტურდება მისი საიდუმლოდ შენახვისათვის გაწეული აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებით, განსაკუთრებული უფლება აქვს ამ ინფორმაციაზე“.**

საწარმოო-კომერციული საიდუმლო ინფორმაციის მფლობელი მისი ფაქტობრივი მესაკუთრეა იმ მომენტამდე, სანამ. ეს ინფორმაცია გაიხსნება და საჯარო გახდება. ამის შემდეგ ინფორმაციაზე საკუთრებითი უფლება ქრება. ინფორმაცია თუ არ არის დაცული (მაგ., საპატენტო სამართალით) იგი საყოველთაო საკუთრებაა. კომერციული საიდუმლო ინფორმაციის მფლობელი ვალდებულია დაიცვას თავის საკუთრებაში არსებული ინფორმაცია. თუ საიდუმლო კომერციული ინფორმაცია კანონიერი თუ უკანონო გზით ხელმისაწვდომი გახდა მესამე პირისათვის (ვთქვათ, გაიჟღერა კონფერენციაზე ან დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში), მის წინააღმდეგ ვერანაირ მოთხოვნებს ვერ დააყენებს კომერციული საიდუმლოების ყოფილი მფლობელი. თუ მესამე პირმა მოიპოვა კომერციული საიდუმლოების მქონე ინფორმაცია მართლზომიერად, მას უფლება აქვს გამოიყენოს იგი საკუთარი მეწარმეობისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ კომერციული საიდუმლოების მფლობელი კარგად უზრუნველყოფს საიდულმოების შენახვას, ის გაიხანგრძლივებს ამ ინფორმაციაზე საკუთრების ვადას. ამის სანიმუშო მაგალითია „კოკა-კოლას“ და „შანელ-5“-ს რეცეპტურები, რომელიც დღესაც საიდუმლოა, თუმცა მათი გაშიფვრის უამრავი ვერსიები არსებობს. საქართველოს სინამდვილში ასეთი კომერციული საიდუმლოების შემცველია სამკურნალო პრეპარატი „სალხინო“, „თურმანიძის მალამო“ და ა.შ.

20. სამრეწველო შპიონაჟი და ბეჩმარკინგი

თავდაპირველად სამრეწველო შპიონაჟი ცნობილი იყო კომერციული შპიონაჟის სახით, რომელიც გამოიყენებოდა ისეთი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რომელის მიღება შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი ლეგალური მეთოდების გამოყენებით. მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური განვიარების ეპოქაში მრავალი ძლიერი კომპანია შპიო-

ნობს თავიანთ კონკურენტებს და ამისათვის არ იშურებს ძალას და სახსრებს. გასული საუკუნის 80-იან წლებში სიტყვათა წყობა „სამრეწველო შპიონაჟი“ გამოყენებულ იქნა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისადმი შპიონობის დროს. განსაკუთრებით ეკონომიკური და კონკურენტული დაზვერვისას, რომლებსაც უმეტესწილად ადგილი აქვს ღია ინფორმაციასთან, სამრეწველო შპიონაჟი გულისხმობს დაზვერვის განხორციელებას სპეციალური საიდუმლო მეთოდებით.

ტერმინი სამრეწველო შპიონაჟი (ხშირად ხმარობენ კომერციულ, სამეცნიერო-ტექნიკურ შპიონაჟს) გულისხმობს აქტიურ ქმედებებს, რომელიც მიმართულია ღირებული ინფორმაციის მოპოვების, გატაცების, დაგროვების და დამუშავებისაკენ, რომლებთანაც დაშვება დახურილია უცხო პირებისათვის. სამრეწველო შპიონაჟი (ინდუსტრიალ ესპიონაგე) არის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სახე, რომლის დროსაც ხდება კომერციული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის არაკანონიერი მოპოვება, გამოყენება და გამჟღავნება. სამრეწველო შპიონაჟი გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის, არამედ აგრეთვე საწარმოო ნიმუშების გატაცებას, რომლებსაც გააჩნიათ საწარმოო, კომერციული და სამსახურებრივი საიდუმლოება. სამრეწველო შპიონაჟი შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:

1. **კონკურენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვება.** იგი შეიძლება განხორციელდეს ღია წესით ან დახურული და ფარული (უკანონო) გზით. ღია წესით ინფორმაციის მოპოვება კონკურენტზე ან კონკურენტული დაზვერვა არაა ზიანის მიმყენებელი ობიექტის მიმართ. მაგრამ ფარული გზით საიდუმლოდ დაცული ინფორმაციის მოპოვებამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს კონკურენტ ფირმას. კონკურენტული დაზვერვა შეიძლება გადაიზარდოს სამრეწველო შპიონაჟში. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურენტული დაზვერვის დროს ცხადი გახდება, რომ კონკურენტი გულმოდგინედ ასაიდუმლოებს ცნობებს მისი კომპანიის შესახებ, აგრეთვე როდესაც შეიქმნება ანალოგიური ახალი კომპანია. სამრეწველო შპიონობის საფუძველი შეიძლება გახდეს აგრეთვე როდესაც ერთი კომპანია მეორეს „წაართმევს“ სარფიან გარიგებას ან ინვესტორს.

2. **ინფორმაციის წყაროებში ცვლილებების შეტანა.** ამ ამოცანის შესრულება შეიძლება როგორც აქტიური (გაყალბება, გაწმენდა, წაშლა და ა.შ.), ასევე პასიური მოქმედებებით (მონაცემთა არშეტანა, შეცდომების გაუსწორებლობა და სხვ.). ხშირად გამოიყენება კონკურენტის დეზინფორმირების, მისი გაურკვევლობაში შეყვანის წესი, რაც იწვევს მის მატერიალურ დანაკარგებს. მაგ., დეზინფორმირების მეშვეობით შეიძლება

კონკურენტის იძულება დადოს არახელსაყრელი კონტრაქტი, ფული გადაუგზავნოს თაღლითებს, დაიქირავოს არაკომპეტენტური სპეციალისტები;

3. ინფორმაციის მოსპობა. იგი არის სამრეწველო შპიონაჟის მეშვეობით ზიანის მიყენების ყველაზე მარტივი ხერხი. ინფორმაციის მოსპობა განსაკუთრებით ხელსაყრელია იმ შემთხვევაში, თუ იგი არის ბიზნესის განვითარების აუცილებელი პირობა. მაგალითად, ცნობათა ბიუროსათვის მონაცემთა ბაზის განადგურება გამოიწვევს მის სრულ პარალიზებას. კერძო დეტექტივური სააგენტოსათვის ინფორმაციის წყაროს მოსპობა გამოიწვევს ყველა მოპოვებული სამხილების დაკარგვას. სამრეწველო საწარმოსათვის დოკუმენტაციის განადგურებამ შეიძლება გამოიწვიოს პროექტის რეალიზაციის შეფერხება, რეპუტაციის დაკარგვა. შეიძლება განადგურდეს როგორც თვით ინფორმაცია (მაგალითად, კომპიუტერში ფაილების წაშლა), ასევე მისი წყაროებიც (ქაღალდების დაწვა, აუდიომატარებლების დამტვრევა).

სამრეწველო შპიონაჟის ზემოჩამოთვლილი ამოცანები შეიძლება განხორციელდეს როგორც ცალკე თითოეული, ასევე კომპლექსურად.

სამრეწველო შპიონაჟს დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია მითი ცეცხლის ღმერთის პრომეთეს შესახებ, რომელმაც სხვა ღმერთების მხრიდან არასანქცირებული სრულიად საიდუმლო ცეცხლის მიღების ტექნოლოგია გადასცა ხალხს. ამის გამო, მითის თანახმად ზევსმა (ცის, ჭექა-ქუხილის ღმერთი) გასცა ბრძანება მისი კავკასიის ქედზე მიჭედვის შესახებ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 400 წლისათვის აღმოსავლეთი მნიშვნელად უსწრებდა დასავლეთს დაზვერვის ხელოვნებაში. ჩინელი მოაზროვნე და სტრატეგი სუნ ცზი წერდა: „ის რასაც ეძახიან წინასწარ განჭვრეტას, არ შეიძლება მისი მიღება არც სულებისაგან, არც ღმერთისაგან... არამედ ის უნდა იქნას მოპოვებული ადამიანებისაგან, რომლებიც იცნობენ მოწინააღმდეგის მდგომარეობას“. ამ დროიდან იწყება შპიონაჟი, მათ შორის, სამრეწველო. ამ მხრივ ძალიან დაწინაურდა მრავალი ხელმწიფე და კერძო პირი. კარგად დაყენებული დაზვერვის სამსახური ეხმარებოდა ვენეციელ ვაჭრებს, ფუგერების საბანკო სახლს, როტშილდების საგვარეულოს. მეთოდები არ იცვლებოდა ასწლეულობით: მოსყიდვა, შანტაჟი, ელჩი-შპიონების გაგზავნა, წერილების ხელში ჩაგდება, პერგამენტების (შემდგომში წიგნების და გაზეთების) წაკითხვა ბიბლიოთეკებებში და მონასტრებში. შესაძლებლობის შემთხვევაში უთვალთვალებდნენ და უსმენდნენ. სირთულე იყო მოპოვებული ინფორმაციის გადაცემა ანალიზისა და დამუშავებისათვის. ამისათვის საჭირო ხდებოდა არც თუ საიმედო შიკრიკის, ან კიდევ საფოსტო მტრედების გამოყენე-

ბა. იმისათვის, რომ გზებში არ დავიწყებოდათ მოპოვებული ინფორმაციის შინაარსი, მას იწერდნენ, ხოლო ზოგჯერ შიფრავდნენ კიდევაც. ინფორმაციის გადაღების და გადაცემის ტექნიკური საშუალებები იმდროიდან მიმართებაში დღეისათვის გამოიყურება შემდეგნაირად:

- მიკროფონი, ფოტოაპარატი, კამერა-შპიონის ყური და თვალი;
- დიქტოფონი ანდა ინფორმაციის დაგროვების სისტემა – ჩანაწერების გაკეთება;
- რადიოარხი, მავთულით გადაცემა და ა.შ. – შიკრიკი;
- მიმღები აპარატურა – პირი, რომელიც იღებდა ინფორმაციას შიკრიკისაგან.

რაც შეეხება მიღებული ინფორმაციის ანალიზს, ყველაფერი დარჩა უცვლელად. საჭიროა ადამიანი ანდა ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც შეუძლიათ ფიქრი, ანალიზი და დასკვნების გაკეთება. ერთადერთი, რამაც მათი მუშაობა დღეისათვის შედარებით შეამსუბუქა, არის კომპიუტერული ტექნოლოგია.

თითქმის XX-ე საუკუნის დასაწყისამდე ტექნიკის განვითარებამ ვერ მოახდინა გავლენა ინფორმაციის არასანქცირებულ მოპოვებაზე: ბურღავდნენ ხვრელებს კედლებში, იყენებდნენ საიდუმლო გასასვლელებს და ნახევრადგამჭვირვალე მინებს, უყურადებდნენ კარებთან და ფანჯრებთან. ტელეგრაფის და ტელეფონის გაჩენამ ხელი შეუწყო ინფორმაციის ტექნიკური საშუალებებით მოპოვებას. ინფორმაციის ხელში ჩაგდება ხდებოდა ომების მეშვეობით. 30-40 – იან წლებში გამოჩნდა დიქტოფონები, მინიატურული ფოტოაპარატები და სხვადასხვა რადიომიკროფონები. შემდეგში ინფორმაციის ხელში ჩასაგდებად დაიწყეს კომპიუტერების გამოყენება.

თანამედროვე ეტაპზე სამრეწველო შპიონაჟი ტარდება უფრო ცივილიზებული მეთოდებით და ხერხებით, რომელთა ერთი ნაწილი არ წარმოადგენს საიდუმლოს. ეს ეხება ძირითადად ღია ინფორმაციას, რომელიც ვრცელდება მასმედიის საშუალებით. ასევე კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების მიმართულებებს წარმოადგენენ:

- მოხსენებები კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე და ა.შ.;
- ამ ღონისძიებებზე კონკურენტების სპეციალისტების მიერ ფრთხილად დასმული კითხვები;
- მცდელობა სპეციალისტების მოწვევისა სამუშაოდ მათ მიერ სპეციალური კითხვარების შევსების მიზნით;
- საუბრები კონკურენტი ფირმის მოსამსახურეებთან (კანონის დაურღვევლად);

- კონკურენტი ფირმის თანამშრომლის დაქირავება სამუშაოდ საჭირო ინფორმაციის მისაღებად;
- საგამოფენო ნიმუშების შესწავლა;
- მოჩვენებითი (თვალთმაქცური) მოლაპარიკებები კონკურენტთან თითქოს-და ლიცენზიის შესყიდვის ანდა ერთობლივი საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ.

ზემოაღნიშნული მეთოდები დღევანდელ ეტაპზე არაა საკმარისი სამრეწველო შპიონაჟისათვის, რადგან ამგვარი ინფორმაციის დიდი ნაწილი შეიცავს დეზინფორმაციას. ამიტომაც სამრეწველო შპიონაჟისათვის იყენებენ დაზვერვის თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს.

ბენჩ-მარკეტინგის ქვეშ იგულისხმება საუკეთესო საწარმოების გამოცდილების, სტრატეგიის, გადაწყვეტილების, საქმიანი პრაქტიკის შესწავლა იმ მიზნით, რომ ამ გამოცდილებათა საფუძველზე მოხდეს ბიზნეს-საქმიანობის ადაპტირება და, შესაბამისად, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება

ბენჩმარკინგს საფუძვლად უდევს არა მხოლოდ კონკურანტი საწარმოების საქმიანობის შედარების იდეა, არამედ სხვა დარგების მოწინავე ფირმების გამოცდილების ანალიზი და შეფასება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კონკურენტებისა და წარმატებული კომპანიების გამოცდილების კვალიფიციური გამოყენება იძლევა დანახარჯების შემცირების და მოგების ზრდის საშუალებას.

ბენჩმარკინგის იდეის ქვეშ დასაშვებია სამრეწველო შპიონაჟის განხორციელება. წარმატებული გამოცდილების ძიებისას კომპანიები, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას აქცევენ კონკურენტებს. ერთმანეთის კონკურენტი კომპანიები მუდმივად აკვირდებიან ერთმანმეთს. თუ კონკურენტმა წაიღო ბაზრის ის ნაწილი, რომელიც თქვენ გეკუთვნოდათ, მაშინ ბევრი ფიქრის დრო არ რჩება და შეიძლება სათანადო ინფორმაციის მოსაპოვებლად და ბეჩმარკინგის ჩასატარებლად საჭიროა შეიქმნას სამრეწველო შპიონაჟის მეთოდების გამოყენება.

დასავლეთში ბენჩმარკინგის გამოყენება აქტიურად დაიწყეს 1970-იანი წლების დასასრულს. ლიერ შეავიწროეს ამერიკული კომპანიები, რასაც ამერიკელებმა ბეჩმარკინგის გამოყენებით უპასუხეს. იაპონიაში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში ბეჩმარკინგის პროგრამა ვითარდება სახელმწიფო მხარდაჭერით. ითვლება, რომ გამოცდილების ამ წესით გაცვლა ხელს უწყობს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

21. რეიდერობის არსი, სახეები და მეთოდები

რეიდერობა (ინგლ. რაიდერ) – ნიშნავს საწარმოს ძალადობრივ, არამეგობრულ შთანთქმას მისი მეპატრონის სურვილის წინააღმდეგ. რეიდერობასთან დაკავშირებულ პროცესს უწოდებენ „რეიდერულ მიტაცებას“. რეიდერულ საქმიანობას მიეკუთვნება აგრეთვე კორპორაციული შანტაჟი („გრინმეილი“). **გრინმეილი** (ინგლ. greenmail) – არის აქციათა პაკეტის გაყიდვა ფირმა-ემიტენტზე, ფირმა-ემიტენტის მენეჯერებზე ან მფლობელებზე, ისეთ ფასად, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება საბაზრო კურსს. ამასთან, პირი, რომელიც ყიდის აქციათა პაკეტს (გრიმნეილერი), გარიგებაზე უარის თქმისას აშინებს მყიდველს მტრული შთანქმით ან ფირმა-ემიტენტისათვის პრობლემების შექმნით. რეიდერობისაგან განსხვავებით, გრინმეილი ცალსახად არაეთიკურ ქმედებად ითვლება.

ადამიანები, რომლებიც ახორციელებენ რეიდერობას თავიანთი ინიციატივით ან სხვისი დაკვეთით, იწოდებიან *რეიდერებად*. ტერმინი „რეიდერი“ წარმოიშვა აშშ-ში და შემდეგ გავრცელდა სხვა ქვეყნებში. აშშ-ში რეიდერებს უწოდებენ საწარმოთა შერწყმისა და შთანთქმის პროცესში თავდამსხმელ მხარეს და მის ცნებაში არ ფიგურირებს კრიმინალის ნიშნები. თუმცა ინგლისურ ენაში კორპორაციული მიტაცების ყველა ეპიტეტი ატარებს უარყოფით მორალურ ნიშანს, რაც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ განსხვავებით მეგობრული შთანთქმისაგან, მიტაცემის შემთხვევაში ყოველთვის არის დაზარალებული მხარე.

მართალია სიტყვა „რეიდერობა“ კორპორაციულ მოტყუებასთან კავშირში არც ისე დიდი ხანია რაც გავრცელდა, მაგრამ აქტივების მიტაცება თვით აქციებთან ერთდროულად წარმოიშვა. რეიდერობით წარმატებულ შედეგს აღწევდა ჯონ როკფელერი მე-19 საუკუნეში, რისთვისაც იყენებდა ძალადობრივი გზით შეღავათიანი ფასების დაწესებას ნავთობის ტრანსპორტირებაზე.

რეიდდერების აქტიურობა მკვეთრად გაიზარდა 1980-იან წლებში, როდესაც დაიწყო „ნაგავი ობლიგაციების“ გამოყენება მიტაცებათა დასაფინანსებლად. ამ ტიპის ობლიგაციების გამომგონებელის მაიკლ მილკენის კომპანია 1974-1990 წლებში „მტაცებლურ“ ყოველდღიურ მრავალდღიან შეკრებებს (მეჯლისებს) აწყობდა რეიდერების გასართობად და მათი კაპიტალის დამბანდებლებთან შეხვედრების მოსაწყობად. კონტინენტალურ ევროპაში მასშტაბურ რეიდერობას ჰქონდა ადგილი მხოლოდ 1990-იან წლებში. მანამდე იგი იშვიათი იყო. მაგ., 1945 წლიდან 1998 წლამდე გერმანიაში მოხდა მხოლოდ სამი შემთხვევა კომპანიების არამეგობრული შთანთქმა.

კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ დაიწყო საკუთრების შეცვლის ეტაპი, რომელმაც მოიცვა ეკონომიკის ყველა სფერო. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციით დაიწყო წარმოებაში ახალი სისხლის გადასხმა, ანუ რეფორმირება. ამასთანავე, საბაზრო ეკონომიკაში საქმიანობის გამოუცდელობამ და თავისუფალი ეკონომიკის სფეროს კანონშემოქმედებით უზრუნველყოფაში პრაქტიკის უქონლობამ მიღებულ კანონებში ძალიან ბევრი ხვრელები დატოვა, რომელიც ხელშემწყობი აღმოჩნდა საკუთრების არამეგობრული შთანთქმისა და მიტაცებისათვის. პრივატიზაციის პირველ ეტაპზე ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი ბიუროკრატიასთან დაახლოებული პირების მიერ მსხვილ საწარმოთა და მიწის ნაკვეთების ხელში ჩაგდებას შედარებით დაბალ ფასებში.

შეიძლება ითქვას, რომ პოსტსოციალისტურ და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში პრივატიზაციის საწყისი ეტაპი კორუმპირებული იყო და თითქმის 75 პროცენტი სახელმწიფო აქტივებისა „შავ“ რეიდერებში მონაწილე ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელში მოხვდა. ამ ეტაპის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა რეიდერებისა და სამართალდამცველთა მოქმედება ურთიერთხელსაყრელობის პრინციპით. უფრო მეტიც, თვით სამართალდამცველები გამოდიოდნენ რეიდერების როლში. საკუთრების მოტყუებით სქემა აწყობილი იყო შემდეგნაირად: რეიდერები ყველანაირი ხერხებით ასუსტებდნენ სახელმწიფო საწარმოებს, ხოლო სამართალდამცავები აპატიმრებდნენ მათ ქონებას, შემდეგ კი მოკლე დროში ხდებოდა ამ ქონების 10-ჯერ და მეტად დაბალ ფასებში გაყიდვა.

აღსანიშნავია, რომ ყველანაირი რეიდი არ ატარებს უკანონო ხასიათს. რეიდერობა შეიძლება იყოს „თეთრი“, როდესაც აგრესორები მოქმედებენ მხოლოდ ეკონომიკური მეთოდებით, ანუ როდესაც ქონების მესაკუთრის შეცვლა ხდება კანონიერი სივრციდან გამოუსვლელად. ექსპერტები თვლიან, რომ თეთრ რეიდერობასთან ბრძოლა უშედეგოა, რადგან იგი კანონის ფარგლებში მიმდინარეობს და წარმოადგენს კონკურენციული ბრძოლის შემადგენელ ნაწილს. ესწრაფვიან რა საწარმოს მიტაცებას, თეთრი რეიდერები იყენებენ სხვადასხვა სრულიად კანონიერ მიდგომებს. მაგ., თუ რეიდერმა თვალი დაადგა რომელიმე რეგიონში რძის გადამამუშავებელ ერთადერთ საწარმოს, ის მისი ხელში ჩაგდების მიზნით, შეისყიდის ერთდროულად ამ რეგიონში წარმოებულ რძეს, რის შედეგადაც საწარმო დარჩება ნედლეულის გარეშე და მისი მეპატრონე იძულებული იქნება იფიქროს მის გაყიდვაზე დაბალ ფასში.

ეკონომიკის მთავარი მტერია „შავი“ რეიდერები. მათი მთავარი ინსტრუმენტებია: კორუმპირებული ჩინოვნიკების გამოყენება (ხელშეწყობა); დოკუმენტების გაყალბება;

სხვა რეგიონის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გაყალბება და ა.შ. შავი რეიდერების მიერ საკუთრების მიტაცების ერთ-ერთი ხერხია აქციათა პაკეტის იურიდიული დაბლოკვა. მისი არსი მდგომარეობს სასამართლოს მეშვეობით აქციებით კენჭისყრის უფლების დაპატიმრებაში. როგორც წესი, ასეთი გადაწყვეტილება მიიღება მოსამართლის მოსყიდვის ან გაყალბებული დოკუმენტების გამოყენებით. ასეთ ვითარებაში რეიდერები ბლოკავენ აქციონერთა პაკეტს იმ ვარაუდით, რომ საერთო კრების ჩატარებისას შედგეს კვორუმი. ეს იწვევს საწარმოს მესაკუთრეთა წილის შემცირებას და რეიდერებს აძლევს საშუალებას მიიღონ საჭირო გადაწყვეტილება. ამ ხერხის სახესხვაობაა - აქციების ფიზიკური დაბლოკვა. მიიღწევა იგი მარტივი, მაგრამ ქმედითი ხერხით. მაგალითად, თითქოს და შემთხვევით აქციონერები აცნობებენ კრების ჩატარების არასწორ ადგილს (მისამართს), ან გზაში შეიძლება იგი გააჩეროს პოლიციამ, აქციონერი შეიძლება მოხვდეს ავარიაში ან გაიჭედოს ლიფტში. ცალკეულ შემთხვევაში აქციონერი შეიძლება ფიზიკურად არ დაუშვან კრებაზე.

შემდეგი ხერხი გულისხმობს აშკარა, ღია უკანონობას, მაგრამ კანონის გაუმართაობის შემთხვევაში იგი ძალიან ეფექტურია და ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში. ეს არის აქციონერთა რეესტრის მანიპულაცია. ეს ხერხი ეფუძნება იმას, რომ აქციონერთა წილი განისაზღვრება აქციონერთა რეესტრში ჩანაწერით. გამომდინარე აქედან, რეიდერების აზრით შესაძლებელია აქციების ყიდვის გარეშე, რეესტრის მარტივად შეცვლა, თავიანთი წილის გაზრდა და „კანონიერ“ საფუძველზე აქტივების გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ასეთი გაყალბება ხორციელდება საკმაოდ მარტივად. თაღლითები მიდიან საგადასახადო ინსპექციაში იმ ოქმით, რომელიც ასაბუთებს თითქოსდა შემდგარ სხდომას, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხელმძღვანელი მუშაკების შეცვლის შესახებ. რამდენადაც საგადასახადო სამსახურს არა აქვს უფლება (ან არ შეუძლია) შეამოწმოს დოკუმენტის ნამდვილობა, ისინი არეგისტრირებენ წარმოდგენილ ოქმს. შემდეგ მრავალრიცხოვანი უნიფორმაში ჩაცმული შეიარაღებული პირების თანხლებით დამნაშავეები მიდიან კომპანიის შენობაში და არც თუ იშვიათად ძალის გამოყენებით ოფისიდან აგდებენ ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს. მანამ სანამ, კომპანიის ხელმძღვანელობა მიმართავს სასამართლოს, საკმაო დრო გადის და ამ პერიოდში რეიდერები ასწრებენ ქონების გაყიდვას და უკვალოდ გაუჩინარებას.

რეიდერები, მათი იდეოლოგები და პროპაგანდისტები, აგრეთვე ზოგიერთი ექსპერტიც ხშირად რეიდერეობას განიხილავენ როგორც კერძო შემთხვევას მთელს მსოფლიოში გავრცელებულ შეერთება-შთანთქმის პროფესიონალურ ბიზნესში. მათი აზრით, ეს

ბიზნესი ვითარდება და ასრულებს ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღების მნიშვნელოვან ფუნქციას, რადგან შერწყმა-შთანთქმის (მერგერს ანდ აცქუისიტიონს – &) ბიზნესით ხდება არაეფექტური (მათ შორის ცუდი მართვის გამო) მაგრამ მიმზიდველი აქტივების მქონე საწარმოების მისაკუთრება უფრო წარმატებული მენეჯმენტის მიერ. ფაქტობრივად რეიდერობა ეკონომიკის მიმართ უკანონო და არაეფექტიანი ზემოქმედებაა და იგი ნეგატიური შედეგების მომტანია. პრისტონის უნივერსიტეტის პროფესორ *ჯონთან ჰეინდლერის* აზრით რეიდერობა არა თუ ეკონომიკურად არაეფექტურია, არამედ იგი სახელმწიფოს ძირითადი წყობის ძირგამომთხრელია, რომლებიც ქმნიან შემდეგ 4 პრობლემას:

- აყენებენ ეკონომიკურ დარტყმას საწარმოებს;
- ძირს უთხრიან სოციალურ სფეროს;
- წარმოადგენენ სახელმწიფო უსაფრთხოების მუქარას;
- აფუჭებენ ქვეყნის ზოგად ინვესტიციურ გარემოს.

რეიდერების მოქმედებას ხშირად თან სდევს კრახი, რამდენადაც მათი მომსახურების ანაზღაურების შემდეგ ახალ მესაკუთრეს უწევს დიდი თანხის დახარჯვა მისი აქტივების „იურიდიული“ გასუფთავებისათვის და, რაც მთავარია, ახალი მენეჯმენტის ძიებისათვის, რომელსაც ექნება უნარი მართოს საწარმოო პროცესი. და რამდენადაც მიტაცების პროცესის 99% მოიცავს თავის თავში სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ქმედებებს – დაწყებული შანტაჟიდან და ძალისმიერი ზემოქმეებიდან და დამთავრებული დოკუმენტების ბანალური გაყალბებით – დამკვეთი უნდა იყოს მზად იმისათვის, რომ ახლად შეძენილი საკუთრება მას ისეთივე მეთოდით შეიძლება წაართვან. ეს კი არ ახდენს პოზიტიურ გავლენას ბიზნესის განვითარებაზე.

რეიდერობა განსაკუთრებულად სერიოზულად უშლის ხელს საშუალო ბიზნესს. იგი ბლოკავს ცივილური კონკურენციის განვითარებას, აცლის ფუნდამენტს საბაზრო ეკონომიკას, ანუ საკუთრებით ურთიერთობას და საბოლოო ჯამში ამუხრუჭებს ეკონომიკურ ზრდას. გარდა ამისა, რეიდერების ქმედება პირდაპირ უშლის ხელს სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების შესრულებას, რომელშიც მონაწილეობენ მიტაცებული საწარმოები. პრობლემების გადაწყვეტის მკაცრი და კონფლიქტური მეთოდები, რომლებიც დამყარებულია რეიდერობაზე ნეგატიურ დაღს ასვამს მთელ კორპორაციულ კულტურას და არახელსაყრელ იმიჯს უქმნის მათ. ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს რეიდერობისაგან თავის დაცვის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობას.

22. რეიდერებისაგან თავდაცვის ხერხები

ძირითადი საფრთხეები, რომლებიც ზრდიან რეიდერების ინტერესს ამა თუ იმ საწარმოს მიმართ, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

1. **საკუთრების სტრუქტურა**. კომპანიებში, რომლებშიც მონაწილეობს რამდენიმე მსხვილი აქციონერი (აქციის 10-20%-იანი და უფრო მაღალი წილით), შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც რომელიმე აქციონერს არ სურს შემოსავლის გაყოფა სხვა დანარჩენ თანამესაკუთრეებთან და შეეცადოს ერთპიროვნულ კონტროლს კომპანიისადმი. გადაწყვეტილების მიღებისას მაღალი რისკი არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ხმების თანაფარდობა შეადგენს 50:50. ამ დროს აქციონერებს აქვთ საშუალება დაბლოკონ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს კორპორაციული კონფლიქტებისათვის;

2. **კომპანიაში შიდა წინააღმდეგობის არსებობა**. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მენეჯმენტსა და აქციონერებს შორის, აღმასრულებელ და სამეთვალყურეო ორგანოებს შორის. თუ კომპანიაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ძირითად აქციონერებსა და აღმასრულებელ ორგანოებს (მმართველობა, პრეზიდენტი, დირექტორი) შორის, იქმნება კარგი წინაპირობები არამეგობრული შთანთქმის (რეიდერობის) წარმატებული განხორციელებისათვის;

3. **ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა**. ყველაზე კარგი პირობები არამეგობრული შთანთქმისათვის იქმნება აქციონერულ საზოგადოებაში, რამდენადაც აქციონერს შეიძლება ჰქონდეს უფრო მეტი უფლებები, ვიდრე შეზღუდული პასუხისმგებლობის მონაწილეს. კანონმდებლობა ავალდებულებს სააქციო საზოგადოებას იყოს უფრო გამჭვირვალე აქციონერებისათვის, ვიდრე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

4. **წარმატებულობა**. ზრდის ძალიან მაღალი მაჩვენებლები, ანდა დიდი პოტენციალი, ფინანსური კეთილდღეობა, კომპანიის ადმინისტრაციული რესურსი – ყველაფერი ესენი ის ფაქტორებია, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნეს კომპანიის არაკეთილსინდისიერი, არამეგობრული შთანთქმისათვის.

მუქარის სიგნალს შეიძლება წარმოადგენდეს ძალიან აგრესიული აქციონერის გამოჩენა, რომელიც იწყებს ბრძოლას თავისი კანონიერი უფლებების აღიარებისა და რეალიზაციისათვის და, შესაბამისად, იურიდიულად აპროტესტებს კომპანიისა და აქციონერების ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ამისათვის საბაბს, როგორც წესი, იძლევიან მსხვი-

ლი აქციონერული კომპანიები, რომლებიც არ ცდილობენ დაიცვან აქციონერთა უფლებები.

5. **სამართლებრივი ნიჰილიზმი და ადმინისტრაციული რესურსებისადმი დაყრდნობა.** იგი გულისხმობს შესაძლებლობას მოსყიდულ იქნას სამართალდამცავი ორგანოები და ადმინისტრაციული აპარატი, რათა გარკვეული ანგარების საფუძველზე მათ მხარი დაუჭირონ კომპანიათა არამეგობრულ შთანთქმას და საკუთრების რეიდერებზე გადაფორმებას.

6. **კომპანიის ღირებულების შეუფასებლობა და სუსტი მენეჯმენტი.** კომპანიები, რომლებსაც აქვთ ზრდის ფარული პოტენციალი და იგი არარეალიზებულია სუსტი მენეჯმენტის გამო, ამავე დროს გააჩნიათ პერსპექტივა განვითარების კუთხით – წარმოადგენენ კარგ სამიზნეს არამეგობრული შთანთქმისათვის. ამ შემთხვევაში რეიდერეობისაგან თავის დასაცავად საჭიროა ბიზნესის პოტენციალის დროული შეფასებაა და მენეჯმენტის იმ დონემდე აყვანა, რომ უზრუნველყოფილი იქნას ეს პოტენციალი.

როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, კომერციული სტრუქტურები ყოველთვის არ არიან მზად არც იურიდიულად და არც ორგანიზაციულად მტრულად განწყობილი რეიდერული თავდასხმების მოსაგერიელებლად. განსაკუთრებით ეს ეხება პოსტსაბჭოური ქვეყნების კომპანიებს, სადაც სუსტ ადგილებს წარმოადგენს საწესდებო დოკუმენტების არასრულყოფილი დამუშავება, განსაკუთრებით ეს ეხება ჰოლდინგურ კომპანიებს, სადაც ხშირად მთავარი კომპანია ერთდროულად არის საკუთრების ცენტრი, მართვის ცენტრი და მოგების ცენტრი. ჰოლდინგური კომპანიის ასეთი სტრუქტურა ქმნის ხელსაყრელ პირობებს აგრესორის თავდასხმისათვის, ამცირებს დაცვის ეფექტიანობას არამეგობრული შთანთქმის შემთხვევაში.

ბიზნესის თეორიასა და პრაქტიკაში დღეისათვის შემუშავებულია სხვადასხვა მიდგომები და მეთოდები რეიდერების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი აგრესიული თავდასხმების თავიდან აცილებისათვის. ზოგადად რეიდერებისაგან თავდაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. **ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები.** საწარმოთა ძალისმიერი მიტაცება მეტწილად ხდება იქ, სადაც რეიდერი ხედავს „სუსტი“ მესაკუთრის არსებობას. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ რეიდერული თავდასხმები, საჭიროა ყურადღების გამახვილება შემდეგ შეცდომებზე:

- აქციათა პაკეტის კონსოლიდაციის მიმართულებით სუსტი ძალისხმევა. დაშლილი პაკეტი, როგორც მინიმუმ, ნიშნავს, რომ რეიდერს შეუძლია შეეცადოს მისი მნიშვ-

ნელოვანი ნაწილის შესყიდვას და შემდგომ კანონიერად განაცხადოს პრეტენზია მართვაში მონაწილეობაზე, ანუ საწარმოოს კონტროლის განხორციელებაზე;

- საწარმოთა მესაკუთრეებს შორის შიდა ეკონომიკური კონფლიქტები და აზრთა სხადასხვაობა;
- აქციონერთა უფლებების იგნორირება, დივიდენდების ქრონიკულად არგადახდა ანდა სიმბოლური დივიდენდების გაცემა;
- საწარმოს მოგების გადამალვა გადასახადების მინიმიზაციის მიზნით. ამას ეძლევა სისხლის სამართლის კვალიფიკაცია;
- საწარმოდან აქტივების გადატანა მენეჯერების მიერ კონტროლირებად სტრუქტურებზე, ანდა აქტივების გაყიდვა დაბალ ფასებში სხვაობის მითვისებით. პრაქტიკულად ამასაც ეძლევა სისხლის სამართლის კვალიფიკაცია;
- გარემოს დაცვითი და სხვა ტექნიკური ნორმების იგნორირება.

2. **იურიდიული ხასიათის ღონისძიებები** – ანუ ღონისძიებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კანონს, და გაართულებენ საწარმოს მიტაცება-შთანთქმას. რეიდერების ტიპური ქმედებების ცოდნისას, შეიძლება წინასწარ დაინერგოს საწარმოს დაცვითი მექანიზმები:

- აქციების გადაცემა რწმუნებულთა მართვაში, რაც კანონმდებლობით დაშვებულია;
- აქციების გადაცემა ნომინალურ მფლობელზე, რომელიც შეიძლება იყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალური მონაწილე, მაგალითად დეპოზიტორი;
- აქციების გადაცემა დამეგობრებულ პირთან გირაოს ქვეშ ნოტარიალური დამტკიცებით.

3. **ორგანიზაციულ-სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებები**. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ კორპორაციული მიტაცებისადმი შედარებით მდგრადია ის ბიზნესი, რომლის სტრუქტურა შედგენილია ახალი რეალიების გათვალისწინებით. აღიარებულ დაცვით მექანიზმს წარმოადგენს ბიზნესის ჰოლდინგური სტრუქტურების დანერგვა, ჰოლდინგში აქტივების ოპტიმალური განაწილება.

ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უნდა გატარდეს ბიზნეს-სტრუქტურებში რეიდერების შემოტევისაგან თავის დასაცავად, მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

- იურისტების მიერ საწარმოთა ისტორიის ანალიზი იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს სამართლებრივი კუთხით არსებული სუსტი მხარეები და მიღებულ იქნას გადაწყვეტილებები მათ აღმოსაფხვრელად;
- კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტების მდგომარეობაზე სისტემატიური კონტროლი;
- კომპანიის წესდების სიღრმისეული დამუშავება, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი გენერალური დირექტორის უფლებები და გათვალისწინება იმისა, რომ აქციონერების გარეშე მას არ მიეცეს უფლება მსხვილ გარიგებებზე;
- ყველა გარიგებათა კვალიფიციური იურიდიული გაფორმება;
- აქტივების მიმზიდველობის შემცირება ქონების არენდის გადაცემის გზით „თავის თავზე", რაც გულისხმობს სპეციალურად იურიდიული პირის შექმნას, რომელზედაც გადანაწილდება ქონება;
- უძრავი ქონების გამოყენება როგორც კრედიტის უზრუნველმყოფელ საშუალებად, აღებული საიმედო ბანკისაგან. გირაოს გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ გირაოს მფლობელის თანხმობის შემთხვევაში;
- ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება ინფორმაციის დროული მიღებისათვის კომპანიის მიმართ ინტერესის გაჩენის თაობაზე.

ჩამოთვლილი ღონისძიებები ატარებენ ლოკალურ ხასიათს და არ წყვეტენ პრობლემას სტრატეგიული კუთხით, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა დამატებითი მექანიზმების დამუშავება, რათა თავიდან იქნას აცილებული რეიდერების თავდასხმები.

23. რეკეტი, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ელემენტი

იმისათვის, რომ მკაფიო წარმოდგენა შეგვექმნას რეკეტის ადგილზე ორგანიზებულ დანაშაულთა სისტემაში საჭიროა განვმარტოთ ორგანიზებული დანაშაულის არსი. *ორგანიზებული დანაშაული* არის სისტემატიური დანაშაულებრივი საქმიანობა ძირითადად ეკონომიკის სფეროში. იგი ხორციელდება დანაშაულებრივი თანამზრახველების მიერ მაღალი მოგების მიღების მიზნით ან კიდევ საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროზე ზეგავლენის მოსახდენად. ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფს გააჩნია განშტოებული სტრუქტურები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ საერთაშორისო დონეზე. გააჩნია დაზვერვითი, კონტრდაზვერვითი სტრუქტურები და ფინანსური ბაზა.

ორგანიზებული დამნაშავეობა ქმნის საფრთხეებს ქვეყნის ეკონომიკისა და საერთაშორისო თანასაზოგადოებისათვის.

ორგანიზებული დამნაშავეობა წარმოადგენს დანაშაულის ერთ-ერთ საშიშ სახეს, რომელიც ანგრევს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებს. ეს გამოიხატება არა მხოლოდ იმაში, რომ დანაშაულის მონაწილეები გააზრებულად და მიზნობრივად მოქმედებენ და დიდია მათგან მიღებული ზარალი, არამედ იმაშიც, რომ რომ ჯგუფში ხდება მოზიდვა იმ პირებისა, რომლებიც მარტო, იზოლირებულ შემთხვევაში არ დაადგებოდნენ დანაშაულებრივ ქმედებებს.

ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია რეკეტი. **რეკეტი** (ინგლ. racket – ხმაური, ფაცი-ფუცი) ნიშნავს გამოძალვას განგსტერების მხრიდან გარკვეული საზღაურის (ძღვენის) ფიზიკური და საკუთრებითი ზიანის მიყენების მუქარით. იმისათვის, რომ რეკეტიორებმა მიიღოს სტაბილური მოგება, ისინი თავის თავზე იღებენ უზენაესი არბიტრის როლს ქონებრივ დავებში თავიანთ კლიენტებს შორის (სავალო ვალდებულებები, საკონტრაქტო შეთანხმებათა შესრულება და სხვა).

დამნაშავეთა ორგანიზაცია, რომელიც დასაქმებულია რეკეტით ყიდის თავის მომსახურებას ყველა სახის კრიმინალური ელემენტებისაგან საკუთრების უფლებების დაცვაზე. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს სამართალდამცავი ფუნქციაა და მათი მონოპოლიური სფეროა. ამიტომაც რეკეტის განვითარება შეიძლება განხილულ იქნას როგორც კრიმინალური ჩრდილოვანი ხელისუფლება, რომელიც კონკურენციას უწევს ოფიციალურ სახელმწიფო სამართალდამცავ სტრუქტურებს.

რეკეტიორები ერთიანდებიან მაფიებად. **მაფია** (იტალ. mafia) – კრიმინალური თანასაზოგადოებაა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა იტალიაში (სიცილია) მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. შემდეგ იგი გავრცელდა აშშ-ში და ზოგიერთ სხვა მსხვილ ქვეყანაში. მაფია წარმოადგენს კრიმინალურ დაჯგუფებათა ერთიანობას („ოჯახს“), რომელსაც გააჩნია საერთო ორგანიზაცია, სტრუქტურა და ქცევის კოდექსი. მაფიის თითოეული ჯგუფი „მუშაობს“ გარკვეული მიმართულებით, ახორციელებს რეკეტს დიდი ქალაქის ცალკეულ ტერიტორიებზე, ან მთლიანად პატარა ქალაქში და ქვეყნის რეგიონში.

მაფია ასრულებს მთავრობის ფუნქციას (კანონების აღსრულება და კრიმინალური სამართალწარმოება) იმ სფეროში, სადაც კანონიერი სასამართლო სისტემა განიცდის ფიასკოს თავისი უფლებამოსილებების განხორციელებაში. კრიმინალური მთავრობის ფუნქციის შესრულება შეუძლია არა ცალკეულ კრიმინალებს და წვრილ ბანდებს,

არამედ მხოლოდ მსხვილ მაფიურ ორგანიზაციებს, რომლებსაც დიდი მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ.

ამავე დროს წარმოიშობა სხვადასხვა დამნაშავეთა ჯგუფებისა და ორგანიზაციების მოქმედებების კოორდინაციის აუცილებლობა იმ მიზნით, რომ არ მოხდეს მათი შეჯახება სხვადასხვა ტერიტორიებზე. ამისათვის იქმნება სპეციალური „დირექტორთა საბჭოები“, რომლებშიც შედიან მსხვილი დანაშაულებრივი „ოჯახების“ ხელმძღვანელები და რომლებიც რეგულარულ კრებებზე ახდენენ კრიმინალური მოქმედებების სტრატეგიულ დაგეგმვას და შიდა კონფლიქტების დარეგულირებას.

რეკეტის მრავალი სახე არსებობს. პრაქტიკაში განასხვავებენ რეკეტის შემდეგ სახეებს:

1. **რეკეტი შრომითი ურთიერთობების სფეროში,** რომლის მიზანია პროფკავშირების ხელმძღვანელობის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევა. გამოიყენება მუქარები და ძალა ორგანიზაციის ჯგუფის მიმართ. დამნაშავეთა ელემენტები, როგორებიც არიან პროფკავშირების ხელმძღვანელები, იღებენ ქრთამს საწარმოს ხელმძღვანელებისაგან გარკვეული მომსახურებისათვის (მაგალითად, გადაწყვიტონ ვის მისცენ სამუშაო ადგილი);

2. **„სახურავიანი რეკეტი“** (ხშირად მას ჩვენში „კრიშას“ უწოდებენ), რომლის წევრები საზოგადოებრივი გამოყენების დაწესებულებებს (რესტორნები, მაღაზიები, ღამის კლუბები და ა.შ.) უთვლიან მუქარას, რომ თუ ისინი არ გადაიხდიან გარკვეულ საზღაურს, დაკარგავენ ქონებას და კლიენტურას. ასეთი რეკეტი ყველაზე მეტადაა გავრცელებული;

3. **აქციონერული რეკეტი,** რომელთა წევრები იძენენ ამა თუ იმ ფირმის აქციებს და იღებენ აქციონერთა კრებაზე მონაწილეობის უფლებას. ეს აძლევს მათ საშუალებას დააშანტაჟონ კომპანიის ადმინისტრაცია, დაემუქრონ კრების ჩაშლით. ხელმძღვანელებზე ზეწოლის მიზნით გამოიყენებენ მაკომპრომენტირებელ მასალებს.

რეკეტის წარმოშობის მრავალი მიზეზი არსებობს, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- **პროდუქციის სიჭარბე**. ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ ჭარბი ნედლეული და ენერგეტიკული რესურსი, აქვთ მიდრეკილება პოლიტიკური რეკეტის თემად აქციონ ამ რესურსებზე სხვების დაშვების საკითხი. ეს დამახასიათებელია ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნებისათვის (რუსეთი, ზაირი, ნიგერია და სხვა);

- **პრივატიზაცია**. ამ სფეროში რეკეტს აქვს ადგილი პოსტსოციალისტურ და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ამ ქვეყნებში თავდაპირველად ჩატარდა ვაუჩერული პრივა-

ტიზაცია, რომლის დროსაც აქციების საკონტროლო პაკეტი ძირითადად შეიძინა საწარმოთა ადმინისტრაციამ. ამ პრივატიზაციის დამთავრების შემდეგ დაიწყო პროვატიზაციის მეორე ფაზა, როდესაც სახელმწიფომ დაიწყო თავისი წილის გაყიდვა. ამ პროგრამის განხორციელების შემდეგ კერძო სექტორში დომინირებადი ადგილი დაიკავა საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებმა, რომლებმაც შეძლეს სახელმწიფო ადმინისტრაციაში შეღწევა. ისინი სხვადასხვა ფარული თუ კანონიერი გზებით აგრძელებდნენ თავიანთ ბიზნეს-საქმიანობას და ახერხებდნენ თავიანთი ფირმებისათვის შეღავათებისა და პრივილეგიების მიღებას. ფაქტობრივად შეიქმნა *ოლიგოპოლია*, როდესაც ბიზნესმენები და პოლიტიკოსები ერთი და იგივე ადამიანებია. ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი მესამე სამყაროს ქვეყნებში, სადაც სულთანები და მათი ნათესაობა არა მხოლოდ მართავენ ქვეყანას, არამედ მსხვილი მესაკუთრეებიც არიან;

- **პრიმიტიული ლიბერალიზმი**. ეს ნიშნავს ველურ თავისუფლებას. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ხელს იღებს ბიზნესის სამართლებრივი რეგულირებისაგან. ლიბერალური მიდგომისას ხშირად სუსტდება სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა. ხშირად ლიბერალიზმს თან ახლავს დაუსჯელობა. თითოეული, ვინც ეწევა კრიმინალურ საქმიანობას დაბალი რისკის ქვეშაა და დასჯის არ ეშინია. სახელმწიფოს მხრიდან თავისი ფუნქციის შეუსრულებლობა გზას უხსნის რეკეტს, ზრდის მის მასშტაბებს და არეალს;

- **მორალური ვაკუუმი**. რეკეტის წარმოშობის მიზეზი შეიძლება იყოს ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტის ეთიკური ნორმების დაუცველობა-უქონლობა, იმ საქმეში, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ (ეკონომიკა და პოლიტიკა). ეთიკური მორალის პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, სადაც წლების განმავლობაში რელიგიური ფასეულობები იდევნებოდა და ადამიანების ზნეობის და კულტურის ჩამოყალიბებაში რელიგიას თავისი წვლილი არ შეუტანია.

ორგანიზებული ეკონომიკური დანაშაული სხვადასხვა ქვეყნებში დამოკიდებულია კონკრეტულ-ისტორიული პირობების თავისებურებებზე. მაგ., იტალიაში ორგანიზებული დანაშაული გამოიხატება მაფიის სახით, აშშ-ში განგსტერიზმით, რომელიც ვლინდება გამოძალვაში ნახევრადლეგალურ ბიზნესში, პროფკავშირებში და პოლიტიკურ საქმიანობაში, კოლუმბიაში – ნარკომაფიის სახით, რუსეთში – ბანდიტიზმის სახით და ა.შ.

მიუხედავად გარკვეული ნაციონალური თავისებურებებისა, ყველგან ორგანიზებული დანაშაულის შემადგენელია *რეკეტი,* რამდენადაც ის აერთიანებს თავის თავში ლეგალურ და არალეგალურ მეწარმეობას. სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში,

როგორც წესი, რეკეტი გაიგივებულია გამოძალვასთან. ასეთი პოზიცია შეიძლება შეგვხვდეს სამეცნიერო ლიტერატურაში. ფაქტობრივად რეკეტსა და გამოძალვას შორის განსხვავება არც არსებობს. გამოძალვა კარგი გაგებით, არის სხვისი ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის მოთხოვნა, თუმცა ფართო გაგებით იგი მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა მუქარისა და ძალადობის გამოყენება, ცრუ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ზიანს აყენებს დაზარალებულს. როგორც უკვე აღინიშნა, რეკეტიც არის გამოძალვა. განსხვავება *იმაშია, რომ რეკეტი თითქმის ყოველთვის ღებულობს ორგანიზებული დანაშაულის სახეს, ხოლო გამოძალვა შეიძლება განხორციელდეს დამოუკიდებლად მოქმედი დამნაშავის მიერაც.* ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ რეკეტში გამოყენებული მეთოდები უფრო მძიმე ხასიათისაა, ვიდრე გამოძალვის პირობებში. რეკეტი თვით ადამიანის გატაცებასაც ითვალისწინებს, რომელიც შეუძლია მხოლოდ ორგანიზაციულ ჯგუფს, ხოლო ცალკე, ავტონომიურად მოქმედ გამომძალველს ეს არ შეუძლია.

როგორც რეკეტის, ასევე გამოძალვის დროს გამოიყენება **შანტაჟი** (ფრ. ცჰანტაგე), რომელიც არის მაკომპრომინტირებელი და ცილისმწამებლური მუქარა სხვისი ქონების მითვისების ან სხვა სახის დათმობების მიღების მიზნით. შანტაჟის მეთოდი პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება. შანტაჟისტის გაანგარიშება მდგომარეობს იმაში, რომ დაშანტაჟებული მხარისათვის შედეგები უფრო მძიმე და მიუღებელია, ვიდრე მაშანტაჟებელი მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესრულება.

უფრო კონკრეტულად რეკეტსა და გამოძალვას შორის განმასხვავებელი ნიშნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- **პირველი.** გამოძალვა ყოველთვის არაა დანაშაული, ხოლო რეკეტი, თავისი წარმოშობისთანავე ისტორიულად ხასიათდებოდა კანონიერი და უკანონო მეწარმეობის შეთავსებად, სიმბიოზად, ორგანიზებული დანაშაულის შეღწევად ლეგალურ ბიზნესში;
- **მეორე.** რეკეტი მოიცავს არა მხოლოდ გამოძალვას, არამედ ანგარებით კრიმინალური ძალადობის სხვა სახეებსაც. მაგ., ყაჩაღობას, ძარცვას, მკვლელობას და ა.შ., რომელიც უზრუნველყოფს უპირატესობას კონკურენტებს შორის ლეგალურ ეკონომიკაში.
- **მესამე.** გამოძალვისა და რეკეტის გათანაბრება არ იძლევა საშუალებას სრულად შეფასდეს მათი საზოგადოებრივი საშიშროება. რეკეტის ძირითადი ნეგატიური შედეგი მდგომარეობს წარმოებული საქონლის და მომსახურების გაძვირებაში, მათი ხა-

რისხის შემცირებაში, საგადასახადო ბაზის შევიწროებაში მოგების ნაწილის გადამალვის გზით.

რეკეტმა თავის განვითარებაში გაიარა სამი ეტაპი:

პირველი ეტაპი – ეს არის რეკეტის ფეხზე დადგომა, რომლის დროსაც ქონების წართმევა ხდება იმ პირებისაგან, რომლებიც ეწევიან ბიზნეს-საქმიანობას. ამისათვის გამოიყენება კრიმინალური ძალადობა. მაგრამ ასეთი რეკეტი დიდხანს ვერ ძლებს, რადგან მის მსხვერპლს არ შეუძლია უსასრულოდ ზრდადი რეკეტული გადასახადის გადახდა, ამიტომ იგი კარგავს ეკონომიკურ სტიმულს. მეწარმეები უპირატესობას ანიჭებენ თავდაცვას და ცდილობენ მოიპოვონ სამართალდამცავი ორგანოების მხარდაჭერა, თუ მათი საქმიანობა კანონიერია. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავენ კრიმინალურ სტრუქტურებს, რომლებიც დაიცავენ მათ ზომიერი საფასურის გადახდის სანაცვლოდ. რეკეტი ტრანსფორმირდება „მკაცრიდან“ „მსუბუქ“ რეკეტად, რადგან პირველი შემთხვევის შენარჩუნებისას ისინი კარგავენ „დასაბეგრ ბაზას“. სწორედ აქ იწყება რეკეტიორთა ჯგუფებად დაყოფა ანუ „სახურავიანი“ რეკეტის ფორმირება.

მეორე ეტაპი – რეკეტის მალულ ფორმაში გადასვლა, მის მიერ აშკარა კრიმინალური ძალადობის ფორმის დაკარგვა. ამ ეტაპზე რეკეტისათვის დამახასიათებელი ნიშნებია: დანაშაულებრივი ჯგუფების პრივატიზაციაში მონაწილეობა; საწარმოებთან მათი თანამშრომლობის ძალადობრივი გზით თავს მოხვევა; საწარმოს ხელმძღვანელობაში თავიანთი წარმომადგენლის ჩართვა; საწესდებო ფონდში თავიანთი წილის ჩადება; თავიანთი საწარმოების შექმნა კრიმინალური საქმიანობის დამალვის მიზნით; ცალკეული გავლენიანი პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების დაფინანსება.

მესამე ეტაპი. რეკეტის მიერ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი დარგების მონოპოლიზაცია (მეტალურგია, ნავთობმოპოვება და გადამუშავება, მანქანათმშენებლობა). ამ ეტაპის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ხდება რეკეტის სახელმწიფოსთან შერწყმა. ამ ეტაპზე კრომინალური სტრუქტურების მიერ გამოიყენება სამართალდამცავი ორგანოების ძალისმიერი ქვედანაყოფები.

რეკეტის წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს შემდეგი მეთოდები:

- რეკეტიორთა ჯგუფების გამოვლენა, მათი ლიდერების ნეიტრალიზაცია;
- სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან იმ დამნაშავეთა გათავისუფლება, რომლებიც გასცემენ ორგანიზებულ დანაშაულთა წევრების ვინაობას;

- იმ პირების პასუხიმგებლობის შერბილება, ვინც მოინანიებს რეკეტში საქმიანობას;
- სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობის ხარისხის ამაღლება;
- იმ სამართლებრივი ბაზის განმტკიცება, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს;
- სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესება.

24. კორუფცია და გამოვლების ფორმები

კორუფცია (ლათ. corrumpere = ვაფუჭებ) ფართო გაგებით სახელმწიფო ძალაუფლების არადანიშნულებისამებრ გამოყენებაა არალეგიტიმური, როგორც წესი, საიდუმლო, პირადი კეთილდღეობისთვის.

მმართველობის ყველა ფორმა შეიძლება გახდეს კორუფციის წყარო. ყველაზე გავრცელებული ფორმებია *პატრონაჟი, მოქრთამვა, გამოძალვა, ძალაუფლების გამოყენება, გაფლანგვა და ნეპოტიზმი.* როგორც წესი, სახელმწიფო მოხელეთა კორუფცია ორგანიზებული კრიმინალური ქმედებების, როგორიცაა ნარკობიზნესი, ფულის გათეთრება, პროსტიტუცია და სხვათა, ხელშეწყობის მიზნით ხდება, თუმცა ის ამით არ შემოიფარგლება. შესაძლებელია კორუფცია სხვა სახის კრიმინალური ქმედების დაფარვის მიზნით არ ხდებოდეს.

თუ რა შეიძლება ჩაითვალოს კორუფციად შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნის და იურისდიქციის მიხედვით. გარკვეული სახის პოლიტიკური დაფინანსების პრაქტიკა, რომელიც ლეგალურია ერთ ქვეყანაში, შესაძლებელია არალეგალური იყოს მეორეში. რიგ ქვეყნებში პოლიციასა და სამართალდამცავ ორგანოებს ფართო ძალაუფლება აქვთ იმაზე თუ ვის ჩათვლიან დაპატიმრების და სასჯელის მისჯის კანდიდატად და ზღვარი სამართლიანობასა და კორუფციას შორის შეიძლება საკმაოდ ძნელი გასავლები იყოს. ქვეყნებში სადაც ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკა და ლობირების პრაქტიკა მიღებულია, ის რაც სხვაგან კორუფციად ჩაითვლებოდა ამ შემთხვევაში შესაძლებელია ოფიციალური ჯგუფის ლეგიტიმურ უფლებად იქნეს მიჩნეული.

კორუფცია პირდაპირი აზრით წახდენას, გაფუჭებას, მოსპობას, განადგურებას, დანგრევას, დარღვევას, ცდუნებას, გარყვნას, გახრწნას, მოსყიდვას, დამახინჯებას, ფალ-

სიფიცირებას ნიშნავს. კორუფცია არ არის მარტოოდენ პარვა და მექრთამეობა; მისი სპექტრი და მოქმედების ველი ერთობ ფართოა. ეს ცნება, ზოგადად სახელმწიფო მასშტაბის უკანონობასაც გულისხმობს და დამნაშავეთა დაუსჯელობასაც. კორუფცია კრიმინალური ცნობიერების ნაყოფია და იქ ჰპოვებს ნოყიერ ნიადაგს, სადაც კანონი არ კანონობს და საზოგადოების ზნეობრივი დონე დაბალია; სადაც საღი სარწმუნოება და ურთიერთობის კულტურა მშრალი, ცივი და უსახურია; სადაც პიროვნების ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობის პრინციპი აბუჩადაა აგდებული და დაცინვის საგანია. კორუფციის გამოვლინებების ნიშნებია:

- მექრთამეობა;
- საჯარო საკუთრების არადანიშნულებისამებრ, კერძო ინტერესებისათვის გამოყენება;
- ინტერესთა კონფლიქტი და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები;
- საჯარო მოხელეთა ისეთი ქმედება, როდესაც ხდება დადგენილი ნორმებიდან გადახვევა პირადი გამორჩენის მიზნით.
- კორიფციაში მონაწილე პარტნიორებს ურთიერთშეთანხმებულად მოქმედება;
- ორივე მხარე ღებულობს უკანონო ამონაგებს და უპირატესობას;
- უკანონო პროტექციონიზმის გაწევა;
- გარიგებათა ყველა მონაწილე ცდილობს თავიანთი მოქმედების დამალვას. კორუფციის ერთ-ერთი ფორმაა *ნეფოტიზმი*, რაც გულისხმობს მეგობრებისა და ნათესავებისათვის განსაკუთრებული პრივილეგიების დაუმსახურებელ მინიჭებას.. სიტყვა ნეპოტიზმი მომდინარეობს ლათინური სიტყვის "ნეპოს"-გან, რაც დისშვილს/ძმისშვილს ან შვილიშვილს ნიშნავს.

ნეპოტიზმმა სახელწოდება შუა საუკუნეების ეკლესიური გამოცდილებიდან შეიძინა, როდესაც კათოლიკური პაპები და ეპისკოპოსები, რომელთაც უბიწოების აღთქმა ჰქონდათ დადებული და თავიანთი შვილები არ ჰყავდათ, დისშვილებს/ძმისშვილებს ისეთ პრივილეგირებულ თანამდებობეს აძლევდნენ, რომლებიც ჩვეულებრივ მამიდან შვილზე გადადიოდა ხოლმე. ნეპოტიზმი დამახასიათებელია პოლიტიკისთვისაც, როდესაც ხდება ნათესავების, ნაცნობების, მეგობრებისა და პარტიულობის ნიშნით დანიშნვა თანამდებობებზე. იგი განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია უმუშევრობის დონე.

ცხადია, რომ კორუფცია ყველა საზოგადოებაში არსებობს, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ არსებობენ საზოგადოებები, სადაც ის მეტადაა გავრცელებული და ისეთებიც, სადაც კორუფცია ნაკლებია. როგორც წესი, კორუფცია საზოგადოების ევოლუციის პერიოდში მეტად იჩენს თავს, ვიდრე ნებისმიერ სხვა დროს. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მისი მასშტაბი ურთიერთკავშირშია სწრაფ სოციალურ და ეკონომიკურ მოდერნიზაციასთან. მე-18 და მე-20 საუკუნეების ამერიკის პოლიტიკური ცხოვრებისთვის კორუფცია ნაკლებად იყო დამახასიათებელი, ვიდრე მე-19 საუკუნისათვის. იგივე შეიძლება ითქვას მე-17 და მე-19 საუკუნეების ბოლო პერიოდის ბრიტანეთზე. ინგლისისა და ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში კორუფციის მაღალი დონე ემთხვევა სამრეწველო რევოლუციას, სიმდიდრისა და ძალაუფლების ახალი წყაროს განვითარებას და ახალი კლასის გამოჩენას. ამ პერიოდში პოლიტიკური ინსტიტუტები განიცდიან გარკვეულ დაკნინებას. ცხადია, კორუფცია არის ეფექტური პოლიტიკური ინსტიტუციონალიზმის დეფიციტის შედეგი. საჯარო მოხელეები დამოუკიდებლობის და თანმიმდევრულობის ნაკლებობას განიცდიან და თავიანთ ინსტიტუციონალურ დანიშნულებას შინაგან მოთხოვნებს უქვემდებარებენ. სხვადასხვა კულტურებში კორუფცია მეტნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ ის ყველაზე მასშტაბური მოდერნიზაციის ყველაზე მძაფრ ფაზაში ხდება. კორუფციის დონეებში შესაძლო სხვაობა, რომელიც მოდერნიზებულ და პოლიტიკურად განვითარებულ ატლანტიკურ სამყაროსა და ლათინური ამერიკის, აფრიკის და აზიის ქვეყნებს შორის იჩენს თავს, სწორედ პოლიტიკური მოდერნიზაციისა და პოლიტიკური განვითარების დონეებს შორის არსებული განსხვავების ასახვაა. როცა სამხედრო ხუნტისა და რევოლუციური მოძრაობის ლიდერები ამხელენ „კორუფციას“ მათ საზოგადოებებში, ისინი რეალურად ამხელენ საკუთარ საზოგადოებათა ჩამორჩენილობას.

მაღალი თანამდებობის პირების სისხლის სამართლებრივი დევნა საჭიროებს გამბედაობას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მხრიდან. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს დიდი გამბედაობა, ჩაატაროს გამოძიება საკუთარი აპარატის მიმართ. ასეთი გამბედაობის გარეშე ვერანაირი სამართალდამცავი ორგანოების ერთობლიობა ვერ შეძლებს წარმატებით გამოიძიოს მსგავსი დანაშაულებრივი საქმიანობა. სამართალდამცავ ორაგანოებს უნდა ჰქონდეს საკმარისი უფლებამოსილება, რათა მოითხოვონ საჭირო მტკიცებულებები, იქნება ეს დოკუმენტები თუ მოწმეთა ჩვენებები. მაგრამ იქნებ უმთავრესი მაინც იმ პროკურორების დამოუკიდებლობაა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, რომლებიც იძიებენ საქმეს, მათი შესაძლებლობა მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და არ ეშინოდეთ ხელისუფლების

არჩევითი წარმომადგენლების შურისძიების ან მათ საქმიანობაში ჩარევისა. ამ პირობებიდან რომელიმეს არარსებობის შემთხვევაში ძალზედ რთულია და პრაქტიკულად შეუძლებელია მაღალი თანამდებობის პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნება თანამდებობის პირების კორუფცია მოიცავს მთელ რიგ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, კერძოდ:

- მექრთამეობა–თანამდებობის პირის მიერ რაიმე თანამდებობრივი მოქმედებების სანაცვლოდ ფულის, ძვირფასეულობების და ა.შ. აღება.
- გამოძალვა–თანამდებობის პირის მიერ რაიმე თანამდებობრივი მოქმედებების სანაცვლოდ ფულის, ძვირფასეულობის და ა.შ. მოთხოვნა.
- ინტერესთა კონფლიქტს;
- სახელმწიფო უწყებისათვის ცრუ განცხადებების მიწოდება;
- ცრუ სასარჩელო მოთხოვნების წაყენებას სახელმწიფოსათვის.

კორუფცია, მისი მასშტაბები და დინამიკა არის ქვეყნის საერთო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შედეგი. იგი ყოვრლთვის იზრდრბა, როდრესაც ქვეყანაში მიმდინარეობს რადიკალური რეფორმები.

25. მექრთამეობა და მისი ფორმები

ქრთამი არის თანამდებობის პირის მიერ მიღებული მატერიალური ფასეულობა (საგანი ან ფული) ან რაიმე ქონებრივი ამონაგები ანდა მომსახურება იმ ქმედებაზე (ან უმოქმედობაზე), რომელიც შედის ქრთამის მიმცემის ინტერესებში. ქრთამით ხდება თამამდებობის პირის მოსყიდვა, რათა მან მიიღოს ქრთამის მიმცემისათვის სასურველი გადაწყვეტილება: შეღავათის მიღება; უპირატესობის მოპოვება; თანამდებობრივი დაწინაურება და ა. შ.

ქრთამი და მექრთამეობა უძველესი დროიდან მოჰყვება კაცობრიობას. მაგალითად, ძველ რომში ზოგიერთი იმპერატორის მართველობის დროს ქრთამის აღება ცხოვრების წესად იყო ქცეული. ეს წესი აგრეთვე მიღებული იყო ყველა იმ ქვეყნის მმართველთა კარზე, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ საქართველოს დაპყრობას და ვინაიდან ყველა რჯულის დამპყრობლისათვის ქრთამის აღებ-მიცემა ჩვეული მოვლენა იყო საქართველომაც ვერ აიცილა ეს სენი. ძველ ქართულ ტექსტებში გვხვვდება

სიტყვა ”ქრთამი”, რაც ადასტურებს იმ დროინდელ საქართველოში ამ მოვლენის არსებობას.

მრავალი საუკუნის წინ უმეტეს სახელმწიფოებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის მოხელეების მიერ კანონით დაუდგენელი გასამრჯელოს (ანუ ქრთამის) მიღება ჩვეულ ნორმად იყო აღიარებული. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად მეფისნაცვალი და მისი ჩინოვნიკები არ ღებულობდნენ ჯამაგირს ხაზინიდან და საკუთარი თავის რჩენაზე თავადვე უნდა ეზრუნათ. მათი შენახვა უშუალოდ იმ რეგიონის მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა, რომელშიც ისინი მეფის სამსახურს ეწეოდნენ. სახელმწიფო მოხელეების ”რჩენის” ამგვარი პრაქტიკა ხშირად დიდ პრობლემებს უქმნიდა ქვეყნის მმართველებსაც, ამის გამო ჩინოვნიკების გადამეტებული მადის შეზღუდვის მიზნით ისინი სხვა და სხვა ზომებს მიმართავდნენ.

მე XII საუკუნეში ქართველებმაც იცოდნენ სიტყვა ქრთამი. მას ორგვარი მნიშვნელობა გააჩნდა: ერთი, თანამედროვე აღქმით - კორუფციას, მეორე კი საბოძვარს ნიშნავდა. მართალია, რუსთველოლოგები კამათობენ ვეფხისტყაოსანის ამ მონაკვეთზე, მაგრამ მაინც გავიხსენოთ სტრიქონები, სადაც ავთანდილი ეუბნება ვაზირს: “ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო”, რაზეც ვეზირი პასუხობს: “ქრთამი შენ გქონდეს, შენია”.

საუკუნეების განმავლობაში მექრთამეობამ მრავალი მეტამორფოზა განიცადა და მის მიმართ ქვეყნები განსხვავებული სიმკაცრის სასჯელს იყენებდნენ და იყენებენ დღესაც. ამ მხრივ საინტერესოა რუსეთში მექრთამეობასთან ბრძოლის ისტორია:

1556 წელს მეფე ივანე მრისხანეს დროს ქვეყანაში ოფიციალურად აიკრძალა სახელმწიფო მოხელეების ”რჩენის” პრაქტიკა. მაგრამ ძალიან საინტერესოა, რომ მრისხანეს სახელით ცნობილმა მეფემ მხოლოდ მექრთამეობაში გადამეტებისთვის შემოიღო სიკვდილით დასჯა. იმის გამო, რომ პეტრე პირველის დროს მოხელეებს უკვე უხდიდნენ ფიქსირებულ ჯამაგირს, ნებისმიერი ფორმით ქრთამის აღება ითვლებოდა დანაშაულად. მაგალითად, კორუფციაში მხილებული ციმბირის გუბერნატორი გაგარინი ჩამოახრჩვეს, ხოლო პეტრეს ფავორიტი თავადი მენშიკოვი ისევ თვით მეფის წყალობით გადაურჩა ციმბირში გადასახლებას. ეკატერინე II მექრთამეებს უფრო ლმობიერად ექცეოდა. მან აკრძალა ქრთამის აღება, მაგრამ მექრთამეებს არ სჯიდა და მხოლოდ საჯაროდ აქვეყნებდა მათ სახელებს.

• დღეისათვის ქრთამის აღებისთვის ყველაზე მკაცრი სასჯელი, სიკვდილით დასჯა, მოქმედებს თანამედროვე კომუნისტურ ქვეყნებში - კუბაში და ჩინეთში. და თუ კუბაში,

ეროვნული ტრადიციებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, მაინც უფრო ლმობიერად უდგებიან ქრთამის აღების მოვლენას, ჩინეთში კანონის ამ სახის დარღვავასთვის ათასობით ჩინოვნიკი სიკვ ილით ისჯება.

• დიდ ბრიტანეთში მექრთამეობასთან ბრძოლისათვის ორი კანონი მოქმედებს. მექრთამეს უსჯიან პატიმრობას ან ქრთამის მოცულობის თანხის გადახდას, გარდა ამისა შვიდი წლის განმავლობაში ის კარგავს საჯარო სამსახურში თანამდებობაზე დანიშვნის ან არჩევის უფლებას. განმეორებითი სასჯელის შემთხვევაში დამნაშავე ამ უფლებას კარგავს სამუდამოთ და მას ჩამოერთმევა ყოველგვარი კომპენსაციის ან პენსიის მიღების ყველა უფლება.

• ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა ითვალისწინებს ქრთამის თანხის სამმაგი ოდენობით ჯარიმის გადახდას ან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სასამართლომ ერთდროულად შეიძლება გამოიყენოს ორივე სასჯელი.

• იტალიაში ამ სახის დანაშაული ისჯება 4-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

• საფრანგეთში სამრეწველო ან კომერციული საწარმოების ხელმძღვანელებს ან მოსამსახურეებს ქრთამის აღებისთვის შეიძლება მიუსაჯონ 7 წლამდე, ხოლო თანამდებობის პირებს 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. სასჯელი ორმაგდება თუ დამნაშავის ქმედებას მოჰყვა სერიოზული შედეგი.

• გერმანიაში ქრთამის ამღებს სჯიან ჯარიმით და 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. იგივე დანაშაულისთვის მოსამართლეები გამოუტანენ 10 წლამდე განაჩენს.

• ფინეთში ქრთამისათვის შეიძლება მიუსაჯონ 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. გარდა ამისა ჩინოვნიკს შეიძლება აუკრძალონ გარკვეული თანამდებობების დაკავება.

26. კორუფციის მაღალრისკიანი სფეროები

1979 წლის 17 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 34-ე სესიაზე კორუფციის ცნება განმარტეს როგორც თანამდებობრივი უფლებამოსილებების დაცვით ან დარღვევით გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, საზღაურის გამღების ინტერესებიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი ქმედება ან უმოქმედობა. მოკლე გაგებით კი კორუფცია ნიშნავს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას პირადი სარგებლის მიღების მიზნით, არსებობს კიდევ უამრავი განსხვავებული განმარტებებიც.

მას ხშირად აიგივებენ *კლეპტოკრატიასთან*, რომელიც ნიშნავს ქურდობის ძალაუფლებას, *პლუტოკრატიასთან*, ანუ მძარცველთა ძალაუფლებასთან ან კიდევ *პლუტოკრა-*

ტიასთან – მდიდართა ძალაუფლებასთან. ასეთი გაფართოებული მიდგომა კორუფციის შინაარსისა განპირობებულია იმით, რომ იგი თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან მანძილზე მუდმივად განიცდიდა სახეცვლილებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მსოფლიო გლობალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ ფართოვდებოდა მისი გავრცელების არეალიც.

დღევანდელ ეტაპზე კორუფციამ გლობალური სახე მიიღო და ტრანსნაციონალურ მოვლენად იქცა. კორუფცია უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს ისეთ პოლიტიკურ და ცივილიზებულ ფასეულობებზე, როგორიცაა: დემოკრატია, ბაზარი, განვითარება და ა.შ. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე საშიში საფრთხის – ტერორიზმის მასშტაბების ზრდა ბევრადაა დაკავშირებული კორუფციის გაფართოება-განვითარებასთან და მის გლობალიზაციასთან. კორუფციის ნეგატიურ შედეგებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შემდეგი: სახელმწიფო სახსრებისა და რესურსების არაეფექტური განაწილება და ხარჯვა; სახელმწიფო აპარატის მუშაობის ეფექტიანობის შემცირება; კერძო მეწარმეთა გაკოტრება; ეკონომიკური ზრდის შენელება; საერთაშორისო დახმარებების არამიზნობრივი გამოყენება; სოციალური უთანაბრობის ზრდა; ორგანიზებული დანაშაულებების ზრდა; საზოგადოებრივი მორალის დაცემა და ა.შ.

კორუფცია მისი კლასიკური ფორმით უმთავრესად მიმართულია ფინანსური რესურსების მითვისებისკენ. ექსპერტთა გაანგარიშებებით, საერთაშორისო დონორების მიერ ოფიციალურად გამოყოფილი დახმარებების ერთ მესამედზე მეტი არ მიდის საბოლოო მომხმარებლამდე და ილექება სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების მუხლში, უფრო ზუსტად კი კორუფციულ გარიგებათა მონაწილეების ჯიბეებში „ბონუსებისა“ და „ჯილდოების“ სახით. არსებობს მონაცემები, რომლის თანახმად, ღარიბ და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ქრთამებისა და სხვადასხვა კორუფციული სქემებით მიღებული 40 მილიარდამდე აშშ დოლარი ჩინოვნიკთა ანგარიშზე ყოველწლიურად ილექება ამერიკისა და ევროპის ბანკებში.

კორუფციის ტრადიციული ფორმებისაგან დღევანდელ ეტაპზე საფრთხეების შემცველია ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდეგი სფეროები:

სახელმწიფო ხარჯები: კორუფციის მხრივ ყველაზე დიდი საფრთხეების შემცველია სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, კერძოდ, საერთოსახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. სახელმწიფო მოხელეს (საგადასახადო ინსპექტორს) და მეწარმეს შორის კორუფციული გარიგებების შედეგად საგადა-

სახადო შემოსავლების უმეტესი ნაწილი ვერ აღწევს ბიუჯეტამდე და ნაწილდება ხელისუფლების სხვადასხვა დონის კორუფციულ მოხელეებს შორის. არანაკლები კორუფციული რისკის შემცველია ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. სახელმწიფო ბიუჯეტში (ასევე ადგილობრივ ბიუჯეტში) შეიძლება წარმოდგენილი იყოს ასიგნების ისეთი მუხლები, რომლებიც აშკარა კორუფციული საფრთხის შემცველები არიან. კორომპირებულ ქვეყნებში ბიუჯეტში უხვადაა მიმობნეული უცნაური დასახელების, უშინაარსო, ბუნდოვანი, არაეფექტიანი და ხელოვნურად შეკოწიწებულ პროგრამები, რომლებსაც ზედაპირული შეხედვითაც კი კორუფციის დამდა ადევთ. მათ შორისაა, უცხოური გრანტების და ბიუჯეტის თანადაფინანსებით წარმოქმნილი პროგრამები, რომლებშიც კორუფციული გარიგებების ალბათობა საკმაოდ მაღალია. კორუფციის ალბათონა განსაკუთრებით მაღალია ისეთ პროექტებში, რომლებიც წლების განმავლობაში უსაფუძვლოდ მეორდება ბიუჯეტში. •

სახელმწიფო შესყიდვები. სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა წლიდან წლამდე მაღალი ტემპებით იზრდება მთელს მსოფლიოში. ეს სფერო კორუფციისთვის ყველაზე ხელსაყრელი და შედარებით ძნელად კონტროლირებადია. შესყიდვების სფეროში კორუფციული გარიგება შეიძლება ორ ეტაპად დაიწყოს. პირველი, მაშინ, როდესაც ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების დაგეგმვა და საერთო ხარჯების სტრუქტურაში შესყიდვების მოცულობის ფორმირება. ამ შემთხვევაში კორუფციული გარიგებების სუბიექტურად შეიძლება გამოდიოდეს მიმწოდებელი (ფინანსთა სამინისტრო) და მომხმარებელი (მხარჯავი ორგანიზაცია). მეორე ეტაპზე გარიგება შეიძლება მოხდეს მხარჯავ დაწესებულებასა და კერძო სტრუქტურას შორის. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ფორმალურად სახელმწიფო შესყიდვები ხდება კანონის დაცვით, თუმცა, თავად კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შეიძლება უამრავი კორუფციული „ხვრელების“ შემცველი იყოს. შესყიდვების პროცესში კორუფციული გარიგებების ტექნოლოგია კარგადაა დამუშავებული. სატენდერო კომისიაზე შეუძლია იმ კომპანიას გამარჯვება, რომლისკენაცაა სუბიექტური სიმპათია გამოხატული. კორუფციული გარიგების საგანი შეიძლება იყოს შესასყიდი ფასები და „საკომისიო“ გადასახადები („ოტკატი“). ასევე კორუფციული ნიშნების შემცველია შესყიდვების სატენდერო წესისგან თავის არიდება, რასაც საბიუჯეტო დაწესებულებები სხვადასხვა ხელოვნურად შეკოწიწებული მიზეზებით ხშირად აღწევენ ხოლმე. ერთ პირთან მოლაპარაკებით მრავალმილიონიანი შესყიდვების განხორციელება მუდმივ კორუფციულ ნიშნებს შეიცავს და ეს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის დროს ხშირად ვლინდება.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია. პრაქტიკა ადასტურებს, რომ პრივატიზაციის პროცესს თითქმის ყველა ქვეყანაში თან ახლავს კორუფცია. პრივატიზაციისას კორუფციული გამოწვევები შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც სახელმწიფო მოხელეების (გამყიდველის), ასევე კერძო სექტორის (მყიდველის) ინიცირებით. კორუფციული გარიგებების ტექნოლოგია ამ შემთხვევაში შემდეგნაირია: მყიდველი ურიგდება გამყიდველს გასაყიდი ობიექტის ფასის შემცირებაზე იმ პირობით, რომ „მომსახურება" სათანადოდ ანაზღაურდება. როდესაც აუქციონზე რამდენიმე კონკურენტი მონაწილეობს (მათ შორის, უცხოელი), პრივილეგია ენიჭება ყველაზე „ხელგაშლილ" მონაწილეს. ეს თითქოს თეორიულად, მაგრამ პრაქტიკაშიც ფაქტობრივად ამგვარად ხდება და არც თუ იშვიათად. როგორც პრაქტიკა ადასტურებს, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში პრივატიზაციიდან ყოველი მეორე კანონდარღვევის შემცველია. დადგება. მრავალ ქვეყანაში ეჭვებს აღრმავებს ის გარემოება, რომ პრივატიზაციის პროცესი არაა გამჭვირვალე, იგი მცირე ჯგუფის მიერაა მისაკუთრებული. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ საზოგადოებამ არ იცის, ვინ დგას მსხვილი პრივატიზებული ობიექტების უკან. ეჭვს იწვევს ისიც, თუ რატომაა პრივატიზებული ობიექტების მესაკუთრე გაურკვეველი კომპანიები, რომლის უმეტესი ნაწილი ოფშორულ ზონებშია რეგისტრირებული.

ინვესტიციური პროექტები. უცხოური კრედიტები. გრანტები. დახმარებები. ეგზოგენურად მიღებული ყველა სახის რესურსი მაღალი კორუფციული რისკის შემცველია, რადგან კორუფციული საფრთხე მიმდინარეობს როგორც დონორი, ასევე რეციფიენტი ქვეყნის წარმომადგენლებისგან. უცხოური ინვესტიციების მართვას ახორციელებენ სახელმწიფო მოხელეები. მათ გააჩნიათ ყველანაირი ბერკეტი მსხვილი ინვესტიციები განათავსონ იმ ადგილობრივ ან უცხოურ კომპანიებში, რომლებიც მას „დაიმსახურებენ", ანუ შესაბამის რენტას გადაიხდიან. „წილში ჩაჯდომის" ტექნოლოგია ფართოდაა გავრცელებული. ასევე კორუფციული რისკის შემცველია უცხოეთიდან მიღებული თითქმის ყველა სახის მატერიალური და ფულადი სახის შემოსულობები. საქმე იმაშია, რომ მრავალ ქვეყანაში გარედან მიღებული ფინანსური სახსრების მიზნობრივი გამოყენების ეფექტიანი სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი სუსტია. არაა დანერგილი განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გამოყენებადი ეფექტიანობის აუდიტი. ამის შედეგად სახელმწიფო მოხელეებს ფინანსური დახმარებების, გრანტების და სხვა ეგზოგენური შემოსულობების ხარჯვის მიზნობრიობის შეცვლის დიდი არეალი გააჩნიათ, რაც კორუფციული რისკის შემცველია.

საბიუჯეტო ფონდები. მრავალი ქვეყნის საბიუჯეტო კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა ფონდის არსებობას. აღნიშნული ფონდებიდან თანხების მიზნობრივ, კანონიერ და ეფექტიან ხარჯვაზე სახელმწიფო კონტროლი იმდენად სუსტი და არაკომპეტენტურია, რომ საეჭვოა იმ ჩინოვნიკებმა, რომლებიც ახდენენ ამ ფონდების მართვას, არგუმენტირებული პასუხი გასცენ პრობლემურ კითხვებზე. ზოგიერთი ფონდის კონტროლი პრაქტიკულად შეუძლებელია. საქმე იმაშია, რომ ამ ფონდების ფორმირება ხდება სხვადასხვა წყაროებიდან გამოყოფილი სახსრებით (ადგილობრივი ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები, შემოწირულობები და ა.შ.) რომელთა ბუღალტრული განცალკევება ან ანგარიშგებაში ავტონომიური ასახვა ვერ ხერხდება და შესაბამისად ვერც გაკონტროლდება. მოკლედ რომ ვთქვათ, ასეთი ფონდები დიდი კორუფციული რისკის შემცველია რის გამოც მათი ნაწილი არამიზნობრივად, არაეფექტიანად და კორუფციულად იხარჯება.

კერძო სექტორი. კორუფცია ფართოდაა ფეხმოკიდებული კერძო სექტორშიც. ამ სენით დაავადებულია მთელი მსოფლიო. კორუფცია სულ უფრო მძლავრად იკიდებს ფეხს არასამთავრობო და არაკომერციულ სექტორებში, პროფკავშირებში, მასმედიაში, ეკლესიაში, საქველმოქმედო ორგანიზაციებში. კერძო სექტორში ყველაზე კორუფციული უბანია კონტრაქტები, ხელშეკრულებები, შესყიდვები, კადრების მიღება და ა.შ. კორუფციული შინაარსისაა მონოპოლისტ კომპანიებს შორის ფარული გარიგებები საქონელზე და მომსახურებაზე ფასების დაწესების თაობაზე. კორუფციული ბუნებისაა სახელმწიფოს მხრიდან „ერთგული“ კომპანიებისთვის მონოპოლიური გარემოს შენარჩუნება და მათთვის დაუმსახურებელი პრეფერენციების გაცემა. განსაკუთრებით ეს მკაფიოდ ჩანს საბანკო სექტორში. კომერციული ბანკების ერთი ნაწილი ეწევა უკანონო სამეწარმეო საქმიანობას, რაც მაღალი კორუფციული რისკების შემცველია. ასევე კორუფციული გარიგებების მეშვეობითაა ჩამოყალიბებული არაერთი მსხვილი კერძო კომპანია, რომელთა უკან კვლავაც დგანან სახელმწიფო ჩინოვნიკები. კერძო სექტორის კორუმპირებულობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მათი დიდი ნაწილი სათანადო მხარდაჭერისა და პრივილეგიების მოპოვების მიზნით უხვად აფინანსებს როგორც მმართველ, ასევე სხვა პოლიტიკურ პარტიებს და აქტიურად ერევა საარჩევნო კამპანიაში.

სათანადო კვლევები გვიჩვენებს, რომ წინა პერიოდისგან განსხვავებით, ამჟამად მსოფლიოში შეზღუდულია საყოფაცხოვრებო კორუფცია, რომელიც წარმოიშობა საშუალო და დაბალი რანგის სახელმწიფო მოხელის და რიგითი მოქალაქის ურთიერთობის დროს. ადრე ამ ტიპის კორუფციაზე მოდიოდა კორუფციულ გარიგებათა უმეტესი ნაწილი. დღეისათვის წინა პლანზე

წამოიწია „საქმიანმა“ კორუფციამ, რომელიც ვლინდება ანგარებითი გარიგებით მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელესა და ბიზნეს-სექტორს შორის.

27. ელიტური კორუფციის ფორმები

კორუფციის ტრადიციული ფორმების პარალელურად მიმდინარეობს მისი ახალი სახეების წარმოშობისა და განვითარების პროცესი. ასევე ახლებურ შეფერილობას იღებს კორუფციის ისეთი ფორმები და წყაროები, როგორიცაა: პატრონაჟი, მოქრთამვა, გამოძალვა, გაფლანგვა, იძულების გამოყენება, ნეპოტიზმი, ტრეფიკინგი, აგრეთვე სახელმწიფო მოხელეთა კორუფცია ორგანიზებული კრიმინალური ქმედებების ფორმით: ნარკობიზნესი, ფულის გათეთრება, პროსტიტუცია და სხვ. მათ შორის, ცალკე უნდა აღინიშნოს ლობირების ინსტიტუტი, რომელმაც მსოფლიოში აშკარა კორუფციული სახე მიიღო. კორუფციული ბუნებისაა აგრეთვე მაღალი თანამდებობიდან გადამდგარი ზოგიერთი პირისთვის ძვირადღირებული უძრავი (ან მოძრავი სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად მიყიდვა ან ჩუქება, რომელსაც ადგილი აქვს ზოგიერთ ქვეყანაში. ასევე ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელების მიერ გატარებული პოლიტიკის მხარდაჭერისა და ლობირების მიზნით ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა დასაჩუქრება სახელმწიფო ქონებით მიანიშნებს დემოკრატიის განვითარების დაბალ დონეზე.

კორუფციის ახალი სახეობებისა და ფორმების ფორმირების საფუძველი, ფულადი ქრთამის ჩანაცვლება მომსახურების გაცვლით და კორუფციის გადაადგილებით მართვის ქვედა და საშუალო დონიდან უმაღლეს იერარქიამდე. კორუფცია თანდათანობით უხილავი და ვირტუალური ხდება, იგი ღებულობს ინტელიგენტურ შეფერილობას და ერთი შეხედვით კანონის ფარგლებს არ სცილდება. კორუფციის ამ ახალმა სახეობამ მიიღო ელიტური კორუფციის სახელწოდება, რომლის მოქმედების არეალი ძირითადად პარტიულ და თანამდებობრივ ძალაუფლებაზეა დაფუძნებული.

ელიტურ კორუფციას ფართო გასაქანი ეძლევა იმ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლება დაკომპლექტებულია არა პროფესიონალიზმის და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით, არამედ ერთი ასაკისა და დაახლოებით ერთნაირად მოაზროვნე ერთი იდეოლოგიის მქონე, ურთიერთ და ზემდგომისადმი ერთგული მოხელეებით, რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ ნებისმიერი კანონიერი თუ უკანონო დავალება, ისე რომ მათ სამართალდარღვევაზე პასუხს არ აგებინებენ (გამონაკლისების გარდა, რაც ძალიან იშვიათად ხდება).

სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში სახელისუფლებო სტრუქტურების დაკომპლექტება ძირითადად ხდება პარტიული ნიშნით, მაგრამ ხელმძღვანელი კადრების შერჩევა ხდება მხოლოდ პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობის, პატიოსნების, პრინციპულობისა და გამოცდილების კრიტერიუმებით. დემოკრატიის ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყნებში ასეთი ნიშნებით შემკობილი ადამიანური რესურსების დეფიციტი ნამდვილად არ არსებობს. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური პარტიები არაა აკადემიურად ჩამოყალიბებული და ძირითადად ფუნქციონირებენ არა იდეოლოგიური ნიშნებით გაერთიანებულნი, არამედ მეგობრული, მეზობლური, ნათესაური და სხვა ყოფითი კრიტერიუმებით ორგანიზებული ჯგუფები, რომელთა ძირითადი მიზანია პოლიტიკური კუთხით პირადი პრივილეგიების მოპოვება, ცხადია, ასეთი პოლიტიკური გაერთიანებების შემთხვევაში ხელისუფლებას მეტად ღარიბი საკადრო რესურსი გააჩნია. მაღალი პოლიტიკური კულტურის არ არსებობის პირობებში, გამარჯვებული პოლიტიკური პარტია სახელისუფლებო სტრუქტურებში არ უშვებს მაღალი კლასის პროფესიონალებს, თუ ისინი ლოიალურად არ არიან განწყობილი მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო მენეჯმენტის უმაღლეს პოსტებზე ხვდებიან დაბალი კვალიფიკაციის, გამოუცდელი, მაგრამ ლიდერებისადმი ერთგული „პოლიტიკური მოღვაწეები“. სწორედ ასეთი ვითარება წარმოშობს ნოყიერ ნიადაგს ელიტარული კორუფციის ფორმირებისა და განვითარებისათვის, მისი სქემა მეტად მარტივი და ადვილად რეალიზებადია. იკვეთება რაღაც ელიტარული ჯგუფი, უფრო სწორედ ნდობით აღჭურვილთა გუნდი, რომელიც იკავებს ქვეყნის უმაღლეს თანამდებობებს. როდესაც ამ გუნდის რაღაც ნაწილის საქმიანობის დაბალი ხარისხი საზოგადოებისათვის მიუღებელი და გამაღიზიანებელი ხდება, იწყება თანამდებობათა ადგილმონაცვლეობა. ე.წ. „კარუსელი“, ისე, რომ გუნდის წევრებს შორის უკმაყოფილო არავინ რჩება.

სწორედ, გუნდურობის პრინციპი ხელისუფლების (მისი ყველა შტოს) დაკომპლექტებაში წარმოშობს უპრინციპობას, მომთხოვნელობის ლიბერალიზაციას, კრიტიკული, ექსპერტული შეფასებების იგნორირებას და სახელმწიფო მნიშვნელობის უსერიოზულესი გადაწყვეტილებების ნაუცბათევად და ზედაპირულად მიღებას. თუ ამ ვითარებას შევაფასებთ კორუფციული იდეოლოგიის კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ იგი აშკარად შეიცავს მის ელიტარულ გამოვლინებებს. პირველი, კორუფციაა ის, რომ თანამდებობაზე ინიშნება ის პირი, რომელიც თავისი კვალიფიკაციით, გამოცდილებით და კომპეტენტურობით არ პასუხობს მოთხოვნებს და, შესაბამისად, მის მიერ მიღებული

გადაწყვეტილება არაეფექტიანია და აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მეორე, არაკვალიფიციური, გამოუცდელი და არაკომპეტენტური მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე ცდილობს თავის გარშემო შეკრიბოს არა მასზე უფრო განათლებული, არამედ პირიქით, უფრო დაბალი კვალიფიკაციის მქონე მოხელეები, რათა მან არ დაკარგოს ზემოდან ნაბოძები „ლიდერის“ მანტია. აქ იწყება ახალი ტალღა უხილავი კორუფციული გამოვლინებებისა. კერძოდ, ახლად დანიშნულმა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელემ თავის ირგვლივ უნდა შემოიკრიბოს საკუთარი გუნდი დაკომპლექტებული ერთგულების, ნათესაობის და სხვა ნიშნებით. ამისთვის კი საჭიროა მისადმი დაქვემდებარებული სამსახურის რეორგანიზაცია და შტატების შემცირება. ამის შეუზღუდავ უფლებას იძლევა დღეისათვის საქართველოში მოქმედი გაუმართავი შრომის კანონმდებლობა, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს დამსაქმებელს და არა დასაქმებულს (აღნიშნული კანონმდებლობა აშკარა კორუფციული ხასიათისაა). ახალი ლიდერის საქმიანობა უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე იწყება მმართველობის სტრუქტურაში დასაქმებული კვალიფიციური და გამოცდილი კადრების დათხოვნით და მათ ადგილზე გაუნათლებელი, გამოუცდელი „მოხელეების“ მიღებით. სქემა კარგადაა დამუშავებული. ახალი ლიდერი იწყებს სამსახურის რეორგანიზაციას, შტატების შემცირებას, რაც აძლევს მას საშუალებას კანონის დაცვით მოიშოროს მისთვის არასასურველი საჯარო მოხელეები. შემდეგი ეტაპია ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების მოზიდვა და მისთვის სასურველი კადრების გაზრდილი ხელფასებით უზრუნველყოფა, აგრეთვე საშტატო რიცხოვნობის გაზრდა, შედეგად ამისა, ლიდერი იქმნის „მაგარი“ ხელმძღვანელის იმიჯს. ყველა მის ქმედებებში იგნორირებულია საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა, ხარჯების ეკონომია, სამართლიანობა და ა.შ. ხელისუფლების გუნდური წესით დაკომპლექტების შემთხვევაში გამოირიცხება კითხვების დასმა, მოვლენათა შეფასება, ანალიზი, ოპონირება და მართვის სხვა დემოკრატიული მექანიზმების გამოყენება. ყველა საკითხი წყდება ერთპიროვნულად, მყისიერად და იმპულსური გადაწყვეტილებებით. სწორედ ასეთ ვითარებაში იწყებს დაბუდებას კორუფციის ბაცილები. მოკლედ რომ ვთქვათ, გუნდურობა სახელმწიფო მენეჯმენტში იწვევს უპრინციპობას, გულგრილობას, უპასუხისმგებლობას, საზოგადოებისთვის გამაღიზიანებელ პიარქმედებებს და საბოლოო ჯამში ქმნის ნოყიერ ნიადაგს ელიტარული კორუფციის აღმოცენება-განვითარებისთვის.

გუნდური მიდგომა სახელმწიფო მენეჯმენტში წარმოშობს კორუფციას დასაქმების სფეროში. კვალიფიციურ მუშაკთა დათხოვნა და მათი ჩანაცვლება უცოდინრებით და

გამოუცდელებით ელიტური კორუფციის თვალსაჩინო ნიმუშია, იგი ღია და შიშველი კორუფციაა, უფრო სწორად კვადრატში აყვანილი კორუფციაა.
ხელისუფლების მთავარი ამოცანა უნდა იყოს დემოკრატიული, სამართლებრივი ღირებულებების დანერგვა. ხელისუფლება, რომელიც მაქსიმალურად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს საკუთარ მმართველ გუნდს და თვალს დახუჭავს მათ არაკანონიერ ქმედებებზე, საზოგადოების მხრიდან არ იქნება მხარდაჭერილი. სახელმწიფო მენეჯმენტის სტრატეგია სწორედ საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზაციისაკენ უნდა იყოს მიმართული და არა ჩინოვნიკთა უნიჭო თვითშემოქმედებების წახალისებისკენ, რომლის ძირითადი მიზანი მოკლე დროში მაქსიმალური პირადი მატერიალური და ფინანსური სარგებლის მიღებაა. ეს არათუ ელიტარული კორუფციაა, არამედ ამორალური ქმედებაცაა!

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე მსოფლიოში არაა შემუშავებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი და ეფექტიანი მეთოდები. არის ისტორიული მაგალითები იმისა, რომ კორუფციის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შედეგად კი არ იკლო მისმა დონემ, არამედ, პირიქით, გაიზარდა კიდეც.

28. კორუფციის აღქმის ინდექსის არსი და გაანგარიშების მეთოდოლოგია

„კორუფციის აღქმის ინდექსი“ იმის მიხედვით ანიჭებს ქვეყანას ქულას და ახდენს მის რანგირებას, თუ რამდენად კორუმპირებულად აღიქმება საჯარო სექტორი ამ ქვეყანაში. ეს ინდექსი სხვადასხვა კვლევების კომბინაციაა. ამ კვლევებს დამოუკიდებელი და რესპექტაბელური ინსტიტუტები ახორციელებენ და გამოკითხავენ კორუფციის თემაზე მომუშავე ექსპერტებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს. „კორუფციის აღქმის ინდექსი“ ასახავს მოსაზრებებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის იმ ექსპერტებისას, რომლების ცხოვრობენ და მუშაობენ იმ ქვეყანაში/ტერიტორიაზე, რომელსაც ქულას ანიჭებენ.

კორუფცია მინიჭებული უფლებამოსილებების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებაა. ეს ის დეფინიციაა, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ იყენებს კორუფციის აღწერისას და ის როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორსაც ეხება. „კორუფციის აღქმის ინდექსი“ ფოკუსირებას ახდენს კორუფციაზე საჯარო სექტორში, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, კორუფციაზე, რომელშიც ჩართული არიან საჯარო მოხელეები და პოლიტიკოსები. კვლევები, რომლებიც გამოიყენება ინდექსის დასადგენად, შეიცავს

საჯარო ძალაუფლების გადამეტებასთან დაკავშირებულ კითხვებს, როგორიცაა საჯარო მოხელეების მოქრთამვა, ქრთამი სახელმწიფო შესყიდვებისას, საჯარო თანხების გაფლანგვა. კვლევები კითხვების საშუალებით ამოწმებენ საჯარო სექტორში ანტიკორუფციული აქტივობების ეფექტურობასა და სიძლიერეს. კითხვები ფარავს კორუფციის როგორც ადმინისტრაციულ, ისევე პოლიტიკურ ასპექტებს. ინდექსის გამოთვლისას თითოეული ქვეყნის ქულის დასადგენად სწორედ ზემოთმოხსენებული კვლევები და კორუფციის შესახებ კითხვები გამოიყენება წყაროებად.

კორუფცია ზოგადად არაკანონიერ ქმედებებს შეიცავს და ისინი საჯარო მხოლოდ სკანდალების, გამოძიებების ან სასამართლო პროცესების შემდეგ ხდება. ასე რომ, კორუფციის დონის შეფასება ემპირი“ულ მონაცემებზე დაყრდნობით ძნელია.

ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ქრთამის აღების ფაქტების გახსნილისაქმეების შედარება, სასამართლო საქმეები, რომლებიც უშუალოდ კორუფციას უკავშირდება, არაა საკმარისი იმისათვის, რომ კორუფციის დონის ზუსტი ინდიკატორი მივიღოთ. ისინი უფრო მეტად იმას გვიჩვენებენ, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობენ პროკურორები, სასამართლო თუ მედია კორუფციის შემთხვევების გამოსავლენად და აღსაკვეცად.
ერთი საიმედო მეთოდი ქვეყნის შედარებითი მონაცემების დასადგენად იმ ხალხის აღქმის შესწავლაა, რომლებსაც შეუძლიათ საჯარო სექტორში კორუფციის ექსპერტული შეფასება მოგვცენ.

ის ექსპერტიზა, რომელიც „კორუფციის აღქმის ინდექსის“ გამოსათვლელად გამოიყენება და ინდექსის დადგენის ძირითადი წყაროა, როგორც განვითრებულ, ისე განვითარებად ქვეყანაში მომუშავე ანალიტიკოსებისა და ბიზნესის წარმომადგენლების მიერ კორუფციის შეფასებას ეყრდნობა. წყაროები, რომლთა მონაცემები „კორუფციის აღქმის ინდექსის“ დასადგენად გამოიყენება, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეყრდნობა როგორც ქვეყნის შიგნით მომუშავე ანალიტიკოსებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს, ასევე ქვეყნის გარეთ მყოფებსაც. საბოლოოდ ჯამდება ყველას თვალსაზრისი და ქულაც ამის მიხედვით გამოითვლება.

2010 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ დასადგენად ათი დამოუკიდებელი ინსტიტუტის 13 კვლევაა გამოყენებული. ის წყაროები, რომლებიც 2010 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ დასადგენად გამოიყენეს 2009 წლის იანვრიდან 2010 წლის სექტემბრის ჩათვლითაა გამოქვეყნებული. იმ კვლევების გარდა, რომლებშიც კორუფცია სხვა საკითხებთან ერთადაა გამოკვლეული, „კორუფციის აღქმის ინდექსი“ შეიცავს იმ კვლევებსაც, რომლებიც მხოლოდ ქვეყნების/ტერიტორიების რანგირებას

ახდენენ და კორუფციის დონის სხვადასხვა ასპექტებს ზომავენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ დარწმუნებულია, რომ გამოყენებული წყაროები ხარისხიანი კვლევებია და ისინი კეთილსინდისიერადაა ჩატარებული. იმისათვის, რომ ცალკეული კვლევა „კორუფციის აღქმის ინდექსში“ იქნეს გამოყენებული,ის უნდა იყოს კარგად დასაბუთებული, კვლევის მეთოდოლოგია გამოქვეყნებული, რადგან შესაძლებელი გახდეს იმის შეფასება, რამდენად სანდოა ჩატარებული კვლევა.

ქვეყანა/ტერიტორია მაშინ ხვდება „კორუფციის აღქმის ინდექსით“ შეფასებული ქვეყნების რიცხვში, როდესაც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ „კორუფციის აღქმის ინდექსის“ დასადგენად გამოყენებულ სამ ან მეტ კვლევაში მოცემული ქვეყანა ნახსენები. თუ სამზე ნაკლები წყაროა ხელმისაწვდომი, მაშინ ქვეყანა ინდექსის ცხრილში არ შედის. 2010 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსში“ ორით ნაკლები ქვეყანაა შესული, ვიდრე წინა წლების ინდექსში. ეს ხელმისაწვდომი კვლევების შემცირებამ გამოიწვია. ამ წლის ინდექსს კოსოვო დაემატა, თუმცა სანტ ლუსია, სანტ ვინსენტი, გრენადინები და სურინამი ამოვარდა.

ინდექსი ქვეყნების/ტერიტორიების რანგირებისათვის იყენებს კვლევებს, რომლებიც დრო და დრო იცვლება. ასე რომ, „კორუფციის აღქმის ინდექსი“ დროის მსვლელობაში ქულის ცვლილების შესადარებლად შესაფერისი ინსტრუმენტი არ არის. უფრო მეტიც, 1995 წლიდან, როდესაც „კორიფციის აღქმის ინდექსი“ პირველად გამოქვეყნდა, ყოველ წელს გამოყენებული წყაროები და ქვეყნების რაოდენობა იცვლებოდა. 15 წლის განმავლობაში ინდექსის უფრო დასახვეწად, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ მეთოდოლოგიაც შეცვალა. შედეგად, „კორუფციის აღქმის ინდექსი“ წლების მსვლელობაში ტენდენციის ზუსტ ანალიზს ვერ მოგვცემს.

ინდივიდუალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს

ქვეყნების ინდივიდუალური მონაცემები შეიძლება გამოვიყენოთ „კორუფციის აღქმის ინდექსების“ შედარებისთვის და ამით მივხვდეთ თუ მოხდა ცვლილება ცალკეულ ქვეყანაში კორუფციის აღქმაში წინა წლებთან შედარებით. „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ ეს მიდგომა 2010 წლის ქვეყნების პროგრესის შესასწავლად გამოიყენა, და შეეცადა გაერკვია რამ მოახდინა გავლენა კორუფციის აღქმის დონეზე. . ამისათვის ორგანიზაციამ ორი კრიტერიუმი გამოიყენა:

ა) თუ სულ მცირე 0.3 გაიზარდა ან შემცირდა ქულა;

ბ) ქულის ცვლილება იმ კვლევების ნახევარზე მეტშია ნაჩვენები, რომლებიც „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ „კორუფციის აღქმის ინდექსისთვის“ გამოიყენა.

ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შემდეგმა ქვეყნებმა აჩვენეს გაუმჯობესება 2010 წელს 2009 წელთან შედარებით: ბუტანმა, ჩილემ, ეკვადორმა, მაკედონიამ, ჰაიტიმ, იამაიკამ, კუვეიტმა და კატარმა. შემდეგ ქვეყნებში კი პირიქით გაუარესება შეინიშნება: ჩეხეთის რესპუბლიკა, საგერძნეთი, უნგრეთი, იტალია, მადაგასკარი, ნიგერი და ამერიკის შეერთებული შტატები.

ქვეყნის/ტერიტორიის ქულა (0–10) აღნიშნავს საჯარო სექტორში კორუფციის დონის აღქმაას მოცემულ ქვეყანაში, ხოლო ქვეყნის რანგირება (რიგითი ნომერი) მიუთითებს მის პოზიციაზე იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც „კორუფციის აღქმის ინდექსის“ კვლევაში შედიან. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ქვეყნის რანგირება შეიძლება იმ უბრალო მიზეზით შეცვალოს, რომ „კორუფციის აღქმის ინდექსში“ შემავალი ქვეყნების სიას დაემატება ან მოაკლდება რომელიმე ქვეყანა.

ქვეყანა/ტერიტორია უდაბლესი ქულით ერთ–ერთია, სადაც კორუფცია საჯარო სექტორში აღიქმება, როგორც ყველაზე მაღალი იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც „კორუფციის აღქმის ინდექსში“ შედიან. მსოფლიოში 200–ზე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2010 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსი“ 178 ქვეყნის რანგირებას ახდენს. „კორუფციის აღქმის ინდექსი“ არ იძლევა ინფორმაციას იმ ქვეყნებზე, რომლებიც კვლევაში ვერ მოხვდნენ.

„კორუფციის აღქმის ინდექსი“ უმეტესად აფასებს კორუფციის აღქმადობას ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ წრეებში. ინდექსი ნამდვილად არ არის ვერდიქტი მთელი ერისთვის, ან სახელმწიფოსთვის საერთაშორისო პოლიტიკის და აქტივობების შესახებ. იმ ქვეყნის/ტერიტორიები მოქალაქეები, რომელთაც დაბალი ქულა აქვთ „კორუფციის აღქმის ინდექსში“ იგივენაირად გმობენ კორუფციას, როგორც ამას მაღალი ქულის მქონე ქვეყნების საზოგადოება აკეთებს.

29. კორუფციის დონე საქართველოში

საქართველოში კორუფციამ ხანგრძლივი ისტორიული გზა განვლო. რომ არაფერი ვთქვათ წინა საუკუნეებზე და საბჭოურ პერიოდზე, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის საწყის ეტაპზე კორუფციის მხრივ საქართველო აფრიკის ჩამორჩენილი ქვეყნების გვერ-დით იდგა. 2004 წელს „კორუფციის აღქმის ინდექსით“ საქართველოს 2 ქულა ჰქონდა (10 შესაძლებლობიდან), რაც კორუფციის მაღალ დონეზე მიანიშნებდა. „ვარდების რევოლუ-ციის“ შემდგომ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. 2007 წელს კორუფციის ინდექ-

სით საქართველომ 180 ქვეყანას შორის 79 ადგილი დაიკავა, მაშინ როდესაც რუსეთი აღმოჩნდა 143 ადგილზე, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, ბელორუსი და აზერბაიჯანი – 160 ადგილზე, უკრაინა – 118 და მოლდავა – 111 ადგილზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარეიტინგო სამსახურების შეფასების ობიექტურობაზე თანდათანობით ძლიერდება ეჭვები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. როგორც ჩანს მათ დაკარგეს ობიექტური ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა და შესაბამისად, საბოლოო შეფასებები საზოგადოებრივ აზრს მნიშვნელოვნადაა დაშორებული. როგორც ცნობილია, მათი გამოკვლევები ეფუძნება ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტთა, ანალიტიკოსთა და ბიზნესმენთა გამოკითხვებს და სხვადასხვა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების კვლევებს, რაც რიგ შემთხვევაში მოწყვეტილია რეალურ ფაქტებს და დამახინჯებულია. 2008 წელს აშშ-ს სავაჭრო პალატამ კვლევები ჩაატარა საქართველოს საბაჟოზე და დაასკვნა, რომ კორუფციის მხრივ მდგომარეობა უმჯობესდება და იგი შემცირებულია 20 პროცენტამდე. მათი აზრით, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა კორუფციის 20%-იანი დონე მისაღებია..

ვარდების რევოლუციამდე საქართველოს მოსახლეობას არ ჰქონდა კორუფციის დონის შემცირების მოლოდინი. „გლობალური კორუფციის ბარომეტრის“ მიერ 2003 წელს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, საქართველოს მოსახლეობამ კორუფციის იერარქიის შემდეგნაირი რანგირება მოახდინა: პოლიცია; საგადასახადო და საბაჟო სისტემა; სასამართლო; ჯანდაცვა; პოლიტიკური პარტიები; პარლამენტი; კერძო სექტორი; კომუნალური მომსახურება; სამხედრო სექტორი; მასმედია (არასამთავრობო) სექტორი; ეკლესია. ამ პერიოდისათვის საზოგადოებამ ყველაზე კორუმპირებულად მიიჩნია პოლიცია, ხოლო ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულად – ეკლესია.

2005 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით შემუშავდა ანტიკორუფციული სტრატეგიის განმსაზღვრელი კონცეპტუალური დოკუმენტი და შესაბამისად გატარდა რიგი ინსტიტუციონალური ცვლილებები, რომლის მიზანი იყო კორუფციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა. ამ კუთხით გატარებული ღონისძიებებიდან ზოგიერთი პოლიტიკური კონიუნქტურული ფონის მატარებელი იყო (კორუმპირებულთა შერჩევითი დასჯა), თუმცა, ზოგიერთმა მათგანმა საკმაოდ მაღალი შედეგი გამოიღო (საგზაო პოლიცია, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმირება). მთლიანობაში კორუფცია მისი გამოვლენის ტრადიციული ფორმით და შინაარსით მნიშვნელოვნად შეიზღუდა,

2010 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებული „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (ჩ I) მიხედვით საქართველომ 178 ქვეყანას შორის 68-ე ადგილი დაიკავა. „კორუფციის აღქმის ინდექსი“ შიდა პოლიტიკურ და საჯარო სექტორში არსებული კორუფციის საზომია. საქართველომ მაქსიმალური 10 ქულიდან 3.8 ქულა მიიღო. 2009 წელს საქართველომ 4.1 ქულით 66-ე ადგილი დაიკავა. საქართველოს ინდექსი ცხადყოფს, რომ კორუფცია ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი და კვლავ რჩება პრობლემად, რომელიც მოგვარებას საჭიროებს.

2010 წლის რანგირებაში უმაღლესი ქულები მიიღეს დანიამ, ახალმა ზელანდიამ და სინგაპურმა (9,3 ქულა), ფინეთმა და შვედეთმა (9,2 ქულა). მათ მოჰყვება კანადა (8,9 ქულა), ნიდერლანდები (8,8 ქულა), ავსტრალია და შვეიცარია (8,7 ქულა) და ნორვეგია (8,6 ქულა). ბოლო ადგილი სომალიმ (1,1 ქულა) დაიკავა, რომელიც ოდნავ ჩამორჩება მიანმარსა და ავღანეთს (1,4 ქულა) და ერაყს (1,5 ქულა).

„კორუფციის აღქმის ინდექსს“ (CPI) ყოველწლიურად შეიმუშავებს და აქვეყნებს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სათავო ოფისი ბერლინში. ინდექსი ეყრდნობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და საკონსულტაციო ჯგუფის კვლევებს. „კორუფციის აღქმის ინდექსი“ არ არის სათანადო საშუალება ამა თუ იმ ქვეყნის კორუფციის დონის შესადარებლად სხვადასხვა წლებში, რადგანაც წლების განმავლობაში „კორუფციის აღქმის ინდექსის“ მეთოდოლოგია იცვლება, ისევე როგორც იცვლება ის კვლევები, რომლებიც ინდექსის დასადგენად გამოიყენება. თუმცა, ინდექსი მოცემულ წელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით კორუფციის აღქმის კარგ სურათს აჩვენებს.

სამხრეთ–აღმოსავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს. მაგალითად, თავის რეგიონში საქართველო ჩამორჩება თურქეთს (4.4 ქულით 56–ე ადგილზე), ასევე ხორვატიასა და მაკედონიას (4.1 ქულით 62–ე ადგილზე) – სამივე ევროკავშირის წევრობის კადდიდატი ქვეყნებია. თუმცა, წინ უსწრებს ასევე ევროკავშირის წევრობის პოტენციურ კანდიდატებს: სერბეთს, ალბანეთს და ბოსნიასა და ჰერცოგოვინას. ევროკავშირის პოტენციური კანდიდატობის სტატუსი ჯერ საქართველოსთვის არ შეუთავაზებიათ.

ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს კორუფციის მხრივ პრობლემები არ ჰქონდეთ. იტალიას სულ ერთი ადგილით უსწრებს საქართველოს და უჭირავს 67–ე ადგილი (3.9 ქულით), ხოლო რუმინეთს (3.7 ქულით 69–ე ადგილი);

ბულგარეთსა (3.6 ქულით 73–ე ადგილი) და საბერძნეთს (3.5 ქულით 78–ე ადგილი) საქართველოსთან შედარებით კორუფციის აღქმადობის უფრო მაღალი დონე აქვთ.

რიგ მაღალგანვითარებად ქვეყნებში, რომლებმაც განსაკუთრებულად იწვნიეს ფინანსური კრიზისის შედეგები, „კორუფციის აღქმის ინდექსი“ ცხადყოფს, რომ საჯარო სექტორმა დაკარგა ნდობა, რაც გამოიხატა კიდეც იმ დაბალი შეფასებებით (ქულებით), რომელიც ამ ქვეყნებმა (ჩეხეთის რესპუბლიკა, იტალია, საბერძნეთი, უნგრეთი) მიიღეს.

„კორუფციის აღქმის ინდექსი“ მიხედვით საქართველოს ქულა მისი მეზობელი სახელმწიფოების ქულაზე გაცილებით მაღალია, თურქეთის გამოკლებით. სომხეთი 2.6 ქულით 123–ე ადგილზეა, აზერბაიჯანი 2.4 ქულით 134–ე ადგილზე, ხოლო რუსეთი 2.1 ქულით 154–ე ადგილზე.

30. გლობალური კორუფციის არსი

მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ერთ-ერთ ძლიერ მუქარას წარმოადგენს კორუფცია, რომელიც უკანასკნელ წლებში თავისი გამოვლენის მრავალფეროვნებით და დინამიურობით ხასიათდება. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავების პროცესს თან სდევს კორუფციის როგორც რთული სოციალური ფენომენის ინტერნაციონალიზაცია, რაც მის ექსპორტში და, შესაბამისად, სივრცით-გეოგრაფიულ გაფართოებაში გამოიხატება. ამაზე მიუთითებს სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო ორგანიზაცია „თრანსპარენტყ Iნტერნატიონალ“ - ის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში „მსოფლიო კორუფციის ბარომეტრი“, რომლის თანახმად 2011 წელს მსოფლიოში ყოველი მეოთხე ადამიანი ქრთამს იღებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კორუფციასთან აქტიური ბრძოლა მიმდინარეობს, მისი მასშტაბები კი არ მცირდება, არამედ იზრდება კიდევაც. უფრო მეტიც, კორუფცია გასცდა ცალკეული ქვეყნების ეროვნულ საზღვრებს და მან საერთაშორისო, გლობალური ხასიათი მიიღო. თანამედროვე ეტაპზე კორუფციის კიდევ ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მისი, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო ბიზნესში შეჭრა და შესაბამისი ნეგატიური ეფექტების წარმოქმნა. უკანასკნელ წლებში კორუფციამ ისეთი არნახული საერთაშორისო მასშტაბები მიიღო, რომ იგი აღმოჩნდა კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ისეთი დანაშაულობების ჩამონათვალში, როგორიცაა აგრესია, გენოციდი, აპარტეიდი, ძალადობრივი გზით კოლონიური ბატონობის დამკვიდრება, ბირთვული იარაღის გამოყენება, რასიზმი, ტერორიზმი და ა.შ.

კორუფციის გლობალიზაციამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა საერთაშორისო ეკონომიკურ უსაფრთხოებას და მსოფლიო ეკონომიკის მდგრად და სტაბილურ განვითარებას. საერთაშორისო

ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი ორგანული შემადგენელი ნაწილია საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოება, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნების ბიზნეს-ურთიერთობებისათვის ისეთი პირობების შექმნას, რომელიც ხელსაყრელი იქნება თითოეული მონაწილე მხარისათვის და იმ ნეგატიური პირობებისა და ფაქტორების ნიველირებას ან მინიმუმამდე დაყვანას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო ბაზრების ეფექტიან და ოპტიმალურ ფუნქციონირებას.

დღევანდელ ეტაპზე ჩამოყალიბებულ ტენდენციებს პოლიტიკაში, ეკონომიკაში, ფინანსებში და ადამიანური საქმიანობის სხვა სფეროებში, რომლებიც ასოცირდებიან ტერმინ „გლობალიზაციასთან“, გარკვეული კორექტივები შეაქვთ უსაფრთხოებისა ცნების განსაზღვრაში, უპირველეს ყოვლისა, მისი შინაარსის გაფართოების მიმართულებით. თანამედროვე საზოგადოებისათვის უსაფრთხოება გახდა საყოველთაო ცნება, რადგან იგი მოიცავს თითოეული ადამიანისათვის ხელშესახებ ყველაზე მწვავე პროცესებს, დაწყებულს ტერორისტული აქტიდან და დამთავრებულს სამუშაოს დაკარგვით ან სახლში ენერგიის გათიშვით. ანუ უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება ყოველივე ის, რაც არღვევს ადამიანის ნორმალურ სასიცოცხლო რითმს. ამ კუთხით ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ქმედებები და, მათ შორის, კორუფცია უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ განიხილება როგორც ერთ-ერთი გლობალური პრობლემა, რომლის გადაჭრა მოითხოვს ყველა სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევის გაძლიერებას.

პრობლემის აქტუალურობაზე აშკარად მიუთითებს ის გარემოება, რომ -20 კანის სამიტზე დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ საკითხად იქცა გლობალური კორუფცია. ერთხმად იქნა აღიარებული, რომ დღევანდელი საერთაშორისო ინსტიტუტები ვერ უმკლავდებიან ამ სოციალურ ბოროტებას, რის გამოც საჭირო ხდება მათი ტრანსფორმაცია და ახალი ფინანსური წესრიგის დამყარება. სამიტზე გაცხადდა, რომ მსოფლიო ჩრდილოვანი ბაზრის მოცულობამ 60 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია, რომელიც დანაშაულებრივი სპეკულაციური გზით კორუმპირებულთა ხელში აღმოჩნდა ექსპერტ-ეკონომისტების დიდი ნაწილის აზრით, სწორედ ეს ფული გახდა ფინანსურ ბაზრებზე დერივატების (წარმოებული ქაღალდების) გაბერვის მიზეზი. მსოფლიო ბანკის სპეციალისტების გაანგარიშებით კორუფციამ წლიური ეკონომიკური ზრდა 1%-ით შეამცირა, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მონაცემებით კორუმპირებულ ქვეყნებში ინვესტირება 5 პროცენტით მცირეა, იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც კორუფციის დონე შედარებით დაბალია.

კორუფციასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მასთან ბრძოლის სტრატეგიები დიდი ხანია მეცნიერული კვლევის საგანია მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში. თუმცა კორუფციის გლობალიზაციის კომპლექსურად შესწავლის კუთხით ფუნდამენტური კვლევები ჯერჯერობით ნაკლებად მიმდინარეობს. წინამდებარე ნაშრომის მიზანია საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში, და კერძოდ, საერთაშორისო ბიზნესში კორუფციის თა-

ნამედროვე მდგომარეობის ზოგადი ანალიზის, შეფასებისა და განზოგადების საფუძველზე პრობლემის აქტუალურობის წინა პლანზე წამოწევის მცდელობა და ზოგიერთი კონცეფტუალური ხასიათის მოსაზრებების შემოთავაზება.

კორუფციის ცნების გაგების სხვადასხვა კონცეფციები არსებობს. კლასიკური გაგებით კორუფცია მიჩნეულია როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლის მისაღებად. ჩვენი აზრით, ეს ყველაზე ვიწრო, მშრალი და დღეისათვის მოძველებული განმარტებაა. თანამედროვე ეტაპზე კორუფციამ, როგორც უკანონო (ან კორუფციული "ხვრელების" შემცველი კანონის ფარგლებში) ქმედებამ, ახალი თვისებები და ფორმები შეიძინა, შეიძლება ითქვას, რომ იგი გლობალიზაციის პარალელურად განვითარდა, უფრო „სრულყოფილი" და მრავალწახნაგოვანი გახდა. *მიგვაჩნია, რომ ყველა ის ქმედება, რომელებიც მიმართულია დაუმსახურებელი, უკანონო ნებისმიერი სახის ეკონომიკური და ინტელექტუალური სარგებლის მიღებასაკენ კორუფციად უნდა ჩაითვალოს. ასეთ ქმედებებად უნდა იქნას მიჩნეული ქრთამის აღება და მიცემა, ნეპოტიზმი, ლობიზმი, ინტერესთა კონფლიქტი, ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვა, პოლიტიკური პარტიების უკანონო დაფინანსება, გამოძალვა, სახელმწიფო მოხელეებზე შეღავათიანი კრედიტების გაცემა, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმების უზრუნველყოფა ნეფოტიზმის ნიშნით, გაუმჭვირვალე ბიუჯეტის მიღება და მისი ხარჯვა მოქალაქეთა მოსყიდვის მიზნით, აგრეთვე ყველა სხვა სახის საქმიანობა, რომლითაც შესაძლებელი ხდება მატერიალური, ინტელექტუალური და სხვა სახის სარგებელის მიღება კანონის დარღვევით, ან ცალკეული პირებისა და გჯუფებისათვის ხელშესაწყობად სპეციალურად მიღებული კანონების გამოყენებით.*

დღეისათვის სპეციალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლიტერატურაში ძირითადად კორუფციის ოთხ სახეს განიხილავენ: პირველი – **საყოფაცხოვრებო კორუფცია**, რომელიც გულისხმობს რიგითი მოქალაქეებისა და საჯარო მოხელეების ურთიერთობას, გამოხატულს თანამდებობის პირებისათვის ფულისა და სხვადასხვა სახის მატერიალურ ფასეულობათა გადაცემასა და მომსახურების გაწევაში. ამგვარი კორუფციის თვალსაჩინო მაგალითია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის პოლიციელის მიერ ქრთამის (ფულის) აღება; მეორე – **საქმიანი კორუფცია** – რომელიც წარმოიქმნება ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის და სადავო ან არასადავო საკითხი კორუფციული გარიგების შედეგად ბიზნესის სასარგებლოდ წყდება; მესამე – **უმაღლესი ხელისუფლების კორუფცია,** რომელიც გულისხმობს სახელისუფლებო უმაღლესი სტრუქტურების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) მიერ გადაწყვეტილებების მიღებას პირადი ინტერესების სასარგებლოდ და მოსახლეობის საზიანოდ. მას ხშირად **ელიტურ** კორუფციასაც უწოდებენ; მეოთხე – **პოლიტიკური კორუფცია** თავისი შინაარსით მრავალწახნაგოვანია. უპირველეს ყოვლისა, იგი გულისხმობს ცალკეული სახელმწიფოების იმპერიული გავლენის გაფართოებას მსოფლიოში, რაც, ერთი მხრივ, პრაქტიკულად ვლინდება ცხოვრების სტილის, იდეოლოგიის, კულტურის სხვა ქვეყანაში ძალით ან ნებაყოფლობით დანერგვაში საკუთარი ეროვნუ-

ლი ინტერესების უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, ძალადობრივი გზით უცხო ქვეყნების ოკუპაციის გამართლებას სხვადასხვა კორუფციული სქემების გამოყენებით (მაგალითად, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და მოქრთამვის გზით მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარების იძულება სხვა სახელმწიფოების მხრიდან). გარდა ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში განიხილება კორუფციის დარგობრივი, სექტორალური და სხვა კრიტერიუმებით კლასიფიკაცია, რომლებსაც ფაქტობრივად ადგილი ჰქონდა კაცობრიობის განვითარების სხვადასახვა ეტაპებზე და დღესაც ახალი ფორმებით ვლინდებიან ცალკეულ ქვეყნებში, დარგებსა და სფეროებში.

კორუფციის მოცემული კლასიფიკაცია შემდგომ სრულყოფას და ტრანსფორმაციას საჭიროებს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო იზრდება საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური და სამართლებრივი ორგანოების და ტრანსნაციონალური კომპანიების როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ფორმირებისა და დაცვის საქმეში. გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე ტრანსნაციონალიზაციის ანუ ჭარბი კაპიტალის მქონე ქვეყნებიდან მის დეფიციტურ ქვეყანებში გადაადგილებას თან სდევს ორივე მხარის სწრაფვა მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ. ეს ჩვეულებრივი და საბაზრო ეკონომიკისათვის მისაღები პროცესია, თუმცა მისი პრაქტიკული რეალიზაცია დაკავშირებულია სხვადასხვა ეგზოგენურ და ენდოგენურ წინააღმდეგობრივ ფაქტორებთან და პირობებთან, რომლის გადასაჭრელად ხშირ შემთხვევაში ორივე მხარე მზადაა მიმართოს კორუფციულ გარიგებებს.

საერთაშორისო ორგანიზაციები ცალკეულ ქვეყნებს რესურსებს უნაწილებენ მათში დასაქმებული ჩინოვნიკების მეშვეობით, რომლებიც არ არიან ამ რესურსების მესაკუთრეები, და შესაბამისად, ნაკლებად არიან დაინტერესებულნი მათ სამართლიან განაწილებაზე და ეკონომიურ და მიზნობრივ ხარჯვაზე. ამასთან ბიუროკრატია საერთაშორისო ორგანიზაციებში არაა ისეთი მუდმივი მონიტორინგის ქვეშ, როგორც ნაციონალურ ორგანიზაციებში, რადგან არ არსებობს საერთაშორისო პროფესიონალური მაკონტროლებელი ორგანო, ხოლო, არსებული საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური და სხვა სახის ორგანიზაციები, რომელთა ერთ-ერთ ფუნქციას შეადგენს მათ მიერ განაწილებული რესურსების მიზნობრივ ხარჯვაზე კონტროლი, ან ვერ უმკლავდებიან ამ კუთხით საქმიანობას ან თავად არიან ჩაფლული კორუფციულ გარიგებებში. ყოველივე ეს იწვევს საერთაშორისო ხასიათის კორუფციის მასშტაბების ზრდას. ჩვენი აზრით, კორუფციას, რომლის ექსპორტირება შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, შეიძლება ვუწოდოთ **ტრანსნაციონალური ანდა გლობალური კორუფცია**. იგი ვლინდება უცხოური კაპიტალის მონაწილეობით საწარმოების შექმნისას, ინვესტიციური პროექტების რეალიზაციისა და სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის დროს, საბანკო ტრანზაქციების და ორმაგი დაბეგვრიდან გადასახადების ქვეყნებს შორის დანაწილების დროს, ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვებისა და

შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, ლობისტური ჯგუფების საქმიანობისას, საერთაშორისო დახმარებებისა და გრანტების განაწილებისა და მოხმარების დროს. გლობალურ-ინტერნაციონალური ხასიათისაა ცალკეული ქვეყნების კორუმპირებული ლიდერების, მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკებისა და ტოპ-მენეჯერების მიერ კორუფციული გზით მოპოვებული ფულის მსხვილ საერთაშორისო ბანკებში განთავსება, კორუფციისაკენ ორიენტირებული საწარმოების ოფშორულ ზონებში რეგისტრაცია და ა.შ. საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე არც ერთი ქვეყანა არაა დაცული გლობალური კორუფციისაგან. ამ პრობლემის აქტუალურობა მსოფლიო თანასაზოგადოებამ ცხადად დაადასტურა უკანასკნელ წლებში G-8 და D-20–ის ფარგლებში ჩატარებულ საერთაშორისო სამიტებზე.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ გლობალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ კორუფცია შეიჭრა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: პოლიტიკაში, ეკონომიკის რეალურ სექტორში, საბანკო საქმეში, ვაჭრობაში, სამართალდამცავ ორგანოებში, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში, ფინანსური კონტროლისა და აუდიტის სამსახურებში, განათლებაში, მედიცინაში, მასმედიაში, სპორტში, რელიგიაში, საერთაშორისო სტრუქტურებში და ა.შ. ამასთან, როგორც საერთაშორისო გამოკვლევები გვიჩვენებენ, მსოფლიოში ყველაზე კორუმპირებული სფეროებია პოლიტიკური პარტიები, საკანონმდებლო ორგანოები, პოლიცია და სასამართლო სისტემა.

გლობალური კორუფციის გავრცელების არეალი მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: კორუფცია ტრანსნაციონალურ კომპანიებში, კორუფცია ბიზნესის პოლიტიზირებით, კორუფცია მმართველობის უმაღლეს ეშელონებში ანუ ელიტარული კორუფცია, კორუფცია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებში, კორუფცია საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუციებში, კორუფცია ლობისტურ ჯგუფებში, კორუფცია უცხოურ ინვესტიციებში.

31. კორუფცია ტრანსნაციონალურ კომპანიებში

უკანასკნელ წლებში კორუფციამ ფართოდ გაიდგა ფეხი ტრანსნაციონალურ კომპანიებში, რომლებიც დიდ საფრთხეს უქმნის მსოფლიო ეკონომიკას. ტრანსნაციონალური კორუფცია ვლინდება თანამდებობრივი პირების მოსყიდვაში, რომლის მიზანია შესაძლებლობების მიღება განახორციელონ ან გააგრძელონ ეკონომიკური საქმიანობა რომელიმე ქვეყანაში, ან მიიღონ გარკვეული არაკანონიერი უპირატესობები. ტრანსნაციონალურ კორუფციას ძირითადი გამოყენების ორი სფერო გააჩნია: საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა და ტრანსეროვნული ორგანიზებული დამნაშავეობა.

ტრანსნაციონალური კომპანიები კორუფციული სქემების სარეალიზაციოდ განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ ოფშორულ მომსახურებას. ბოლოდროინდელი გლობალური ფინანსური კრი-

ზისების გამომწვევ მიზეზებს შორის განვითარებულ ქვეყნებში კორუფციული ფულის მოზღვავებას ასახელებენ. ამასთან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები დარწმუნდნენ, რომ ფულადი ნაკადების სტაბილურობა და გამჭვირვალობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე გაუმჭვირვალე ოფშორებიდან მოზღვავებული „რუხი“ ინვესტიციების სწრაფი ზრდა. იმისათვის, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ჩრდილოვანი ფინანსები, უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ ჩაითვალა მათი ანონიმურობისადმი უკომპრომისო ომის გამოცხადება ნომრიანი, უმისამართო-უსახელო საბანკო ანგარიშები, რომლითაც სარგებლობენ კორუმპირებული ბიზნეს-სტრუქტურები და ფიზიკური პირები საჭიროებს ლიკვიდაციას და ამ მექანიზმის აკრძალვას. ნომინალური ანგარიშები და აქტივების მფლობელები გამჭვირვალედ უნდა „მიემაგროს“ მათ რეალურ მფლობელებს. ოფშორებმა, როგორც „საგადასახადო სამოთხემ“ უნდა შეწყვიტონ საიდუმლო თავშესაფრის ფუნქციის შესრულება. საერთაშორისო და ეროვნულ ბაზრებზე ფუნქციონირებადმა ბიზნეს-სუბიექტებმა უნდა მიიღონ უნიკალური ღია ნომრები, რაც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის საერთაშორისო გამჭვირვალობას.

რა თქმა უნდა, ამ გრანდიოზული ცვლილებების განხორციელება რთული და დროში გაწელილი ამოცანაა, მისი ხელის ერთი მოსმით რეალიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელია. უფრო მეტიც, ასეთმა სისწრაფემ უკუეფექტიც შეიძლება მოგვცეს. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით სამუშაოები უკვე დაწყებულია. მაგ., შვეიცარია, როგორც საბანკო საიდუმლოების მესაჭე, პირველ ტექნიკურ ნაბიჯებს დგამს საბანკო ანგარიშების ღიაობის უზრუნველსაყოფად. უფრო მეტიც, ევროპული ოფშორები პრაქტიკულად ემზადებიან ეკონომიკის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. ამერიკის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიამ (Securenties and Exchange Commission – SEC) თანამემამულეები დაიყოლია ბაჰამის და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანიების ფაქტობრივი მფლობელების შესახებ ინფორმაციის გახსნის თაობაზე. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგან მთელი რიგი მსხვილი სახელმწიფოები (მაგ., ჩინეთი, რუსეთი და სხვ.) არ ჩქარობენ ოფშორებთან საეჭვო ფინანსური ურთიერთობების შეჩერებას. თუმცა კორუმპირებულ სახელმწიფოთა ანონიმურ კაპიტალს თავისუფალი გადადინების შესაძლებლობა თანდათანობით ეზღუდებათ. ამაზე მიუთითებს ბერმუდის კუნძულებზე ოფშორული ზონის „შერყევა“, რომელიც დაკავშირებულია რუსული კრიმინალური კაპიტალის მოძრაობის გახმაურებასთან. მოკლედ, რომ ვთქვათ, თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობა ერთსულოვანია ძალისხმევაში, რომლის მიზანია მსოფლიო ფინანსების გაწმენდა იმ „ჩრდილებისაგან“, რომელიც ფორმირდება იმ ქვეყნის კორუფციონერების, რეიდერების, თაღლითების და სხვა სახის კრიმინალების მიერ, რომლებსაც ჯერჯერობით მყარი პოზიციები უკავიათ.

აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების კორუმპირებული პოლიტიკოსები და ბიზნესმენები ფართოდ იყენებენ ოფშორებს ფულის გასათეთრებლად, გადასახადის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდისათვის.

ოფშორებიდან კორუმპირებული ფირმების გამოყვანა სახელმწიფოსათვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ამისათვის საჭიროა ხელისუფლების პოლიტიკური ნება, რათა სახელმწიფომ ოფშორებში დარეგისტრირებულ ფირმებს გაუწყვიტოს სახელმწიფო შეკვთები ანდა შემოიღოს ისეთი საგადასახადო რეგულაციები, რომ მათ თავიანთი ნებით გაწყვიტონ კავშირი ოფშორებთან. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული ფირმები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ თანხებს მეტწილად კორუფციული სქემით განკარგავენ.

კორუფცია ტრანსნაციონალურ კომპანიებში ძირითადად ვლინდება უცხოური კაპიტალით ერთობლივი საწარმოების შექმნის, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისა და ინვესტიციური პროექტების რეალიზაციის დროს, აგრეთვე საქონლის გასაღებისათვის ბაზრის დანაწილების პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. ექსპერტების შეფასებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (Organization for Economic Co-operation and Development – OECD) შემავალ ქვეყნებში, სადაც იწარმოება მსოფლიო მთლიანი შიგა პროდუქტის დაახლოებით 60%, ყოველწლიურად უცხოელი ჩინოვნიკების მოსასყიდად იხარჯება 30 მილიარდამდე დოლარი, ხოლო იარაღით საერთაშორისო ვაჭრობისას ქრთამის სახით გაიცემა 2,5 მილიარდ დოლარამდე.

მეორე, უფრო საშიშ სფეროს, რომელთანაც დაკავშირებულია ტრანსეროვნული კორუფცია, წარმოადგენს ორგანიზებული ტრანსეროვნული დანაშაული. სწორედ კორუფციის ამგვარი სახე ქმნის პირობებს ზემოგების მისაღებად ტრანსნაციონალური ორგანიზაციების მიერ დანაშაულებრივი ოპერაციების განხორციელების შედეგად. რამდენადაც ასეთი კომპანიების შვილობილი საწარმოები და ფილიალები ბაზირებულია სხვადასხვა ქვეყანაში, ძნელია მათი გაკონტროლება საერთაშორისო ინსტიტუციებისა და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

◆ **კორუფცია ბიზნესის პოლიტიზირებით.** დღევანდელ ეტაპზე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს მსხვილი ბიზნესის პოლიტიზირების პროცესი. ტრანსნაციონალური კომპანიები და მსხვილი ეროვნული ბიზნეს-სტრუქტურები თანდათანობით შეეზარდნენ სახელმწიფო ორგანოებს. წარმოიქმნა „პოლიტიკური ბიზნესმენების“ კასტა, რომლებიც მმართველი პარტიებისათვის არჩევნებში თანადგომისა და ფულადი დახმარების სანაცვლოდ, მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ სარგებლობენ სხვადასხვა სახის სახელმწიფო პრეფერენციებით და ლოიალური დამოკიდებულებით. თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო მასშტაბით ყველაზე პოლიტიზებულია ენერგეტიკული ბიზნესი, განსაკუთრებით ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ექსპორტის სფერო. რაც დრო მიდის, მით უფრო იზრდება ენერგომატარებლების, მათ შორის, ნავთობისა და გაზის მოხმარება, ხოლო მათი მოპოვების და გადამუშავების პოტენციალი საერთაშორისო მოთხოვნას ჩამორჩება. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის, განსაკუთრებით ჩინეთისა და ინდოეთის სწრაფმა ეკონომიკურმა ზრდამ მსოფლიოში ენერგო რესურსებზე დეფიციტი შექმნა. ადრე მდიდარი საბადოები თანდათანობით იწურება, ხოლო ახალი საბადოების დაზვერვა და ამუშავება გეოლოგიური სირთულეების გამო სულ უფრი ძვირი

ჯდება. ამას ემატება რევოლუციები და სამოქალაქო ომები აფრიკის ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში, ნაციონალიზაციის პოლიტიკა ვენესუელაში, დივერსიული ქმედებები ნიგერიაში, დაძაბულობა ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ, აგრეთვე რუსეთის მიერ პოლიტიკური მიზნებით გაზის ექსპორტირებაში განხორციელებული "პოლიტიკურ-ზეწოლითი" ქმედებები როგორც ევროპის, ასევე დსთ-ს ქვეყნების (უკრაინა, ბელარუსი, ადრე საქართველო) მიმართ. ენერგომატარებლების ბიზნესში შექმნილმა კრიზისულმა სიტუაციამ ფართო გასაქანი მისცა კორუფციულ გარიგებებს საერთაშორისო დონეზე. ამის მკაფიო მაგალითია სულ ახლახან ლიბიის ახალი ხელისუფლების მიერ ნავთობის მოპოვებასა და გადამუშავებაზე წინა ხელისუფლების მიერ რუსეთთან დადებული კორუფციული კონტრაქტების გაუქმება.

◆ **კორუფცია მმართველობის უმაღლეს ეშელონებში ანუ ელიტარული კორუფცია.** იგი გავრცელდა სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ეშელონებში და მიიღო საერთაშორისო ხასიათი. ელიტარული კორუფციის უამრავი მაგალითებია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნაში. საერთაშორისო დონეზე გახმაურებული მსხვილი ინტერნაციონალური კორუფციის ფაქტების უბრალო ჩამოთვლაც კი ტექნიკურად შეუძლებელია. სულ ახლახან კორუფციასთან დაკავშირებით გამოწვეული ხმაურის გამო თანამდებობიდან გადადგა გერმანიის პრეზიდენტი ქრისტიან ვულფი. საფრანგეთის ექს-პრეზიდენტი ჟაკ შირაქი გაასამართლეს ქ. პარიზის მერობის დროს მისი კორუფციული საქმიანობისათვის, ხოლო უკრაინის ექს პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო გასამართლდა კორუფციული გარიგებისათვის. უნიკალურ მაგალითად უნდა იქნას მიჩნეული აშშ-ს ისტორიაში უდიდესი ფინანსური პირამიდის შემქმნელი ბერნარდ მედოფის კორუფციული საქმიანობა, რომელსაც მიესაჯა 150 წლიანი პატიმრობა. მსოფლიოში ყველაზე კორუმპირებული 10 ლიდერის ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრილი 1):

ცხრილი 1

მსოფლიოს ყველაზე კორუმპირებული 10 ჩინოვნიკი

სახელი, გვარი	თანამდებობრივი მდგომარეობა	მითვისებული თანხა (აშშ დოლარი)
მუჰამედ სუჰარტო	ინდონეზიის პრეზიდენტი (1967-1998)	15-35 მილიარდი
ფერდინანდ მარკოსი	ფილიპინების პრეზიდენტი (1972-1986)	5-10 მილიარდი
მობუტუ სესე-სარკო	ზაირის პრეზიდენტი (1965-1977)	50 მილიონი
სანი აბაჩა	ნიგერიის პრეზიდენტი (1993-1998)	2-5 მილიარდი
სლობოდა მილოშევიჩი	სერბეთის პრეზიდენტი (1989-2000)	100 მილიონი
ჟაკ-კლოდ დევლიე	ჰაიტის პრეზიდენტი (1971-1986)	300-900 მილიონი
ალბერტო ფუხიმორი	პერუს პრეზიდენტი (1990-2000)	60 მილიონი
პავლე კაზარენკო	უკრაინის პრემიერ მინისტრი (1996-1997)	114-200 მილიონი

არნოლდო ალემანი	ნიკარაგუას პრეზიდენტი (1997-2002)	100 მილიონი
ჟოზეფ ესტრადა	ფილიპინების პრეზიდენტი (1998-2001)	78-80 მილიონი

წყარო: http://www.10samih.ru/lyudi/top-10-samyx-korrumpirovannyx-chinovnikov-mira.html

ელიტარული კორუფციის უამრავი მაგალითებია თითქმის ყველა განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალ ქვეყნაში. დღეისათვის ყველაზე კორუმპირებულად ითვლება რუსეთისა და ჩინეთის ბიუროკრატია. თუმცა აშშ-ც საკმაოდ ლიდერობს ამ მხრივ. საკმარისია ითქვას, რომ ამ ბოლოდროინდელი კრიზისის პირობებში აშშ-ს კერძო კორპორაციებში განხორციელებულ აფერაზე აღძრულია 600-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე, ხოლო 1300-მდე აფერა დაფიქსირდა ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით. კორუფციული გარიგებებს ჰქონდა ადგილი ერაყის ომთან დაკავშირებით სამხედრო შესყიდვებზე. ფულის გარეცხვაზე და კორუფციაზე დაკავებულ იქნა 44 ტოპ-მენეჯერი.

კორუფცია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებში. მსოფლიოში საერთაშორისო რეიტინგებისადმი ნდობის ხარისხი დაბალია. საერთაშორისო სარეტინგო სააგენტოების მონოპოლიურ მდგომარეობაზე და მათში საქმიანობის მეთოდოლოგიურ ხარვეზებზე და კორუფციულ სქემებზე ეჭვი სულ უფრო იზრდება. საფინანსო-საბანკო სფეროში სარეიტინგო ბიზნესი დღეისათვის წარმოდგენილია კარტელით, რომელშიც გაერთიანებულია სამი უმსხვილესი საერთაშორისო სააგენტო: Standard @ Poor's, Moody's investors Servise და Fitch Ratings-ი. უკანასკნელ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისთან დაკავშირებით ამ „დიდი სამეულის" მიმართ წაყენებულ მრავალრიცხოვან პრეტენზიებს (არაობიექტური რეიტინგების მინიჭება, მონოპოლიური მდგომარეობა და კონკურენციის არარსებობა, შეფასებებში დაშვებული უხეში შეცდომები) შორის განსაკუთრებით საყურადღებოა სააგენტოების რეიტინგების დამკვეთებთან კორუფციულ გარიგებებში ჩართვის შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება გამხდარიყო არასწორი რეიტინგების მინიჭებისა და, შესაბამისად, გლობალური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი. მათ მიერ მინიჭებულ რეიტინგებსა და რეალურ მდგომარეობას შორის დიდი დაშორიშორება სულ უფრო ამცირებს ამ კომპანიების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხს. ამჟამად, ევროპაში მიმდინარე სავალო-საბიუჯეტო კრიზისმა (ევროზონის კრიზისმა) კიდევ უფრო გააძლიერა უნდობლობა მონოპოლისტი „დიდი სამეულის" მიმართ, რომლებმაც ერთდროულად შეამცირეს ევროზონის თითქმის ყველა ქვეყნის სუვერენული რეიტინგი. თუმცა, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ამ კომპანიების მიმართ გლობალური კრიზისის ეტაპზე ჩამოყალიბებული ნეგატიური შეხედულებების ექსტრაპოლაციასთან, რადგან ამ შემთხვევაში მათ, როგორც ჩანს, გაითვალისწინეს ადრე დაშვებული შეცდომები და წინასწარი გამაფრთხილებელი სიგნალი მისცეს იმ ქვეყნებს, რომლებსაც ფაქტობრივად ემუქრებათ საბიუჯეტო კრიზისი. აღსანიშნავია, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნების ლიდერების გადაწყვეტილებით შეიქმნა ახალი ევროპული სარეიტინგო კომპანია, რომელიც უახლოეს პერიოდში დაიწყებს თავის საქმიანობას. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა

ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან აშშ-ს ტერიტორიაზე ბაზირებული „დიდი სამეულის“ მიმართ უნდობლობის ზრდის გამო, რომელიც აშკარად გამოიკვეთა უკანასკნელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს.

32. კორუფცია საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუციებში

ტრანსნაციონალური კორუფციის ერთ-ერთი ფართო არეალია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ცალკეულ სახელმწიფოთა ფინანსური და ტექნიკური დახმარებები. მართალია, საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ მათ მიერ გაღებული სახსრების მიზნობრივ პროექტებზე და პროგრამებზე ხარჯვის ზედამხედველობას, მაგრამ იგი ხშირ შემთხვევაში მოჩვენებითი, ზედაპირული ხასიათისაა, რადგან მათ არ გააჩნიათ კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები.

საერთაშორისო ფინანსური დახმარებების მიზნობრივი გამოყენებისა და კორუფციათაღლითობის დონის ანალიზი და შეფასება სულ უფრო რთული და ნაკლებეფექტიანი ხდება გამომდინარე იქიდან, რომ მთელ როგ ქვეყნებში სახელმწიფო მმართველების უმაღლესი ჩინოვნიკები საერთაშორისო ორგანიზაციებთან ანგარიშგებებში ფართოდ იყენებენ ცრუ პიარ-ინფორმაციებს, რისი საველე გადამოწმება და კონტროლი ფაქტობრივად შეუძლებელია. ამავე დროს, ფინანსური და სხვა სახის დახმარების გამცემი ინსტიტუტები ვერ ითვალისწინებენ ცალკეული ქვეყნების ადგილობრივ ეთნო თავისებურებებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო და ბიზნესსტრუქტურების კეთილსინდისიერების უფრო დაბალ დონეს, ფრო მეტ გაბედულობას და თავხედობას კორუფციულ და თაღლითურ გარიგებებში, სამართალწარმოების უფრო დაბალ დონეს და ა.შ.

რიგი კლეპტოკრატიული (ქურდული) სახელმწიფოები ბლოკავენ ისეთ პროექტებს, რომლებიც გათვლილია მოსახლეობის ღარიბი ფენისათვის და პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებენ თავისუფალი კონკურენციის განვითარებას. ამავე დროს არიან სახელმწიფოები, რომლებიც მიღებულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებებს იყენებენ თავიანთი მმართველობითი ძალაუფლების (ხელისუფლების) შესანარჩუნებლად და არა მოქალაქეების კეთილდღეობისათვის. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ასეთ ქვეყნებს არ უნდა გაეწიოს საერთაშორისო დახმარებები.

უახლოეს წარსულში მსოფლიო ბანკის ანალიტიკოსების განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი იყო საერთაშორისო დახმარების პროგრამების დამტკიცების სტადიაზე. მართალია, კრედიტების მიღებაზე მოითხოვებოდა მათი გამოყენების ფინანსური გამჭვირვალობის მექანიზმი, თუმცა შემოწმების საშუალებები ნაკლებადეფექტური აღმოჩნდა. სესხების გაცემის პრინციპები ისეთნაირად იყო ფორმულირებული, რომ უზრუნველყოფილიყო მსხვილ პროექტებზე პრეტენდენტების კომპეტენტურობის საკმარისი დონე, თუმცა კორუფციის შესაძლებლობები თითქმის არ გაითვალისწინებოდა. მხოლოდ 1996 წელს მსოფლიო ბანკმა გადასინჯა თავისი დირექტივები

ისეთნაირად, რომ კორუფციისა და თაღლითობის შემჩნევის შემთხვევაში ბანკს შეუძლია ხელშეკრულების შეჩერება, თუ მსხვილმა მსესხებელმა არ გაატარა საჭირო ანტიკორუფციული ზომები. მომდევნო ერთი წლის შემდეგ კიდევ უფრო გამკაცრდა კრედიტების გამოყოფა. მსოფლიო ბანკს მიეცა უფლება მსესხებელი ქვეყნისათვის კრედიტის გამოყოფისას გამოითხოვოს ანტიკორუფციული ვალდებულებები, რომელშიც სრულად იქნება გამორიცხული ნებისმიერი სახის კორუფცია და თაღლითობა. 2010 წელს განვითარების საერთაშორისო ბანკებმა გადადგეს კიდევ ერთი ნაბიჯი კორუფციასა და თაღლითობასთან ბრძოლაში. მათ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც კორუფციაში შემჩნეული იურიდიული და ფიზიკური პირები არანაკლებ ერთი წლის ვადით კარგავენ უფლებას მონაწილეობა მიიღონ განვითარების საერთაშორისო ბანკების მიერ დაფინანსებული პროექტების რეალიზაციაში. შეთანხმების თანახმად განვითარების საერთაშორისო ბანკის ჯგუფში შემავალ ბანკებს ეძლევათ უფლება პასუხისგებაში მისცენ ის კომპანიები, რომლებიც ჩართული არიან თაღლითობასა და კორუფციაში. „განვითარების წესი“, როგორც მას უწოდებენ ბანკირები უფრო მკაცრი და მიზანმიმართული გახდა.

1996 წლიდან მსოფლიო ბანკი ახორციელებს კორუფციასთან ბრძოლის 600-ზე მეტ პროგრამას და ინიციატივას 100-ზე მეტ კლიენტ-ქვეყანაში, რომლებიც ითვალისწინებენ სხვადასხვა ზომების გატარებას: სახელმწიფო მოხელეების მიერ საშემოსავლო დეკლარაციის სავალდებულო შევსება (შემოსავლების, ქონების და მისი წყაროების მითითებით), მოსამართლეების და ჟურნალისტების სწავლება, რომლებიც მუშაობენ კორუფციული დანაშაულის და შეფასების სფეროში და სხვა. მსოფლიო ბანკი ცდილობს სახელმწიფო მმართველებისა და კორუფციასთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით ღონისძიებების სრულ ინტეგრაციას. ბანკის ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ მის მიერ დაფინანსებული პროექტების რეალიზაციისას გამოირიცხოს კორუფციის შესაძლებლობანი. უკანასკნელ წლებში მსოფლიო ბანკმა დააწესა აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების მკაცრი წესები და პროცედურები, გააფართოა კორუფციასთან ბრძოლის პრინციპები და გახსნა ანონიმური „ცხელი ხაზი“, სადაც შესაძლებელია კორუფციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ჩვენი აზრით, მაინც არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ არაკეთილსინდისიერი ბიზნესი, რომელიც ძალიან მომძლავრდა თანამედროვე გლობალურ სამყაროში, მაინც იპოვის გზას კორუფციისა და თაღლითობისაკენ. ფირმები, რომლებიც ფორმალურად უარს იტყვიან მოსყიდვასა და ქრთამზე, ფაქტობრივად მაინც ვერ შეელევიან არაკეთილსინდისიერი გზებით ზემოგების მიღების ცდუნებას, შეეცდებიან ბაზარზე ფარული კარტელებისა და მოჩვენებითი კონკურენციის ილუზიის შექმნას და ბაზრებზე გავლენის სფეროების შენარჩუნებას. ამის მაგალითები უამრავია თანამედროვე მსოფლიო და ეროვნულ ბაზრებზე და, მათ შორის, საქართველოშიც (მედიკამენტების ბიზნესი, ნავთობპროდუქტების ბიზნესი და სხვ.).

გლობალური კორუფცია შეიჭრა საერთაშორისო საბანკო სისტემაშიც. მაგ., დიდი ბრიტანეთის ბანკები შემჩნეული არიან ნიგერიის კორუმპირებული პოლიტიკური პირების პირადი ან-

გარიშის გახსნასა და მომსახურებაში. ინგლისის ფინანსური ადმინისტრაციის გამოკვლევის თანახმად, ქვეყნის საბანკო დაწესებულებების 75%-მა არ იცის მათი კლიენტების მიერ დაბანდებული აქტივების წარმოშობის ისტორია, არ ფლობენ ინფორმაციას მათ პოლიტიკურ, სახელმწიფო და ბიზნეს-საქმიანობაზე. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ქვეყნებშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ, უკანასკნელ წლებში კონტროლი ძლიერდება აშშ ბანკებში, რაც განაპირობა ამერიკის კონგრესის მოთხოვნამ აშშ ფინანსთა მინისტრისადმი განახორციელოს მკაცრი კონტროლი ბანკებში განთავსებულ საეჭვო აქტივებზე და უზრუნველყოს მათი ლეგალიზება.

საეჭვო ბანკების სიაში მოხვდა ვატიკანის ბანკიც (იგივე რელიგიის საქმეთა ინსტიტუტი), რომელიც წლების განმავლობაში ეწეოდა „ფულის გათეთრების“ ოპერაციებს, ხოლო ეჭვმიტანილმა მღვდელმსახურმა-ბანკირმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ისლანდიის ბანკები დაკავშირებულია რამდენიმე მმართველ ოჯახთან და 2 პოლიტიკურ პარტიასთან, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში მართავენ ქვეყანას. უნდა აღინიშნოს, რომ ისლანდიის ექს პრემიერ-მინისტრის, დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერის როგორც კორუმპირებული მაღალჩინოსანის მიმართ სასამართლო პროცესის მოლოდინშია რეიკიავიკი.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ გლობალური კორუფციის მაკონტროლებელი ინსტიტუციები, როგორც ჩანს, სათანადოდ არ უფრთხილდებიან თავიანთი ავტორიტეტის შენარჩუნებას. ამის ერთ-ერთ ფაქტად შეიძლება დავასახელოთ ამერიკელი კონგრესმენის რიჩარდ ლუგარის (ცნობილი რესპუბლიკელი სენატორი, სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე) განცხადება იმის თაობაზე, რომ მსოფლიო ბანკში კორუფციის მასშტაბმა მიაღწია 130 მილიარდ დოლარს. მისი აზრით, კორუფცია ნეგატიურად აისახება ბანკის საქმიანობაში და ის ვერ უზრუნველყოფს ღარიბი ქვეყნების დაშვებას მნიშვნელოვან პროექტებზე. მთელ რიგ ქვეყნებში ნაქურდალი ფული გამოიყენება დიქტატურის მხარდაჭერისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის დასაფინანსებლად.

კორუფცია ლობისტურ ჯგუფებში. ლობიზმის ინსტიტუტი ზოგადად გულისხმობს იმ კანონშემომქმედებზე ზეწოლას, რომლებიც მუშაობენ სამართლებრივი აქტის მომზადებაზე. ფარო გაგებით ლობიზმი გულისხმობს სახელმწიფო, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედებას, მიმართულს ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სფეროების, რეგიონების, საწარმოების, სოციალური ჯგუფების მხარდაჭერისაკენ, რაც დაფუძნებულია არა ობიექტურ აუცილებლობაზე, არამედ ინდივიდუალურ ან ჯგუფურ დაინტერესებაზე, ზოგჯერ თანამდებობის პირთა მოსყიდვაზე, რათა მიღებულ იქნას სახელმწიფო შეკვეთები, შეღავათიანი კრედიტები, დახმარებები, ლიცენზიები, სხვა ხელსაყრელი პირობები ეკონომიკური და კომერციული საქმიანობისათვის. ლობისტური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების მთავარი პრობლემა მდგომარეობს პატიოსან ლობისტური აქციასა და მოსყიდვას შორის კანონიერების დადგენაში. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში როგორც იფიციალურმა, ასევე არალეგალურმა ლობიზმმა კორუფციული შეფერილობა მიიღო. თანაც კორუფციულ ელემენტებს

შეიცავენ როგორც ნაციონალური, ასევე უცხოური ლობისტური ინსტიტუტები. ეს უკანსკნელი პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის იმ პირებთან, რომლებსაც შეუძლიათ სერიოზული გავლენა მოახდინონ საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების გადაწყვეტილებებზე.

მრავალ ქვეყანაში ცალკეული მსხვილი კორპორაციები და ბიზნეს-დაჯგუფებები, ფლობენ რა უზარმაზარ ფინანსურ სახსრებს, როგორც წესი, ჰყავთ თავიანთი არაოფიციალური წარმომადგენლები აღმასრულებელ ხელისუფლებაში – სამინისტროებში, უწყებებში და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. არაკრთილსინდისიერ ლობიზმს ხშირად აქვს ადგილი საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების კონსულტანტების მხრიდან, რომლებიც მრავლად არიან წარმოდგენილი განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ყველა სამთავრობო სტრუქტურებში. სამრეწველო და საბანკო გიგანტები მჭიდრო კოორდინაციას უწევენ თავიანთ საქმიანობას ლობისტური ჯგუფების მეშვეობით კონკურსებში გაამარჯვებინონ თავიანთ წარმომადგენლებს. განსაკუთრებით მაღალია კორუფციული რისკი იმ ქვეყნებში, სადაც დამკვიდრებულია ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიერ მსხვილ და გავლენიან ბიზნეს-სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა. ყოფილ სახელმწიფო ჩინოვნიკებს ძველი კავშირების შენარჩუნება აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან აძლევს არაოფიციალური ლობიზმის გზით სასურველი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ძალიან რთულია პატიოსანი ლობიზმისა და კორუფციული ლობიზმის შორის ზღვარის გავლება. არ არსებობს ასეთი მეთოდიკა და არც იარსებებს მომავალში. დღეისათვის მსოფლიოში ლობიზმის ინსტიტუტებმა იმდენად ფართო მასშტაბები მიიღო, რომ მათი საქმიანობის კეთილსინდისიერების გაკონტროლება ფაქტობრივად შეუძლებელია. აშშ კონგრესში დარეგისტრირებულია უცხოური ბიზნესის 7 ათასზე მეტი ლობისტი, ასევე მრავალრიცხოვანია პოლიტიკური ლობისტები. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში მოქმედებს კანონი ლობიზმის შესახებ, რომელიც საკმაოდ მკაცრია არალეგალური (ოფიციალურად არაანაზღაურებადი) ლობისტების წინააღმდეგ, გართულებულია მათი გაკონტროლება. აშშ არ ითვლება მაღალ კორუმპირებულ ქვეყნად, მაგრამ ფაქტია, რომ იქაც პერიოდულად იფეთქებს კორუფციული სკანდალები, რომელთა „გმირები“ არიან ცნობილი პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები, რომლებიც ლობირებენ ამა თუ იმ ჯგუფის პირად ინტერესებს. ლობიზმის ნეგატიური ქმედებები ხშირად ვლინდება საბიუჯეტო სახსრების განაწილების დროს. ამერიკელმა ეკონომისტებმა ასეთი საყურადღებო დასკვნა გააკეთეს: რაც უფრო მეტ თანხას გამოყოფს ამერიკის სახელმწიფო სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ – მით უფრო მაღალია კორუფციის დონე დაზარალებულ რეგიონში. მსგავს მოვლენებს აქვს ადგილი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

კორუფცია უცხოურ ინვესტიციებში. ინვესტიციურ საქმიანობაში ტრანსნაციონალური კორუფცია შეიძლება დაიყოს სამ ტიპად: ადმინისტრაციული კორუფცია (ქრთამის პირდაპირ მიცემა ჩინოვნიკებზე); სახელმწიფო „მოსყიდვა“ (კანონების გამოცემა და კორპორაციებისათვის შერჩევითი პოლიტიკის გატარება); კორუფცია სახელმწიფო შესყიდვებისას (არაოფიციალური გადასახადები სასურველი სამთავრობო კონტრაქტების დადებაზე). საერთაშორისო ინსტიტუციების გამოკვლევების თანახმად, ტრანსნაციონალური კომპანიები საშუალოდ იმდენ ქრთამს ხარჯავენ ადგილობრივ ბიუროკრატებზე, რამდენსაც უცხოური ინვესტიციების გარეშე ადგილობრივი კომპანიები. მაგრამ ქვეყნებს შორის არსებობს განსხვავება მასშტაბებში. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ბალტიის ქვეყნები უფრო ნაკლებად არიან ჩართული ადმინისტრაციულ მექრთამეობაში, ვიდრე დსთ-ს წევრი ქვეყნების საწარმოები. ამასთან, ქრთამს უფრო ხშირად აძლევენ ის საწარმოები, რომელთა სათაო ოფისი მდებარეობს არა საზღვარგარეთ, არამედ დსთ-ს ერთ რომელიმე ქვეყანაში.

33. კორუფციის გეოგრაფია

როგორც საერთაშორისო გამოკვლევები გვიჩვენებენ, “დიდი ოცეულის” მრავალი მსხვილი კომპანია ჩართულია კორუფციულ გარიგებებში. ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული კომპანიები არსებობენ ძირითადად ევროპაში – ჰოლანდია, შვეიცარია, ბელგია, გერმანია, აგრეთვე იაპონიაში. მსოფლიოში ყველაზე კორუმპირებული ქვეყნებია ჩინეთსა და რუსეთში. დღეისათვის დედამიწაზე არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, სადაც კორუფცია მთლიანად აღმოფხვრილია. თუმცა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში და აშშ-ში მისი დონე შედარებით დაბალია, ხოლო აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში და ლათინურ ამერიკაში უფრო ფართოდაა გავრცელებული.

ცნობილია, რომ Transparency International კორუფციის კვლევას ატარებს სამი მიმართულებით. **პირველი** არის „კორუფციის აღქმის ინდექსი“ **(CPI, corruption perceptions index),** რომელიც გვიჩვენებს მსოფლიოს 180-ზე მეტ ქვეყანაში სახელმწიფო ორგანოების კორუმპირებულობის დონეს. მოცემული სახის კვლევა ეფუძნება ექსპერტების მიერ კორუფციის დონის 10 ქულიანი სისტემით შეფასება. **მეორე** - „ქრთამის მიცემის ინდექსი“(**BPI, bribe payers index),** აფასებს მეწარმეებს შორის კორუფციის გავრცელების დონეს. ფაქტობრივად ეს უკანასკნელი გამოხატავს მექრთამეობის მასშტაბებს კერძო ბიზნესში. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, „ქრთამის მიცემის ინდექსი“ გამოხატავს მსოფლიოს წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნების კომპანიების მიდრეკილებას მისცენ ქრთამი განვითარებულ ქვეყნებში შესაბამისი სტრუქტურების მოხელეებს. აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ „კორუფციის აღქმის ინდექსისაგან“ განსხვავებით, „ქრთამის მიცემის ინდექსის“ გამოკვლევა ძირითადად ხდება მსოფლიოს მსხვილი 28 ქვეყნის ჭრილში, რაც ხშირად ცალკეულ ქვეყნებში

კორუფციის შეფასებისას ქმნის ცრუ წარმოდგენებს. მაგალითად, ის გარემოება, რომ ამ სახის ინდექსის ჩამონათვალში არ ფიგურირებენ ისეთი მცირე ზომის ქვეყნები, როგორიცაა აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო, სრულიად არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნების საერთაშორისო ბიზნეს-საქმიანობაში ქრთამის მიცემა-აღებას არა აქვს ადგილი. ჩვენი აზრით, ამ გამოკვლევამ უნდა მოიცვას მცირე ზომის ქვეყნებიც, რადგან გლობალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ მათი როლი და ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში დღითიდღე იზრდება. დღეისათვის დედამიწაზე არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები და არ ახდენს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს. **მესამე** – მსოფლიო კორუფციის ბარომეტრი (**global corruption barometer),** ეფუძნება საზოგადოებრივი აზრს, "ხალხის ხმას" და ზომავს იმას, თუ როგორ აფასებს საშუალო მოქალაქე კორუფციის მოცემულ დონეს. კორუფციის აღქმის ინდექსისა და ქრთამის მიცემის ინდექსისაგან განსხვავებით ეს მაჩვენებელი ეფუძნება არა ექსპერტების ინტერვიურებას, არამედ მოსახლეობის გამოკითხვას, საზოგადოებრივ აზრს.

ჩვენი აზრით, ნებისმიერი სახის კორუფციის ინდექსის მიმართ ნდობის საკითხი სადისკუსიოა. ერთი რამ აშკარაა, რომ არც ერთი მათგანი ზუსტად არ ასახავს კორუფციის დონეს. ეს უკანასკნელი განპირობებულია, ერთი მხრივ, კორუფციული გარიგებების მკაცრად გასაიდუმლოებული ხასიათით, ხოლო, მეორე მხრივ, გამოკვლევაში მონაწილე ექსპერტების, ფირმების და საზოგადოების წევრების აზრთა სუბიექტური მოსაზრებებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიქტატორული ან ნახევრად დიქტატორული რეჟიმის ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრი არ ასახავს რეალურ სურათს, რის გამოც კორუფციის დონე გაზომილი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და ფაქტობრივად არსებული შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. კორუფციის ინდექსების ობიექტურობის მიმართ ეჭვს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც კორუფციის აღქმის ინდექსით დადებითად ხასიათდება, ქრთამის მიცემის ინდექსით ნეგატიურ პოზიციას იკავებს, რაც ერთმანეთთან ლოგიკურ წინააღმდეგობაში მოდის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ Transparency International-ის როგორც კორუფციასთან ბრძოლის მეთაური არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართაც არ არსებიბს სრული საზოგადოებრივი ნდობა, რადგან მის ერთ-ერთ მიზნად მიჩნევენ ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის ახალი ბაზრების გახსნას კორუფციაში იმ მთავრობების დადანაშაულებით, რომლენიც ეწინააღმდეგებიან მათ და საბოლოო ანგარიშში, ხელს უწყობენ ეკონომიკურ გლობალიზაციას.

2011 წლისათვის Transparency International-ის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების ფრაგმენტი მოცემულია 2 ცხრილში.

ცხრილი 2

კორუფციის აღქმისა და ქრთამის მიცემის ინდექსების ფრაგმენტი (2011წ)

კორუფციის აღქმის ინ-დექსი-რიგითი ადგილი (183 ქვეყანა)	ქულა	ქრთამის მიცემის ინდექსი-რიგითი ადგილი (28 ქვეყა-ნა)	ქულა
1. ახალი ზელანდია	9,5	1. ნიდერლანდები	8,8
2. დანია	9,4	2. შვეიცარია	8,8
3. ფინეთი	9,4	3. ბელგია	8,7
4. შვედეთი	9,3	4. გერმანია	8,6
5. სინგაპური	9,2	5. იაპონია	8,6
6. ნორვეგია	9,0	6. ავსტრალია	8,5
7. ნიდერლანდები	8,9	7. კანადა	8,5
8. ავსტრალია	8,8	8. სინგაპური	8,3
9. შვეიცარია	8,8	9. დიდი ბრიტანეთი	8,3
10. კანადა	8,7	10. აშშ	8,1
——	--	——	
61. თურქეთი	4,2	19. თურქეთი	7,5
64. საქართველო	4,1	------	--
129. სომხეთი	2,6	------	--
143. აზერბაიჯანი	2,4	------	--
143. რუსეთი	2,4	28. რუსეთი	6,1

წყარო: http://slon.ru/russia/korruptsiya_na_eksport-694204.xhtml; http://drugoi.livejournal.com/3660136.html

2011 წელს კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით 183 ქვეყნას შორის ბოლო ადგილზე აღმოჩნდა სომალი, ჩრდილოეთ კორეა, ავღანეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, სუდანი, ერაყი და ა.შ. ჩინეთი აღმოჩნდა 64 ადგილზე. საყურაადღებოა, რომ აშშ-მ, რომელიც ადრე პირველ ოცეულში ფიგურირებდა, 24 ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო, რუსეთმა ნაწილობრივ გაიუმჯობესა მდგომარეობა და 154 ადგილიდან 143 ადგილზე ჩამოქვეითდა.

ქრთამის მიცემის ინდექსის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე კორუმპირებული ქვეყანად აღიარებულ იქნა რუსეთი. აქ კორუფცია გავრცელებულია როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე კერძო საწარმოებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. ამ მხრივ ლიდერობენ ნავთობისა და გაზის საწარმოები. ქრთამის მიცემის ინდექსის შესაბამისად მეორე მსხვილი კორუმპირებული ქვეყანაა ჩინეთი (27 ადგილი 6,1 ქულით). ჩინეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის გამოკვლევებით 4 ათასზე მეტი კორუმპირებული ჩინელი ჩინოვნიკი უცხოეთში ემალება მართლმსაჯულებას. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე

უცხოეთში გაქცეული კორუმპირებული ჩინოვნიკის მიერ გატანილ იქნა 50 მილიარდამდე დოლარი. ქვეყნიდან გაქცეული კორუმპირებული მაღალი და საშუალო რანგის ჩინოვნიკები ძირითადად თავს აფარებენ აშშ-ს, კანადას, ავსტრალიას და სხვა განვითარებულ ქვეყნებს, ხოლო ხაზინის წვრილი ქურდები – ვიეტნამს, ფილიპინებს, მაიამს, მონღოლეთს და რუსეთს. გაეროს სტატისტიკის მონაცემებით მსოფლიოში ყოველწლიურად კორუფციულ გარიგებებზე იხარჯება ერთ ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი, რაც მსოფლიოს ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის წლიური მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობას აღემატება.

34. კორუფციის გავლენა საერთაშორისო ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე

ტრანსნაციონალურმა კორუფციამ, ისევე როგორც ნაციონალურმა, სერიოზული საფრთხე შეუქმნა საერთაშორისო ეკონომიკურ უსაფრთხოებას. სიღარიბემ, ავადმყოფობის გახშირებამ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირებამ, სიმდიდრისა და შემოსავლების არათანაბარმა განაწილებამ მთელს მსოფლიოში საყოველთაო ხასიათი მიიღო. მრავალ ქვეყანას გააჩნია ძალიან დაბალი, ზოგჯერ კი უარყოფითი ეკონომიკური ზრდის ინდექსი. ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებშიც კი დაბალია ეკონომიკური ზრდა, და შესაბამისად, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების დონე. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ფინანსური დახმარებები ბევრ შემთხვევაში არაეფექტიანია, რადგან რეციპიენტი ქვეყნების მთავრობები ვერ უზრუნველყოფენ ამ სახსრების ოპტიმალურ, უდანაკარგოდ მიზნობრივ გამოყენებას. გზების, ხიდების, აუზების და სხვადასხვა ტექნიკური ნაგებობების მშენებლობა შედარებით მარტივი საქმეა. მაგრამ სახელმწიფო მმართველობითი სისტემის რეფორმირება და მძლავრი კერძო სექტორის შექმნა – უფრო რთული ამოცანაა და იგი არ დაიყვანება მხოლოდ ქაღალდზე გადატანილი საინჟინრო პროექტების რეალიზაციასთან.

საზოგადოების ძალიან მდიდრებად და ღარიბებად დაყოფაში უდიდესი წვლილი შეაქვს კორუფციის გლობალიზაციას და ეკონომიკური ხასიათის სხვა სამართალდარღვევებს. ამ მოვლენაზე ყველაზე ძლიერ გავლენას ახდენს ტრანსნაციონალური კორუფცია. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო (წვრილ) კორუფციას (ექიმის, მასწავლებლის, რიგითი პოლიციელის და ა.შ. მოქრთამვას), იგი ადვილად დაძლევადია ეფექტიანი სახელმწიფო მენეჯმენტის ფარგლებში (განსაკუთრებით მცირე ზომის ქვეყნებში), ხოლო, მსხვილმასშტაბიანი ტრანსნაციონალური კორუფციის აღმოფხვრა რთული, მრავალწახნაგოვანი და სისტემური პრობლემაა ნებისმიერი ზომის ქვეყანაში, რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკების კორუმპირებულობასთან, რომელიც თავისი ბუნებით მკაცრად გასაიდუმლოებულია და ფაქტობრივად არ ექვემდებარება საზოგადოებრივ მონიტორინგს და საერთაშორისო ზედამხედველობას.

გლობალური (მსხვილმასშტაბიანი) კორუფცია მიმდინარეობს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში და ძირითადად ეხება სამთავრობო პროექტებს და პროგრამებს და სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. მრავალი სახელმწიფო თავისი პროგრამის ფარგლებში სამამულო და უცხოურ კომპანიებს უწესებს საკმაოდ სარფიან შეღავათებს სახელმწიფო შესყიდვებში, ლიცენზიებისა და სხვა სახის ნებართვებისა და კონცესიების გაცემაში და ა.შ. შეღავათები, რომლის მასშტაბები განისაზღვრება არა კანონით, არამედ სახელისუფლებო კაბინეტებში და ხშირად ოფიციალურად გასაიდუმლოებულ კონტრაქტებში, ძალიან დიდი რისკის შემცველია. რაც მეტია შეღავათები, მით მეტია მსხვილმასშტაბიანი კორუფციის რისკი, რაც უფრო მსხვილია უცხოური ინვესტიცია, მით უფრო მაღალია კორუფციული გარიგებების ალბათობა.

ამგვარ, მსხვილმასშტაბიან კორუფციას შეუძლია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რყევები როგორც ცალკეული ქვეყნების საშინაო, ასევე ქვეყანათა ჯგუფებისა და მთლიანად გლობალურ ეკონომიკაში. კორუმპირებულ ქვეყნებში სახელმწიფო იხდის ძალიან მაღალ ფასს მსხვილმასშტაბიან სახელმწიფო შესყიდვებზე და ძალიან მცირეს ღებულობს პრივატიზაციის განხორციელებისათვის. კორუმპირებული ჩინოვნიკები ხელს უწყობენ არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას პირადი მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით და მათი ქმედების შედეგია სახელმწიფოს მიერ არასამართლიანი და არაეფექტიანი ეკონომიკური კურსის გატარება. სახელმწიფო ახორციელებს ძალიან ბევრ არასაჭირო და არაპრიოტეტულ პროექტებს და მნიშვნელოვნად ზედმეტს ხარჯავს მთლიანობაში საჭირო პროექტებზეც კი. კორუფცია ამცირებს პრივატიზაციიდან და კონცესიის მიწოდებიდან შემოსავლების დონეს.

გლობალური კორუფცია ხელს უშლის ერთიანი, მსოფლიოს სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის ფორმირებას, იწვევს სოციალური წონასწორობის დესტაბილიზაციას. მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკური მოწყობის საშიში დიფუზია. პირველი, ეკონომიკური სივრცის პრივატიზება ხდება ეფექტიანი და ძლიერი სახელმწიფოების მიერ ბუნებრივი რენტისა და იაფი სამუშაო ძალის ექსპლუატაციის ანგარიშზე, ტრანსნაციონალური კომპანიების და სახელისუფლებო ელიტის ვიწროპარტიული ინტერესების სასარგებლოდ. მეორე, საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც გარანტი სამართლიანობისა, საერთო სახელმწიფოებრივი ეკონომიკური ინტერესების სფეროში თანდათანობით ვიწროვდება და ჩანაცვლდება არაფორმალური ინსტიტუტებით. მესამე, მიმდინარეობს საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის ნიველირება და კორუფციული ელემენტების შემცველი ავტონომიური კანონების მიღება, რასაც თან სდევს ნეგატიური შედეგები. მიმდინარეობს საერთაშორისო ბაზრის გარდაქმნა და პოლიტიკური რეჟიმების კლეპტოკრატიული საფუძვლების ფორმირება. ოლიგარქები და მსოფლიო ბიზნეს-ელიტის წარმომადგენლები წარმოდგენილია ყველგან, მათი ანგარებიანი ინტერესები შეღწეულია ყველაფერში, მათ შორის, გლობალური კორუფციის სფეროში.

35. ბრძოლა გლობალურ კორუფციასთან

მსოფლიო თანასაზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კორუფციასთან ბრძოლას და შესაბამის პრევენციულ საქმიანობას. ამ მიზნით უკანასკნელ წლებში გაეროს ეგიდით მიღებულ იქნა: ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია „კორუფციასთან ბრძოლის შესახებ“ (1995წ.); სახელმწიფო თანამდებობის პირების ქცევის საერთაშორისო კოდექსი (1996წ.); დეკლარაცია საერთაშორისო კომერციულ ორგანიზაციებში კორუფციასა და მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ (1997წ.); კონვენცია ტრანსნაციონალურ ორგანიზაციულ დანაშაულობათა წინააღმდეგ (2000წ.) და ა.შ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა ევროპის საბჭო, ევროპის კავშირი, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და სხვ. ამ მიზნით უკანასკნელ წლებში გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციბის მიერ მიღებულ იქნა მთელი რიგი ნორმატიული დოკუმენტები. ტრანსნაციონალურ კორუფციასთან ბრძოლის მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს 2011 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის (International Chamber of Commercc – ICC) მიერ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის განახლებული წესის გამოცემა (პირველად გამოიცა 1977 წელს), რაც G-20 მოწოდების ოპერატიულ გამოძახილად შეიძლება ჩაითვალოს. ICC-ს ახალი ანტიკორუფციული წესი წარმოადგენს რეკომენდაციებს კომპანიებისათვის, რომლებიც უნდა განახორციელდეს კორუფციასთან ბრძოლაში.

თუმცა დღემდე გლობალურ კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით გატარებული ღონისძიებებით ფაქტობრივი მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. პირიქით, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში გამოკითხულთა 73 და 67 პროცენტი თვლის, რომ უკანასკნელ სამ წელიწადში კორუფციის დონე გაიზარდა. მსოფლიო ბანკის მონაცემები ეჭვის ქვეშ აყენებს საერთაშორისო ანტიკორუფციული შეთანხმების ეფექტიანობას, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. შეიძლება ითქვას, რომ მიღებულმა ანტიკორუფციულმა საერთაშორისო კანონებმა ვერ უზრუნველყვეს კეთილსინდისიერი მეთოდებით ბიზნეს-საქმიანობის წარმართვა. თუმცა, ჩვენი აზრით, ასეთი დასკვნის გაკეთება ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან ზემოხსენებული „კონვენცია“ ძალაში სულ ახლახან შევიდა. მეორე მხრივ, ანალოგიის მეთოდის გამოყენებით ამგვარი დასკვნის გაკეთებაც გამართლებულია. კერძოდ, საუბარია იმაზედ, რომ აშშ-ში 20 წელზე მეტია რაც ამოქმედდა კანონი საზღვარგარეთ ამერიკული ფირმების კორუფციის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი მაინც არ გამოირჩევიან საგანგებო კეთილსინდისიერებით სხვა ქვეყნების ტრანსნაციონალურ კომპანიებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, რთულია იმის პროგნოზირება და გარანტირება, რომ „კონვენციის“ რეალიზაციით უახლოეს მომავალში შესაძლებელი გახდება ტრანსნაციონალური კორუფციის დონის შემცირება.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეტაპზე ყალიბდება დადებითი ტენდენცია ანტიკორუფციული საქმიანობის საერთაშორისო პროექტების ფორმირებისა და რეალიზაციის მიმართულებით, კვლავაც გადაუჭრელი რჩება მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები. როგორც ჩანს, არსებული საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური წესრიგის შენარჩუნების პირობებში შეუძლებელია გლობალურ კორუფციასთან ეფექტიანი ბრძოლა.

აღნიშნულის არგუმენტირების მიზნით მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. კორუფციასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება აუდიტორული სამსახურების საქმიანობას. ბუღალტერთა საერთაშორისო ორგანიზაციამ კორუფციასთან ბრძოლის გლობალურ სტრატეგიაში ბუღალტრებისა და აუდიტორების შესაძლო წვლილის გაზრდის მიზნით შეიმუშავა და გამოაქვეყნა მოხსენება „ბუღალტრული პროფესია და კორუფციასთან ბრძოლა“, სადაც აღნიშნულია, რომ კორუფციასთან ბრძოლაში გადამწყვეტი როლი განეკუთვნება კორპორაციულ მმართველობას. კორუფცია ფეხს ვერ მოიკიდებს იმ კორპორაციულ სისტემაში, სადაც მოწესრიგებულია ფინანსური კონტროლის სისტემა. კორუფციასთნ მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ აუდიტორული სამსახურების დიდ მნიშვნელობას კერძო სექტორში ეკონომიკური დანაშაულის გამოვლენისა და თავიდან აცილების საქმეში. სწორედ ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ მთელ რიგ ქვეყნებში სახელმწიფო კერძო ბიზნესს ავალდებულებს შიდა და გარე აუდიტორული შემოწმების პერიოდულად ჩატარებას. თუმცა თავად აუდიტორულ კომპანიებშიც დგება ხოლმე კორუფციის პრობლემა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო დონის აუდიტორული კომპანიების საქმიანობაზე კონტროლის დაწესება რთულია. ასეთი საერთაშორისო ორგანიზაცია ფაქტობრივად არ არსებობს, გარდა ადგილობრივი საგადასახადო სამსახურებისა, რომელთა ზედამხედველობა გადასახადების სწორად და დროულად გადახდაზე მონიტორინგით ამოიწურება. აუდიტორულ საქმიანობაში კორუფციის თვალსაჩინო მაგალითია ე.წ. „ენრონის საქმე“. მსოფლიოს აუდიტორული კომპანიების პირველ ხუთეულში შემავალმა „Enron Corporation“-მა, რომელშიც დასაქმებული იყო 22 ათასი თანამშრომელი მსოფლიოს 40 ქვეყანაში, თავისი საქმიანობა გაკოტრებით დაამთავრა. კორპორაცია, რომელიც აუდიტორულ საქმიანობასთან ერთად ეწეოდა ფიუჩერსებით და სხვა წარმოებული ქაღალდებით ვაჭრობას, სკანდალში გაეხვია. მას ბრალად დაედო ინვესტორების შეცდომაში შეყვანა, რაც გამოიხატებოდა ქრთამის სანაცვლოდ ფირმების ზარალის დამალვასა და ანგარიშების ფალსიფიკაციაში. როგორც ჩანს, აუდიტორული სამსახურების საქმიანობაზე ზედამხედველობის მიზნით, როგორც ნაციონალურ, ასევე საერთა-შორისო დონეზე, საჭიროა სპეციალიზებული მონიტორული სამსახურის შექმნა, რომელსაც დაევალება კორუფციული გარიგებების თავიდან აცილების ღონისძიებების გატარება.

კორუფციასთან ბრძოლამ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმები, გამომდინარე იქიდან, თუ კორუფციის რომელ სახესთან გვაქვს საქმე და როგორია მისი გავრცელების არეალი. მოცემული ქვეყნის შიგნით კორუფციასთან ბრძოლა შედარებით მოკლევადიანი და ეფექტიანია,

ხოლო შემოუსაზღვრელ საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ დონეზე იგი რთული, მრავალწახნაგოვანი და დროში გაწელილი პროცესია. ერთი რამ აუცილებლადაა გასათვალისწინებელი. საჭიროა დაბალანსებული მიდგომა კორუფციასთან ბრძოლაში, რადგან ზედმეტად მკაცრმა ადმინისტრაციულმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკის სწრაფი ვარდნა, რადგან ბიზნესი „ეგუება“ კორუფციულ გარიგებებს. ამიტომაც კორუფციასთან ბრძოლა უნდა დაიყოს ორ ეტაპად: პირველ, გამაფრთხილებელ ეტაპზე თანამდებობრივი არხების გადაკეტვა კორუფციული მიზნებისათვის (საეჭვო შემთხვევების გამოძიება და შემოწმება, ადმინისტრაციულ-მმართველობითი მექანიზმების გაუმჯობესება, სახელმწიფო მოხელეთა და ტოპ-მენეჯერების შრომის ანაზღაურების დარეგულირება, მათი შემოსავლების და ქონების შემოწმება და სხვა გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება). დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თანამდებობრივი პირების სოციალური დაცვის მექანიზმის შემუშავებას, რათა მათ მომავალში თავი იგრძნონ დაცულად შესაძლო სოციალურ კატაკლიზმების დროს. კორუფციასთან ბრძოლის გამაფრთხილებელ ეტაპზე საჭიროა საზოგადოებრივი მხარდაჭერა, მასმედიის აქტიურობა და ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. ხოლო მეორე ეტაპზე უნდა განხორციელდეს მკაცრი კონტროლი კორუფციის იმ შემზღუდავი მექანიზმების შესრულებაზე, რომელიც დადგინდება მის პირველ გამაფრთხილებელ ეტაპზე, რაც მოიცავს სადამსჯელო-სამართლებრივ რეაგირებას ნებისმიერ კორუფციულ გამოვლინებაზე.

ტრანსნაციონალურ კორუფციასთან ბრძოლას ართულებს ის გარემოება, რომ არ არსებობს ერთიანი მსოფლიო ადმინისტრაციული ორგანო. ამიტომ ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურმა და იურიდიულმა ორგანიზაციებმა, მათმა გაერთიანებულმა კოორდინირებულმა ძალისხმევამ უნდა უზრუნველყოს როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო მასშტაბის ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარება.

გლობალურ კორუფციასთან ბრძოლის მიზნით, ჩვენი აზრით, საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- შემუშავდეს საერთაშორისო ანტიკორუფციული სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნება მსოფლიო საზოგადოების, ტრანსნაციონალური კომპანიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანტიკორუფციული განწყობის ფორმირებისაკენ, კორუფციის ნეგატიური შედეგების გაცნობიერებისაკენ, ფინანსურ სფეროში გამჭვირვალობის და კორუფციული შემთხვევების გამოვლენისაკენ, კორუფიისაგან დაზარალებული სუბიექტები დანაკარგების სამართლიანი ანაზღაურებისაკენ;
- გაიხსნას საერთაშორისო ბანკებში განთავსებული ინდივიდუალური მსხვილი ანაბრები, შეფასდეს მათი წარმოშობის კანონიერება და კორუფციის გამოვლენის შემთხვევაში დაპატიმრებულ იქნას ასეთი ანგარიშები და აღნიშნული თანხები დაუბრუნდეს შესაბამის სახელმწიფოს საკუთარ ბიუჯეტში შესატანად;

- სახელმწიფოებში შიდა და გარე კორუფციასთან ბრძოლის მიზნით შეიქმნას დამოუკიდებელი საერთაშორისო ანტიკორუფციული სამსახური, რომელიც განახორციელებს სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების მიერ კორუფციასთან ბრძოლის კუთხით გატარებულ ღონისძიებათა მონიტორინგს. ასეთი დუბლიორი სამსახურის საქმიანობის პრაქტიკა კარგადაა აპრობირებული ისრაელში;

- მიუღებლად უნდა ჩაითვალოს კორუფციასთან ბრძოლის საბაბით სახელმწიფოში დიქტატორული რეჟიმის დამყარება, რადგან როგორც ჩინეთის გამოცდილება გვიჩვენებს, ამ კუთხით დამნაშავეთა დახვრეტაც კი უკუ რეაქციას იწვევს. დემოკრატიული რეჟიმი, მართალია არ იძლევა კორუფციისაგან სრული გათავისუფლების გარანტიას, მაგრამ იგი უზრუნველყოფს კორუფციასთან ბრძოლის უფრო ეფექტიან შედეგებს;

- განხორციელდეს ყველა სახელმწიფო კანონების პასპორტიზაცია და ლობისტური ზეწოლით მიღებული საეჭვო მუხლების გასწორება ანტიკორუფციულობის კუთხით. ვინაიდან შეუძლებელია ლობისტურ საქმიანობაში კეთილსინდისიერ და კორუფციულ ზეწოლას შორის საზღვრის გავლება, აიკრძალოს ლობიზმის ინსტიტუტების ფუნქციონირება ხელისუფლების ცალკეულ შტოებში;

- ოფშორებმა, როგორც „საგადასახადო სამოთხემ“ უნდა შეწყვიტონ საიდუმლო თავშესაფრის ფუნქციის შესრულება. საერთაშორისო და ეროვნულ ბაზრებზე ფუნქციონირებადმა სუბიექტებმა უნდა უზრუნველყოფონ მათი საქმიანობის საერთაშორისო გამჭვირვალობა. ფირმების რეგისტრაცია, მესაკუთრის ვინაობა ოფშორულ ზონებში, მათი მისამართი, ეკონომიკური საქმიანობის ფორმები და მეთოდები უნდა გახდეს საზოგადოებისათვის გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი.

- შემოწმდეს უცხოური ინვესტირების კეთილსინდისიერების ხარისხი, რისთვისაც საჭიროა საზოგადოებას მიეწოდოს მათ შესახებ სრული ინფორმაცია, ასევე ღია გახდეს სახელმწიფოებსა და კერძო ფირმებს შორის დადებული გარიგებები და კონტრაქტები;

- გაიზარდოს ყველა დონის ბიუჯეტების გამჭვირვალობის ხარისხი, ბიუჯეტში გაუწერელი ხარჯების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 0,8-1,0 პროცენტს;

- აიკრძალოს ყოფილი მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეების მიერ მსხვილ კერძო სტრუქტურებში მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნა, რათა გამოირიცხოს კერძო სექტორის კორუფციული შეზრდა სახელმწიფოსთან. უმაღლეს თანამდებობაზე გამოირიცხოს პირველი რიგის ნათესავების დანიშვნა.

საქართველო, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყანა, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, არაა დაზღვეული გლობალური კორუფციისაგან. ექსპორტ-იმპორტი, უცხოური ინვესტიციები, საერთაშორისო ტრანზიტები, პრივატიზაცია, სახელმწიფო შესყიდვები, საერთაშორისო ტენდერები, ლიცენზიების გაცემა და სხვა ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც დაკავში-

რებულია საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცესთან, შეიცავს გლობალური კორუფციის მაღალ რისკებს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მსხვილი ქართული ბიზნესის უმეტესი ნაწილის იურიდიული ბაზირება ოფშორულ ზონებში, რომელიც შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კორუფციულ სქემებს, რადგან მათ წინაშე არ დგას კლასიკური ოფშორული პრეფერენციების გამოყენების აუცილებლობა, გამომდინარე იქიდან, რომ, მათ უცხოეთის ქვეყნებში არ გააჩნიათ შვილობილი საწარმოები და ფილიალები, რათა თავიდან აიცილონ ორმაგი დაბეგვრა მოგების რეპატრიაციის შემთხვევაში ან მიიღონ სხვა სახის საგადასახადო შეღავათები. მხოლოდ კორუფციული იდეოლოგიით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საქართველოში საზოგადოებისათვის უცნობია მსხვილი ბიზნესის უკან მდგარი ფაქტობრივი მესაკუთრეები და "ტოპ-მენეჯერები". გამომდინარე აქედან, საჭიროა არა მხოლოდ შიდა, არამედ აგრეთვე გლობალურ კორუფციასთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომელთა შორის მთავარია: სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების ფორმირება; სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება; პოლიტიკურ მენეჯმენტში პლუტოკრატიული და კლეპტოკრატიული ელემენტების შევიწროება და აღმოფხვრა; საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია და მორალის გაჯანსაღება.

36. ბიზნესი როგორც დაცვის ობიექტი

ბიზნეს-საქმიანობაში უსაფრთხოების დაცვის ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ:

- ცალკეული მეწარმეები და მათი ოჯახის წევრები;
- ფირმის თანამშრომლები;
- პროდუქცია, ნიმუშები;
- მოწყობილობები, მასალები და სხვა მატერიალური ფასეულობანი;
- ფინანსური სახსრები;
- ინფორმაცია (კომერტციული საიდუმლოება, არამატერიალური აქტივები, ინტელექტუალური საკუთრება, კერძო ინფორმაცია);
- ბიზნესის ორგანიზაცია;
- კონტროლის შენარჩუნება;
- მეწარმის იმიჯი;
- ბიზნეს-გეგმა და პროექტები;
- პროდუქციისა და მომსახურების მომხმარებელი;
- ბუნებრივი გარემო, რომელიც განიცდის მეწარმეობის მხრიდან ზემოქმედებას.

სქემატურად ბიზნესის დაცვის ძირითადი ობიექტები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად (იხ. ნახ. 1 მომდევნო გვერდზე).

მეწარმე და მისი ოჯახის წევრები, ფირმის თანამშრომლები, უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნან დაცული მათ ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე ხელყოფისაგან, მათი გატაცების განხორციელების შესაძლო მცდელობებისაგან. თანამშრომლებთან მიმართებაში მნიშვნელოვანი მომენტია მათი კონკურენტების მხრიდან გადაბირების, მათი კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროდ გამოყენების აღკვეთა, აგრეთვე ღონისძიებების გატარება, რათა ისინი არ გადაიბირონ კრიმინალურმა სტრუქტურებმა, კონკურენტებმა და უცხოურმა სპეცსამსახურებმა. შრომითი კოლექტივის დაცვის პრობლემა ძირითადად დაკავშირებულია კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანების, კონკურენტების შეღწევის აღკვეთასთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბიზნესსაქმიანობის არა მხოლოდ ეფექტიანობის შემცირება, არამედ მისი სრული კრახიც კი.

ფინანსური სახსრების დაცვა ძირითადად გულისხმობს ფულადი სახსრების, პროდუქციის, ნიმუშების, მოწყობილობების და სხვა მატერიალური ფასეულობების დატაცებისაგან დაცვას, აგრეთვე მათი დაზიანებისაგან, გაყალბებისაგან (კოპირებისაგან), არასტანდარტული წარმოებისაგან დაცვას.



ნახ.1. ბიზნესის დაცვის ძირითადი ობიექტები

კომერციული საიდუმლოების მქონე ინფორმაციის, სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის, არამატერიალური აქტივების, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა გულისხმობს არასანქცირებული დაშვების და უკონტროლო განაწილების, აგრეთვე ზიანის მიყენების მიზნით მათი განადგურების აღკვეთას.

ბიზნესის ორგანიზაციის დაცვა ნიშნავს მომარაგებაში, წარმოებაში, გასაღებაში და ა.შ. დაბრკოლებებისაგან დაცვას.

ბიზნეს-საქმიანობაზე კონტროლის შენარჩუნება გულისხმობს კონკურენტების ხელში აქტივების პაკეტის გადაცემის ან კიდევ მათი მართვის ბერკეტებთან დაუშვებლობას. ბიზნეს-საქმიანობაზე კონტროლის შენარჩუნებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორულ ურთიერთობას. ბიზნესის დაცვა მოიცავს სხვადასხვა საპროექტო სტრატეგიებს, რომლების უსაფრთხოა ინვესტორის მხრიდან. თუმცა პრაქტიკაში არც თუ იშვიათად გვხვდება პარტნიორული დამოკიდებულების საფრთხის შემცველი სტრატეგიები.

პარტნიორთან დამოკიდებულების შინაგანი შინაარსით და პრინციპებით განასხვავებენ პროექტული სტრატეგიების შემდეგ სახეებს:

- *ცივილიზებული პარტნიორული დამოკიდებულება*, რომლის რეალიზაცია ხდება ფორმალურად მიღებული საქმიანი ნორმებისა და კანონების საფუძველზე. ასეთი სტრატეგია მოიცავს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობის ყველა მხარეს – ცალკეული ერთჯერადი კონტრაქტებიდან გრძელვადიან ერთობლივ საქმიან ურთიერთობამდე;
- *მეგობრული პარტნიორული სტრატეგია,* რომელიც გულისხმობს პროექტის ერთობლივ განხორციელებას, კერძოდ, პარტნიორთა ინტერესების შესაბამისად ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას;
- *ერთობლივი პროექტის ერთი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმიდან მეორეში გადაყვანა;*
- *პარტნიორთან მიმართებაში მტრული დამოკიდებულება,* რომელიც გულისხმობს პარტნიორული ფორმის შიგნით არაფორმალური პოზიციების მიტაცებას. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორი აწვდის ბიზნესს ნედლეულს, მოწყობილობას და ა.შ. ამ დროს ბიზნესის მეპატრონე პარტნიორის მხრიდან ხდება მართვადი;
- *მტრული პარტნიორული სტრატეგია,* რომლის დროსაც არაკეთილსინდისიერი ფირმა-ინიციატორის მიერ ხდება პარტნიორი საწარმოს შეძენა. ეს სტრატეგია რეალიზდება კანონის ფარგლებში. იგი შეიძლება განხორციელდეს პარტნიორის აქტივების ფარულად შესყიდვით, ფუნქციონალური სტრუქტურების და ტექნოლოგიური უბნების შესყიდვით ან ბიზნეს-პარტნიორის მთლიანად შეძენით. ასეთი სტრატეგია ფართოდ გამოიყენება საბანკო სფეროში;

• *მტრული პარტნიორული სტრატეგია*, რომელიც ხორციელდება კანონის დარღვევით ან კიდევ უკანონო სტრატეგია, რომლის დროსაც ბიზნესი არსებობს ოფიციალური დარეგისტრირების გარეშე. სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის დაცვის ობიექტებად გამოდიან მხოლოდ ის პარტნიორული ურთიერთობები, რომლებიც ხორციელდება კანონის ფარგლებში. პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ქონდეს ისეთ ბიზნეს-პროექტებს, როგორიცაა: „თეთრი“, „ლეგიტიმური“, „მომიჯნავე“, „კრიმინალური“.

- *„თეთრი“ პროექტი* ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში და მთლიანად პასუხობს საქმიანი ეთიკის მოთხოვნებს.

- *„ლეგიტიმური“ პროექტი* შეესაბამება კანონიერ მოთხოვნებს, მაგრამ ხორციელდება საქმიანი ეთიკიკის საზღვრებს. ეს ნიშნავს პარტნიორისადმი აგრესიულ, არამეგობრულ დამოკიდებულებას, რისკების პარტნიორის მხრებზე გადაკისრებას, ერთობლივი პროექტიდან მოგების უმეტესი ნაწილის მიღების მცდელობას;

- *„მომიჯნავე“ პროექტი* გულისხმობს კანონებში არსებული ხარვეზების და წინააღმდეგობების გამოყენებას. ასეთი სახის პროექტი შეიძლება მიმართული იქნას პარტნიორების და მოსახლეობის მოსატყუებლად, გადასახადის გადახდისაგან თავის ასარიდებლად;

- *„კრიმინალური“ პროექტი* ხორციელდება კანონის აშკარა დარღვევით. მეტწილად დაკავშირებულია პარტნიორისა და მოსახლეობის მოტყუებასთან, თაღლითობასთან, დატაცებასთან, კონტრაბანდასთან, ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობასთან და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან.

სახელმწიფო რეგულირების კუთხით დაცვის ობიექტად გამოდის მხოლოდ „თეთრი“ პროექტი.

ბიზნეს-საქმიანობის უსაფრთხოებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომერციული საიდუმლოების დაცვას.

37. სახელმწიფოს როლი ბიზნესის უსაფრთხოების დაცვაში

სახელმწიფოს ფუნქციებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიზნესისადმი ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნას, მისი განვითარებისადმი ხელის შეწყობას და უსაფრთხოების დაცვას. სახელმწიფოს ძლიერება დამოკიდებულია ბიზნესის წარმატებულ განვითარებაზე, ამიტომაც ნებისმიერი ქვეყნის ხელკისუფლება ვალდებულია დაიცვას ბიზნესი გარე და შიდა რისკებისაგან, ხელი შეუწყოს მის მდგრად და სწრაფ განვითარებას. გამომდინარე აქედან, ბიზნესის დაცვაზე ორიენტირებულია ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები, რომელთა ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია ბიზნესის დაცვა.

ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო თავისი სხვადასხვა კომიტეტებისა და სპეციალური მაკონტროლებელი უწყებების მეშვეობით უზრუნველყოფს ბიზნესის უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონების შემუშავებას და მის განხორციელებაზე კონტროლს. ქვეყნის საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო აუდიტორული სამსახური (აუდიტორული ოფისი, კონტროლის პალატა ან სხვა), რომლის ფუნქციებში შედის როგორც სახელმწიფო ფინანსური კონტროლი, ასევე ამოცანათა გარკვეული წრე, რომელიც მიმართულია ბიზნესის დაცვისაკენ. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განხორციელებისას სახელმწიფო აუდიტორულ სამსახურს შეუძლია გააკონტროლოს ბიზნესსა და სახელმწიფო ორგანოს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა სისწორე, კანონთან შეუსაბამისობა და, შესაბამისად, შეიმუშავოს კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები ამა თუ იმ სახის ბიზნესის განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ბიზნესის დაცვაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს ქვეყნის მეთაურის (პრეზიდენტის) ადმინისტრაციულმა სამსახურმა. ზოგიერთ ქვეყანაში პრეზიდენტთან იქმნება ბიზნესის ხელშეწყობისა და მონიტორინგის სხვადასხვა სახის სამსახურები, რომელთა ამოცანაა კონტროლი იმაზედ, თუ როგორ უწყობენ ხელს (ან ავიწროებენ) ბიზნესის განვითარებას ქვეყნის აღმასრულებელი ორგანოები. ამ კუთხით მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა აგრეთვე ქვეყნის უშიშროების საბჭო, რომელიც თითქმის ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებს და არეგულირებს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ საქმიანობას უსაფრთხოების დაცვის კუთხით. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებულ „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“ დიდი ადგილი უკავია ეკონომიკური და, მათ შორის, ბიზნესის უსაფრთხოების პოლიტიკას.

ამ დოკუმენტის თანახმად საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტებია:

- მაკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცება საბიუჯეტო სისტემის და საგადასახადო ადმინისტრირების მოწესრიგების, მოქნილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების, საშუალოვადიანი სახარჯო პოლიტიკის პრინციპების დანერგვისა და სახელმწიფო ვალის ეფექტიანი მომსახურების გზით;
- კერძო სექტორის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა ეკონომიკის ინსტიტუციური დარეგულირების, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისა და კერძო საკუთრების უფლების დაცვის მეშვეობით;
- სოფლის მეურნეობის სექტორში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება და მიწის ბაზრის განვითარება;

• მრეწველობის ტრადიციული და ინოვაციური დარგების განვითარებისათვის ბიზნეს-გარემოს შექმნა;

• ტურიზმის განვითარება და საქართველოს ტურისტული პოტემციალის სრული რეალიზაცია;

• რეგიონებსა და დედაქალაქს შორის სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების, რეგიონების თანაბარი განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნისა და მთიანი რეგიონებისათვის სპეციალური პროგრამების განხორციელების გზით;

• საბაზო ინფრასტრუქტურის განვითარება და ქვეყნის შედარებითი უპირატესობების, განსაკუთრებით – სატრანზიტო, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პოტენციალია რეალიზაცია, მათ შორის, გზების აღდგენა-განვითარების მეშვეობით;

• საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში აქტიური მონაწილეობა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას გლობალურ ეკონომიკაში;

• საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობა;

• ჯანსაღი კონკურენტული გარემოს და ბიზნესში თანაბარი შესაძლებლობების პირობების შექმნა და პრივილეგირებული, კონკურენციის შემზღუდავი უფლებების მინიჭების არდაშვება, განსაკუთრებით კომუნიკაციისა და ენერგეტიკის სფეროებში.

ბიზნესის დაცვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები – სამინისტროები, უწყებები, სააგენტოები, სხვადასხვა სამსახურები. ამ კუთხით საქართველოში განსაკუთრებით დიდი ამოცანები აკისრია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობვის, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, საგარეო საქმეთა სამინისტროებს, აგრეთვე „საქსტანდარტს“, „სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს“ და ა.შ. ბიზნესის დაცვის კუთხით ასევე დიდი ამოცანები აკისრია ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაზვერვის სამსახურს და სხვა ძალოვან ძალოვან სტრუქტურებს.

მთავარი როლი ბიზნესის დაცვაში განეკუთვნება სასამართლო ორგანოებს. მეწარმის სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიმართ ადგილი აქვს მოქალაქის, სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან სხვა მეწარმის არაკანონიერ ქმედებას. მეწარმის უფლებების დაცვა სასამართლოს გზით დაკისრებული აქვთ საერთო ან არბიტრაჟულ სასამართლოებს.

არბიტრაჟული სასამართლოები სპეციალურად იქმნება მეწარმეთა მონაწილეობით დავების განხილვისა და დარეგულირებისათვის. კერძოდ, არბიტრაჟული სასამართლოები განიხილავენ შემდეგი კატეგორიის საკითხებს:

- იურიდიული პირების ან მოქალაქეების სარჩელებს ხელშეკრულებათა დადებაზე, მისი პირობების შეცვლაზე ან შეუსრულებლობაზე;
- ბიზნესის სახელმწიფო რეგისტრაციაზე უარის თქმაზე, საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტების ძალადაკარგულად ცნობის გამო;
- დავებზე უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ საწარმოსა და ქვეყნის აღმასრულებელ ორგანოებს შორის;

საერთო სასამართლოებს ექვემდებარება შემდეგი სახის საქმეები:

- მოქალაქეთა (ინდივიდუალურ მეწარმეთა) ან იურიდიული პირების (ბიზნეს-სტრუქტურების) საჩივარი ღირსებისა და პატივის, საქმიანი რეპუტაციის დაცვაზე;
- სხვადასხვა სამოქალაქო საქმეები, რომელიც ნაწილობრივ დაკავშირებულია ბიზნეს-საქმიანობასთან და ა.შ.

ბიზნესის უფლებების დაცვის საკითხი ცალკეულ მეწარმეთა საჩივრებზე შეიძლება განხილულ იქნას საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სამართლის კუთხით.

ბიზნესის დაცვაში სახელმწიფოს როლი ვლინდება აგრეთვე სანოტარო სამსახურის მეშვეობით. ნოტარიატი ხორციელდება უფლებებისა და ფაქტების დადასტურების, დოკუმენტების დამოწმების, სხვა მოქმედებათა შესრულების იურიდიული მტკიცერბულების უზრუნველყოფის მიზნით. ნოტარიუსები ამტკიცებენ არასადავო საქმეებს ერთპიროვნულად, ადგენენ იურიდიულ ფაქტებს წერილობითი მტკიცებულებების საფუძველზე ისე, რომ ამისათვის არაა საჭირო სასამართლო პროცესი და საჯაროობის პრინციპი. ხშირ შემთხვევაში, მაგალითად, გარიგებათა დამოწმების, ქონების გასხვისებაზე აკრძალვის გადაწყვეტილების გაუქმების დროს, ნოტარიული ქმედება მიმართულია მეწარმის დაცვაზე. ნოტარიუსების კომპეტენციაში შედის შემდეგი ქმედებები, რომლებიც მიმართულია ბიზნესის დასაცავად:

- ბიზნეს-გარიგებების დამოწმება; ქონების გასხვისებაზე აკრძალვის დადება და მოხსნა;
- დოკუმენტის ან მისგან ამონაწერის დამოწმება;
- დოკუმენტზე ხელმოწერის სინამდვილის დადასტურება;
- ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სინამდვილის დადასტურება;
- დამოწმება იმ ფაქტისა, რომ მოქალაქე ცოცხალია;
- დამოწმება იმისა, რომ მოქალაქე იმყოფება განსაზღვრულ ადგილას;
- დამოწმება იდენტურობა მოქალაქის ფოტოზე გამოსახულ სურათთან;
- დეპოზიტში ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების მიღება და ა.შ.

ბიზნესის დაცვის კუთხით მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის, რომ ნოტარიუსს არა აქვს უფლება გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი ნოტარი-

ული ქმედებების შესრულების დროს. ნოტარიალური სტრუქტურები შეიძლება არსებობდეს ორი სახის – სახელმწიფო და კერძო.

ბიზნესის დაცვის სახელმწიფო სტრუქტურების პარალელურად შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სახის არასამთავრობო სტრუქტურებიც ან კერძო ორგანიზაციები, რომელთა მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყონ ბიზნესის მდგრად განვითარებას და საჭიროების შემთხვევაში დაიცვან მათი უსაფრთხოება. ესენი შეიძლება იყოს სპეციალიზებული სამმართველოები, ცენტრები, ფონდები, ინკუბატორები, საკონსულტაციო დაწესებულებები, ბიზნეს-სკოლები და ა.შ.

ბიზნესის უსაფრთხოების დაცვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციები და რეგიონული ინტეგრაციული სტრუქტურები. უცხოეთის ქვეყნებში ორგანიზაციები, რომლებსაც ასე თუ ისე აქვთ ურთიერთობა ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, როგორც წესი, აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და კოორდინაციას უკეთებენ თავიანთ საქმიანობას. ურთიერთობებისა და კოორდინირების ძირითად ფორმებს განეკუთვნება:

- ინფორმაციის გაცვლა ბიზნესის დაცვის კონკრეტულ საკითხებზე, კონსულტაციები;
- ერთობლივი სამუშაო ჯგუფები, საკონსულტაციო საბჭოები, კომისიები;
- მათ შორის მდგრადი კავშირების დამყარება, რომელიც მიმართულია კოორდინაციისა და უსაფრთხოების სრულყოფისაკენ.

ამრიგად, ბიზნესის დაცვის მართვაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება სახელმწიფოს. უპირველეს ყოვლისა, მისი როლი მდგომარეობს შემდეგში:

- ბიზნესისათვის თანაბარი პირობების შექმნა. ზოგიერთ ქვეყანაში უცხოურთან შედარებით ეროვნულ ბიზნესს უპირატესობა ენიჭება;
- კორუფციასთან და ორგანიზაციულ დანაშაულთან ბრძოლა;
- მოსახლეობის მეწარმეობრივი და საერთო კულტურის ამაღლება;
- პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის შექმნა, ერთი მხრივ - მეწარმეობაზე, ხოლო მეორე მხრივ – სამართალდამცავ ორგანოებზე;
- საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესის დაცვასთან.

უკანასკნელ პერიოდში გლობალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ, განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო სექტორის პარალელურად იზრდება კერძო სექტორის როლი ბიზნესის დაცვაში. ამავე დროს, მიმდინარეობს ბიზნესის დაცვის ორგანოების სპეციალიზაცია, მათ მიერ შესრულებული საქმიანობის დიფერენციაცია, კავშირების გაღრმავება კერძო დეტექტიურ

ბიუროებსა და სახელმწიფო სპეციალურ სამსახურებს შორის, რათა უფრო ეფექტიანი გახდეს ბიზნესის უსაფრთხოების დაცვა.

38. ბიზნესის სამართლებრივი დაცვა

ბიზნესის უსაფრთხოების დაცვა მიიღწევა ერთიანი სისტემური პოლიტიკის გატარებით, რომელიც მოიცავს ბიზნესის სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, ტექნიკურ და სხვა ხასიათის დაცვას, რომელიც ადეკვატურად უპასუხებს მოსალოდნელ მუქარებს და ბიზნეს-სტრუქტურის ინტერესებს.

ბიზნესის სათანადო დონეზე დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა სამართლებრივი ნორმების სისტემის შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს უსაფრთხოების სფეროში თანამშრომელთა ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოცემულ უბანზე საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფს უსაფრთხოებისათვის საჭირო ორგანოების მიერ კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმების ფორმირებას. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად პრინციპს წარმოადგენს კანონიერება საწარმოსა და პიროვნების ინტერესების ბალანსის დაცვა, ხელმძღვანელ მუშაკთა და პერსონალის ურთიერთ პასუხისმგებლობა, უსაფრთხოების სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთმოქმედება.

ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუცია, სხვა კანონები და ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს უსაფრთხოების სფეროში. ყველა ქვეყანაში კანონების მეშვეობით ხდება პიროვნების საკუთრებითი ინტერესების, მატერიალური და ფინანსდური რესურსების როგორც პიროვნებისა და საწარმოს საკუთრების, დაცვა.

ბიზნესის სამართლებრივ დაცვაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება კომერციული საიდუმლოების დაცვას, ანუ ბიზნესის ინფორმაციულ დაცვას. ინფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება შერჩეულ იქნას მისი დაცვის შემდეგი ფორმები:

- ცნობების კომერციულ საიდუმლოებად აღიარება;
- დაპატენტება;
- საავტორო უფლებების გამოყენება;
- აუცილებელი უფლებების ნორმების გამოყენება.

ინფორმაციის დაცვის ნებისმიერი სისტემის შექმნა უნდა ეფუძნებოდეს იმ მოსაზრებას, რომ უსაფრთხოების სამართლებრივი საფუძვლების შექმნის გარეშე რეალური შედეგების მიღწევა და ყოველგვარი პრეტენზიები პერსონალის, კლიენტების, კონკურენტების და თანამდებობის პირების მიმართ უსაფუძვლო იქნება.

საწარმოში ინფორმაციის დაცვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. საწარმოს დებულებაში უნდა დაფიქსირდეს დებულება იმის შესახებ, რომ საწარმოს აქვს უფლება განსაზღვროს იმ ცნობების შემადგენლობა, მოცულობა და დაცვის წესი, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ საიდუმლოებას და საწარმოს თანამშრომლებისაგან მოითხოვოს მათი დაცვის უზრუმველყოფა. ამასთანავე, საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს კომერციული საიდუმლოების დაცვა.

დებულებაში ამ მუხლის გათვალისწინება საწარმოს ადმინისტრაციას აძლევს საშუალებას:

- შექმნას კომერციული საიდუმლოების დაცვის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- გამოსცეს ნორმატიული და განმწესებელი დოკიმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოყოფის წესს და მათი დაცვის მექანიზმებს;
- ჩართოს მოთხოვნები კომერციული საიდუმლოების დაცვის შესახებ ყველა სახის ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდება სხვა ბიზნეს-სტრუქტურებთან და სახელმწიფო ორგანოებთან;
- მოითხოვოს საწარმოს ინტერესების დაცვა სახელმწიფო და სასამართლო ორგანოების მხრიდან;
- განკარგოს საწარმოს საკუთრებაში არსებული ინფორმაცია, მიიღოს მისგან სარგებელი, არ მიაყენოს ზარალი საწარმოს ამ ინფორმაციის გავრცელების შედეგად.

2. შეიმუშაოს იმ ცნობების ჩამონათვალი, რომლებიც შეიცავენ საწარმოს კომერციულ საიდუმლოებას და დაიყვანოს იგი (მიაწოდოს ინფორმაცია) თითოეულ თანამდებობის პირამდე, რომლებსაც შეხება აქვთ ამ ინფორმაციასთან.

3. საწარმოს მიერ დადებულ ხელშეკრულების იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ხელშეკრულების საგანს, საჭიროა, რომ საწარმოს ადმინისტრაცია იღებს ვალდებულებას დაიცვას კომერციული საიდუმლოება, პერსონალი იღებს ვალდებულებას დაიცვას კომერციული საიდუმლოების დაცვის წესები და მოთხოვნები, ადმინისტრაცია გაითვალისწინებს კომერციული საიდუმლოების დაცვის მოთხოვნებს თავის შრომით შინაგანაწესში.

კადრებისა და შრომის დისციპლინის ნაწილში ხელშეკრულებაში უნდა აისახოს, რომ ადმინისტრაცია იღებს ვალდებულებას კომერციული საიდუმლოების დაცვის მოთხოვნის დამრღვევებს დააკისროს ადმინისტრაციული და სისხლის პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საწარმოს შრომის შინაგანაწესში საჭიროა აისახოს, რომ საწარმოში თანამშრომლის მიღებისას ან სხვა სამუშაოზე (თანამდებობაზე) გადაყვანისას ან კიდევ სამუშაოდან გათავისუფლებისას გაეწიოს მას კონსულტაცია კომერციული საიდუმლოების შენახვასთან დაკავშირებით და წერილობით გაფორმდეს ვალდებულება ინფორმაციის გაუვრცელებლობის შესახებ. ამავე დროს, ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მის მიერ მოხდა საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნება. შინაგანაწესში ასევე უნდა აისახოს, რომ მუშები და მოსამსახურეები ვალდებული არიან დაიცვან საწარმოს კომერციული საიდუმლოების შენახვის წესები და მოთხოვნები.

საწარმოს შრომის შინაგანაწესში უნდა აისახოს აგრეთვე ადმინისტრაციის ვალდებულებები საიდუმლო ინფორმაციის დაცვის საკითხებზე. კერძოდ, საწარმოს ადმინისტრაციამ უნდა აიღოს ვალდებულება კომერციული საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფაზე, რისთვისაც მუდმივად უნდა განახორციელოს ამ მიმართულებით ორგანიზაციული, პროფილაქტიკური საქმიანობა, თანამდებობრივ ინსტრუქციებში და დებულებებში ჩართოს ვალდებულებები კომერციული იმფორმაციის დაცვაზე, დაიცვას სახელმწიფო კანონები და შიდა საწარმოო ინსტრუქციების მოთხოვნები ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში.

5. შრომის კოდექსის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულების დადებისას დასაქმებულები იღებენ ვალდებულებას შეასრულონ საწარმოში მოქმედი განსაზღვრული მოთხოვნები. ხელშეკრულება მათი ხელმოწერით დასტურდება, რომ ისინი თანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე.

მოთხოვნები კომერციული საიდუმლოების დაცვის შესახებ შეიძლება ხელშეკრულების ტექსტში ცალკე გამოიყოს, თუ ხელშეკრულება დაიდება წერილობითი. თუ ხელშეკრულება დაიდება ზეპირი ფორმით, მაშინ კომერციული საიდუმლოების დაცვის შესახებ მოთხოვნები მოქმედებს შიდა შრომითი განაწესის მოთხოვნების შესაბამისად.

ბიზნესის უსაფრთხოების დაცვის მიზნით უნდა შემუშავდეს შემდეგი სამართლებრივი ნორმატიული დოკუმენტები:

- რეჟიმისა და დაცვის ორგანიზაციის ინსტრუქცია;
- კომერციული საიდუმლოების დაცვის ინსტრუქცია;
- დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც შეიცავენ კომერციულ საიდუმლოებას;

- კონფიდენციალურ ინფორმაციასთან მუშაობის (დაშვების) ინსტრუქცია ხელმძღვანელი მუშაკების, სპეციალისტებისა და ტექნიკური პერსონალისათვის;
- არქივებში კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველი საქმეების შენახვის ინსტრუქცია;
- ინფორმაციის საინჟინრო-ტექნიკური დაცვის ინსტრუქცია;
- ინსტრუქცია უცხოურ და ადგილობრივ წარმომადგენლობასთან მუშაობის წესის შესახებ.

39. ბიზნესის დაცვის რეგულირების ეკონომიკური მეთოდები

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მართვის ეკონომიკირ მეთოდებს წამყვანი როლი განეკუთვნება. ბიზნესის უსაფრთხოების მოთხოვნებთან მიმართებაში, ისინი ერთი მხრივ, ასტიმულირებენ ცალკეულ მუშაკთა, მენეჯერთა უსაფრთხოების სამსახურების ხარისხიან მუშაობას, ხოლო, მეორე მხრივ, იძლევიან კრიმინალური კონკურენციის შედეგად დანაკარგებისა და მისი თავიდან აცილებაზე გაწეული დანახარჯების შეფარდების კონტროლისა და რეგულირების საშუალებას. მეწარმეობის დაცვის სფეროში ეკონომიკური მეთოდების გამოყენება ხორციელდება ორგანიზაციულ, ადმინისტრაციულ, ინფორმაციულ, სამართლებრივ და სხვა მეთოდებთან ურთიერთკავშირში.

რეგულირების ეკონომიკური მეთოდების გამოყენება განსხვავებულია მიკრო და მაკროდონეებზე. მიკრო დონეზე წყდება კონკრეტული ბიზნეს-სტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი, ხოლო მაკრო დონეზე მეწარმეობის დაცვის მართვა ხორციელდება დიდი ჯგუფის, ანდა ყველა ბიზნეს-სტრუქტურების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც მოქმედებენ ქვეყანაში, რეგიონში, ანდა რომელიმე განსაზღვრული სფეროში. განსაკუთრებით ძლიერი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სახელმწიფოს. ეკონომიკური რეგულირების დახმარებით ფორმირდება ცივილიზებული ბიზნესის დაცვისათვის საჭირო პირობები, იქმნება მართვის ერთიანი სისტემა მეწარმეობის დაცვისათვის ქვეყნის მასშტაბით. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ბაზრის ინფრასტრუქტურის ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს მეწარმეობის დაცვას, აღკვეთოს ბიზნესის დაცვის სფეროში საქონლისა და მომსახურების წარმოების შესაძლო მონოპოლიზაცია.

ბიზნესის დაცვის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკური მეთოდების გამოყენება შედის როგორც მეწარმეობის, ასევე მთელი საზოგადოების ინტერესებში. სახელმწიფოს დონეზე იმ ობიექტებს, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიზნესის დაცვის სფეროში მართვის ეკონომიკური მეთოდები, განეკუთვნებიან:

- სამინისტროები და უწყებები, რომელთა კომპეტენციაში ამა თუ იმ ფორმით შედის მეწარმეობის დაცვა;

- სამეწარმეო სტრუქტურების სხვადასხვა კატეგორიები, რომლებიც დაინტერესებული არიან ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში (ბანკები, ბირჟები, სამეცნიერო-ტექნიკური ფირმები, სამრეწველო საწარმოები);

- ცალკეული ბიზნეს-სტრუქტურები;

- ბიზნეს-სტრუქტურების შიდა უსაფრთხოების სამსახურები;

- კერძო დეტექტიური სააგენტოები;

- სპეციალიზებული იურიდიული, ტექნიკური, კონსალტინგური ფირმები;

- საქმიანი წრეების გაერთიანებები;

- ორგანიზაციები, რომლებისთვის მეწარმეობის დაცვის ფუნქცია არის თანამდევი (აუდიტორული ფირმები, სადაზღვევო კომპანიები, სარეკლამო ბიუროები, კომერციული ბანკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ა.შ.).

მეწარმეობის დაცვის კუთხით სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ეკონომიკურ მეთოდებს განეკუთვნება:

- სახელმწიფოს შეკვეთა მეწარმეობის დაცვის სფეროში;
- საგადასახადო შეღავათები, საგადასახადო სანქციები, სახელმწიფო კრედიტები, ფასდათმობები, საბაჟო პოლიტიკა იმ სტრუქტურების მიმართ, რომლებიც დასპეციალიზებული არიან მეწარმეობის დაცვის სფეროში;
- ბიზნესის დაცვის ფონდი, რომელიც არსებობს მრავალ ქვეყანაში;
- ბიზნესის დაცვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები.

➢ სახელმწიფო შეკვეთა მეწარმეობის დაცვის სფეროში ფართოდ გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში, რითაც ხდება სამამულო ბიზნესის სტიმულირება, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესის დაცვის ტექნიკური საშუალებების წარმოების, განსაკუთრებით ინფორმაციული ხასიათის მომსახურებისათვის საჭირო ავტომატიზებული სისტემების წარმოების სფეროში. თანამედროვე ეტაპზე ბიზნესის ერთ-ერთი რთული პრობლემაა პროდუქციისა და ფასიანი ქაღალდების, რომელსაც უშვებენ ბაზარზე წარმატებული ბიზნეს-სტრუქტურები, გაყალბება. აქედან გამოსავალია პროდუქციისა და ფასიანი ქაღაქლდების იდენტიფიკაციისათვის პოლიგრაფიული ნიშნების გამოშვება. უცხოეთის ქვეყნებში ასეთი პრაქტიკა ფართოდ გამოიყენება, რაც უზრუნველყოფს ბიზნესის დაცვას.

➢ სახელმწიფო პოლიტიკამ ფასების, გადასახადების, ბაჟის და კრედიტის სფეროში შეიძლება ხელი შეუწყოს ბაზრის იმ ინფრასტრუქტურის ფორმირებას, რომელიც უზრუნვე-

ლყოფს მეწარმეობის დაცვას, აღკვეთოს ბიზნესის დაცვის სფეროში მომსახურების მონოპოლიზაცია. კერძოდ, შეიძლება განხილულ იქნას შემდეგი მიდგომები:

- საგადასახადო შედავათების გამოყენება საკონსულტაციო, ინფორმაციულ, ტექნიკურ და სხვა ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც სპეციალიზირდებიან ბიზნესის დაცვის კუთხით;
- შედავათები ბიზნეს-სტრუქტურებს, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის მქონე საიდუმლო ინფორმაციას;
- საგადასახადო სანქციების დაწესება ბიზნეს-სტრუქტურებისათვის, რომლებიც არღვევენ დადგენილ ნორმატივებს იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ბიზნესის დაცვას. მაგალითად, შიდა უსაფრთხოების სამსახურში თანამშრომელთა რიცხოვნობის ორგანიზაციული ნორმატივი;
- სახელმწიფო კრედიტები იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ ბიზნესის დაცვისათვის საჭირო საშუალებების წარმოებაში სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში;
- შედავათები იმ ბანკებს, აუდიტორულ ფირმებს, სადაზღვევო კომპანიებს, რომლებსაც შეუძლიათ ბიზნესის დაცვის თანმდევი ფუნქციების რეალურად შესრულება;
- ფასდათმობები იმ ნედლეულის შესყიდვაში, რომელიც გამოიყენება ბიზნესის დაცვისათვის საჭირო საშუალებების წარმოებისას;
- ფასდათმობები სახელმწიფო სასწავლო ცენტრებში სწავაში, რომელთა პროგრამები ითვალისწინებენ საქმიანი ეთიკისა და ბიზნესის დაცვის პრობლემების სწავლას;
- იმ მოგების გათავისუფლება გადასახადებისაგან, რომელიც წარიმართება საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

➢ **ბიზნესის დაცვის ფონდი,** რომელიც შეიძლება შეიქმნას შემდეგი სახსრებისაგან: სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციიდან, ცალკეული ბიზნეს-სტრუქტურებიდან და მათი გაერთიანებიდან შენატანები, აგრეთვე კერძო შემოწირულობებიდან. ფონდის სახსრები მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას მეწარმეთა კრიმინალური კონკურენციის დანაკარგების კომპენსაციისათვის, მაღალეფექტიანი პროექტების წილობრივი დაფინანსებისათვის, რომელიც მიმართულია ბიზნესის დაცვის დონის ამაღლებისაკენ.

➢ **ბიზნესის დაცვის მიზნობრივი პროგრამა** წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს, რომლის ამოცანაა ქვეყნის მასშტაბით ბიზნესის დაცვის უზრუნველყოფა. ასეთ პროგრამაში უნდა განისაზღვროს იმ ღონისძიებების მიზნები, ამოცანები, პრიორიტეტები, განხორციელების ეტაპები, რომელიც მიმართულია ბიზნესის დაცვისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. მიზნობრივი პროგრამის მთავარი მიზანია ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, ინფორმაციული და სამართლებრივი პირობების შექმნა ბიზნესის კრიმინალური კონკურენციისაგან დასაცავად. პროგრამის ფარგლებში გადასაწყვეტ ამოცანებს მიეკუთვნება:

- ბიზნესის დაცვისათვის ინფორმაციული პირობების შექმნა;
- ბიზნესის დაცვისათვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური პირობების შექმნისათვის ინ-ფრასტრუქტურის განვითარება;
- ბიზნესის სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის სისტემატიზაცია და განვითარება;
- სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ბაზის შექმნა ბიზნესის დაცვისათვის საჭირო მეცნიერული საფუძვლების შემუშავებისათვის და ამ სფეროში კადერბის მომზადებისათვის.

ბიზნესის დაცვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა შეიძლება შემუშავდეს ქვეყნის ცალკეული რეგიონების ჭრილში მათში არსებული სპეციფიკური მახასიათებლების გათვალის-წინებით.

40. ბიზნესის უსაფრთხოების დაცვის სამსახური

არსებობს ბიზნესის უსაფრთხოების დაცვის სამსახურის შექმნის ორი პრინციპიალური მიდგომა. ერთ შემთხვევაში საწარმო ხელშეკრულებას დებს სპეციალიზებულ ფირმასთან და შეიძენს მათ მომსახურებას, თუმცა ასეთი პროექტი გარკვეული საფრთხის შემცველია. მეწარმე ყოველთვის არ ენდობა გარეშე პირებს. მეორე შემთხვევაში – საწარმო თვიონ ქმნის საკუთარ უსაფრთხოების სამსახურს. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო მცირე ზომისაა, საკმარისია უსაფრთხოების დაცვის კუთხით 3-4 კვალიფიციური სპეციალისტის დასაქმება, რომლებიც თა-ვიანთ თავზე აიღებენ უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებებს. მსხვილ საწარმოებში უსაფრთხოების სამსახურთან ერთად საჭირო ა ხელმძღვანელს ჰყავდეს ერთი მოადგილე უსაფრთხების დაცვის სფეროში.

უსაფრთხოების სამსახურის ძირითად ამოცანებში შედის:

- საწარმოო-სავაჭრო საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის დაცვა;
- კომერციულ საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი, ორგანი-ზაციული და საინჟინრო-ტექნიკური საკითხების ორგანიზაცია;
- სპეციალური საქმისწარმოების ორგანიზაცია, რომელიც გამორიცხავს კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის არასანქცირებულ მიღებას;
- კომერციულ საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან და სამუშაოებთან დაუსაბუ-თებელი დაშვების აღკვეთა;

- კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის შესაძლო არხების გამოვლენა და ლოკალიზაცია ყოველდღიურ საწარმო საქმიანობაში და ექსტრემალურ (ავარია, ხანძარი და ა.შ.) სიტუაციაში;
- უსაფრთხოების რეჟიმის უზრუნველყოფა სხვადასხვა საქმიანობაში, მათ შორის, შეხვედრების, მოლაპარიკებების და სხვა სახის თათბირების დროს, რომლებიც დაკავშირებულია საქმიან თანამშრომლობასთან ეროვნულ და საერთაშორისდო დონეზე;
- შენობების, ნაგებობების, მოწყობილობების, პროდუქციისა და საწარმოო დანიშნულების ტექნიკური საშუაკლებების დაცვის უზრუნველყოფა;
- საწარმოს ხელმძღვანელებისა, წამყვანი თანამშრომლებისა და სპეციალისტების პირადი უსაფრთხოების დაცვა;
- მარკენინგული სიტუაციის, ბოროტგანმზრახველთა და კონკურენტთა მოქმედებების შეფასება;

უსაფრთხოების სამსახურის მთავარ ფუნქციებს შეადგენს: საწარმოს შენობა-ნაგებობეში შიდა რეჟიმისა და საშვთა სისტემის ორგანიზაცია, დაცვის სამსახურის საქმიანობის წესების დადგენა, კომერციულ საიდუმლოების დაცვის ორგანიზაციული რეგულირება და ხელმძღვანელობა, უსაფრთხოების საკითხებზე ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; საწარმოს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთობლივად საიდუმლეო ინფორმაციის შემცველ დოკუმენტებთან მუშაობის წესების შემუშავება; კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის აღმკვეთი ღონისძიებების შემუშავება; საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების, დოკუმენტების დაჯკარგვის და საწარმოს უსაფრთხოების წინააღმდეგ მომხდარი ქმედებების ფაქტების სამსახურებრივი გამოძიება; კომერციულ საიდუმლოების დაცვის კუთხით არსებული ნორმატიული მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა; სეიფების, მეტალის კარადების, სპეციალური საცავების და სხვა სათავსოების, სადაც მუდმივად ან დროებით ინახება კონფიდენციალური ინფორმაცია, აღრიცხვა; სამართალდამცავ ორგანოებთან კონტაქტების დამყარება და ა.შ.

უსაფრთხოების სამსახური არის დამოუკიდებელი ორგანიზაციული ერთეული, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საწარმოს ხელმძღვანელს. მსხვილ საწარმოებში უსდაფრთხოების სამსახური შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან:

- რეჟიმისა და დაცვის განყოფილება, რომელიც შეიძლება დაიყოს რეჟიმის სექტორად და დაცვის სექტორად;
- საიდუმლო დოკუმენტების დამუშავების სპეციალური განყოფილება;
- საინჟინრო-ტექნიკური ჯგუფი;
- კონტრდაზვერვისა და ინფორმაციულ-ანალიტიკური საქმიანობის ჯგუფი.

დაახლოებით ასეთი სტრუქტურის უსაფრთხოების სამსახურები ფუნქციონირებს საზღვარგარეთის ქვეყნებში. საყურადღებოა ისრაელის საწარმოების უსაფრთხოების სამსახურებში გამოყენებული სტრუქტურა და პრინციპები, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში:

- სამი სახის უსაფრთხოების ზომების შეთავსება: პირადი დაცვა (პირადი მცველი, სამსახურებრივი ძაღლები), ტექნიკური საშუალებები (სიგნალიზაცია, ჯავშანჟილეტი, ბოქლომები, სეიფები და ა.შ.), ოჯახის ყველა წევრის და დაქირავებული პერსონალის ქცევის წესები;
- უსაფრთხოების 95 %-ის გარანტიასაც არ იძლევა მხოლოდ პირადი დაცვის სამსახური (100 %-ს იძლევა მხოლოდ ღმერთი). ყოველთვის საჭიროა ზემოხსენებული სამი სახის დაცვის ერთობლივად გამოყენება;
- უსაფრთხოებაში გამოყენებული ყველა ღონისძიება უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის მუდმივი კონტროლის ან მისი უსაფრთხოების საკითხებში სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ;
- უსაფრთხოების ღონისძიებების ეფექტიანობა იქნება მაღალი, თუ იგი დაგეგმილია ამ სფეროს სპეციალისტების მიერ ბიზნესისა და ადგილობრივი პირობების სპეციფიკის გათვალისწიებით.

უსაფრთხოების დაცვის სამსახურის სტრუქტურა, რიცხოვნობა და შემადგენლობა დამოკიდებულია საწარმოს ფინანსურ შესაძლებლობებზე, ბიზნეს-საქმიანობის მასშტაბებზე, კონფიდენციალური ინფორმაციის მოცულობაზე. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, უსაფრთხოების სამსახური შეიძლება შედგებოდეს 2-3 სპეციალისტისაგან, რომლებიც შეითავსებენ ამ სამუშაოს, ან კიდევ დამოუკიდებელი სტრუქტურისაგან, რომელშიც დასაქმდებიან ამ სფეროს მრავალრიცხოვანი სპეციალისტები. მათ უნდა გააჩნდეთ ცოდნა შემდეგ მიმართულებებში:

- ინფორმაციულ-ანალიტიკური საქმიანობა;
- დაზვერვის და კონტრდაზვერვის მეთოდები;
- სოციალური ფსიქოლოგია და პიროვნების ფსიქოლოგია;
- საბანკო საქმის და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები;
- მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები;
- სამოქალაქო და სისხლის სამართალი.

უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს უდა ჰქონდეს უფლება საწარმოს ყველა თანამშრომლისაგან, პარტნიორისაგან, კლიენტებისაგან მოითხოვოს კომერციული საიდუმლოების შესახებ მოქმედი ყველა სამართლებრივ-ნორმატიული აქტების მკაცრად დაცვა, შეიტანოს წინადადებები კომერციული საქმიანობის ორგანიზაციულ, საინჟინრო-ტექნიკური და სამართლებრივი

ღონისძიებების სრულყოფაში. ამავე დროს უსაფრთხოების დაცვის მუშაკი ვალდებულია განახორციელოს კონტროლი კომერციული საიდუმლოების დაცვაზე, მოახსენოს ხელმძღვანელობას ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნის დარღვევის შესახებ, არ დატოვოს ყურადღების გარეშე საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვის არც ერთი ფაქტი, არ დაუშვას კომერციული საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების გაცნობა იმ პირების მიერ, ვისაც არა აქვთ მათზე კანონიერი დაშვება. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლები პასუხს აგებენ პირადად კომერციული საიდუმლოების უსაფრთხოების დარღვევაზე და მათი უფლებების არგამოყენებაზე ფუნქციონალური ვალდებულებების შესრულების დროს.

უსაფრთხოების სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს გეგმის თანახმად, რომელიც მოიცავს ყოველდღიურ რეჟიმს, გაძლიერებულ მზადყოფნას და საგანგებო მდგომარეობას. **ყოველდღიური რეჟიმი** ნიშნავს უსაფრთხოების სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, რომელიც მოიცავს მოქმედებებს ყველა სახის მუქარების პროგნოზირებას, გამოვლენას, შეფასებას და ნეიტრალიზაციას, ასევე უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმების და პროგრამების შემუშავება-კორექტირებას, კადრების შერჩევა-სწავლებას. **გაძლიერებული მზადყოფნის** რეჟიმი გულისხმობს უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირებას რეალური მუქარის არსებობის პირობებში. ამ რეჟიმის დროს ყოველდღიურ რეჟიმს ემატება მუქარების დაზუსტება და მისი აღკვეთის მიმართულებით მზადყოფნის გაძლიერება და ოპერატიული ღონისძიებების გატარება. **საგანგებო მდგომარეობის** რეჟიმი გულისხმობს რეალური მუქარის მოახლოების პირობებში გადამწყვეტი და უკომპრომისო მოქმედებების განხორციელებას, რომელიც მოიცავს უსაფრთხოების საბჭოს ყოველდღიურ მუშაობას, უსაფრთხოების სამსახურის, საწარმოს თანამშრომლების და სამართალდამცავი ორგანოების ერთიან ძალისხმევას მუქარის სრული აღკვეთის მიმართულებით.

ლიტერატურა

1. **კრუგმანი პ., ობსვილდი მ.** საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა, თარგმანი ინგლისურიდან, თბილისი, 2000.
2. **ლინდერტი პ.** საერთაშორისო ეკონომიკა, თარგმანი ინგლისურიდან, თბილისი, 2000.
3. **მოვსესიანი ა., ოგნიცევი ს.** მსოფლიო ეკონომიკა, თარგმანი რუსულიდან, თბილისი, 2004.
4. მესხია ი. ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2011.
5. **Кузнецов И.П.** Бизнес-безопасность, М., Изд-во Дашков,К, 2010.
6. **Черкасов В.Н**. Бизнес и безопасность, М.,Армада-пресс,2001.
7. **Коноплева И.А., Богданов И.А**. Управление безопасностью и безопасность бизнеса 2005.
8. Национальная безопасность: Актуальные проблемы. Курс лекций. — М.: АГШ, 1999. С. 115.
9. Экономическая безопасность. Производство — финансы — банки. — М.: ЗАО «Финстатинформ»,

1998.
10. **Тамбовцев В.Л.** Экономическая безопасность хозяйственных систем: структура проблемы // Вестник МГУ. Сер. 6. Экономика. — 1995.
11. **Михайличенко А**. Механизм обеспечения экономической безопасности // Мировая экономика и международные отношения. — 1996.
12. Внешняя торговля России в 1997 году // Экономика и жизнь. — 1998. **Савин В.А**. Некоторые аспекты экономической безопасности России // Международный бизнес России. — 1995.
13. **Бигон К.** Бизнес-разведка. Внедрение передовых технологий, изд. Вершина, 2006.
14. **Боттом Н. Г., Галатти Дж. Р**. Экономическая разведка и контрразведка, 1994. (Пер. с анг.).
15. **Бояндин Н. И**. Технологии безопасности бизнеса. Введение в конкурентную разведку, изд. Юрист, 2002.
16. **Деревицкий А. А**. Коммерческая разведка, изд. Питер, 2006.
17. **Долгополов Ю.Б**. Предпринимательство и безопасность. - М., 2000.
18. **Захаров О. Ю.** Обеспечение комплексной безопасности предпринимательской деятельности, 2008.
19. **Кавеладзе И.Т**. Практика защиты коммерческой тайны в США (руководство по защите вашей деловой информации). - М., 1992.
20. **Казакевич О.Ю**. и др. Предприниматель в опасности: способы защиты (практическое руководство для предпринимателей и бизнесменов). - М., 2001.
21. **Казиник С. И.** Безопасность бизнеса в России, 2006.
22. **Кравец Л. Т**. Конкурентоспособность предпринимательства и конкурентная разведка, изд. Права человека, 2002.
23. .**Раевский Г.** Угрозы экономической безопасности предприятия и задачи службы безопасности по их нейтрализации // Частный сыск № 4. М., 1994.
24. **Сергиенко Л.А**. Правовая защита персональных данных. Цели и принципы правового регулирования // Проблемы информатизации. 1995 Вып. 1-2.
25. **Мангушев Д. Ф**. и др. Бизнес и безопасность в России. Практическое пособие для малого, среднего и крупного бизнеса, 2007.
26. **Ярочкин В. И**. Корпоративная разведка, изд. Осо-89, 2004.
27. **Майборода В. В**. Коммерческая разведка и контрразведка, изд. Т. 1, 2001.
28. **Ярочкин В. И**. Теория безопасности, изд. Академический проект, 2005.
29. Солодков Г. П., Рубинская Э. Т., Рубинская Э. Д. Международный бизнес, изд. Феникс, 2009. (учебник).
30. **Одинцов А. А.** Экономическая и информационная безопасность, М. «Экзамен», 2005, 576 .
31. .Экономическая и национальная безопасность, Учебник. М. «Экзамен», 2005.
32. **Грунин О. А., Макаров А. Д**. Экономическая безопасность, изд. Арофа, 2010.
33. .**Ярочкин В. И**. Информационная безопасность, учебник для студентов вузов, М., Гаудамус, 2004.
34. **Hill Charles W. L**. International Business, McGrow-Hill/Irwin, 2010.
35. **Suder Gabriele G. S.,** Terrorism and The International Business Environment: The Security-business Nexus, Edward Elgar publishing limited, UK, 2004.
36. **Wall S., Rees B.** International Business, Financial Times/Prentice Hal, UK, 2004.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

საქართველოს ეროვნული ინტერესები

1. სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა
2. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება
3. ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარება
4. ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება
5. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია
6. ეკონომიკის სტაბილური გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა
7. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა
8. რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა
9. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება
10. საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა
11. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული და კულტურული თვითმყოფობის უზრუნველყოფა
12. კიბერუსაფრთხოების განმტკიცება
13. დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა
14. დიასპორებთან ურთიერთობა

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები

1. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტები
2. რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი
3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დარღვევა
4. კავკასიაში არსებული კონფლიქტები
5. საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული
6. ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები

7. ენერგეტიკული გამოწვევები
8. კიბერსაფრთხეები
9. ეკოლოგიური გამოწვევები
10. დემოგრაფიული გამოწვევები
11. სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები
12. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება/განადგურება

საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა
    1.1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია
    1.2. რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა
2. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება
3. ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება
4. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის განვითარება
5. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრება და ევროკავშირში ინტეგრაცია
    5.1. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრება
    5.2. ევროკავშირში ინტეგრაცია
6. თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში
7. საგარეო კავშირების განმტკიცება
    7.1. ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა
    7.2. უკრაინასთან თანამშრომლობა
    7.3. თურქეთთან თანამშრომლობა
    7.4. მსოფლიოს სხვა რეგიონების ქვეყნებთან თანამშრომლობა
    7.5. მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორუმები
        7.5.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
        7.5.2. ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)
        7.5.3. ევროპის საბჭო
8. საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა
9. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა

10. ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა
11. განათლების პოლიტიკა
12. სოციალური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა
13. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა
14. ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა
15. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
16. დემოგრაფიული პოლიტიკა
17. სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა
18. დიასპორებთან ურთიერთობის პოლიტიკა

საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა, დაამკვიდრონ „დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“, უზრუნველყონ „ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი“, განამტკიცონ „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა...“

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა

შესავალი

საქართველო მეორედ აქვეყნებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, რომელიც ასახავს წინა დოკუმენტის მიღების შემდეგ ქვეყნის უსაფრთხოების გარემოში მომხდარ ცვლილებებს და მათ გავლენას საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე, რისკებსა და გამოწვევებზე.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს და ეროვნულ ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს და ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას შეიმუშავებს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. ამ კონცეფციის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პოლიტიკურმა პარტიებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებმა. საქართველოს ხელისუფლება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველზე ატარებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებების დაცვას და ეროვნული ინტერესების განხორციელებას, აგრეთვე ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებზე, რისკებსა და გამოწვევებზე ადეკვატურ რეაგირებას.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველზე ასევე იქმნება სხვადასხვა დარგობრივი სტრატეგია და გეგმა, რომლებიც ამ კონცეფციის ცვლილებასთან ერთად განახლდება.

საქართველოს უსაფრთხოების გარემო

ბოლო წლებში მსოფლიოში და რეგიონში განვითარებულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს უსაფრთხოების გარემო.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ღია, ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ ნათელი გახადა, რომ თანამედროვე მსოფლიოშიც კი ამგვარი აგრესია ზოგიერთი ქვეყნისათვის პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად რჩება.

2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიამ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ და იქ რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებამ მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის უსაფრთხოების გარემო. ამ ომმა ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება არ ეგუება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, მათ შორის, მის მიერ დემოკრატიის სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანს, ქვეყნის დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიამ გააუარესა მთელი კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების გარემო. ამასთანავე, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული არასტაბილურობა და მთიანი ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტი უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე. რეგიონში პროცესების მშვიდობიანი განვითარება და თანამშრომლობის ატმოსფეროს ჩამოყალიბება საქართველოს უსაფრთხოებისათვის პოზიტიურ შესაძლებლობებს შეიცავს.

საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის ნაწილია. შესაბამისად, მისი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, კერძოდ, ნატოს და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება.

საქართველო ინარჩუნებს მჭიდრო კავშირებს მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებთან. ამ ქვეყნების მიერ საქართველოს მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში.

საერთაშორისო ვითარების მუდმივ ცვლასთან ერთად საქართველოს უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიგა პოლიტიკური პროცესები. საქართველოს დემოკრატიული მონაპოვრის რეფორმების გაგრძელების გზით განმტკიცება დადებითად მოქმედებს სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობასა და გაძლიერებაზე.

ქვეყნის სტაბილური და უსაფრთხო განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნებას, რაც ეკონომიკაში თავისუფალი ბაზრის პრინციპების ფართოდ დანერგვით, მკაცრი ფისკალური დისციპლინითა და ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკის გატარებით მიიღწევა. ღია,

პარტნიორული და თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ყველა სახელმწიფოსთან და სახელმწიფოთა გაერთიანებებთან, განსაკუთრებით ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რეგიონის ქვეყნებთან, საქართველოს მნიშვნელოვანი არჩევანია.

საქართველოს ეროვნული ღირებულებები

სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა: საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ საზღვრებში, რომელიც პატივს სცემს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და მათგანაც იმავეს მოითხოვს. საქართველოსთვის მიუღებელია მისი სუვერენიტეტის შეზღუდვის, მათ შორის, თავისუფალი საგარეო-პოლიტიკური არჩევნის იძულებით შეცვლის და საშინაო საქმეებში სხვა ქვეყნების ჩარევის ცდები.

თავისუფლება: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტითა და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები საქართველოს მიერ აღიარებული და გარანტირებულია მისი კონსტიტუციით. საქართველო უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანისა და ჯგუფის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პატივს სცემს მათი თავისუფალი არჩევნის უფლებას, უზრუნველყოფს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას და ქმნის ხელსაყრელ გარემოს თითოეული მოქალაქის შესაძლებლობების რეალიზებისთვის. საქართველო აღიარებს, რომ ეკონომიკური თავისუფლება პიროვნების ყველა სხვა უფლებისა თუ თავისუფლების წინაპირობაა.

დემოკრატია და კანონის უზენაესობა: საქართველო დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების ერთგულია და მათ საფუძველზე ამკვიდრებს მმართველობის დემოკრატიულ სისტემას, რომელშიც ძალაუფლება კანონით არის შეზღუდული და განაწილებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის. საქართველო უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, პლურალიზმს და უმცირესობათა, მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, უფლებების დაცვას და ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას.

უსაფრთხოება: საქართველოს ხელისუფლება მიისწრაფვის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში ქვეყნის, მისი მოქალაქეებისა და ინსტიტუტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ. მის უზრუნველსაყოფად საქართველო ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და პრინციპებით და მიაჩნია, რომ უსაფრთხოება განუყოფელია როგორც ქვეყანაში მოქალაქეთა ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო სისტემაში, რადგან ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება ვერ განმტკიცდება მეორის უსაფრთხოების შეზღუდვის ხარჯზე.

კეთილდღეობა: საქართველო აღიარებს, რომ კეთილდღეობისკენ სწრაფვა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და მისი მაქსიმალური რეალიზაცია მხოლოდ თავისუფალ გარემოშია შესაძლებელი. თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საქართველო აყალიბებს ქვეყნის მდგრადი განვითარების ისეთ მოდელს, რომელიც ეფუძნება თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შექმნას, რაც გამოიხატება მცირე მთავრობის პრინციპით, პასუხისმგებლობიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკით, დაბალი გადასახადებით და მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის გატარებით.

მშვიდობა: საქართველოს მიზანია ყველა სახელმწიფოსთან საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება. სადავო საკითხების გადაწყვეტისას საქართველო ხელმძღვანელობს მშვიდობიანი, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დამყარებული მეთოდებით. თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი, განვითარებული და მშვიდობიანი საქართველო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში.

საქართველოს ეროვნული ინტერესები

1. სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა: საქართველო მოწოდებულია, აღიდგინოს და შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და უზრუნველყოს ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დაცვა მის ხელთ არსებული ყველა სამართლიანი და მშვიდობიანი საშუალების გამოყენებით.

2. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება: საქართველო ქმნის სახელმწიფო მართვის ისეთ მოდელს, რომლითაც უზრუნველყოფილია დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მდგრადობა და განვითარება. საქართველოს მიზანია დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, კანონის უზენაესობას, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას. მნიშვნელოვანია საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება, სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის უფრო მეტად განმტკიცება.

3. ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარება: საქართველოს მიზანია, ჩამოაყალიბოს უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს განვითარებას და მისი მოქალაქეების უსაფრთხოებას.

4. ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება: საქართველო უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. ამისათვის იგი ხელს უწყობს ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც ეფუძნება კანონის წინაშე თანასწორობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებებისა და, რასის, ენის, სქესის, რელიგიის, რაიმე ჯგუფისადმი კუთვნილების, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების განურჩევლად,

ადამიანთა თანასწორობის პრინციპებს. სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქართველი ერის წარმომადგენლების თანაბარი ჩართულობა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან კონტაქტების გაღრმავება და მათი ინტეგრირება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებში.

5. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია: საქართველო ესწრაფვის, გახდეს ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრი, რაც მას საშუალებას მისცემს, მოახდინოს დემოკრატიის კონსოლიდაცია, ასევე განიმტკიცოს კეთილდღეობა და ეროვნული უსაფრთხოება. საქართველო იზიარებს პრინციპს, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება, აირჩიოს მომავალი განვითარების გზა და ის ალიანსები, რომელთა წევრობაც სურს.

6. ეკონომიკის სტაბილური გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა: ეკონომიკის მაღალი ტემპით სტაბილური გრძელვადიანი ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ამ მიზნით საქართველოს ხელისუფლება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის თავისუფალ განვითარებას, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას, კაპიტალის მოზიდვისთვის საჭირო საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, მცირე მთავრობის პრინციპის შენარჩუნებას, კონსერვატიული ფისკალური და ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკის გატარებას.

7. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა: ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საქართველოს პრიორიტეტია ენერგიის წყაროებისა და ტრანსპორტირების გზების დივერსიფიკაციის გაგრძელება. თანაბრად მნიშვნელოვანია შიგა რესურსების მაქსიმალურად ათვისების, ენერგოსისტემის შემდგომი მოდერნიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა და რეგიონულ ენერგოინფრასტრუქტურაში ინტეგრაცია. საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გაზრდა დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე მის მოქალაქეთა კეთილდღეობაზე.

8. რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა: საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე უშუალო გავლენას ახდენს ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში მიმდინარე პროცესები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შუა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების გავლენა. ამ რეგიონებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და არსებული უთანხმოებების მშვიდობიანი მოგვარება საქართველოს ინტერესია. მრავალმხრივ და ორმხრივ ფორმატებში საერთაშორისო თანამშრომლობით ქვეყანას საკუთარი წვლილი შეაქვს რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცებაში.

9. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება: საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მისი სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას. ამ მიზნით იგი მზადაა,

კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში.

10. საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა: გარემოს დაცვის ხარისხი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან. საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების განხორციელებისას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

11. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული და კულტურული თვითმყოფობის უზრუნველყოფა: საქართველოს პრიორიტეტია კულტურული მრავალფეროვნებისა და ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნება და განვითარება. მისთვის მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ინტეგრაციას და ქვეყნის აღმშენებლობაში ჩართვას. საქართველო ქმნის პირობებს ამ ჯგუფების იდენტობისა და კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის.

12. კიბერუსაფრთხოების განმტკიცება: საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ინფორმაციული სივრცის უსაფრთხოება და ელექტრონული ინფორმაციის დაცულობა. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად იზრდება მათზე სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დამოკიდებულება. ამის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კიბერდანაშაულთან ბრძოლას და კიბერსივრცეში დივერსიული აქტებისგან თავდაცვას.

13. დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა: ცხოვრების ჯანსაღი წესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და სხვა თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნების წახალისება და მათი შემდგომი რეინტეგრაციის ხელშეწყობა საქართველოს ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია. დემოგრაფიულ უსაფრთხოებას პირდაპირი კავშირი აქვს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ გრძელვადიან ზრდასთან.

14. დიასპორებთან ურთიერთობა: საქართველოსთვის მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების გამყარება, დიასპორების წარმომადგენლებისათვის მშობლიური ენის სწავლების და მათ მიერ კულტურული თვითმყოფობის შენარჩუნების ხელშეწყობა.

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები

1. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტები: საქართველო მე-20 საუკუნის დასაწყისში უკვე გახდა რუსეთის აგრესიის მსხვერპლი და 70 წლის განმავლობაში საბჭოთა ოკუპაციის პირობებში არსებობდა. 1991 წელს ქვეყანამ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა, რასაც მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მიერ გამოწვეული პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა. 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთის

მიერ ინსპირირებული და მხარდაჭერილი აგრესიული სეპარატისტული მოძრაობები შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომელშიც ადგილობრივ კრიმინალურ დაჯგუფებებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები. ამ დაპირისპირებას შედეგად მოჰყვა ქართველების ეთნიკური წმენდა, რომელიც აღიარებულია გაეროს, ეუთოს და ევროპის პარლამენტის მიერ.

საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის და მისი თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნის შეზღუდვის მიზნით რუსეთის ფედერაციამ 2008 წლის აგვისტოში მორიგი სამხედრო აგრესია განახორციელა, რასაც ეთნიკური წმენდის ახალი ტალღა მოჰყვა. რუსეთის ფედერაციის უკანონო ქმედებები დადასტურებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დამოუკიდებელი ფაქტების მომძიებელი კომისიის ანგარიშში. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია აღიარებულია არაერთი ქვეყნის სამთავრობო და საკანონმდებლო ორგანოების, ასევე საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

სამხედრო აგრესიის შედეგების დაკანონების მიზნით რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების უგულებელყოფით, ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა და იქ დამატებითი სამხედრო ნაწილები და ინფრასტრუქტურა განალაგა. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციამ საერთაშორისო თანამეგობრობას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებისკენ მოუწოდა. ამ მიზნით იგი ახორციელებდა და დღესაც ახორციელებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას ზოგიერთ სახელმწიფოზე.

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია არღვევს მის სუვერენიტეტს, სახელმწიფოებრიობას და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ოკუპირებული რეგიონების ინტენსიური მილიტარიზაცია, კერძოდ, იქ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ნაწილების, ასევე მისი უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო ჯარების განლაგება ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტს, ემუქრება მის და მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებას.

რუსეთის ფედერაციის მიერ სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპების უგულებელყოფა, ასევე ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის შეცვლისა და „გავლენის სფეროების“ პრინციპის აღდგენისკენ მიმართული მცდელობები საშიშროებას უქმნის არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის ფედერაციის მეზობელი ყველა სხვა სახელმწიფოს და მთლიანად ევროპის უსაფრთხოებას.

არსებული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის და რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის შემდეგ იგი ამ ტერიტორიებს იყენებს საქართველოში ტერორისტული აქტების განხორციელების მიზნით

ტერორისტების შესარჩევად და მოსამზადებლად. ამის ნათელი დადასტურებაა ბოლო პერიოდში ტერორისტული ჯგუფების გამოვლენისა და მათი საქმიანობის აღკვეთის არაერთი ფაქტი.

საგანგაშოა აღნიშნულ რეგიონებში მარიონეტული რეჟიმებისა და იქ განლაგებული რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარების მიერ ადამიანის უფლებების რეგულარული და უხეში დარღვევის ფაქტები. გრძელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების სისტემატური დევნა ეთნიკურ ნიადაგზე და დემოგრაფიული ბალანსის ხელოვნურად შეცვლის ცდები. საქართველოს შეშფოთებას იწვევს ის საფრთხე, რომელსაც ოკუპაცია უქმნის აფხაზების ეთნოკულტურულ თვითმყოფობას.

აღნიშნულ ტერიტორიებზე წარმოებული უკანონო ეკონომიკური საქმიანობით და ბუნებრივი რესურსების გამოყენებით რუსეთის ფედერაცია საქართველოს ამ რეგიონებს უმძიმეს ეკოლოგიურ ზიანს აყენებს.

2. რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი: 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის საბოლოო მიზანი იყო არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია ან/და მარიონეტული რეჟიმების საერთაშორისო აღიარება, არამედ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლა ან/და დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების ძალადობრივი გზით ჩანაცვლება, რადგან დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო რუსეთის ფედერაციის მმართველი პოლიტიკური ელიტის მიერ მნიშვნელოვან საფრთხედ აღიქმება. რუსეთის ფედერაციის მთავარი მიზანია საქართველოს არშემდგარ სახელმწიფოდ ქცევა, მისი ევროპული და ევროატლანტიკური არჩევნის რეალიზაციისთვის ხელის შეშლა და ქვეყნის რუსულ ორბიტაზე ძალით დაბრუნება. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყოფნა, სამხედრო ბაზების მშენებლობა და მათი პოტენციალის ზრდა პლაცდარმია პროვოკაციებისა და შესაძლო სამხედრო აგრესიისთვის. რუსეთის ფედერაცია არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს, არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას და არ იღებს საქართველოზე თავდაუსხმელობის ვალდებულებას. მან 2008 წლის აგრესიის შემდეგ დაბლოკა „საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიისა“ და ეუთოს მისიის მუშაობა, ამასთანავე, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას არ აძლევს საშუალებას, განახორციელოს თავისი მანდატი ოკუპირებულ ტერიტორიებზე, და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამშვიდობო/საპოლიციო მექანიზმის შექმნის იდეას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ახალი რუსული აგრესიის პოტენციური რისკი. თუმცა საქართველოსადმი გამოხატული საერთაშორისო მხარდაჭერა, მათ შორის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყოფნა, ამ რისკის შემაკავებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დარღვევა: 1990-იანი წლების დასაწყისში და 2008 წელს

განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად თავიანთი საცხოვრებელი ადგილები იძულებით დატოვა ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის დაახლოებით 80%-მა, 500 000-მდე მოქალაქემ, რომელთაგან 261 000 ამჟამად საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ოკუპირებული რეგიონებიდან გამოდევნილ პირთა ფუნდამენტური უფლებების დარღვევა. იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება, მათ მიერ თავიანთი საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების, მათ შორის, ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრების და ქონებრივი უფლებების, დაცვა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

4. კავკასიაში არსებული კონფლიქტები: მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების შესაძლო გადმოდინება მას საფრთხეს უქმნის.

კავკასიაში არსებული კონფლიქტები უარყოფითად მოქმედებს მის უსაფრთხოებაზე და ჰუმანიტარული კრიზისების განვითარების პოტენციური წყაროა. ამასთანავე, რუსეთი ცდილობს საქართველოს წინააღმდეგ განაწყოს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის მოსახლეობა.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთებზე რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლის არარსებობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის ტრანსნაციონალური დანაშაულისათვის და ამ პრობლემის ეფექტიანი გადაჭრის ხელშემშლელი დამატებითი ფაქტორია.

საქართველოსთვის ასევე გამოწვევაა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტი. ამ ქვეყნების შეიარაღებული დაპირისპირების განახლება შეასუსტებს სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს რეგიონში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური გავლენის ზრდას.

5. საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული: თანამედროვე მსოფლიოს უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა ცალკეული სახელმწიფოებისა და არასახელმწიფოებრივი სუბიექტებისაგან მომდინარე ტერორისტული საფრთხეები.

საქართველოს ტერიტორიაზე ოკუპირებული რეგიონების არსებობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისათვის. ქვეყნისთვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველია სახელმწიფოთა მიერ ორგანიზებული ტერორისტული ქმედებები. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქცია და პოტენციალი აქვს, არსებობს საშიშროება, რომ ოკუპირებული ტერიტორიები გამოყენებულ იქნეს ისეთი არალეგალური საქმიანობისთვის, როგორიცაა ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების უკანონო გადაზიდვა და ვაჭრობა, ადამიანთა ტრეფიკინგი და სხვა.

6. ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები: სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება გამოწვევაა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის განმეორების შემთხვევაში წარმოქმნილი სირთულეების დაძლევა. საქართველოს უსაფრთხოებისთვის პრიორიტეტულია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის გაუმჯობესება. ეკონომიკის არასათანადო ტემპით განვითარებამ, სახელმწიფო შემოსავლების მკვეთრად შემცირებამ, უმუშევრობის უკიდურესმა ზრდამ შესაძლოა ხელი შეუწყოს სოციალურ დაძაბულობას და დაემუქროს ქვეყნის განვითარებას, სტაბილურობას და ეროვნულ უსაფრთხოებას. საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის პრიორიტეტულია ქვეყნის ეკონომიკისა და მოქალაქეების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და ზრდა.

7. ენერგეტიკული გამოწვევები: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის პრიორიტეტულია ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ენერგომატარებლების მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციის შენარჩუნება.

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუფთა ენერგიის წყაროების განვითარებას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას.

8. კიბერსაფრთხეები: ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დამოკიდებულებასთან ერთად იზრდება ის გამოწვევები, რომლებიც საქართველოს ინფორმაციული სივრცის დაცვასთანაა დაკავშირებული. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთის ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეტევების პარალელურად, მიზანმიმართული და მასობრივი კიბერთავდასხმები განახორციელა. ამ კიბერშეტევებმა აჩვენა, რომ კიბერსივრცის დაცვა ეროვნული უსაფრთხოებისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სივრცეების დაცვა.

9. ეკოლოგიური გამოწვევები: ბუნებრივი პროცესებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ კრიზისებს შეუძლია საფრთხე შეუქმნას საქართველოს ბუნებრივ გარემოს, ბიომრავალფეროვნებას და მისი მოქალაქეების კეთილდღეობას.

საქართველოს შეშფოთებას იწვევს ის ეკოლოგიური ზიანი, რომელიც გამოწვეულია რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმის საქმიანობით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ, აფხაზეთში, სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებასთან დაკავშირებით. საქართველოს ხელისუფლება გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას იმისათვის, რომ, საერთაშორისო თანამეგობრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, არ დაუშვას შავი ზღვის სანაპიროს ეკოლოგიური კატასტროფა, რომელიც შეიძლება მოჰყვეს აფხაზეთში სამშენებლო მასალებისა და ხეტყის უკანონო მოპოვებას და რუსეთის ფედერაციაში გატანას.

10. დემოგრაფიული გამოწვევები: ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება. საგულისხმოა, რომ შობადობისა და საქართველოდან ემიგრირებული მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების მაჩვენებლები გასულ წლებთან შედარებით იზრდება. ამ პოზიტიური დინამიკის სტაბილური შენარჩუნება ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანაა.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დემოგრაფიული ბალანსის ხელოვნურად და უკანონოდ შეცვლის ცდები იქ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების ჩასახლებით და მათთვის განსაკუთრებული პირობების შექმნით. ასეთი ქმედება განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის აფხაზების თვითმყოფობის შენარჩუნებას.

11. სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები: სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ყველა მოქალაქისათვის სათანადო პირობების შექმნა სახელმწიფო ენის შესასწავლად, რაც ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

12. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება/განადგურება: საქართველოსთვის მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა. მის შეშფოთებას იწვევს ამ ძეგლების მიზანმიმართული დაზიანება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ასევე მნიშვნელოვანია ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა ქვეყნის საზღვრების გარეთ.

საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა

1.1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია: საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაცია, იქ მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო რეინტეგრაცია და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის აღდგენა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია.

საქართველოს ხელისუფლება მოწოდებულია, გადადგას დროული და ეფექტიანი ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნება მშვიდობიანი, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დამყარებული მეთოდებით ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაციისკენ. საქართველო ძალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ერთგული რჩება.

ამასთანავე, საქართველო ცალმხრივად იღებს ცეცხლის განუახლებლობის ვალდებულებას, რის შესახებაც საქართველოს პრეზიდენტმა ევროპის პარლამენტში 2010 წლის 23 ნოემბერს სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. ეს ვალდებულება მან

ევროკავშირის, ნატოს, გაეროს და ეუთოს ხელმძღვანელებისთვის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისთვის გაგზავნილ წერილებში დაადასტურა.

საქართველო აგრძელებს სამშვიდობო წინადადებების შეთავაზებას, რომლებიც გულისხმობს ოკუპირებული რეგიონებისთვის ევროპულ გამოცდილებაზე დამყარებული ფართო ავტონომიის შეთავაზებას.

საქართველო მიესალმება ყველა სამშვიდობო წინადადებასა და ინიციატივას, რომლებიც ხელს შეუწყობს მისი ტერიტორიების დეოკუპაციას. დეოკუპაციის წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო მეტი აქტიურობა, კერძოდ, რუსეთის ფედერაციაზე ზემოქმედება, რათა მან აიღოს საქართველოს მიმართ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება, დაიცვას საერთაშორისო სამართლის ნორმები, მათ შორის, სუვერენული ქვეყნის თანხმობის გარეშე მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების განლაგების დაუშვებლობის პრინციპი, და შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრი უკლებლივ ყველა ვალდებულება, პირველ რიგში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები. დეოკუპაციის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია საერთაშორისო პოლიტიკურ და სამართლებრივ დოკუმენტებში ტერმინ „ოკუპაციის“ დამკვიდრება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ევროპის პარლამენტის, ევროპის საბჭოს და ნატოს საპარლამენტო ასამბლეების, ამერიკის შეერთებული შტატების სენატის და საქართველოს პარტნიორი სხვა ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული დოკუმენტები.

საქართველოს ხელისუფლებას სიტუაციის განმუხტვის ერთადერთ საშუალებად მიაჩნია ისეთი სამშვიდობო მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გაყვანას და იქ საერთაშორისო სამშვიდობო/საპოლიციო ძალების განლაგებას. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა. ქვეყნის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ამ მისიამ უნდა მოიცვას ოკუპირებული ტერიტორიებიც, როგორც განსაზღვრულია მისი მანდატით. ეს ხელს შეუწყობს სრულყოფილი სამშვიდობო პროცესის დაწყებას და გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებას. რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარება დადებითად იმოქმედებს მეზობელ ქვეყნებში არსებული კონფლიქტების მოწესრიგებაზე.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება და ამ რეგიონებში ეთნიკური წმენდისა და ეთნიკურ ნიადაგზე დევნის ფაქტების აღიარება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გაეროს გენერალური ასამბლეის 2008, 2009, 2010 და 2011 წლების რეზოლუციები,

გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის რეზოლუცია, ეუთოს ბუდაპეშტის 1994 წლის, ლისაბონის 1996 წლის და სტამბოლის 1999 წლის სამიტების დოკუმენტები და ევროპის პარლამენტის 2011 წლის 17 ნოემბრის რეზოლუცია.

ოკუპირებული ტერიტორიების გამოყენებით რუსეთის ფედერაციის მხრიდან მომდინარე ტერორიზმის საფრთხის გასანეიტრალებლად საქართველო ავითარებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობებს და აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო თანამეგობრობასთან ამ საფრთხის აღმოსაფხვრელად.

იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნება, მათი ქონებრივი უფლებების აღდგენა და უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სამართლიანობის, თანასწორობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრული დაცვით, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით და სხვა იმგვარი პირობების შექმნით, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, ისარგებლონ უსაფრთხო, ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნების უფლებით. საქართველო ყველა სამართლიანი და მშვიდობიანი საშუალებით აღუდგება წინ რუსეთის ფედერაციის ქმედებებს, რომლებიც მიმართული იქნება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობის და ქონებრივი მდგომარეობის უკანონოდ შეცვლისკენ, მათ შორის, ამ ტერიტორიებზე დარჩენილი მოსახლეობისთვის თავს მოხვეული „შეთანხმებების“ ფარგლებში.

1.2. რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა: საქართველოს სურვილია, რუსეთთან იქონიოს კეთილმეზობლობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც ვერ მოხდება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის და დეოკუპაციის განხორციელების გარეშე. საქართველო დაინტერესებულია რუსეთთან ამ ფუნდამენტურ საკითხებზე დიალოგის დაწყებით.

საქართველო მომხრეა, რუსეთის ფედერაცია გარდაიქმნას სტაბილურ, დემოკრატიულ ქვეყნად, რომელიც სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, დემოკრატიული ღირებულებებისა და საბაზრო ეკონომიკის პატივისცემის პრინციპებზე დააფუძნებს. რუსეთის ფედერაციის დემოკრატიზაცია და მისი პროგნოზირებადი საგარეო პოლიტიკა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე.

ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში საქართველოს ინტეგრაცია ხელს შეუწყობს კავკასიაში მშვიდობასა და სტაბილურობას, ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს რუსეთის ფედერაციის სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოებას, რაც რუსეთის ინტერესიც უნდა იყოს.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში თანამშრომლობის გარემოს შექმნას და მშვიდობის დამყარებას. საქართველო აცნობიერებს ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან ურთიერთობების გაღრმავებისა და განვითარების აუცილებლობას. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს მიზნებთან და პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით მათი ინფორმირებულობის გაზრდას, კავკასიაში ნდობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას და მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრებას. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ენები, კულტურული და ისტორიული მონაპოვარი მსოფლიო საგანძურის ნაწილია და მათ შენარჩუნება-განვითარებაზე ზრუნვა საქართველოსთვის მნიშვნელოვანია. საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხების საერთო ძალისხმევის საგანი სხვა საკითხებთან ერთად კავკასიის უნიკალური ბუნება და მისი ეკოლოგიური უსაფრთხოება უნდა გახდეს.

კავკასია მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანისა და ჯგუფის საერთო სახლია. საქართველო მხარს უჭერს ამ რეგიონში არსებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე. კავკასიის ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ის დადებითი პოტენციალია, რომელიც კეთილი ნების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების განუხრელად დაცვის პირობებში შეიძლება რეგიონში სტაბილურობის, მშვიდობის და მისი განვითარების საფუძვლად იქცეს.

2. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება

საქართველოს მოქალაქეთა მტკიცე ნებაა, განავითარონ თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოება, განამტკიცონ კანონის უზენაესობა და ყოველი მოქალაქის კანონის წინაშე თანასწორობაზე დაფუძნებული, გამჭვირვალე, ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული მმართველობის სისტემა, რომელიც ყველა მოქალაქისათვის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების, გაერთიანების შექმნის და მასში მონაწილეობის უფლების გარანტიაა. ასეთი პოლიტიკური სისტემა ქვეყნის განვითარების უმთავრესი წინაპირობაა.

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოების ფუნქციების გამიჯვნას, რაც მმართველობის დემოკრატიული სისტემის საფუძველია. სახელმწიფო ინსტიტუტებისა და თვითმმართველობის სისტემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წელს შეტანილი ცვლილებები. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების რეფორმირებისა და საქმიანობის ოპტიმიზაციის პარალელურად, აქტიურად

მიმდინარეობს გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და კომპეტენტური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება.
კანონის უზენაესობის განმტკიცებას ემსახურება სასამართლო ხელისუფლების გაძლიერება. ამ სფეროში მიმდინარე რეფორმები მიმართულია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის ზრდისკენ. მნიშვნელოვანია სასამართლოსადმი ნდობის განმტკიცებისათვის გადადგმული ნაბიჯები, მათ შორის, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაფართოება.
საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს ხელსაყრელი პირობების შექმნას პოლიტიკური პარტიების, მოქალაქეთა სხვადასხვა გაერთიანების, ინტერესთა ჯგუფების, საქმიანი წრეების, არასამთავრობო სექტორისა და მასმედიის გასავითარებლად. ეს ხელს უწყობს ძლიერი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, უზრუნველყოფს დემოკრატიის გაღრმავებას და საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ზრდას.
საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნისათვის კორუფცია აღარ არის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა, მასთან ბრძოლა მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. ამ მიზნით საქართველო გააგრძელებს იმ პოლიტიკის გატარებას, რომელიც ხელს შეუწყობს მთავრობის გამჭვირვალობის კიდევ უფრო გაზრდას.

3. ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება

საქართველო მოწოდებულია, შექმნას ისეთი ფორმატები და წამახალისებელი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის დაახლოებას ქვეყნის დანარჩენი რეგიონების მცხოვრებლებთან და ოკუპაციის შედეგად გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული საქართველოს მოქალაქეების ურთიერთობათა გაღრმავებას. ამ მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“.
საქართველო დაინტერესებულია, გააგრძელოს თანამშრომლობა საერთაშორისო თანამეგობრობასთან ჩართულობის პოლიტიკის განხორციელებისას მისი შესაძლებლობებისა და მიდგომების გამოყენებისათვის. ჩართულობის პოლიტიკის წარმატებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ჰუმანიტარული პროექტების საქართველოს მთავრობასთან კოორდინირება.

4. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის განვითარება

ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად საქართველო ატარებს უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანობის ზრდისკენ მიმართულ რეფორმებს. სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორის რეფორმების ქვაკუთხედია ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესი, რომელიც

მოახდენს უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ინსტიტუტებს შორის უფრო მჭიდრო კოორდინაციას, უზრუნველყოფს სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტების ურთიერთქმედების ხარისხის გაუმჯობესებას და შესაძლებელს ხდის სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორში ჩართული ინსტიტუტების შესაბამისი უწყებრივი სტრატეგიების შემუშავებას.

საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტია კრიზისების მართვის ერთიანი, მოქნილი, მუდმივმოქმედი და ეფექტიანი სისტემის არსებობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უწყებათა კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოფს მოსალოდნელი კრიზისის პროგნოზირებას და თავიდან აცილებას, ხოლო კრიზისის წარმოქმნის შემთხვევაში – მის და მისი ნეგატიური შედეგების უმოკლეს დროში ლიკვიდაციას ან მინიმუმამდე შემცირებას.

საქართველოს უსაფრთხოების შეცვლილი გარემოს გათვალისწინებით, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდა. საქართველოს ხელისუფლება ახდენს შეიარაღებული ძალების ადაპტირებას ახალ გამოწვევებთან, ოპერატიულ გარემოსა და ამოცანებთან. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარე აგრესიის შემთხვევაში ქვეყნის ტერიტორიის დასაცავად შეიარაღებული ძალების მზადყოფნისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია განათლებისა და წვრთნის სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა, პერსონალის მართვის სისტემის განვითარება, მართვისა და კონტროლის გაუმჯობესება, ნატოსთან თავსებადობის გაზრდა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ამ მიმართულებებით განვითარების მიზნით იქმნება და ინერგება შესაბამისი დოქტრინული ბაზა და ხდება თავდაცვისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი შესაძლებლობებისა და რესურსების რაციონალური მართვა, რაც თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის პროცესის ნაწილია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია როგორც კრიზისების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა შეიარაღებულ ძალებში, ისე ეროვნულ დონეზე სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა კრიზისების მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს თავდაცვის დაგეგმვა ეფუძნება „ტოტალური თავდაცვის“ პრინციპს, რომლის წარმატებით განხორციელება მოითხოვს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის დანერგვას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას და სამხედრო რეზერვის ეფექტიანი სისტემის შექმნას. რეზერვის ახალი სისტემა მიმართული იქნება რეზერვისტების მომზადების, მათი მართვისა და კონტროლის ხარისხის გაუმჯობესებისა და ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველყოფაში მოსახლეობის ფართო ჩართულობისაკენ. რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა და მათი გამოცდილების გაზიარება. საქართველო დემოკრატიული ღირებულებების ერთგულია

და აგრძელებს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას. აქედან გამომდინარე, ქვეყნის თავდაცვის რეფორმის პრიორიტეტად რჩება საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის გაზრდა. თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეგობარი ქვეყნების დახმარებას და ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას.

საქართველო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში, რომელთა ფარგლებში ქართული შენაერთების მიერ საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულება არა მხოლოდ ზრდის საქართველოს მნიშვნელობას ტრანსატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების განმტკიცებისათვის, არამედ ასევე ამდიდრებს საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო გამოცდილებას.

5. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრება და ევროკავშირში ინტეგრაცია

საქართველოს საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი მისი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრებაა. საქართველო, როგორც შავი ზღვის რეგიონისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო, არის ევროპის გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული ნაწილი, რომელიც ისტორიული კატაკლიზმების გამო მოწყვეტილი იყო თავისი განვითარების ბუნებრივ გარემოს. საქართველოს სუვერენული არჩევანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრაცია, რაც განამტკიცებს ქვეყნის უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს მის სტაბილურ განვითარებას.

5.1. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრება:

ნატოში გაწევრება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური ამოცანაა. საქართველო ნატოს განიხილავს, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების არსებული არქიტექტურის საფუძველს და ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის უმთავრეს მექანიზმს. ნატოში გაწევრება ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მყარ გარანტიებს შექმნის და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მთლიანად რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებაში. ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებული რეფორმების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების

თაობაზე ქვეყანაში არსებობს ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსი, რასაც ამ საკითხზე 2008 წელს ჩატარებული პლებისციტის შედეგებიც ადასტურებს.
2004 წლიდან საქართველომ ნატოსთან თანამშრომლობაში დიდ პროგრესს მიაღწია. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ნატოს წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა, რაც შემდგომ ასევე აისახა სტრასბურგ-კელის და ლისაბონის სამიტების გადაწყვეტილებებში და ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში.
რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიამ ვერ შეცვალა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ინტეგრაციისკენ მიმართული კურსი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ნატო-საქართველოს კომისიის შექმნამ და წლიური ეროვნული პროგრამის განხორციელების დაწყებამ, ასევე საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის დაარსებამ ახალი იმპულსი მისცა ნატოსა და საქართველოს ურთიერთობებს. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისი პარლამენტის მონაწილეობას ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში. ქვეყანა არა მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელია, არამედ იზიარებს კიდეც კოლექტიური უსაფრთხოების პასუხისმგებლობას. საქართველო აქტიურად მონაწილეობს ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე სამხედრო ოპერაციაში, საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების შემადგენლობაში, რომელშიც მას დიდი წვლილი შეაქვს, და მზად არის, ნატოს ძალებთან ერთად უზრუნველყოს ამ ოპერაციის წარმატებით დასრულება.

5.2. ევროკავშირში ინტეგრაცია:

ევროკავშირში ეტაპობრივი ინტეგრაცია საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ევროკავშირთან თანამშრომლობის განვითარება ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, უსაფრთხოების განმტკიცებას და ევროკავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციას.
საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირთან თანამშრომლობის ინსტიტუციური ჩარჩოების გაფართოებას. იგი ასევე ესწრაფვის, მიაღწიოს ევროკავშირთან ოთხი თავისუფლებით (ხალხის, საქონლის, მომსახურების, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება) სარგებლობის შესაძლებლობას. საქართველო ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას და „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამას განიხილავს, როგორც ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორს.
საქართველომ ევროკავშირთან დაიწყო მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე, რომლის მიზანია პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური

ინტეგრაციის გზით ევროკავშირთან ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაღრმავება, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნით.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივების და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების წარმატებით განხორციელება და ინიციატივის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება. საქართველოს მიზანია ევროკავშირთან სავიზო ურთიერთობების შემდგომი ლიბერალიზაცია და უვიზო რეჟიმის მიღწევა.

საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირთან დარგობრივი თანამშრომლობის განვითარება, განსაკუთრებით ენერგოუსაფრთხოების, ტრანსპორტის, განათლების, კულტურის და სხვა სფეროებში.

საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირის უფრო აქტიურ ჩართვას რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების პროცესში. მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის, მათ შორის, ევროკავშირის მხრიდან რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის ფაქტის აღიარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველო მიესალმება ევროპის პარლამენტის მიერ 2011 წლის 17 ნოემბერს მიღებულ რეზოლუციას.

საქართველო ასევე მიესალმება ევროკავშირის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია რუსეთის უფრო მეტი ჩართულობისა და მასთან თანამშრომლობისაკენ. ამასთანავე, ამგვარი პოლიტიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს შედეგს, თუ იგი ხელს შეუწყობს რუსეთის ფედერაციის ისეთი საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომელიც მიზნად დაისახავს მეზობლებთან მშვიდობიან თანაცხოვრებას და მათი სუვერენიტეტის პატივისცემას და ორიენტირებული იქნება რუსეთში დემოკრატიის განვითარებაზე.

საქართველოსთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ევროკავშირი, როგორც 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შუამავალი, ეფექტიან ზემოქმედებას ახდენდეს რუსეთის ფედერაციაზე, რათა მან სრულად შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები და დაიცვას საერთაშორისო სამართლის ნორმები.

6. თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში

საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობას და თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯებით ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიის ეკონომიკურად მიმზიდველ, მშვიდობიან და უსაფრთხო რეგიონად გადაქცევას.

საქართველოს ტრადიციულად კეთილმეზობლური ურთიერთობები აკავშირებს აზერბაიჯანთან და სომხეთთან. მას მიაჩნია, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ კავკასიის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით ერთობლივი მიდგომების ჩამოყალიბებას. სამმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა და საერთო ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონის სტაბილურობასა და კეთილდღეობას. საქართველოს, როგორც შავიზღვისპირა სახელმწიფოს, პოტენციალი მრავალმხრივი თანამშრომლობის ხელშემწყობი გარემოებაა.

არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას შორის არსებობს ისეთ საკითხებში თანამშრომლობის პოტენციალი, როგორებიცაა ერთობლივი ძალისხმევა საერთაშორისო ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ საბრძოლველად და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება. აღნიშნული ურთიერთობები გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს სამმხრივ ეკონომიკურ თანამშრომლობას და პოლიტიკური დიალოგის გაღრმავებას.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოუგვარებლობა საფრთხეს უქმნის რეგიონის ქვეყნების სტაბილურობას. საქართველო მიესალმება მის მშვიდობიან მოწესრიგებას საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე და საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო აქტიურ ჩართვას სამშვიდობო პროცესში.

საქართველო ისწრაფვის აზერბაიჯანთან და სომხეთთან მჭიდრო, პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებისა და ვაჭრობის გაფართოებისკენ. რეგიონში მსხვილი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას, ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა, უსაფრთხოების განმტკიცების ფუნქციაც აქვს, რაც გამოიხატება ნდობის ამაღლებით, თანამშრომლობის განვითარებით და მდგრადი ბიზნესპარტნიორობის ჩამოყალიბებით.

საქართველოს აზერბაიჯანთან ურთიერთობა სტრატეგიულ პარტნიორობად ჩამოყალიბდა. ერთობლივი ენერგეტიკული, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ორი ქვეყნის სტაბილურობასა და კეთილდღეობას. აღსანიშნავია ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის მნიშვნელობა, რომლის საშუალებითაც საქართველო და აზერბაიჯანი გააძლიერებენ თავიანთ სატრანზიტო ფუნქციას და, იმავდროულად, სრულფასოვნად ჩაერთვებიან საერთაშორისო სარკინიგზო კავშირებში. ეს სარკინიგზო მაგისტრალი ხელს შეუწყობს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეკონომიკური კავშირების გაფართოებას და ევროპის ეკონომიკურ სივრცესთან საქართველოს კიდევ უფრო დაახლოებას. მნიშვნელოვანია აზერბაიჯანთან თანამშრომლობით ამ სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.

სამ უმნიშვნელოვანეს რეგიონულ ენერგეტიკულ პროექტს – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს, ბაქო-სუფსის და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენებს – არა მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, არამედ რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებასაც ემსახურება. ასევე რეგიონის უსაფრთხოებას უწყობს ხელს და სხვა ქვეყნებთან ერთად

საქართველოსა და აზერბაიჯანის ინტერესია ნაბუკოს, ევრაზიული ნავთობის სატრანსპორტო დერეფნის, თეთრი ნაკადისა და AGRI-ს (Azerbaijan-Georgia-Romania Interconnector Project) პროექტების რეალიზაცია მათში აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების რესურსების მოზიდვითა და საქართველო-აზერბაიჯანის სატრანზიტო პოტენციალის სრულად გამოყენებით.

საქართველო ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს აზერბაიჯანთან საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროებში და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საქართველოს და აზერბაიჯანის პარტნიორობა სუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ფარგლებში. აზერბაიჯანის მონაწილეობა ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობაში“ და ნატოს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ხელს უწყობს უსაფრთხოების ინტერესების ჰარმონიზაციას და სხვადასხვა სტრატეგიულ საკითხზე საერთო პოზიციების ჩამოყალიბებას.

საქართველოს მჭიდრო პარტნიორობა აკავშირებს სომხეთთან ორმხრივი ინტერესების ყველა სფეროში. საქართველოს მიაჩნია, რომ სომხეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავება ორივე სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება და ხელს უწყობს ორი ქვეყნის ტრადიციული მეგობრობის განმტკიცებას, ეკონომიკურ კეთილდღეობას და პოლიტიკურ სტაბილურობას.

საქართველო ესწრაფვის, განამტკიცოს სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირები სომხეთთან. ვაჭრობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების, ტურიზმის და სხვა სფეროებში თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საქართველოს და სომხეთის ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველო მხარს უჭერს სომხეთის აქტიურ მონაწილეობას ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობაში“ და მიესალმება მის უფრო აქტიურ თანამშრომლობას ნატოსთან. საქართველო ასევე მიესალმება იმ ძალისხმევას, რომელიც მიმართული იქნება თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებისაკენ.

7. საგარეო კავშირების განმტკიცება

საქართველოსთვის პრიორიტეტულია როგორც საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება, ისე საგარეო ვაჭრობის გაფართოება, ინვესტიციების მოზიდვა და სოციალური და კულტურული კავშირების განმტკიცება. ამ მიზნების მისაღწევად საქართველო თანამშრომლობს საერთაშორისო თანამეგობრობასთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში.

7.1. ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა: საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად უჭერს მხარს მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყანაში ძლიერი

დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას და საქართველოს სრულ ინტეგრაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში.

საქართველო აღრმავებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიულ პარტნიორობას, რაც ასახულია 2009 წლის იანვარში გაფორმებულ სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატები-საქართველოს ქარტიაში. ეს დოკუმენტი მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას თავდაცვისა და უსაფრთხოების, ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის, დემოკრატიის გაძლიერებისა და კულტურული გაცვლის სფეროებში შესაბამისი სამუშაო ჯგუფების ფარგლებში მიღწეული კონკრეტული გადაწყვეტილებების განხორციელების გზით.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის საკითხში.

საქართველოსთვის პრიორიტეტულია ამერიკის შეერთებულ შტატებთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება, ამერიკული ინვესტიციების მოზიდვა და ქართული პროდუქციის ექსპორტის გაზრდა. საქართველო სარგებლობს აშშ-სთან პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმით, რაც აშშ-ში ექსპორტის შეღავათიანი სატარიფო პირობებით განხორციელების საშუალებას იძლევა. იმავდროულად, საქართველოს მთავრობა მიზანმიმართულად მიისწრაფვის საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებისაკენ.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაწეული ფინანსური დახმარება. ქართველი ხალხისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 2008 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგ აშშ-ის მიერ გამოყოფილ, ერთი მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსურ დახმარებას, ასევე აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებულ პროექტებს, რომლებიც საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას და ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელებას მოხმარდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ქართველ სტუდენტთა და მეცნიერთა განათლების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაწეული დახმარების პროგრამების მეშვეობით. საქართველო დაინტერესებულია ამ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებით.

საქართველო აქტიურად აგრძელებს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ინიციირებული კოალიციების პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერას. აშშ-ის დახმარების პროგრამების ფარგლებში გაწვრთნილი ქართული შენაერთები წარმატებით მონაწილეობენ ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციაში, საერთაშორისო უსაფრთხოების

უზრუნველყოფის ძალების შემადგენლობაში. საქართველო და აშშ მჭიდროდ და წარმატებით თანამშრომლობენ ბირთვული მასალების უკანონო გადინების აღკვეთის მიმართულებითაც.

7.2. უკრაინასთან თანამშრომლობა: საქართველო ესწრაფვის, მაქსიმალურად გამოიყენოს უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობის შესაძლებლობები. უკრაინის, როგორც დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, როლის ზრდა ხელს შეუწყობს რეგიონის სტაბილურობას და ევროპის უსაფრთხოებას.

საქართველო და უკრაინა თანამშრომლობენ საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროებში არა მხოლოდ ორმხრივ ფორმატში, არამედ ისეთ მრავალმხრივ ფორმატებშიც, როგორებიცაა გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და სუამი. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია უკრაინასთან თანამშრომლობა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში. საქართველო მიესალმება უკრაინის მონაწილეობას ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობაში“.

7.3. თურქეთთან თანამშრომლობა: თურქეთი არის საქართველოს წამყვანი რეგიონული პარტნიორი, რომელიც მხარს უჭერს მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ძალისხმევას სტაბილური პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების ინსტიტუტების გასავითარებლად.

თურქეთი საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო და ეკონომიკური პარტნიორია. საქართველოსა და თურქეთს შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობისა და უვიზო მიმოსვლის რეჟიმები. ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვა პროექტების წარმატებით განხორციელებას ორივე ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. საქართველო და თურქეთი თანამშრომლობენ ისეთ რეგიონულ პროექტებში, როგორებიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. ასევე მნიშვნელოვანია დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მყოფი რეგიონული ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტები – ნაბუკო, ევრაზიული ნავთობის სატრანსპორტო დერეფანი, თეთრი ნაკადი და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი.

თურქეთი, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა და რეგიონის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს მნიშვნელოვანი სამხედრო პარტნიორიცაა. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთთან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ურთიერთობების განვითარებას.

ასევე მნიშვნელოვანია კულტურის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება. დაწყებულია საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით, რომლის გაღრმავება ორივე ქვეყნის ინტერესია.

7.4. მსოფლიოს სხვა რეგიონების ქვეყნებთან თანამშრომლობა: საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ბალტიის ქვეყნებთან სხვადასხვა სფეროში. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ევროპული და ევროატლანტიკური

ინტეგრაციის საკითხებში და მათი მხარდაჭერა ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში.

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე სკანდინავიის სახელმწიფოებთან თანამშრომლობას. მნიშვნელოვანია ამ სახელმწიფოებთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება და მათ მიერ საქართველოს სუვერენიტეტის და მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოლდოვასთან და ბელარუსთან თანამშრომლობას და მიესალმება მათ მონაწილეობას ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობაში“.

საქართველო, როგორც ევროპის აზიასთან დამაკავშირებელი ბუნებრივი რგოლი, დიდ ყურადღებას უთმობს ყაზახეთთან, თურქმენეთთან, ყირგიზეთთან, უზბეკეთთან და ტაჯიკეთთან მჭიდრო თანამშრომლობას, განსაკუთრებით ეკონომიკის, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროებში. ამ თანამშრომლობის ძირითადი მიზანია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხალხის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ცენტრალური აზიის ქვეყნების ინფორმირება საქართველოში მიმდინარე პროცესებზე და მისი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. რუსეთის ფედერაციის მცდელობა, სამხედრო ძალის გამოყენებით შეცვალოს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დაფიქსირებული საერთაშორისო საზღვრები, გამოწვევაა მისი მეზობელი სახელმწიფოების უსაფრთხოებისთვის.

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ისრაელთან, სპარსეთის ყურის სახელმწიფოებთან, კანადასთან, ინდოეთთან, ბრაზილიასთან, ავსტრალიასთან, აგრეთვე ლათინური ამერიკის, აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან პოლიტიკური დიალოგისა და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც ხელს შეუწყობს სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას, ინვესტიციების მოზიდვას და საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერას.

მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესი და განვითარდეს მათთან ორმხრივი პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის, ინვესტიციების მოზიდვის და ამ ქვეყნებში საქართველოს ცნობადობის ამაღლების მიზნით. დიალოგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში.

7.5. მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორუმები: საერთაშორისო თანამეგობრობასთან მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობა საქართველოს საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

7.5.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო): საქართველოს მიაჩნია, რომ გაერომ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისა და არსებული კონფლიქტების სამართლიანი მოწესრიგების პროცესში. ამისათვის აუცილებელია გაეროს ეფექტიანობის გაზრდა. საქართველო ნეგატიურად აფასებს რუსეთის ფედერაციის ზეწოლის შედეგად „საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის“ ფუნქციონირების შეწყვეტას და ამ ფაქტს განიხილავს, როგორც არასასურველ პრეცედენტს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს გაეროს როლზე მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

7.5.2. ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო): ეუთო უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციაა ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. მას განსაკუთრებული როლი ენიჭება ევროპაში მშვიდობის, სტაბილურობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების განმტკიცებაში.

საქართველო ერთგულია ჰელსინკის დასკვნით აქტში და მის შემდეგ, ეუთოს ფარგლებში მიღებულ ფუნდამენტურ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული პრინციპებისა, რომლებიც ეფუძნება სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის უდავო პატივისცემას. საქართველოს მიაჩნია, რომ ეუთოს როლის გაზრდა ხელს შეუწყობს მის წევრ სახელმწიფოთა უსაფრთხოების განმტკიცებას.

რუსეთმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო ჩართულობის აღკვეთის მიზნით დაბლოკა ქვეყანაში ეუთოს მისიის საქმიანობა. გაგრძელდება საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე დაყრდნობით საქართველოში, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით, ეუთოს მისიის აღსადგენად და ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში ეუთოს როლის გასაზრდელად. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ეუთოს დახმარება საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებისა და რეფორმების წარმატებული განხორციელების პროცესში.

7.5.3. ევროპის საბჭო: ევროპის საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობას საქართველო განიხილავს, როგორც პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროებში ევროპული ღირებულებებისა და ნორმების დამკვიდრების საუკეთესო შესაძლებლობას. საქართველო ევროსაბჭოს სტანდარტების ერთგულია, რაც დასავლური ღირებულებებისა და ნორმების მქონე დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. საქართველო ესწრაფვის, შეასრულოს ევროსაბჭოს რეკომენდაციები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე დემოკრატიის განვითარება, ეროვნული უმცირესობებისა და ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობისთვის აუცილებელი მექანიზმების განმტკიცება.

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისი პარლამენტის მონაწილეობას ეუთოს და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეებში.

8. საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს კონტრტერორისტული პოლიტიკის მიზანია, უზრუნველყოს ქვეყნის მოქალაქეების, სახელმწიფოს და სხვა ინსტიტუტების უსაფრთხოება. საქართველო შეერთებულია გაეროს ანტიტერორისტულ კონვენციებსა და ოქმებთან და ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში აქტიურად თანამშრომლობს ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში.

ამ მიზნის მიღწევას ემსახურება საქართველოს ხელისუფლების მჭიდრო თანამშრომლობა გაეროს კონტრტერორიზმის კომიტეტთან და ტერორიზმთან ბრძოლის საშუალებების, მათ შორის, შეიარაღებული ძალებისა და სამართალდამცავი ორგანოების სპეციალური დანიშნულების ძალების განვითარება. ტერორისტების მიერ საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენების საფრთხის თავიდან ასაცილებლად საქართველო აძლიერებს საზღვრის დაცვას, საბაჟო კონტროლს და აქტიურად თანამშრომლობს მეზობელ სახელმწიფოებთან – თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან – კონტრტერორისტული და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ტერორისტული საფრთხე მომდინარეობს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ბოლო წლებში საქართველოში მომხდარ ტერორისტულ აქტებს სწორედ ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები მართავდნენ. ამ საფრთხის გასანეიტრალებლად მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციაზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლა, რომელიც აიძულებს მას, ტერორისტული აქტების კვლავ ორგანიზების შემთხვევაში მძიმე პოლიტიკური საფასური გადაიხადოს.

საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბირთვული ტერორიზმის საფრთხეს და აქტიურად თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფოებთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქვეყნის ტერიტორიის ბირთვული და რადიოაქტიური მასალების დამზადებისა და ტრანზიტისთვის გამოყენება. ბირთვული და რადიოაქტიური მასალების გავრცელების კუთხით საქართველოს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა.

მრავალეროვნულ ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობით საქართველოს თავისი წვლილი შეაქვს კონტრტერორისტული კოალიციის საქმიანობაში. საერთაშორისო ტერორიზმი გლობალური საფრთხეა და, შესაბამისად, ავღანეთში საერთაშორისო თანამეგობრობის წარუმატებლობა უარყოფითად მოქმედებს საერთაშორისო, რეგიონის და, კერძოდ, საქართველოს უსაფრთხოებაზე.

9. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა მიზნად ისახავს იმ აუცილებელი

პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას, მოსახლეობის კეთილდღეობის, ასევე ეკონომიკისა და მოქალაქეების კონკურენტუნარიანობის ზრდას.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია მაკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცება საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და გამარტივების, ფისკალური მდგრადობის შენარჩუნებისთვის საბიუჯეტო დეფიციტის თანამიმდევრული შემცირების, კონსერვატიული ფისკალური და ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკის გატარების, ინფლაციის მინიმალური დონის მიღწევისა და შენარჩუნების, საჯარო ხარჯების შემცირებისა და სახელმწიფო ვალის მინიმიზაციის გზით.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რეგიონის ქვეყნებთან ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების მეშვეობით. ეკონომიკური და საზღვრისპირა ურთიერთობები ხელს შეუწყობს რეგიონში დაძაბულობის შემცირებას და კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვას. ამ მიზნით საქართველო ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობს ფართო რეგიონის ქვეყნებთან: აზერბაიჯანთან, თურქეთთან, თურქმენეთთან, ირანთან, სომხეთთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, ასევე შავი ზღვის რეგიონის, ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დანარჩენ ქვეყნებთან.

მნიშვნელოვანია საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, მისი სატრანსპორტო, სატრანზიტო და საკომუნიკაციო პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაცია და საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ქვეყნის მაქსიმალური ინტეგრაცია საქართველოს, როგორც რეგიონული ლოჯისტიკური ცენტრის, ფუნქციის გაძლიერების მიზნით.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა უზრუნველყოფს პიროვნებისა და ბიზნესის საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობას, ეკონომიკური თავისუფლებისა და საკუთრების დაცვას, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებას და კონსერვატიული ფისკალური პოლიტიკის გატარებას.

საქართველო ესწრაფვის, შექმნას მოსახლეობისთვის ხარისხიანი საქონლისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის წინაპირობა. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია ინვესტიციების მოსაზიდად შესაბამისი გარემოს გაუმჯობესება, ეკონომიკისა და მოქალაქეების კონკურენტუნარიანობის, ასევე დასაქმების ზრდა და ამ მიზნების მისაღწევად კონკურენტული შრომის ბაზრის ჩამოყალიბება. ეკონომიკისა და მოქალაქეების კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია კვალიფიციური მუშახელის მომზადების ხელშეწყობა, რაც მიზანმიმართული განათლების პოლიტიკით მიიღწევა.

10. ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ენერგოინფრასტრუქტურის განვითარება. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერგორესურსებისა და მათი მომწოდებლების შემდგომ დივერსიფიკაციას და საერთაშორისო და რეგიონულ ენერგოპროექტებში მონაწილეობის გაფართოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება მიესალმება სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის ფარგლებში ახალი პროექტების განხორციელებას, მათ შორის, იმ პროექტებისას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ევროპისათვის ნავთობისა და ბუნებრივი აირის კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის რეგიონებიდან საქართველოს გავლით მიწოდება.

საქართველო მნიშვნელოვანი ენერგეტიკული დერეფნების ნაწილია. იგი აცნობიერებს იმ როლს, რომელიც ენიჭება ქვეყანას კასპიის ზღვისა და შუა აზიის რეგიონებიდან დანარჩენი მსოფლიოსთვის ენერგორესურსების ალტერნატიული გზებით მიწოდების პროცესში. საქართველოს შავი ზღვის პორტები, ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები, ასევე ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი უკვე მოქმედი, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტებია. საქართველოს ხელისუფლება მოწოდებულია, უზრუნველყოს მათი ეფექტიანი ფუნქციონირება და პერსპექტიული პროექტების განვითარება.

ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ენერგოინფრასტრუქტურის განვითარება და ჰიდრორესურსების უფრო ეფექტიანი ათვისება, ასევე სუფთა ენერგიის სხვა წყაროების პოტენციალის შესწავლა. საქართველო აქტიურად აგრძელებს უცხოელ ინვესტორებთან თანამშრომლობას განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისების კუთხით.

ელექტროენერგიის გადამცემი ახალი ხაზებისა და ელექტროსადგურების მშენებლობა და ძველი ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაცია უზრუნველყოფს იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირებას საკუთარი ჰიდრორესურსების ათვისების ხარჯზე და ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას. საქართველოს მიზანია, გახდეს ელექტროენერგიის მსხვილი რეგიონული ექსპორტიორი, რისთვისაც, ენერგიის გამომუშავების ზრდის გარდა, აუცილებელია ქვეყნების დამაკავშირებელი ახალი გადამცემი ხაზების მშენებლობაც.

11. განათლების პოლიტიკა

განათლების სისტემის სრულყოფა საქართველოს ხელისუფლების მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ სისტემის ყოვლისმომცველი რეფორმა მიზნად ისახავს საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის თვისებრივ გაუმჯობესებას და ცოდნაზე

დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, აგრეთვე მეცნიერების განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას. განათლების სისტემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მასში კერძო სექტორის მონაწილეობის გაზრდა.

განათლების რეფორმირებულმა სისტემამ საქართველოს მოქალაქეებს უნდა მისცეს საშუალება, მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები და იყვნენ კონკურენტუნარიანნი საქართველოს და მსოფლიოს შრომის ბაზრებზე.

საშუალო განათლების სისტემის რეფორმის მნიშვნელოვანი კომპონენტია სკოლებში კომპიუტერიზაციის და უცხოური ენების, პირველ რიგში, ინგლისური ენის სწავლების პროგრამები.

განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია პროფესიული განათლების სისტემის განვითარება. საქართველოს ეკონომიკის დინამიკური განვითარება განაპირობებს პროფესიული განათლების სისტემის დახვეწის აუცილებლობას.

საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი განათლების სისტემის დახვეწასა და განვითარებას. ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის გაზრდისა და ეკონომიკის წინსვლის ერთ-ერთი წინაპირობაა. ასევე მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

12. სოციალური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა

საქართველოს სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს სიღარიბის დაძლევას, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას.

საქართველოს მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამუშაო ადგილების შექმნისთვის უკეთესი გარემოს შექმნა, ასევე სოციალური უსაფრთხოების სისტემის განვითარება, რომელიც ორიენტირებული იქნება სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახების მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფაზე.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის მიმართულებებია: სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, სამედიცინო განათლებისა და სერტიფიცირების სისტემის დახვეწა, ეპიდემიებისა და პანდემიების პრევენციისა და მართვის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა, სოციალურად საშიშ დაავადებათა (ტუბერკულოზი, შიდსი, ნარკომანია და სხვა) პრევენცია და მკურნალობა, **ბუნებრივად თუ ხელოვნურად წარმოშობილი განსაკუთრებით საშიში ინფექციების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ინტეგრირებული ეპიდზედამხედველობის და ლაბორატორიული მეთვალყურეობის ეფექტიანი სისტემების განვითარება და სწრაფი რეაგირების სისტემების დანერგვა,** ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის დახვეწის გზით, სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

13. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა

საქართველოს მიზანია, შექმნას ინფორმაციული უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომლის დროსაც ნებისმიერი კიბერთავდასხმის საზიანო შედეგები მინიმუმამდე იქნება შემცირებული და ასეთი თავდასხმის შემდეგ უმოკლეს დროში გახდება შესაძლებელი ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების სრული აღდგენა.

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საიდუმლო ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სახელმწიფოს საინფორმაციო სისტემების დაცვას. იგი ქმნის შესაბამის საკანონმდებლო ბაზას და ინფრასტრუქტურას, რომელიც აუცილებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების გასაუმჯობესებლად და ინფორმაციის დაცულობის უზრუნველსაყოფად.

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მეგობარ ქვეყნებთან თანამშრომლობას და მათი გამოცდილების გაზიარებას.

14. ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა

საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვა ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი შემცირების, გარემოს დაბინძურების, ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი კრიზისების პრევენციის გზით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორებიცაა წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, მიწისძვრა, ასევე სამრეწველო ავარიების პრევენციას და სხვა.

საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა ასევე მიზნად ისახავს, უზრუნველყოს გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება და გატარება, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების პრევენცია, ტყის რესურსების დაცვა, ქვეყნის ტერიტორიის რადიოაქტიური და სხვა მავნე ნარჩენებისაგან გაწმენდის სამუშაოების ჩატარება, შავი ზღვის დაბინძურების პრევენცია და სხვა.

საქართველოს ხელისუფლება აცნობიერებს, რომ ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა მჭიდრო რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობას საჭიროებს. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად. საქართველოს ხელისუფლება მის ხელთ არსებული დიპლომატიური რესურსების გამოყენებით შეეცდება, რუსეთის ფედერაციაზე საერთაშორისო ზეწოლის გაძლიერებას, რათა აღიკვეთოს აფხაზეთიდან სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის საშენი მასალებისა და ხეტყის უკანონო გატანა, რომელიც ეკოლოგიურ კატასტროფას უქადის არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად შავი ზღვის სანაპიროს.

საქართველო ავითარებს რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობას ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში. აზერბაიჯანს, სომხეთს, თურქეთსა და საქართველოს შორის წარმატებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს რეგიონში გარემოს დაცვის გაძლიერებას და ეკოლოგიური უსაფრთხოების განმტკიცებას.

15. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

საქართველო ესწრაფვის, იუნესკოსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით დაიცვას და განავითაროს ქვეყნის უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ მიმართულებით აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკის გატარება, რომლის მიზანია თანამედროვე და ტრადიციული ქართული ხელოვნების ხელშეწყობა და არქიტექტურულ ძეგლებზე ზრუნვა. ამასთანავე, საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს იმ სახელმწიფოებთან, რომელთა ტერიტორიაზედაც განლაგებულია ქართული კულტურის ძეგლები ან რომელთა არქივებში, საცავებსა თუ მუზეუმებშიც ინახება ქართული კულტურული ფასეულობები.

განსაკუთრებული საფრთხე ექმნება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება იუნესკოსთან, კულტურული საკუთრების შენარჩუნებისა და აღდგენის საკითხთა კვლევის საერთაშორისო ცენტრთან (ICCROM), ძეგლებისა და ადგილების საერთაშორისო საბჭოსთან (ICOMOS) და ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირთან (IUCN) თანამშრომლობას.

16. დემოგრაფიული პოლიტიკა

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველო ხელს უწყობს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს შობადობის მატებას, ბავშვთა სიკვდილიანობის კლებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას.

საქართველო ასევე ესწრაფვის, შეიქმნას ხელსაყრელი პირობები უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და სხვა თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნებისთვის.

საქართველოს შეშფოთებას იწვევს რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა, რომლის მიზანია მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დემოგრაფიული მდგომარეობის უკანონოდ და ხელოვნურად შეცვლა იქ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების ჩასახლებისა და მათთვის განსაკუთრებული პირობების შექმნის გზით. საქართველოს ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს, რომ არ დაუშვას აღნიშნული პოლიტიკის შედეგების დაკანონება და ხელი შეუწყოს აფხაზებისა და ოსების ეთნიკური და კულტურული თვითმყოფობის შენარჩუნებასა და განვითარებას.

17. სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა

საქართველოს ხელისუფლება ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას. მნიშვნელოვანია ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება, მათი იდენტობისა და კულტურის შენარჩუნება. ეს პოლიტიკა ასახულია „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა“ და „სამოქმედო გეგმაში“.

სახელმწიფო ატარებს ღონისძიებებს, რათა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა შეისწავლონ და გამოიყენონ ქართული ენა, რაც ხელს შეუწყობს მათი სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების სრულფასოვნად განხორციელებას.
საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რეპატრიანტების ადაპტაციისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს მათ სამოქალაქო ინტეგრაციას.

18. დიასპორებთან ურთიერთობის პოლიტიკა

საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტია საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების იდენტობის შენარჩუნება. იგი ხელს უწყობს უცხოეთში ქართული საკვირაო სკოლების, ქართული ენის შესასწავლი კურსების, ქართულენოვანი საჯარო სკოლების, ფოლკლორული ჯგუფებისა და შემოქმედებითი გაერთიანებების შექმნასა და ფუნქციონირებას, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და განვითარებას. საქართველოს ხელისუფლება ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ ქართულ დიასპორებს შორის კავშირების გაღრმავებას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას.